

**სისსლის სამართლის
ზოგადი და კერძო
ნაწილები**

**სისსლის სამართლის
პროცესი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სისხლის სამართლის საქმეებზე
2015, №5-8

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Criminal Cases
(in Georgian)
2015, №5-8

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Strafsachen
(in der georgischen Sprache)
2015, №5-8

Решения Верховного Суда Грузии
по уголовным делам
(на грузинском языке)
2015, №5-8

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298 21 03; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

სისხლის სამართალი

ზოგადი ნაწილი

სასჯელის განსაზღვრა განაჩენითა ერთობლიობით შთანთქმის წესის გამოყენებით

განაჩენი საქართველოს სახელით

№222აპ-15

21 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ ბ. ტ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 10 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 12 დეკემბრის განაჩენით ბ. ტ-ე, – ნასამართლევი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ძალაში შესული განაჩენის შეუსრულებლობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 15 აპრილის განაჩენით ბ. ტ-ს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 3 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება. მიუხედავად აღნიშნულისა, ბ. ტ-ე 2014 წლის 1 აგვისტოს ქობულეთში მართავდა „გოლფ-4-ის“ მარკის ავტომანქანას, სახელმწიფო სანომრე ნიშნით – –.

3. აღნიშნული ქმედებისათვის ბ. ტ-ს განესაზღვრა ჯარიმა – 2000 ლარი, რასაც დაემატა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 15 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 3 თვე და საბოლოოდ მიესაჯა 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით.

მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაენყო 2014 წლის 12 დეკემბრიდან.

4. გაუქმდა ბ. ტ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და გირაოს უზრუნველყოფის მიზნით ნ. მ-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (მდებარე ქ. ბათუმში, ხულო/ქუთაისის ქ. №-ში, ზონა – ბათუმი –, სექტორი – –, კვარტალი – –, ნაკვეთი – –, კოდი – –, საკადასტრო კოდი – №-) 4000 ლარის ღირებულების წილს მოეხსნა ყადაღა.

5. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ა. ნ-მ. მან მოითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და ბ. ტ-სათვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრა.

6. მსჯავრდებულ ბ. ტ-ს ადვოკატმა ჯ. ქ-მა შესაგებლით ითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 12 დეკემბრის განაჩენის უცვლელად დატოვება.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 10 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 12 დეკემბრის განაჩენი შეიცვალა: ბ. ტ-ს საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 15 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილიდან – 3 თვე და საბოლოოდ განესაზღვრა 1 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენყო 2014 წლის 12 დეკემბრიდან. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

8. კასატორი – მსჯავრდებულ ბ. ტ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. ჯ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა, რადგან დაირღვა საქართველოს სსკ-ის 298-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნა; ბ. ტ-სათვის დანიშნული სასჯელი არ შეესაბამება მისი ქმედების ხასიათსა და პიროვნებას; საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2014 წლის 25 თებერვლის განაჩენში (საქმის №2კ-227აპ.-13) განმარტებულია: „დიდი პალატა განმარტავს, რომ განაჩენთა ერთობლიობისას სახელმწიფო ბრალმდებელს მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის და, შესაბამისად, სასამართლოს აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლებამოსილება გააჩნიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ბრალმდებელს ასეთივე პოზიცია ეკავა პირველი ან/და სააპელაციო ინსტანციის სასამართლო(ებ)ში. შესაბამისად, თუ სახელმწიფო ბრალმდებელს აღ-

ნიშნულ საკითხზე პირველი ინსტანციის სასამართლოში არ დაუფიქსირებია პოზიცია, შემდგომში იმავე საკითხზე მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების თვალსაზრისით გასაჩივრება სამართლებრივად საფუძველს მოკლებული და უპერსპექტივოა“.

9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი დ. ჯ-ე ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას, ბ. ტ-სათვის განაჩენთა ერთობლიობით საბოლოოდ 3 თვით თავისუფლების აღკვეთისა და 2000 ლარი – ჯარიმის განსაზღვრას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა ბ. ტ-მ ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, რასაც არც მხარეები ხდიან სადავოდ.

3. საკასაციო პალატა არ იზიარებს დაცვის მხარის მიერ საჩივარში მითითებულ პოზიციას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2014 წლის 25 თებერვლის განაჩენს და აღნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლოს ხსენებულ გადაწყვეტილებაში მითითებულია განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის განსაზღვრის საკითხზე პროკურორის პოზიციის არარსებობის პირობებში საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის თაობაზე და არა – კონკრეტული მუხლისთვის სანქციის სახის/ზომის განსაზღვრის შესახებ.

4. ამასთან, საკასაციო პალატა საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, მხედველობაში იღებს ბ. ტ-ს მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათსა და სიმძიმეს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათს და მიაჩნია, რომ სამართლიანი იქნება მისთვის განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის განსაზღვრა შთანთქმის წესის გამოყენებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-

ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ბ. ტ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 10 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. მსჯავრდებულ ბ. ტ-ს საქართველოს სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯოს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რამაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე შთანთქმას ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 15 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ ბ. ტ-ს სასჯელის სახით განესაზღვროს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდაც აეთვალოს 2014 წლის 12 დეკემბრიდან.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 10 მარტის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასჯელის შემსუბუქება

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№93აპ-15

21 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ ტ. მ-ს ინტერესე-
ბის დამცველი ადვოკატების – დ. ს-სა და ს. ს-ს საკასაციო საჩი-
ვარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატის 2014 წლის 25 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილებით ბრალი დაედო: ტ. მ-ს, – ნასამართლობის არმქონეს, – საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა და შენახვა; ასევე – განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში შემოტანა;

2. ზ. ფ-ს, – ნასამართლევს, – საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 25-ე, 252-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 273-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა და შენახვა იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე თავით გათვალისწინებული დანაშაული; ასევე – განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ორგანიზება და ნაქეზება იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე თავით გათვალისწინებული დანაშაული; ასევე – ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ამ დანაშაულისათვის ნასამართლევ პირის მიერ.

3. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 16 სექტემბრის განაჩენით ზ. ფ-ე – საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის

მე-2 ნაწილის „ე“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 25-ე, 252-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, ხოლო ტ. მ-ი – საქართველოს სსკ-ის 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდნენ.

4. განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საჩხერის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 12 ნოემბრის განაჩენით ზ. ფ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით. 2014 წლის 21 იანვარს, 16.45 საათზე ჩატარებული ნარკოლოგიური გამოკვლევის შედეგად ზ. ფ-ს დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „ოპიუმის“ ჯგუფის მოხმარების ფაქტი.

5. ტ. მ-მა დაუდგინელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 35 პოლიეთილენის პაკეტში დაფასობული, 66,602 გრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინის“ შემცველი ფხვნილი, 0,206 გრამი ნარკოტიკული საშუალება „მეთადონის“ შემცველი ხუთი აბი და ფხვნილი, დაფასობული 2 პაკეტად, რომლებიც ორალური გზით შეინახა თავის სხეულში, რაც ამოიღეს 2014 წლის 21 იანვარს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად.

6. აღნიშნული ქმედებისათვის ზ. ფ-ს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა საჩხერის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 12 ნოემბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 5 თვე, 28 დღე და საბოლოოდ განესაზღვრა 1 წლით, 5 თვითა და 28 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2014 წლის 23 იანვრიდან; მასვე სასჯელის მოხდაში ჩაეთვალა დაკავების დრო – 2014 წლის 21 იანვრიდან იმავე წლის 23 იანვრამდე; ტ. მ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიესაჯა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2014 წლის 23 იანვრიდან; მასვე სასჯელის მოხდაში ჩაეთვალა დაკავების დრო – 2014 წლის 21 იანვრიდან იმავე წლის 23 იანვრამდე. ზ. ფ-ს – 3 წლით, ხოლო ტ. მ-ს – 5 წლით ჩამოერთვათ „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოთვლილი უფლებები.

7. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ტ. მ-მა და მისმა ადვოკატებმა – დ. ს-მ და ს. ს-მ, ასევე პროკურორმა დ. ს-მ.

8. მსჯავრდებულმა ტ. მ-მა და ადვოკატებმა – დ. ს-მ და ს. ს-

მ სააპელაციო საჩივრებით ითხოვეს ტ. მ-ს გამართლება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, მისი დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის მინიმუმის განსაზღვრა.

9. პროკურორმა დ. ს-მ სააპელაციო საჩივრით ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა, ტ. მ-ს – საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილით, ხოლო ზ. ფ-ს – სსკ-ის 273-ე მუხლით, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 25-ე, 252-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით დამნაშავედ ცნობა.

10. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 25 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 16 სექტემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

11. კასატორები – მსჯავრდებულ ტ. მ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატები – დ. ს-ე და ს. ს-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, არ ეყრდნობა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას; ტ. მ-ს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილებაში მითითებულია ნარკოტიკული საშუალების ოდენობა, მაშინ, როდესაც ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა გამოძიებას ჯერ მიღებული არ ჰქონდა; დაცვის მხარემ მოიპოვა და სასამართლოს მტკიცებულების სახით წარუდგინა ცნობა ტ. მ-ს დროებითი იზოლაციიდან გათავისუფლების შესახებ 2014 წლის 23 იანვრის მდგომარეობით, რითაც დასტურდება, რომ 2014 წლის 23 იანვრის 14.00 საათზე გამოტანილი დადგენილება ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ უკანონოა; ცნობიდან ირკვევა, რომ ტ. მ-ი გათავისუფლდა 2014 წლის 23 იანვარს, 14.15 საათზე, ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მისაცემად მტკიცებულებათა არარსებობის გამო, ხოლო საქმეში დევს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილება, რომელიც დათარიღებულია 2014 წლის 23 იანვრის 14.00 საათით; ტ. მ-ს მიმართ დაირღვა ბრალის წარდგენის 48-საათიანი ვადა; აღნიშნული მტკიცებულება წერილობითი შუამდგომლობით დაცვის მხარემ სასამართლოს წარუდგინა 27 აგვისტოს და მიუთითა, რომ სარგებლობდა საგამონაკლისო უფლებით; ამ ნორმის მოქმედების ვადა იწურებოდა 2014 წლის 1 სექტემბერს, ხოლო სხდომა ჩანიშნული იყო 16 სექტემბერს; სასამართლომ მტკიცებულების დართვაზე უარი თქვა იმ მოტივებით, რომ, ვინაიდან სხდომის მიმდინარეობის მომენტისათვის დაცვის სა-

გამონაკლისო უფლებით სარგებლობის ნორმის ვადა უკვე ამონურული იყო, მტკიცებულება დაგვიანებით იყო წარდგენილი; აღნიშნული საფუძვლებით სასამართლოს მიერ საქმეზე მტკიცებულების დართვაზე უარის თქმა წარმოადგენს საპროცესო კანონმდებლობის დარღვევას, რადგან მტკიცებულება, თუკი ის აუმჯობესებს ბრალდებულის მდგომარეობას, არ შეიძლება იქნეს მიჩნეული დაუშვებლად.

12. კასატორთა აზრით, სასამართლომ არ გაითვალისწინა მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები და ზედმეტად მკაცრი სასჯელი განუსაზღვრა; მიუხედავად იმისა, რომ ტ. მ-ს მიმართ დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები ბრალის წარდგენის ვადასთან დაკავშირებით, ტ. მ-ი თავს ცნობს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

13. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატები – დ. ს-ე და ს. ს-ე საკასაციო საჩივრით ითხოვენ მტკიცებულებად დართვაზე უარის თქმის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 16 სექტემბრის განჩინების გაუქმებას, ტ. მ-ს ქმედების გადაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და სასჯელის მინიმუმის განსაზღვრას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა ტ. მ-მა ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება. მისი ბრალეულობა დადასტურებულია მოწმეების – ლ. ჩ-ს, კ. თ-ს, დ. ხ-ს, ლ. კ-ს, პ. შ-ს, ა. ა-ს, ნ. ი-სა და ვ. ძ-ს ჩვენებებით, ექსპერტების – მ. ჭ-ს, ნ. ლ-სა და ს. ც-ს ჩვენებებითა და მათ მიერ გაცემული ექსპერტიზების დასკვნებით, მსჯავრდებულ ტ. მ-ს პირადი ჩხრეკის ოქმითა და საქმეში არსებული სხვა ურთიერთშეთანხმებული მტკიცებულებებით.

3. საკასაციო პალატა არ იზიარებს დაცვის მხარის მიერ საჩივარში მითითებულ არგუმენტებს დაკავებისა და ბრალის წარდგენის ვადების დარღვევის თაობაზე, ვინაიდან საქმის მასალების შესწავლისა და მხარეთა პოზიციების მოსმენის შედეგ-

გად აღნიშნული გარემოებები არ დადასტურდა.

4. ამასთან, საკასაციო პალატა საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, მხედველობაში იღებს ტ. მ-ს პიროვნებას, მის წარსულ ცხოვრებას, ამოღებული ნარკოტიკული საშუალების ოდენობას და მიაჩნია, რომ სამართლიანი იქნება მისთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ტ. მ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – დ. ს-სა და ს. ს-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 25 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. მსჯავრდებულ ტ. მ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიესაჯოს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდაც აეთვალოს 2014 წლის 23 იანვრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალოს დაკავებაში ყოფნის დრო – 2014 წლის 21 იანვრიდან 2014 წლის 23 იანვრის ჩათვლით.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 25 ნოემბრის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სასჯელის შემსუბუქება ახლად გამოვლენილი
ბარემოების გამო**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№102აგ-14

14 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ე-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ი-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 30 ნოემბრის განაჩენით ნ. ე-ა, – საპროცესო შეთანხმებით, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა ჯარიმა – 500 ლარი.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 3 ნოემბრის განაჩენით ნ. ე-ა, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ნ. თ-ის ეპიზოდი) – 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ა. ს-ის ეპიზოდი) – 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ა. შ-ას ეპიზოდი) – 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ ნ. ე-ას განესაზღვრა 24 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2009 წლის 20 თებერვლიდან.

3. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 21 აპრილის განაჩენით დარჩა უცვლელად.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 28 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული გან-

სახილველად.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 4 თებერვლის განჩინებით ნ. ე-ას მიმართ გავრცელდა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მოქმედება, კერძოდ: ნ. ე-ას ერთი მეოთხედით შეუმცირდა დანიშნული სასჯელები და საბოლოოდ სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით განესაზღვრა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 ივნისის განაჩენით ცვლილება შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 4 თებერვლის განჩინებასა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 21 აპრილის განაჩენში მსჯავრდებულ ნ. ე-ას მიმართ, კერძოდ: ნ. ე-ას საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე სასჯელთა ნაწილობრივი შეკრების პრინციპით საბოლოოდ განესაზღვრა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2009 წლის 20 თებერვლიდან.

7. მსჯავრდებულმა ნ. ე-ამ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. ი-მა შუამდგომლობით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ითხოვეს 2013 წლის 11 დეკემბერს სისხლის სამართლის კოდექსის 238¹-ე მუხლში შესული ცვლილებების გათვალისწინებით, ვინაიდან დასჯადი აღარ არის 21 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ ცივი იარაღის უკანონო ტარება, ამ ეპიზოდში ნ. ე-ას გამართლება, ამასთან, მომდევნო განაჩენით ნ. ე-ასათვის სასჯელის დანიშვნა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბრის განაჩენით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ ნ. ე-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ი-ის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის შესახებ, კერძოდ: გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 30 ნოემბრის განაჩენი და ნ. ე-ა გამართლდა სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ძვ. რედაქცია) წარდგენილ ბრალდებაში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 5 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბრის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ნ. ე-მ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. ი-მა საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას და სსკ-ის 59-ე მუხლის ახალი რედაქციის შესაბამისად, ითხოვეს სასჯელის განსაზღვრა შთან-

თქმის პრინციპის გამოყენებით, იმ საფუძვლით, რომ იგი გამართლდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 30 ნოემბრის განაჩენით სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ძვ. რედაქცია) გათვალისწინებულ დანაშაულში, რის გამოც ახალ დანაშაულებთან მიმართებით სახეზე აღარ არის დანაშაულის რეციდივი.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სსკ-ის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: „დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევნი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას“.

3. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ნ. ე-ა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბრის განაჩენით, სსკ-ის 310-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტისა და სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ახალი რედაქციის შესაბამისად, გამართლდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 30 ნოემბრის განაჩენით სსკ-ის 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ძვ. რედაქცია) გათვალისწინებულ დანაშაულში, რაც ახლად გამოვლენილი გარემოებაა და რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 21 აპრილის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა (სამი ეპიზოდი) და სსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულებთან მიმართებით სახეზე არ გვაქვს დანაშაულის რეციდივი.

4. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს, ხოლო თანაბარი სასჯელების დანიშვნისას ერთი სასჯელი შთანთქავს მეორეს.

5. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ნ. ე-ას სასჯელი უნდა განესაზღვროს საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, კერძოდ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 21 აპრილის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ნ. თ-ის ეპიზოდი) დანიშნულმა და ამნისტიით შემცირებულმა სასჯელმა – 5 წლით, 7 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთამ – უნდა შთანთქას სსკ-ის 179-ე მუხ-

ლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ა. ს-ის ეპიზოდი), სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა (ა. შ-ას ეპიზოდი) და სსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული და ამნისტიით შემცირებული სასჯელები და ნ. ე-ას საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს 5 წლით, 7 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა უნდა დაეწყოს 2009 წლის 20 თებერვლიდან. ნ. ე-ას თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 21 აპრილის განაჩენით დანიშნული და ამნისტიით შემცირებული სასჯელი უნდა ჩაეთვალოს მოხდილად და დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს სასჯელალსრულების დაწესებულებიდან.

6. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 314-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ნ. ე-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ი-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 ოქტომბრის განაჩენი ნ. ე-ას მიმართ შეიცვალოს, კერძოდ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 21 აპრილის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ნ. თ-ის ეპიზოდი) დანიშნულმა და ამნისტიით შემცირებულმა სასჯელმა – 5 წლით, 7 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთამ – შთანთქას სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ა. ს-ის ეპიზოდი), სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა (ა. შ-ას ეპიზოდი) და სსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული და ამნისტიით შემცირებული სასჯელები და ნ. ე-ას საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 5 წლით, 7 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყოს 2009 წლის 20 თებერვლიდან.

3. ნ. ე-ას თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 21 აპრილის განაჩენით დანიშნული და ამნისტიით შემცირებული სასჯელი ჩაეთვალოს მოხდილად და დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასჯელალსრულების დაწესებულებიდან.

4. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ქირითადი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმის
მოხდისაგან გათავისუფლება პატიმრობაში ყოფნის
ვადის გათვალისწინებით**

**განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო**

№87აპ.-15

31 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ჯ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ქ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 19 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით მ. ჯ-ო, – ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2. 2014 წლის 24 ივლისს ბელიზის დროშის ქვეშ მცურავ გემ „ლაილა ქვინზე“ მყოფმა არაიდენტიფიცირებულმა პირმა მ. ჯ-მ, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებისა და საქართველოში შემოსასვლელი ვიზის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით საქართველოს საზღვრის გადაკვეთისათვის დადგენილი წესების დარღვევით, ფოთის საკონტროლო გამშვებ პუნქტთან უკანონოდ გადმოკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, რის გამოც 2014 წლის 25 ივლისს დააკავეს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოს საორგანიზაციო სამმართველოს სასაზღვრო სამეგრეაციო კონტროლის განყოფილების თანამშრომლებმა.

3. აღნიშნული ქმედებისათვის არაიდენტიფიცირებული ბრალდებული, პირობითი სახელით მ. ჯ-ო, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა

დაენყო 2014 წლის 25 ივლისიდან.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ მ. ჯ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. ქ-მ. მან მოითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა და მსჯავრდებულისათვის ისეთი სასჯელის დანიშვნა, რომელიც არ იქნება დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 19 დეკემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. კასატორი – მსჯავრდებულ მ. ჯ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ზ. ქ-ა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მ. ჯ-ს არ ჰქონია კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის განზრახვა; იგი ფორსმაჟორული ვითარების გამო აღმოჩნდა საქართველოში. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას და მ. ჯ-ს მიმართ ისეთი სასჯელის გამოყენებას, რომელიც არ იქნება დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პალატას მიაჩნია, რომ წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა მ. ჯ-მ ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, რასაც არც მხარეები ხდიან სადავოდ.

3. ამასთან, საკასაციო პალატა საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, მხედველობაში იღებს მ. ჯ-ს მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათსა და სიმძიმეს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას და მიაჩნია, რომ სამართლიანი იქნება მისთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება. კერძოდ:

4. მსჯავრდებულ მ. ჯ-ს საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის სახით უნდა განესაზღვროს ჯარიმა, რაც მისი პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, უნდა ჩაეთვალოს მოხდილად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ მ. ჯ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ქ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 19 დეკემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. მსჯავრდებულ მ. ჯ-ს საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯოს ჯარიმა – 2 000 ლარი.

4. საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, პატიმრობაში მისი ყოფნის ვადის გათვალისწინებით, მ. ჯ-ო მთლიანად გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისგან.

5. მ. ჯ-ო დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასჯელალსრულების დაწესებულებიდან.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 19 დეკემბრის განაჩენი ნივთმტკიცებათა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო ნაწილი

ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება

განაჩენი საქართველოს სახელით

№57აპ-15

12 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
გ. შავლიაშვილი,
პ. სილაგაძე

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ ც. ა-ს საკასაციო
საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამარ-
თლის საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 7 ივ-
ლისის განაჩენით ც. ა-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართვე-
ლოს სსკ-ის 120-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განე-
საზღვრა ჯარიმა – 500 ლარი. მის მიმართ შერჩეული აღკვეთის
ლონისძიება – გირაო გაუქმდა.

2. საქმეზე წარმოდგენილი ნივთმტკიცება – ხელჯოხი (ხელ-
კეტი) უნდა განადგურდეს დადგენილი წესით.

3. განაჩენით მსჯავრდებულ ც. ა-ს მიერ ჩადენილი დანაშა-
ული გამოიხატა შემდეგში: 2014 წლის 24 თებერვალს, დაახლო-
ებით 16 საათზე, ქ. ბ-ი, კ-ს დასახლებაში, ხ-ს ქუჩა №-ის მიმდე-
ბარე ტერიტორიაზე, მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით წარმოქ-
მნილი ურთიერთშელაპარაკებისას ც. ა-მ ფიზიკური ძალის გა-
მოყენებით, რაც გამოიხატა ქვებისა და ხის ნაჭრების სხეულზე
რამდენჯერმე მორტყმით ე. ს-ს მიაყენა მსუბუქი ხარისხის და-
ზიანება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით.

4. აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ოქტომ-
ბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

5. მსჯავრდებული ც. ა-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუ-
თაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე-
თა პალატის 2014 წლის 30 ოქტომბრის განაჩენის გაუქმებასა
და გამართლებას.

6. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ ც. ა-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა რ. პ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები. მან მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მსჯავრდებულ ც. ა-ს გამართლება.

7. საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა დ. ხ-ა ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ოქტომბრის განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. მსჯავრდებული ც. ა-ე სააპელაციო საჩივრით ითხოვდა მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას იმ მოტივით, რომ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები არ იყო დამაჯერებელი და უტყუარი, რაც საბოლოოდ ვერ უზრუნველყოფდა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ მტკიცებულებათა სტანდარტს.

3. სააპელაციო პალატის სხდომაზე აპელანტის, მსჯავრდებულ ც. ა-ს შესავალი, დასკვნითი და საბოლოო სიტყვის მიხედვით არ იკვეთება აშკარად და მკაფიოდ ის გარემოება, რომ მან სრულად აღიარა გამამტყუნებელი განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და განაჩენი გახადა სადავოდ მხოლოდ სასჯელის ნაწილში, მიუხედავად იმისა, რომ მან დააზუსტა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და მოითხოვა ჯარიმის შემცირება, ამასთან, ის განმარტავდა, რომ მას არაფერი დაუშავებია, ან არ გაუკეთებია ისეთი რამ, რომ ასე მკაცრად დაისაჯოს.

4. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ც. ა-ს ჰქონდა არა მხოლოდ მის მიმართ სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმის 100 ლარამდე შემცირების მოთხოვნა, არამედ ასევე ალტერნატივის სახით ითხოვდა მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

5. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მსჯავრდებულ ც. ა-ს საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძველზე საქმეს ამონმებს კანონიერების მხრივ სრული მოცულობით.

6. საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით მსჯავრდებულ ც. ა-ს ბრალეულობა საქართვე-

ლოს სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში დადასტურებულია გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული სტანდარტით და მისი მოთხოვნა გამართლების თაობაზე არის უსაფუძვლო და კანონშეუსაბამო.

7. 1-ლი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულ დაზარალებულ ე. ს-ს მიერ მიცემული თანმიმდევრული ჩვენებით დადასტურებულია, რომ 2014 წლის 24 თებერვალს, დღის მეორე ნახევარში, მასა და ც. ა-ს შორის მოხდა კონფლიქტი. მათ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით დიდი ხანია აქვთ ოჯახური უთანხმოება. ც. ა-მ თავისი ღობის შიგნითა მხრიდან უცენზურო სიტყვებით დაუწყო სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება და ასევე მისი მიმართულებით ქვებისა და ხის ნაჭრების სროლა. მას სხეულზე მოხვდა რამდენიმე ქვა, ხოლო ერთ-ერთი ხის ნაჭერი მოხვდა მარჯვენა ხელის მტევანში და შენიშნა, რომ ხელის მტევანზე შერჭობილი ჰქონდა ხის ნაჭრის ნატეხი, რომლის დამოუკიდებლად ამოღება ვერ მოახერხა. ის წავიდა ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც ექიმმა ამოუღო ხის ნაჭერი და დაუმუშავა ჭრილობა. ხელის ტკივილის გამო ის დიდხანს ვერ ახერხებდა ფიზიკურ მუშაობას.

8. დაზარალებულ ე. ს-ს აღნიშნული ჩვენების ფაქტობრივი გარემოებები სრულად თანხვედნილია გამოძიების ეტაპზე საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების დროს მის მიერ მიცემულ ჩვენებასთან. ოქმის მიხედვით, ე. ს-მ მიუთითა ის ადგილი, სადაც მოხდა მასა და ც. ა-ს შორის ფიზიკური შეურაცხყოფა, საიდანაც ე. ს-ს ესროლა ქვები და ხის ნაჭრები.

9. მსჯავრდებულ ც. ა-ა და ე. ს-ს შორის მომხდარ კონფლიქტს ადასტურებს მოწმე თ. მ-ე. მისი ჩვენებით, ე. ს-ე მუშაობდა მინაზე, რა დროსაც მასა და ც. ა-ს შორის დაიწყო კონფლიქტი. მან სთხოვა ორივეს, მოლაპარაკებით მოეგვარებინათ მათ შორის წარმოშობილი დავა, მაგრამ მაინც გააგრძელეს კონფლიქტი.

10. საკასაციო პალატას არადამაჯერებლად მიაჩნია მსჯავრდებულ ც. ა-ს განმარტება, რომ მას არ უსვრია ე. ს-ს მიმართულებით ქვები და ხის ნაჭრები, მას ხელში, ალბათ, შეერჭო ხის პნკარი, როცა მიწას ასუფთავებდა. ამ განმარტების მიხედვით, ე. ს-ს დაზიანება უნდა ჰქონოდა მხოლოდ ხელის მტევნის იმ ნაწილში, სადაც შერჭობილი ჰქონდა ხის ნაჭრის ნატეხი, მაშინ, როდესაც განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებები დადგინდა მოწმის სახით დაკითხული ექიმის – შ. ბ-ს ჩვენებითა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, რომელთა თანახმადაც, ე. ს-ს აღენიშნებოდა დაუყუილი ჭრილობა არა მხოლოდ ხელის მტევნის ნაწილში, არამედ სხეულის სხვა ნაწილებ-

შიც ჰქონდა მრავლობითი სისხლნაჟღენთები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ე. ს-ს მიმართულებით ც. ა-ე ისროდა ქვებსა და ხის ნაჭრებს.

11. მოწმის სახით დაკითხულმა ექიმმა შ. ბ-მ დაადასტურა, რომ რესპუბლიკურ საავადმყოფოში მისი მორიგეობის დროს სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა ქალბატონს – ე. ს-ს, რომელსაც მარჯვენა ხელის მტევნის არეში ჰქონდა დაჟეჟილი ჟრილობა. მას ზუსტად არ ახსოვს საქმის გარემოებები, მაგრამ ყველაფერი დეტალურად მიუთითა ავადმყოფობის ისტორიაში.

12. თავად დაზარალებულ ე. ს-ს შემონიშნებისა და მისი ამბულატორიული სამედიცინო ბარათის საფუძველზე გაცემული ექსპერტის დასკვნის მიხედვით, ე. ს-ს აღენიშნებოდა სისხლნაჟღენთები – მარჯვენა ხელის მტევნის მეხუთე თითის ძირითადი ფალანგისა და ნების არეში, ზურგით ზედაპირზე აღენიშნებოდა მოიისფერო – მოლურჯო ფერის, ოვალური ფორმის სისხლნაჟღენთი, მარჯვენა მხარის წინა ზედაპირზე, შუა მესამედში – ასეთივე ხასიათის სისხლნაჟღენთი, ხოლო მარცხენა ბარდაყის ქვედა მესამედში – ასეთივე ხასიათის სისხლნაჟღენთი, რაც განვითარებულია რაიმე მკვრივი (ბლავი) საგნის (საგნების) ზემოქმედებით და მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, რასაც შედეგად ჯანმრთელობის მოშლა არ მოჰყოლია. ხანდაზმულობით არ ენიშნება დადგენილებაში მითითებულ თარიღს.

13. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი და სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეული მტკიცებულებების ერთობლივი სამართლებრივი ანალიზი ადასტურებს მსჯავრდებულ ც. ა-ს მიერ დაზარალებულ ე. ს-ს მიყენებულ ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანების ფაქტს, რა დროსაც ის მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით – დროთა განმავლობაში მხარეთა შორის მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული დავიდან გამომდინარე, რასაც მიეცა სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით.

14. სასჯელის განსაზღვრის დროს საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას და განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის მინიმალური ოდენობაა 2000 ლარი, თუ ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქცია სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ჯარიმის ოდენობას სასამართლო ადგენს ჩადენილი დანა-

შაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც განისაზღვრება მისი ქონებით, შემოსავლით და სხვა გარემოებით.

15. მსჯავრდებულ ც. ა-ს, მისი პიროვნების, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, შემამსუბუქებელი გარემოებების, ჩადენილ ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, მოვალეობათა დარღვევის ხასიათისა და ზომის, ქმედების განხორციელების სახის, ხერხისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის გათვალისწინებით, სასჯელის სახედ და ზომად დანიშნული აქვს ჯარიმის მინიმალური ოდენობა – 500 ლარი, რომლის შემცირების სამართლებრივი საფუძველი საკასაციო პალატას არ გააჩნია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ც. ა-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 30 ოქტომბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სსკვაგვარი საქსუალური კონტაქტი
გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი
ქალადობითა და ქალადობის მუქარით, იმ პირის
მიმართ, რომელსაც არ შესრულებია თოთხმეტი წელი**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№507აპ-14

8 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)

მ. ომხარელი,

გ. შავლიაშვილი

მონაწილეობით, ზეპირი მოსმენით განიხილა მსჯავრდებულ ი. ქ-ასა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. კ-ას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 9 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების არსი:

1.1. 2013 წლის 15 ოქტომბერს ზუგდიდის რაიონის სოფელ შ-ში, მდინარე ე-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, ი. ქ-ა ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, დაეუფლა არასრულწლოვან ა. მ-ას 59 ლარად ღირებულ მობილურ ტელეფონს.

1.2. ი. ქ-ას ზემოაღნიშნული ქმედება დაკვალიფიცირდა ძარცვად, ე.ი. სხვისი ნოძრავი ნივთის აშკარა დაუფლებად მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის – საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით.

1.3. 2013 წლის 15 ოქტომბერს ზუგდიდის რაიონის სოფელ შ-ში, მდინარე ე-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, ი. ქ-ამ ძალადობისა და სიცოცხლის მოსპობის მუქარით თერთმეტი წლის ა. მ-ასთან უკანა ტანის არეში დაამყარა სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით.

1.4. ი. ქ-ას ზემოაღნიშნული ქმედება დაკვალიფიცირდა მათმავლობად ან სხვაგვარ სექსუალურ კონტაქტად გაუკუღ-

მართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის მუქარით, იმ პირის მიმართ, რომელსაც არ შესრულებია 14 ნე-ლი – საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

2. პირველი და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები:

2.1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 2 ივლისის განაჩენით ი. ქ-ას ქმედება საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და ამ მუხლით მიესაჯა – ჯარიმა 1000 ლარი; სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტიდან – სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის საფუძველზე შეუმცირდა ერთი მეოთხედით და სასჯელად განესაზღვრა 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ი. ქ-ას მიმართ დანიშნულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და მას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2013 წლის 16 ოქტომბრიდან.

2.2. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 2 ივლისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პროკურორმა ქ. ყ-მა, მსჯავრდებულმა ი. ქ-ამ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა შ. კ-ამ.

მსჯავრდებული ი. ქ-ა და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი შ. კ-ა სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ ი. ქ-ას მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, ხოლო პროკურორი ქ. ყ-ი ი. ქ-ას დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით.

2.3. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 2 ივლისის განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 9 ოქტომბრის განაჩენით შეიცვალა, კერძოდ: ი. ქ-ას ქმედება სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე და მიესაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის საფუძველზე შეუმცირდა ერთი მეოთხედით და სასჯელად განესაზღვრა 11 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის საფუძველზე შეუმცირდა ერთი მეოთხედით და სასჯელად განესაზღვრა 2 წლითა და 3

თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ი. ქ-ას მიმართ დანიშნულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და მას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 11 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2013 წლის 16 ოქტომბრიდან.

3. საკასაციო საჩივრის არსი:

3.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 9 ოქტომბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ი. ქ-ამ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა შ. კ-ამ. კასატორებმა ითხოვეს აღნიშნული განაჩენის გაუქმება და ი. ქ-ას მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა შემდეგი საფუძვლებით: გასაჩივრებული განაჩენი არის უკანონო, ცალმხრივი და ტენდენციური; სასამართლოს სათანადოდ არ შეუჯერებია ერთმანეთთან გამოკვლეული მტკიცებულებები; განაჩენის გამოტანისას დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო აქტებისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებები; სააპელაციო სასამართლომ არასწორად დააკვალიფიცირა ი. ქ-ას ქმედება სხვაგვარ სექსუალურ კონტაქტად გაუკუღმართებული ფორმით და განმარტა, რომ სქესობრივი კონტაქტი შეიძლება დამყარდეს ანუსში შეღწევის გარეშე; ი. ქ-ას დაკავების შემდეგ, მისი, როგორც ბრალდებულის დაკითხვას არ ესწრებოდნენ ადვოკატი და პროკურორი, რაც წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებით დარღვევას; ი. ქ-ას დაბარების დროს დაირღვა არასრულწლოვანთა დაბარების წესი; პოლიციელთა მიერ ი. ქ-ას სახლიდან წაყვანა მისი ნების საწინააღმდეგოდ წარმოადგენდა ფაქტობრივ დაკავებას და ასეთ პირობებში მიცემული ჩვენება არის დაუშვებელი; დარღვეულია მოწმეთა ცალ-ცალკე დაკითხვის სსსკ-ის 305-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ძველი რედაქცია) დადგენილი წესი; ბრალდების მხარემ, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტიზის დასკვნები მიღებული ჰქონდა, დაცვის მხარეს გადასცა დაგვიანებით, რაც წარმოადგენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებით დარღვევას; პროკურორის მცდელობა, რომ მოწმეებს ჩვენების მიცემისას ეთქვათ, თითქოს დაცვის მხარე დაზარალებულ მხარეზე ახდენდა ზეწოლას, არ შეესაბამება რეალობას; დაირღვა არასრულწლოვანი ბრალდებულის დაცვის უფლება; უგულებელყოფილ იქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვნის პროცესს აწარმოებენ მხოლოდ ის გამომძიებელი და პროკურორი, რომელთაც პედაგოგიკასა

და ფსიქოლოგიაში სპეციალური მომზადება აქვთ გავლილი. აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი ბრალდების მხარეს დაცვის მხარისათვის არ გადაუცია, რაც სსსკ-ის 83-ე მუხლის თანახმად, იწვევს ამ ინფორმაციის დაუშვებლად ცნობას; შემთხვევის ადგილის დათვალიერება ჩატარდა კანონის მოთხოვნათა დარღვევით; მობილური ტელეფონის დათვალიერების ოქმის შედგენისას დარღვეულია საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნივთიერი მტკიცებულების საქმეზე დამაგრების წესი. უნდა განხორციელებულიყო აღნიშნული ნივთიერი მტკიცებულების ამოღება და არა – დათვალიერება; დაზარალებულისა და ბრალდებულის ტანსაცმელი არ არის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით საქმეზე დამაგრებული; გამამტყუნებელი განაჩენი არ ეფუძნება უტყუარ მტკიცებულებებს.

სამოტივაციო ნაწილი:

გასაჩივრებული განაჩენის ძალაში დატოვების დასაბუთება:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მისი მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ი. ქ-ას მიერ სხვაგვარი სექსუალური კონტაქტის გაუკუღმართებული ფორმით, ძალადობითა და ძალადობის მუქარით ჩადენა იმ პირის მიმართ, რომელსაც არ შესრულებია თოთხმეტი წელი, დანაშაული, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და ძარცვა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, დასტურდება გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული, საკმარისი, უტყუარი და შეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა ი. ქ-ას მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ ი. ქ-ასა და მისი ადვოკატის განმარტებას მსჯავრდებულის უდანაშაულობის თაობაზე.

3. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავო არ არის შემთხვევის ადგილზე ბრალდებულ ი. ქ-ას ყოფნის ფაქტი, რასაც არ უარყოფს არც ბრალდებული.

დაცვის მხარე სადავოდ ხდის და, შესაბამისად, საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით უნდა დადგინდეს ის ფაქტები, თუ რა მოხდა შემთხვევის ადგილზე, რა ვითარებაში მიიღო ა. მ-ამ სხეულზე არსებული დაზიანებები; მიაყენა თუ არა მას ეს დაზიანებები ი. ქ-ამ და თუ მიაყენა – რა მიზნით; დაამყარა თუ არა დაზარალებულთან სქესობრივი კავშირი და თუ დაამყარა – რა ფორმით.

4. დაზარალებულ ა. მ-ას მიერ მონმის სტატუსით მიცემული ჩვენებით დასტურდება, რომ იგი ბებიასგან ბრუნდებოდა სოფელში (სახლში). გზაში ოთხთვალით წამოენია ი. ქ-ა, რომელმაც შესთავაზა სოფლისკენ წაყვანა, რაზეც დათანხმდა, დაჯდა ოთხთვალზე და ერთად წავიდნენ. ი. ქ-ამ გზას გადაუვია, პირზე ხელი ააფარა და ბურჩქებში შეიყვანა. სახეში ხელი გაართყა, ძალით გახადა ტანსაცმელი და ძალადობის მუქარით უკანა ტანიდან სასქესო ორგანოს მეშვეობით დაამყარა სქესობრივი კავშირი. ამ დროს გაიგონეს მეთევზეების ხმა, რის გამოც ი. ქ-ამ უთხრა, სწრაფად ჩაეცვა. მან მაისურის ჩაცმა ვერ მოასწრო, იქვე დარჩა ქამარიც. ცოტა მანძილის გავლის შემდეგ, კ-ის ტერიტორიაზე ისევ ჩამოიყვანა ოთხთვალიდან, შეათრია ბურჩქებში, სახეში ხელი გაართყა, ძალით ჩახადა შარვალი, შემდეგ – ტრუსი და უკანა ტანიდან დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი. ასევე ძალადობით პირში შეუყუო სასქესო ორგანო და ძალით აალოკინა უკანალი. ი. ქ-ა ემუქრებოდა მას მოკვლით, თუ ისე არ გააკეთებდა ყველაფერს, როგორც ეტყოდა. შეეშინდა და დაუჯერა. ი. ქ-ამ სქესობრივი აქტი დაასრულა მისი სხეულის გარეთ და სასქესო ორგანოდან გადმოსული სითხე შარვალზე დაესხა. სქესობრივი კონტაქტის დროს იგი გრძნობდა ტკივილს. ამ პერიოდის განმავლობაში რამდენჯერმე დაურეკა დეიდამ, მაგრამ ი. ქ-ამ ათქმევინა – გზაში ვარ და მოვდივარო. შემდეგ ხელიდან გამოგლიჯა ტელეფონი, გათიშა, ბარათები ამოყარა, ტელეფონი ჯიბეში ჩაიღო, პანლური ამოართყა და უთხრა, რომ სანამ გზაზე არ გავიდოდა, წასული არ დაენახა. როდესაც სახლში მივიდა, ბებიას მოუყვა ყველაფერი, რის შემდეგაც დარეკეს პოლიციაში. თვითონ აჩვენა პოლიციელებს ის ადგილი, სადაც მოხდა შემთხვევა და მოუყვა ყველაფერს, რაც მოხდა. ექსპერტებთანაც წაიყვანეს. ამოიცივნო მაისური და ქამარი, რომელიც შემთხვევის ადგილზე დარჩა. პოლიციას თავისი ნებით ჩააბარა ის ტანსაცმელი, რომელიც იმ დღეს ეცვა – ლურჯი ფერის ჯინსის შარვალი და ნაცრისფერი ჯემპრი.

5. 2013 წლის 17 ოქტომბრის საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით დასტურდება, რომ დაზარალებულმა ა. მ-ამ მიუთითა ის

ადგილები, სადაც ი. ქ-ამ მასზე განახორციელა ძალადობა, დაამყარა სექსობრივი კავშირი და წაართვა ტელეფონი. ოქმის სისწორეს ადასტურებენ მოწმე ა. მ-ა, კანონიერი წარმომადგენელი ჯ. ჭ-ა, ფსიქოლოგი ა. ჩ-ა, პროკურორი ქ. ყ-ი, ექსპერტები – თ. ბ-ა და ე. გ-ა.

6. საქმეში არსებული სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად:

ა. მ-ას პირადი გასინჯვისას უკანა ტანის მიდამოში მექანიკური დაზიანებისათვის დამახასიათებელი რაიმე ობიექტური ნიშნები არ აღენიშნება;

ა. მ-ას აღენიშნება დაზიანებები სისხლნაჟღენთების სახით მარცხენა თვალბუდის მიდამოში და ამავე თვალბუდის ქვედა ქუთოთოზე, რაც განვითარებულია რაიმე მკვრივი-ბლავგი საგნის ზემოქმედების შედეგად და მიეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად, რომლებიც ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება გამოძიებით დადგენილ თარიღს.

ექსპერტიზის დასკვნის სისწორე დაადასტურეს მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტებმა – გ. გ-მა და შ. თ-ემ.

7. საქმეში არსებული 2013 წლის 19 ნოემბრის ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად:

ა. მ-ას სისხლი მიეკუთვნება OαB/II/ ჯგუფს. ნერწყვის გამოკვლევით იგი წარმოადგენს თავისი ჯგუფობრივი თვისებრიობის გამომყოფს.

ი. ქ-ას სისხლი მიეკუთვნება Aβ/II/ ჯგუფს (აქვს ანტიგენი 0). ნერწყვის გამოკვლევით იგი წარმოადგენს თავისი ჯგუფობრივი თვისებრიობის გამომყოფს.

ა. მ-ას შარვალზე აღმოჩნდა სპერმა, რომელიც დატოვებულია Aβ/II/ ჯგუფის სისხლის მქონე, თავისი ჯგუფობრივი თვისებრიობის გამომყოფი პირის, მათ შორის შესაძლებელია ი. ქ-ას მიერ.

ამავე ექსპერტიზის დასკვნითა და მასზე დართული ფოტოცხრილით დასტურდება, რომ ექსპერტიზაზე გამოსაკვლევადა წარდგენილი იყო სამი ფუთა და ა. მ-სა და ი. ქ-ას სისხლისა და ნერწყვის ნიმუშები. აღნიშნული ფუთები ექსპერტიზაზე წარდგენილ იქნა დალუქულ მდგომარეობაში. ფუთა №2 დალუქული იყო საქართველოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ზუგდიდის რაიონული სამმართველოს პაეცეტებისათვის №36/1 ბეჭდის ანაბეჭდის ეტიკეტით. ეტიკეტზე არის ორი გაურკვეველი ხელმოწერა. იგი დაკრულია ქალაქზე, რომელზეც არის ხელნაწერი: „2013 წლის 15 ოქტომ-

ბერს მონმე ა. მ-ას მიერ წარმოდგენილი ტანსაცმელი: 1. ნაც-რისფერი ზედა, 2. თეთრი პერანგი, 3. შავი ფერის ქვედა საცვა-ლი, 4. ლურჯი ფერის ჯინსის შარვალი. ხელს აწერენ: 1. მონმე ა. მ-ა, 2. წარმოდგენილი ჯ. ჭ-ა და პირი, რომელმაც განახორციე-ლა დალუქვა – ი. ს-ა. ასევე დალუქულ მდგომარეობაში იქნა წარდგენილი ფუთა №3. ლუქზე იკითხება: „2013 წლის 16 ოქ-ტომბერს მონმე ი. ქ-ას მიერ წარმოდგენილი ღია ლურჯი ფერის ჯინსის შარვალი, მაისური და ქვედა საცვალი“. მასზე შესრუ-ლებულია ხელმოწერები: 1. მონმე ი. ქ-ას, 2. წარმომადგენლის ვ. ქ-ას და 3. ი. ს-ას მიერ. აღნიშნული ფუთები დასურათებულია და ერთვის ექსპერტიზის დასკვნას. ექსპერტმა ნ. გ-მა დაადას-ტურა მის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნის სისწორე.

8. 2013 წლის 12 ნოემბრის ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება, რომ ი. ქ-ას მაისურის ზედაპირზე აღმოჩენილი მონაცისფრო შალის ბოჭკოს მიკრონაწილაკები და ა. მ-ას პუ-ლოვერის ქსოვილის შემადგენლობაში შემავალი მონაცისფრო შალის ბოჭკოები ხასიათდებიან ერთნაირი გვარობრივი ნიშნე-ბით, ბუნებით, ფერით, ფერის ტონალობით და ბოჭკოს სტრუქ-ტურით. დასკვნის კვლევით ნაწილში მითითებულია, რომ ექ-სპერტიზაზე წარდგენილი იქნა დალუქული ფუთები – ი. ქ-ასა და ა. მ-ას წარდგენილი ტანსაცმელი. ექსპერტმა ე. კ-მა დაა-დასტურა მის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნის სისწო-რე.

9. საქმეში არსებული ლ. სამხარაულის სახელობის სასამარ-თლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გენეტიკური ექსპერ-ტიზის დასკვნით დასტურდება, რომ ა. მ-ას ჯინსის შარვალზე, კერძოდ, უკანა ზედაპირის ზედა მესამედში, საწელურთან, შუა ნაკერის მიმდებარედ მარკირებულ ამონაჭრებთან არსებული სპერმის ლაქების გენეტიკური პროფილი და ი. ქ-ას სისხლის გე-ნეტიკური პროფილი იდენტურია. ექსპერტებმა – ი. ე-ემ და ი. მ-ამ დაადასტურეს მათ მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნის სისწორე.

10. მონმე ჯ. ჭ-ას ჩვენებით დასტურდება, რომ მისი შვილიშ-ვილი – ა. მ-ა სახლში დაბრუნდა ნამტირალევი, შენითლებული სახით და დაწვრილებით მოუყვა, თუ ი. ქ-ამ მდინარე ე-ის ნა-პირზე ძალის გამოყენებით, როგორ შეიყვანა ბუჩქებში, სცემა, გააუპატიურა და წაართვა ტელეფონი. მის შვილიშვილს სახლში მისვლისას მობილური ტელეფონი თან აღარ ჰქონდა. აღნიშნუ-ლი შეატყობინა პოლიციას. ანალოგიური გარემოებები დაადას-ტურეს ჩვენებებში მონმეებმა – რ. ჭ-ამ და თ. მ-ამ.

11. მონმე ა. ჩ-ას ჩვენებით დასტურდება, რომ მას, როგორც

ფსიქოლოგს ა. მ-ასთან რამდენჯერმე ჰქონდა შეხვედრა. ა-ი მასთან საუბარში მომხდარ ფაქტს აღწერდა დეტალურად და ყოველთვის ამბობდა ერთსა და იმავეს. მან განმარტა, რომ ა. მ-ას, მისი ასაკიდან გამომდინარე, გაცნობიერებულიც არ აქვს, თუ რა მოხდა, ამიტომ პასუხობს ასე მარტივად კამერის წინ ჩვენების მიცემისას. არარსებულ ფაქტებზე, თან ყოველთვის ერთსა და იმავეს, ასე მარტივად არ ლაპარაკობენ. შეუძლებელია, 11 წლის ბავშვმა ასეთი ამბავი მოიგონოს.

12. მოწმის სახით დაკითხული გამოძიებლის – ი. ს-ას ჩვენებით დასტურდება, რომ მან დაკითხა ა. მ-ა და ი. ქ-ა. მათ ნებაყოფლობით წარუდგინეს ტანსაცმელი, რომელიც ეცვათ შემთხვევის დღეს. წარმოდგენილი ტანსაცმელი დალუქა მან და გაგზავნა ექსპერტიზაზე, თუმცა ცალკე ოქმი არ შეუდგენია.

13. ი. ქ-ამ თავი არ ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და განმარტა, რომ ა. მ-სთან სქესობრივი კავშირი არ დაუმყარებია, არც უცემია და არც ტელეფონი წაურთმევია მისაკუთრების მიზნით.

14. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაზარალებულ ა. მ-ას ჩვენების უტყუარობა მის მიმართ ი. ქ-ას მიერ ძალადობითა და ძალადობის მუქარით, გაუკუღმართებული ფორმით სქესობრივი კონტაქტის დამყარების თაობაზე დასტურდება: მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით, რომელშიც თანმიმდევრულად აღწერს, თუ რა ვითარებაში დამყარა მასთან იძულებით სქესობრივი კავშირი ი. ქ-ამ; სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, რომლის თანახმადაც, სახეზე ა. მ-ას აღენიშნებოდა დაზიანებები სისხლნაწლენთების სახით; ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, რომლის თანახმადაც, ა. მ-ას შარვალზე აღმოჩნდა სპერმა; გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნით, რითაც დასტურდება, რომ ა. მ-ას ჯინსის შარვალზე აღმოჩენილი სპერმის ლაქების გენეტიკური პროფილი და ი. ქ-ას სისხლის გენეტიკური პროფილი იდენტურია; მოწმეების – ჯ. ჭ-ას, რ. ჭ-სა და თ. მ-ას ჩვენებებით, რომელთაც მიუთითეს, რომ ა. მ-ას სახეზე ეტყობოდა სინითლე და ჩალურჯებები, მოწმის სახით დაკითხული ფსიქოლოგის – ა. ჩ-ას ჩვენებით, რომელმაც განმარტა, რომ შეუძლებელია 11 წლის ბავშვმა ასეთი ამბავი მოიგონოს და ყოველთვის ერთნაირი სიზუსტით აღწეროს მომხდარი.

15. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორების მითითებას იმის შესახებ, რომ დაზარალებულ ა. მ-ას ტანსაცმელი სისხლის სამართლის საქმეზე დამაგრებულ იქნა საპროცესო კანონის არსებითი დარღვევით და, შესაბამისად, ვინაიდან აღ-

ნიშნულს ეყრდნობა ქიმიური, ბიოლოგიური და გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნები, არ უნდა იქნეს გაზიარებული. ის გარემოება, რომ წარდგენილი ნივთიერი მტკიცებულების – ტანსაცმლის დათვალიერების თაობაზე არ შედგა ცალკე ოქმი, წარმოადგენს საპროცესო კოდექსის დარღვევას, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში არ არის არსებითი ხასიათის, კერძოდ: პალატა აღნიშნავს, რომ დაზარალებულ ა. მ-ას 2013 წლის 15 ოქტომბრის დაკითხვის ოქმით დასტურდება, რომ მან გამოძიებელს ნებაყოფლობით წარუდგინა ტანსაცმელი და საცვლები, რომელიც შემთხვევის დროს ეცვა. ის ფაქტი, რომ აღნიშნული ტანსაცმელი აღინერა, დაილუქა და ასეთი სახით გადაიგზავნა ექსპერტიზაზე, დასტურდება 2013 წლის 19 ნოემბრის ბიოლოგიური ექსპერტიზის, 2013 წლის 12 ნოემბრის ქიმიური ექსპერტიზისა და ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნებით, რომლებშიც მითითებულია, რომ წარედგინათ 2013 წლის 15 ოქტომბერს მოწმე ა. მ-ას მიერ წარდგენილი ტანსაცმელი: 1. ნაცრისფერი ზედა, 2. თეთრი პერანგი, 3. შავი ფერის ქვედა საცვალი, 4. ლურჯი ფერის ჯინსის შარვალი. ხელს აწერენ: 1. მოწმე ა. მ-ა, 2. წარმომადგენელი ჯ. ჭ-ა და პირი, რომელმაც განახორციელა დალუქვა – ი. ს-ა. აღნიშნული ტექსტი დაწერილია ხელით ქალაქში, რომელზეც გაკეთებულია ლუქი და მითითებულია ხელმოწერები. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ დაზარალებულის ტანსაცმელი, რომელზეც აღმოჩნდა ბრალდებულ ი. ქ-ას სპერმა, არ არის მოპოვებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა არსებითი დარღვევით, როგორც ამას კასატორი მიუთითებს. ის ფაქტები, რომ დაზარალებულმა შემთხვევის დღესვე, დაკითხვის დროს, ნებაყოფლობით წარადგინა ტანსაცმელი, რომელიც დაილუქა გამოძიებლის მიერ, რასაც ხელმოწერით ადასტურებენ დაზარალებული, მისი კანონიერი წარმომადგენელი და გამოძიებელი და დალუქული სახით გადაიგზავნა საექსპერტო კვლევისათვის, რასაც ადასტურებენ ჩვენებებშიც, გამორიცხავს ეჭვს ნივთიერი მტკიცებულების შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ. ამ მოცემულობაში პალატას ობიექტურად შეუძლებლად მიაჩნია ი. ქ-ას სპერმის განზრახ ან შემთხვევით ა. მ-ას ტანსაცმელზე მოგვიანებით მოხვედრა. ამასთან, თავად ბრალდებულმაც ვერ ახსნა, თუ საიდან მოხვდა მისი სპერმა ა. მ-ას შარვალზე. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორის მითითება აღნიშნული მტკიცებულებების სისხლის სამართლის

საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევით მოპოვების თაობაზე უსაფუძვლოა.

16. საკასაციო პალატა ასევე არ იზიარებს კასატორის მითითებას არასრულწლოვანი ბრალდებულის საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევით დაბარების, მისი დაკითხვის, დაკავების, დაცვის უფლების, მტკიცებულებების დაგვიანებით გადაცემისა და სხვა საპროცესო მოქმედებების არსებითი დარღვევით ჩატარების შესახებ, ვინაიდან საქმის მასალებით და გამოკვლეული მტკიცებულებებით ზემომითითებული არსებითი დარღვევები არ დასტურდება, რომელიც გავლენას მოახდენდა ი. ქ-ას დამნაშავეობა/უდანაშაულობაზე.

17. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ ი. ქ-ას ქმედება წარმოადგენს სხვაგვარ სექსუალურ კონტაქტს გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის მუქარით, კერძოდ: სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია მამათმავლობის, ლესბოსელობისა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტისათვის გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით. სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით გულისხმობს ყველა სახის სექსუალურ კონტაქტს, გარდა ბუნებრივი სქესობრივი კონტაქტის, მამათმავლობისა და ლესბოსელობისა, რაც მიმართულია სექსუალური ჟინის დაკმაყოფილებისაკენ. ქმედების ამ დანაშაულად მიჩნევისათვის განმსაზღვრელია, რომ სხვადასხვაგვარი არაბუნებრივი ფორმით სქესობრივი კავშირის დამყარება ქმნიდეს სქესობრივი კავშირის იმიტაციას. ამასთან, ქმედება ჩადენილი უნდა იყოს ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით. დანაშაულის ობიექტია ადამიანის სქესობრივი თავისუფლება და ხელშეუხებლობა, ჯანმრთელობა, სიცოცხლე, ხოლო არასრულწლოვანი მსხვერპლის შემთხვევაში მისი ზნეობრივი და ფიზიკური განვითარება.

18. მოცემულ შემთხვევაში საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებით უტყუარად დადგენილია, რომ მსჯავრდებული ი. ქ-ა დაზარალებულის მიმართ იყენებდა ფიზიკურ ძალადობას და ძალადობის მუქარას, რაც იწვევდა დაზარალებულის წინაღმდეგობების დაძლევისა და დათრგუნვას. მსჯავრდებულის მიზანს წარმოადგენდა, დაზარალებულთან დამყარებინა სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით და დაეკმაყოფილებინა სექსუალური მოთხოვნილება, კერძოდ: ი.

ქ-ა თავისი სასქესო ორგანოს ა. მ-ას უკანა ტანის მიდამოში მრავლობითი ინტენსიური შეხებით ცდილობდა სექსუალური ჟინის დაკმაყოფილებას, რაც დაზარალებულს აყენებდა ტკივილს. ი. ქ-ა სქესობრივი აქტის დასრულების დროს მოსცილდა ა. მ-ას, თუმცა მისი სპერმა დაესხა დაზარალებულის შარვალს. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით განხორციელდა ანუსში შეღწევის გარეშე, ამასთან, აღნიშნავს, რომ შეღწევის შემთხვევაში სახეზე იქნებოდა არა სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, არამედ სხვა დანაშაული – მამათმავლობა.

19. ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახეზეა დანაშაულის – ძალადობითა და ძალადობის მუქარით გაუკუღმართებული ფორმით სხვაგვარი სექსუალური კონტაქტის შემადგენლობის ყველა ნიშანი, ჩადენილი იმ პირის მიმართ, რომელსაც არ შესრულებია 14 წელი, კერძოდ: ი. ქ-ვას მიერ ა. მ-ას მიმართ განხორციელებული ძალადობა და ძალადობის მუქარა, მიმართული გაუკუღმართებული ფორმით სექსობრივი კონტაქტის დამყარებისაკენ; ი. ქ-ას ქმედება – ორ სხვადასხვა ადგილას გაუკუღმართებული ფორმით სხვაგვარი სექსუალური კონტაქტის დამყარება ა. მ-სთან, მიმართული სექსუალური ჟინის დაკმაყოფილებისაკენ. ი. ქ-ას ზემოაღნიშნული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით იძულებით იქნა ხელყოფილი დაზარალებულის სქესობრივი თავისუფლება, ხელშეუხებლობა, მისი, როგორც არასრულწლოვნის ნორმალური ზნეობრივი და ფიზიკური განვითარების ინტერესი.

20. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ი. ქ-ას მსჯავრდება საქართველოს სსკ-ის 138-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით კანონიერია, ეფუძნება გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას და არ არსებობს გასაჩივრებული განაჩენის შეცვლის საფუძველი.

21. რაც შეეხება ი. ქ-ას მსჯავრდებას სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, საკასაციო პალატა ასევე იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებას, ვინაიდან იგი უტყუარად დასტურდება გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული მტკიცებულებების ერთობლიობით: მოწმეების – ა. მ-ას, ი. ს-ას, ჯ. ჭ-ას, ნ. ს-ის ჩვენებებით, მობილური ტელეფონის დათვალიერებისა და დალუქვის ოქმით, მობილური ტელეფონის კოლოფის დათვალიერებისა და დალუქვის ოქმით, ნივთის ამოცნობის ოქმით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

22. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის

სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 9 ოქტომბრის განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ი. ქ-ასა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ შ. კ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 9 ოქტომბრის განაჩენი ი. ქ-ას მიმართ დარჩეს უცვლელად.
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირადი საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა და გავრცელება

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№449აპ-14

7 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე**

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ ა. თ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ხ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 1 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილებით ა. თ-ს, – ნასამართლობის არმქონეს, – ბრალი დაედო საქართველოს სსკ-ის 139-

ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 157-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა სქესობრივი კავშირის იძულება სახელგამტეხი ცნობის გახმაურების მუქარით და პირადი საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა და გავრცელება, რაც გამოიხატა შემდეგში:

2. ა. თ-მ 2012 წლის დეკემბერში და 2013 წლის 18 დეკემბერს ქ. სენაკში მდებარე სასტუმრო „ში“ სქესობრივი კავშირი დამყარა თ. კ-თან.

3. სქესობრივი კავშირის დამყარების შემდეგ ა. თ-მ სოციალურ ქსელ „ოდნოკლასნიკებში“, თ. კ-ს ნების საწინააღმდეგოდ, გაავრცელა მასთან სქესობრივი კავშირის ამსახველი ფოტომასალა და მობილური ტელეფონით გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებით აცნობა თ. კ-ს საქმროს – გ. ჯ-ს ამ ფოტომასალის არსებობის შესახებ. გ. ჯ-ს მიერ ფოტოსურათების ნახვის შემდეგ ჩაიშალა მათი ქორწინება, ხოლო თ. კ-ი ა. თ-ს მიერ მიყენებული მორალური ტრავმის შემდეგ გადიოდა მკურნალობას ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში.

4. სენაკის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 10 ივლისის განაჩენით ა. თ-ა გამართლდა საქართველოს სსკ-ის 139-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 157-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2014 წლის 10 ივლისიდან; გაუქმდა ა. თ-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული გირაო და 10000 ლარი გირაოს სანაცვლოდ, ნ. თ-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, კერძოდ – 44.62 კვ/მ საცხოვრებელ ფართს, მდებარე ქ.ფოთში, – ქ. №7, ბინა 12-ში (საკადასტრო კოდი – –) განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში მოეხსნა ყადაღა.

5. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა სენაკის რაიონული პროკურორის მოადგილე კ. ა-მ. მან ითხოვა სენაკის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 10 ივლისის განაჩენის გაუქმება ა. თ-ს საქართველოს სსკ-ის 139-ე მუხლის 1-ლი ნაწილით უდანაშაულოდ ცნობის ნაწილში და ზემოაღნიშნული მუხლით მისი დამნაშავედ ცნობა.

6. განაჩენი სააპელაციო წესით ასევე გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ა. თ-მ და მისმა ადვოკატმა გ. ქ-მ. აპელანტებმა ითხოვეს ა. თ-სათვის დანიშნული სასჯელის შემცირება და პირობითად ჩათვლა.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 1 ოქტომბრის განაჩენით სენაკის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 10 ივლისის განაჩენი გაუქმდა; ა. თ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ

საქართველოს სსკ-ის 139-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 157-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 1-1 წლით თავისუფლების აღკვეთა; შთანთქმის პრინციპის გამოყენებით ა. თ-ს დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოოდ განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

8. კასატორები – მსჯავრდებული ა. თ-ა და მისი ადვოკატი ლ. ხ-ა აღნიშნავენ, რომ ვიდუკადრების გადაღება არ მომხდარა ფარულად და ეს გაკეთდა ორივე მხარის თანხმობით; საქმეზე დაკითხული არც ერთი მონმე არ მიუთითებს ა. თ-ს მხრიდან თ. კ-ს იძულებაზე, დაემყარებინა მასთან სქესობრივი კავშირი, ამიტომ საქართველოს სსკ-ის 139-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ქმედების კვალიფიკაცია უკანონოა; გარდა ამისა, ა. თ-სათვის დანიშნული სასჯელი შეუსაბამოა მის პიროვნებასა და ჩადენილი ქმედების ხასიათთან.

9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ითხოვენ ა. თ-ს გამართლებას საქართველოს სსკ-ის 139-ე მუხლის 1-ლი ნაწილით შერაცხულ ბრალდებაში, ასევე – სსკ-ის 157-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლას, დამატებით სასჯელად 2000 ლარი ჯარიმისა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის განსაზღვრას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ მოუსმინა მხარეებს, შეისწავლა საქმის მასალები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება კერძოდ:

2. გამოკვლეული მტკიცებულებების შეფასების შედეგად საკასაციო პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ ა. თ-ა უნდა გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 139-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო, შემდეგ გარემოებათა გამო:

3. დაზარალებულმა თ. კ-მა აჩვენა, რომ ა. თ-ა თავს არ ანებებდა, დღეში რამდენჯერმე უკავშირდებოდა მობილური ტელეფონის საშუალებით და აიძულებდა მასთან ურთიერთობას, მათ შორის – სქესობრივს. წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდა მათი სქესობრივი კავშირის ამსახველი ფოტო და ვიდეომასალის სოციალურ ქსელში გავრცელებით, რაც საბოლოოდ შეასრულა კიდევც.

4. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ დაზარალებულის ზემოაღნიშნული ჩვენება არ შეესაბამება და არ გამომდინარეობს საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ანალიზიდან, ვინა-

იდან მოწმე მ. თ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ თ. კ-სა და ა. თ-ს ჰქონდათ სასიყვარულო ურთიერთობა. თბილისში ორ-სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, თბილისიდან რომ ჩამოდიოდა, სამტრე-დიაშიც ხვდებოდა. ჰქონდათ სატელეფონო საუბრები; როცა ა. თ-ა რეკავდა თ-ს ტელეფონზე, ეკრანზე ა-ს სურათი ჩნდებო-და. თ. კ-სა და გ.ჯ-ს ურთიერთობის შესახებ გაიგო დეკემბრის ბოლოს. გ. ჯ-ს დედამ უთხრა, რომ მის მეგობარს – თ. კ-ს ნიშ-ნავდნენ. მანამდე იცოდა, რომ თ. კ-ი ა. თ-ს უნდა მოეყვანა ცო-ლად.

5. მოწმე ა. თ-მ აჩვენა, რომ 2012 წლიდან მის ძმას ა. თ-სა და თ. კ-ს ჰქონდათ ახლო ურთიერთობა, უყვარდათ ერთმანეთი და მის ძმას უნდოდა ცოლად მოეყვანა თ-ი. ანალოგიური ფაქტობ-რივი გარემოებები დაადასტურეს მოწმეებმა – ბ. ხ-მ და ფ. თ-მ.

6. აღნიშნულ მოწმეთა ჩვენებები მეტ სანდოობას მატებენ მსჯავრდებულ ა. თ-ს მიერ სასამართლოში მიცემულ ჩვენებას, რომლითაც მან განმარტა, რომ თ. კ-თან ჰქონდა ნებაყოფლო-ბითი სასიყვარულო ურთიერთობა და უნდოდათ ოჯახის შექ-მნა, ხოლო ფოტოსურათები გაავრცელა იმ მიზნით, რომ თ-ს ქორნილი ჩაეშალა.

7. პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დას-კვნას იმის თაობაზე, რომ თ. კ-ს ჩვენება დადასტურებულია მოწმეების – მ. ჯ-ს, ს. კ-სა და გ. ჯ-ს ჩვენებებით, რადგან მოწ-მეების – მ. ჯ-სა და ს. კ-ს ჩვენებებით დადგენილია, რომ ა. თ-ა შეტყობინებებს უგზავნიდათ მობილურ ტელეფონზე მოთხოვ-ნით, არ გაეთხოვებინათ თ., რომ მათი შვილი არ იყო პატიოსანი და სამშობიარო სახლ „სენამედში“ ეკითხათ, თუ რამდენი აბორ-ტი ჰქონდა გაკეთებული. მოწმე ს. კ-ს ჩვენებით დასტურდება ასევე, რომ ა. თ-ა შეხვედრისას დაემუქრა შემდეგი სიტყვებით: „კიდევ მეტს ვიზამ, ჯერ სად ხართ“; ხოლო მოწმე გ. ჯ-მ აჩვენა, რომ ა. თ-ა მისული იყო მასთან სახლში და უთხრა, თ. არ არის შენი ღირსი, ცუდი ყოფაქცევის ადამიანიაო. შემდეგ ტელეფო-ნით მიიღო შეტყობინება პაროლისა და საიტის მითითებით, რომ-ლის გახსნის შემდეგ ნახა თ. კ-სა და უცხო მამაკაცის სქესობ-რივი კავშირის ამსახველი ფოტოები.

8. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზემომითითებულ მოწ-მეთა ჩვენებებით დასტურდება მხოლოდ ის ფაქტი, რომ ა. თ-ს არ სურდა თ. კ-ს სხვაზე გათხოვება და ყველანაირად ცდილობ-და ამ პროცესისთვის ხელის შეშლას, მათ შორის – პირადი საი-დუმლოს შემცველი ინფორმაციის გავრცელების მუქართაც, რაც შეასრულა კიდევ. შესაბამისად, მას მსჯავრი დაედო სა-ქართველოს სსკ-ის 157-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწი-

ნებული დანაშაულის ჩადენისთვის და არც ხდის სადავოდ მისთვის წარდგენილ ბრალდებას ამ ნაწილში.

9. საკასაციო პალატა არ იზიარებს ასევე სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ ა. თ-ს მიერ მასა და თ. კ-ს შორის სქესობრივი კავშირის ამსახველი კადრების უკანონოდ მოპოვება მიუთითებს ა. თ-ს სწორედ იმ განზრახვაზე, რომ ამ კადრების გავრცელების მუქარით იძულებული გაეხადა თ. კ-ი მასთან სექსუალური ურთიერთობა გაეგრძელებინა. საკასაციო პალატის აზრით, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების უკანონოდ მოპოვება არ მოიცავს იმის უპირობო ვარაუდს, რომ მის მომპოვებელს ამ კადრების გავრცელების მუქარით ინტიმური ურთიერთობის გაგრძელების მოტივი ამოძრავებს.

10. ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ა. თ-ს ქმედება შესაძლოა, შეიცავდეს იძულებისთვის (საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლი) დამახასიათებელ ნიშნებს იმ ნაწილში, რომ იგი ყველა ხერხითა და საშუალებით ცდილობდა, იძულებული გაეხადა თ. კ-ი უარი ეთქვა ქორწინებაზე, ანუ აიძულებდა მას უარი ეთქვა იმ მოქმედების შესრულებაზე, რომლის შესრულება/შესრულებისგან თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენს, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ბრალდების შესახებ დადგენილება არ შეიცავს ა. თ-ს მიერ განხორციელებულ აღნიშნული მოქმედების სამართლებრივ აღწერას – საკასაციო პალატა კანონისმიერად მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს მისი ქმედების საქართველოს სსკ-ის 139-ე მუხლიდან სსკ-ის 150-ე მუხლზე გადაკვალიფიცირების თაობაზე.

11. რაც შეეხება კასატორის მოთხოვნას საქართველოს სსკ-ის 157-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, საკასაციო პალატა არ იზიარებს და მიაჩნია, რომ ჩადენილი ქმედების განხორციელების სახისა და ფორმის გათვალისწინებით, მისთვის განსაზღვრული სასჯელი სამართლიანია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ა. თ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. ხ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობ-

რივ.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 1 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. მსჯავრდებული ა. თ-ა გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 139-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

4. მსჯავრდებულ ა. თ-ს საბოლოოდ საქართველოს სსკ-ის 157-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განესაზღვროს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა აეთვალოს 2014 წლის 10 ივლისიდან.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 1 ოქტომბრის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქ უ რ დ ო ბ ი ს მ ც დ ე ლ ო ბ ა ს ა ც ა ვ შ ი უ კ ა ნ ო ნ ო შ ე ლ ნ ე ვ ი თ

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ს ხ ლ ი თ

№ 118 აპ-15

3 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე**

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ კ. გ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჯ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 28 იანვრის განაჩენზე.

ა ლ ნ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

1. ბრალდების შესახებ დადგენილებით კ. გ-ს, – ნასამართლობის არმქონეს, – ბრალი დაედო საქართველოს სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობის მცდელობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლების მცდელობა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით, რაც გა-

მოიხატა შემდეგში:

2. 2014 წლის 10 თებერვალს, დაახლოებით 23.30 საათზე, კ. გ-მ სახრახნისის გამოყენებით უკანონოდ შეაღწია თბილისში, გლდანის მე-5 მ/რ-ნში, ხიზანიშვილის ქ. №-ში მდებარე ლ. კ-ს კუთვნილ მარკეტ „ში“ და ცდილობდა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა მარკეტში არსებულ ნივთებს. მისი ქმედება აღკვეთეს შემთხვევის ადგილზე მისულმა დაზარალებულმა ლ. კ-მ და დაცვის პოლიციის თანამშრომლებმა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 31 ოქტომბრის განაჩენით კ. გ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 160-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენციო 2014 წლის 10 თებერვლიდან.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა კ. გ-მ და მისმა ადვოკატმა მ. ჯ-მ, ასევე – პროკურორმა ზ. კ-მ.

5. მსჯავრდებული კ. გ-ე და ადვოკატი მ. ჯ-ა სააპელაციო საჩივრებით ითხოვდნენ განაჩენის გაუქმებას და გამართლებას.

6. პროკურორი ზ. კ-ე სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და კ. გ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 28 იანვრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულისა და მისი ადვოკატის სააპელაციო საჩივრები, ხოლო პროკურორ ზ. კ-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 31 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალა: კ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენციო 2014 წლის 10 თებერვლიდან.

8. კასატორები – მსჯავრდებული კ. გ-ე და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ჯ-ა საკასაციო საჩივრებში აღნიშნავენ, რომ კ. გ-ე მაღაზიაში შევიდა სიგარეტისა და პურის საყიდლად; მაღაზიის კარი იყო ღია; კ. გ-ს კარი სახრახნისით რომ გაეღო, აუცილებლად დარჩებოდა დაზიანებები როგორც სახრახნისზე, ისე – კარსა და საკეტის ენაზე; ამგვარი დაზიანებები კი, 2014 წლის 11 თებერვლის №-/ტრ ტრასოლოგიური ექ-

სპერტიზის დასკვნის თანახმად, არ აღინიშნებოდა; გარდა ამისა, არც სახრახნისზე იყო კ. გ-ს თითების ანაბეჭდები.

9. კასატორთა აზრით, კ. გ-ს განზრახვა იყო მალაზიაში სიგარეტის საყიდლად შესვლა და არა – სახრახნისის გამოყენებით შეღწევა და სხვისი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით; სახეზეა გაუთვალისწინებელი შემთხვევა, რომლის უნებლიე მონაწილე სხვაც შეიძლება და გამხდარიყო.

10. საჩივრის ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ ორივე ინსტანციის სასამართლოების განაჩენები არ ეფუძნება ეჭვის გამომრიცხავ, ერთმანეთთან შეთანხმებულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას; სასამართლოებმა მოახდინეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლისა და საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მოთხოვნების იგნორირება.

11. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული კ. გ-ე და ადვოკატი მ. ჯ-ა ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 28 იანვრის განაჩენის გაუქმებას და კ. გ-ს გამართლებას.

12. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორი ზ. კ-ე შესაგებლით ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენის, როგორც კანონიერისა და დასაბუთებულის, უცვლელად დატოვებას, ხოლო საკასაციო საჩივრების – დაუშვებლად ცნობას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ კასატორების მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს კ. გ-ს მიერ საცავში უკანონო შეღწევით ქურდობის მცდელობის ჩადენის თაობაზე. შესაბამისად, მასაც მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, უტყუარ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით დასტურდება კ. გ-სთვის ბრალად შეარაცხული ქმედების ჩადენა, კერძოდ:

2. დაზარალებულ ლ. კ-ას ჩვენებით დადგენილია, რომ 2014 წლის 10 თებერვალს მისი კუთვნილი მარკეტი ჩვეულებისამებრ დაიკეტა 23:00 საათზე და აყვანილ იქნა სიგნალიზაციაზე, რის შემდეგაც თანამშრომელი ქალბატონები თავისი ავტომანქანით

მიაცილა საცხოვრებლამდე. გზაში გაახსენდა, რომ საბუთები დარჩა მარკეტში, ამიტომ მანქანაში მყოფ თანამშრომელ ლ. გ-სთან ერთად დაბრუნდა ხიზანიშვილის ქუჩაზე მდებარე მარკეტთან. მარკეტის შესასვლელთან დაინახა ბიჭი, რომელიც მთვრალი ეგონა, მაგრამ შემდეგ, მისი მოძრაობიდან გამომდინარე, გაუჩნდა ეჭვი, რომ კარს აწვალებდა და იყო ქურდი. ამიტომ 10-15 წამში, როცა უცნობმა კარი გააღო და შიგნით შევიდა, თავადაც შეჰყვა მას, შებოჭა და არ მისცა გადაადგილების საშუალება. დაკავებული ეძიძგილავებოდა, თუმცა ვერ მოახერხა თავის გათავისუფლება. დაახლოებით ერთ წუთში კი მარკეტში მისი თანამშრომელი ლ. გ-ე შემოვიდა, რომელმაც აანთო შუქი და მისი თხოვნით გამორთო სიგნალიზაცია, რომელიც უცნობი პირის მიერ კარის გაღებისთანავე ჩაირთო. ლ. გ-მ შენიშნა ბიჭის ხელში სახრახნისი, გამოართვა და დადო დახლზე. დაახლოებით 2-3 წუთში მოვიდნენ დაცვის პოლიციის თანამშრომლებიც და დააკავეს ბრალდებული. დაზარალებულმა განმარტა, რომ წასვლისას კარი ნამდვილად დაკეტა და დარწმუნებულია, რომ ბრალდებულმა იგი სახრახნისით გააღო, ვინაიდან კარზე შენიშნა ისეთი ნაკანრები, რომელიც მას მანამდე არ ჰქონდა.

3. ანალოგიური ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურა მონმე ლ. გ-მაც. მონმემ განმარტა, რომ შემთხვევამდე კარი დაზიანებული არ ყოფილა.

4. მონმეების, შსს-ს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების – ს. კ-სა და ზ. ქ-ს ჩვენებებით დადგენილია, რომ 2014 წლის 10 თებერვალს, დაახლოებით 23:30 საათზე, მიიღეს განგაშის სიგნალი. დაახლოებით 3 წუთში გამოცხადდნენ ობიექტზე. პოლიციის თანამშრომლებთან ერთად შევიდნენ განათებულ მაღაზიაში, სადაც ერთ პირს მეორესთვის ხელი ჰქონდა შემოხვეული და აკავებდა. მაღაზიაში, თაროზე, ნახეს ყვითელტარიანი სახრახნისი. დაკავებული პირი გაჩხრიკეს კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებთან ერთად, რადროსაც ამოიღეს მხოლოდ პირადი ნივთები.

5. ანალოგიური ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურეს საპატრულო პოლიციის ინსპექტორებმა – გ. ლ-მ და ლ. ჩ-მ.

6. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მითითებას, იმის შესახებ, თითქოს მას ღია ეგონა მარკეტი, ვერ დაინახა, რომ მაღაზიაში შუქი არ ენთო და იქ პურისა და სიგარეტის საყიდლად შევიდა, ვინაიდან:

7. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმიდან და გადაღებული ფოტომასალიდან ნათლად ჩანს, რომ მაღაზიის შესას-

ვლელი კარი დამზადებულია ალუმინისგან და არის ერთფრთიანი მინებიანი, მასზე არ არის სარეკლამო პლაკატები. სარეკლამო პლაკატები მიკრულია მხოლოდ კარის მარჯვენა და მარცხენა მხარეს არსებულ მინის ვიტრინებზე – ანუ მოქმედი ალუმინის კარი წარმოადგენს ჩვეულებრივ მინიან, გამჭვირვალე შესასვლელს. შესაბამისად, საკასაციო პალატას შეუძლებლად მიაჩნია კ. გ-ს ვერ შეემჩნია, რომ მაღაზიაში არ ენთო სინათლე, მით უმეტეს, დაზარალებულ ლ. კ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ იგი (კ. გ-ე) რამდენიმე წამი იდგა კართან და გარკვეულ მოძრაობებს აკეთებდა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მას უნებლიედ, გაუაზრებლად არ შეუღია კარი; ამასთან, დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით ირკვევა, რომ კ. გ-სგან ჩხრეკის შედეგად ფული არ ამოუღიათ, რაც ასევე აბათილებს მის ვერსიას, თითქოს მაღაზიაში პურისა და სიგარეტის საყიდლად შედიოდა.

8. კასატორის პოზიციას იმის შესახებ, რომ რადგან ტრასოლოგიური ესპერტიზის დასკვნის თანახმად, კარის საკეტის გულაზე არ აღმოჩნდა დაზიანების კვალი, ეს გამოორიცხავს მის მიერ ქურდობის ჩადენის ფაქტს – პალატა ასევე არ იზიარებს და მიუთითებს, რომ ტრასოლოგიური ექსპერტიზა ჩატარდა მხოლოდ კარის საკეტის გულაზე მაშინ, როდესაც მექანიკური დაზიანების კვალი აღმოჩნდა კარის ჩარჩოზე.

9. შესაბამისად, პალატა აღნიშნავს, რომ საკეტის გულაზე დაზიანების აღმოუჩენლობა არც პირდაპირ და არც სხვა დადგენილ გარემოებებთან ერთად არ მიუთითებს კ. გ-ს უდანაშაულობაზე. საკეტის გულაზე დაზიანებების აღმოჩენის შემთხვევაში ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა იქნებოდა ბრალდების დამატებით კიდევ ერთი მტკიცებულება, ხოლო მისი აღმოუჩენლობა გავლენას არ ახდენს მტკიცებულებათა საკმარისობაზე. შესაბამისად, კ. გ-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე, ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებათა ერთობლიობა ქმნის გამამტყუნებელი განაჩენისათვის საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს.

10. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

დაადგინა:

1. მსჯავრდებულ კ. გ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჯ-ს საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 28 იანვრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

მსჯავრდებულის გამართლება სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით ჩადენილი ყაჩაღობის ნაწილში

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№419აპ-14

8 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე)
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. გ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. რ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 3 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 აპრილის განაჩენით ი. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის 1-ლი და მეორე ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, საცავში უკანონო შეღწევით; ასევე – საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და ტარება.

2. განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობ-

რივი გარემოებები: 2013 წლის 10 სექტემბერს, დაახლოებით 19.20 საათზე, თეთრიწყაროში, დიდგორის ქუჩის №-ში მდებარე მაღაზიაში, ი. გ-ი სხვა პირთან ერთად, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით თავს დაესხა მაღაზიის მეპატრონე ნ. ა-ს და მის შვილს – ლ. ა-ს, რომელთაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით გასტაცა ფულადი თანხა, დაახლოებით 480 ლარის ოდენობით.

3. ი. გ-მა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა „ნაგანის“ სისტემის რეკოლვერებისათვის განკუთვნილი ორი საბრძოლო ვაზნა, რომლებსაც იგი მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა.

4. აღნიშნული ქმედებისათვის ი. გ-ს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით მიესაჯა 8 წლით, ხოლო 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა; შთანთქმის პრინციპის გამოყენებით საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, რომლის მოხდა დაენციო 2013 წლის 10 სექტემბრიდან.

5. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ი. გ-მა და მისმა ადვოკატებმა – ზ. რ-მა და კ. ც-მ. მათ მოითხოვეს განაჩენის გაუქმება და ი. გ-ს გამართლება.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 3 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

7. კასატორი – მსჯავრდებულ ი. გ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ზ. რ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი, უსამართლო და იგი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

8. მონმე ე. ა-ს ი. გ-ი არ ამოუცნია; არც მას და არც მონმე ზ. მ-ს არ ახსოვთ, თუ რა ნიშნით ამოიცნეს ამოსაცნობი პირი, ამიტომ მათი ჩვენებები მხოლოდ ვარაუდს ეფუძნება და არ იძლევა ზუსტ ინფორმაციას, რის გამოც ისინი სასამართლოს მხედველობაში არ უნდა მიეღო; არც მონმე ლ. ა-ს ჩვენებით დადგინდა რაიმე, იგი მხოლოდ დაყარალების მომენტს აღწერდა; მონმე მ. გ-მა, რომელმაც შეადგინა დაკავების ოქმი, განაცხადა, რომ დაკავებულს ჰქონდა საუბრის განსხვავებული მანერა და სვანური კილო, ხოლო მონმე ლ. ა-ს ჩვენებით, ბოროტმოქმედები საუბრობდნენ გამართული ქართულით და კუთხური კილო არ ჰქონიათ.

9. აღსანიშნავია ისიც, რომ სროლის ადგილის დათვალიერე-

ბა მოხდა ღამით, ამიტომ მასრა ვერ იპოვეს, თუმცა განმეორებ-
ბით, დღის სინათლეზე შემთხვევის ადგილი აღარ დაუთვალე-
რებიათ; თუ ნამდვილად არსებობდა გასროლილი მასრა, მაშინ
ჩნდება კითხვა – რატომ არ ჩაატარეს განმეორებით შემთხვე-
ვის ადგილის დათვალიერება.

10. დაზარალებულების ჩვენებით, ი. გ-მა ნ. ა-ს საკინძეში
მოკიდა ხელი, სხეული გაუკანრა და სისხლი წამოუვიდა; ასეთ
შემთხვევაში ი. გ-ს ფრჩხილებში ნ. ა-ს გენეტიკური პროფილის
შემცველი ნივთიერება უნდა დარჩენილიყო, ექსპერტიზის დას-
კვნით მიხედვით კი ი. გ-ს გენეტიკური კოდი არ აღმოჩნდა, ანუ
ნ. ა-თან ი. გ-ი არ ყოფილა; აღნიშნული დასტურდება ექსპერ-
ტების – ვ. ო-სა და ი. მ-ს ჩვენებებითაც.

11. დაზარალებულ ნ. ა-ს და კინოლოგ რ. წ-ს განმარტებე-
ბით, სუნის ნიმუში აიღეს დაახლოებით დილის 7 საათზე; მალა-
ზიაში უამრავი პოლიციელი ტრიალებდა, ამიტომ ბრალდებუ-
ლის სუნის ნიმუში ადგილზე ვეღარ დარჩებოდა; გარდა ამისა,
დაუდგენელია, თუ კონკრეტულად რომელმა კინოლოგმა – რ.
წ-მა თუ ნ. ბ-მა აიღო სუნის ნიმუში; ნ. წ-ს ჩვენებით, ი. გ-ს სუ-
ნის ნიმუში პოლიციის შენობაში აუღეს; მოწმე ბ. ი-ს ჩვენებით,
თუ შემთხვევის ადგილზე 10-15 კაცი იქნებოდა, მაშინ სუნის
ნიმუში დაზიანდებოდა; მისივე თქმით, შემთხვევის ადგილზე
აღებული და ოდოროლოგიურ ექსპერტიზაზე წარდგენილი სა-
მი სუნის ნიმუში ი. გ-ს სუნის ნიმუშის მსგავსი იყო.

12. მოწმეების – ი. ხ-სა და ი. ფ-ს ჩვენებებით, ამოსაცნობი
პირი მათ საერთოდ არ ჰგავდათ, ხოლო ამოცნობა 2-3 საათის
განმავლობაში გრძელდებოდა, ე.ი. გამოდის, რომ ი. გ-ი ძალით
ამოაცნობინეს დაზარალებულებს; გარდა ამისა, ი. გ-ს სიმაღ-
ლე არის 1 მეტრი და 69 სანტიმეტრი, ხოლო ი. ხ-სა და ი. ფ-ს – 1
მეტრი და 87 სანტიმეტრი, ანუ მათ შორის სხვაობა 18 სანტი-
მეტრია; გამომძიებელ მ. დ-ს განმარტებით, ამოსაცნობი პირე-
ბი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ; ამოცნობის ოქმში არ
არის დაფიქსირებული ამოსაცნობად წარდგენილი პირების და-
ბადების თარიღები, გამომძიებელს არასწორად აქვს მითითე-
ბული ი. ფ-სა და ი. ხ-ს, რომელთაც ი. გ-ს მსგავსად (გადმონეუ-
ლი ქვედა ტუჩი და „ჩოლკა“ შუბლზე) განსხვავებული ნიშანი არ
ჰქონდათ, სიმაღლე; აქედან გამომდინარე, ამოცნობის ოქმში სა-
სამართლოს დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა ეცნო.

13. მსჯავრდებულ ი. გ-ს ჩვენებით, დაკავებისას, როდესაც
ის მიწაზე დააგდეს, ერთ-ერთმა პოლიციელმა, რომლის ამოც-
ნობა შეუძლია, შარვლის მარჯვენა ჯიბეში ჩაუდო ორი ტყვია,
ამიტომ ჩხრეკის ოქმზე ხელი არ მოანერა; ამის შემდეგ გადაიყ-

ვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც პოლიციელებმა, რომელთა ამოცნობაც ასევე შეუძლია, მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა; ამოცნობის ჩატარების შემდეგ მას მაისურის ჯიბეში რაღაც ჩაუდეს და კვლავ ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა, რა დროსაც ამოიღეს მათ მიერვე ჩადებული ორი ხელთათმანი და სათვალე; ჩხრეკის ოქმი არ შეუდგენიათ; ი. გ-ს არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია და მალაზიასთან სკამზე მარტო იჯდა.

14. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან გამამტყუნებელი განაჩენი ემყარება ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებსა და ეჭვებს და არა – ურთიერთშეჯერებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას, ადვოკატი ზ. რ-ი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 3 ოქტომბრის განაჩენის გაუქმებას და ი. გ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

15. მსჯავრდებული ი. გ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას, რადგან არასწორად დადგინდა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, არასწორად შეფასდა მტკიცებულებები, რის გამოც სასამართლომ მიიღო უკანონო და არაობიექტური გადაწყვეტილება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ ი. გ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. რ-ს საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს ი. გ-ს მიერ ჯგუფური ყაჩაღობის ჩადენისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნატარების ჩადენის თაობაზე და მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, უტყუარ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით დასტურდება ი. გ-სთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა, კერძოდ:

3. მოწმის სახით დაკითხულმა, დაზარალებულმა ლ. ა-მ დეტალურად უჩვენა სასამართლოს, თუ 2013 წლის 10 სექტემბერს როგორ დააყაჩაღეს მალაზიაში ის და დედამისი ნ. ა-ა მსჯავრდებულმა და მისმა თანმხლებმა პირმა, ასევე რა მოქმედებები განახორციელეს თავდამსხმელებმა. მოწმემ დეტალურად

აღწერა ი. გ-ს გარეგნობა და ჩაცმულობა, რაც პოლიციელებსაც განუცხადა თავდასხმის შემდეგ. ი. გ-ი ამოიცნო ჩატარებული ამოცნობის დროს; როგორც კი ოთახში შეიყვანეს, მაშინვე თვალში მოხვდა ი. გ-ი. მასთან ერთად კიდეც 2 თუ 3 პირი იდგა, ყველანი იყვნენ დაახლოებით ერთი სიმაღლისა. მართალია, ი. გ-ი მყისიერად ამოიცნო, მაგრამ შეეშინდა და მაშინვე დარწმუნებით არ თქვა. სასამართლოზე ჩვენების მიცემის დროს ლ. ა-მ განაცხადა, რომ მას დარწმუნებით შეუძლია თქვას, რომ ბრალდებულის სკამზე მყოფი ი. გ-ი არის ის პირი, რომელიც საღამოს მას და დედამისს ყაჩაღურად თავს დაესხა და გასტაცა ფულადი თანხა.

4. იგივე ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურა სასამართლო სხდომაზე ჩვენების მიცემისას დაზარალებულმა ნ. ა-მ.

5. მოწმეებმა – ე. ა-მა და ზ. მ-მ აჩვენეს, რომ 2013 წლის 10 სექტემბერს, საღამოს საათებში, მიღებული შეტყობინების საფუძველზე გამოცხადდნენ შემთხვევის ადგილზე, სადაც დაზარალებულებმა აღუწერეს თავდამსხმელები, რის შემდეგაც დაიწყეს ავტომანქანით შემოვლა და დამნაშავე პირების ძებნა. ძებნის პროცესში მივიდნენ ქ. თეთრიწყაროში, აღმაშენებლის ქუჩაზე არსებულ ბენზინ გასამართ სადგურთან და მისი მფლობელის – თ. თ-საგან მიიღეს ინფორმაცია, რომ აღწერილი პირები მესაძლოა, ყოფილიყვნენ იქვე, შორიახლოს, აღმაშენებლის ქუჩაზე. ნავიდნენ მითითებულ მხარეს და აღმაშენებლის ქუჩაზე, მაღაზიასთან, დაინახეს ორი პირი, რომელთა ჩაცმულობა და აღწერილობა ემთხვეოდა დაზარალებულთა მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. მანქანა დაახლოებით 10–15 მეტრში გააჩერეს, გადმოვიდნენ და გაემართნენ ამ პირებისაკენ მათი ვინაობის დასადგენად, რა დროსაც ერთმა ახალგაზრდამ მეორეს დაუძახა, გავიქცეთო. ერთ გაქცეულს ე. ა-ი გაეკიდა, მეორემაც, რომელიც მაღაზიასთან ახლოს სკამზე იჯდა, სცადა გაქცევა, თუმცა, განუული წინააღმდეგობის მიუხედავად, ზ. მ-მ შეძლო მისი დაკავება. გაქცეულმა პირმა სირბილის დროს ამოიღო ნაგანის ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი და გაისროლა ე. ა-ს მიმართულებით, რის საპასუხოდ ამ უკანასკნელმაც ორჯერ გამაფრთხილებლად გაისროლა. გაქცეული პირი ქუჩის მოპირდაპირე მხარეს გადავიდა და მანქანას ამოეფარა, შემდეგ კი ლობზე გადახტა და გაიქცა. სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების გამო, ე. ა-მა შეწყვიტა მისი დევნა და დაბრუნდა ზ. მ-სთან, რომელიც უკვე აკავებდა მეორე პირს. დაკავებულს, რომელიც ი. გ-ი აღმოჩნდა, განუმარტეს უფლებები და ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა, რა დროსაც მისი ჯიბეებიდან ამოიღეს ნაგანის ტიპის რე-

ვოლვერისათვის განკუთვნილი 2 ვაზნა, გამჭვირვალე სამედიცინო ხელთათმანი, სათვალე და ფულადი თანხა.

6. გარდა ზემოთითხსნილი მტკიცებულებებისა, ი. გ-სთვის ბრალად შერაცხული ქმედებები დასტურდება ასევე მოწმეების – თ. თ-ს, ნ. ბ-ს, მ. გ-ს, ლ. მ-ს, რ. კ-ს, მ. დ-ს, მ. გ-ს, ნ. დ-ს, ა. შ-ს ჩვენებებით, ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით, ამოცნობის ოქმებით, ბალისტიკური ექსპერტიზის №– და ოდოროლოგიური ექსპერტიზის №– დასკვნებითა და ასევე, სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობით.

7. პალატა არ იზიარებს დაცვის მხარის საკასაციო საჩივარში მოყვანილ არგუმენტებს და მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ ამომწურავი პასუხი გასცა კასატორის მიერ მითითებულ ყველა გარემოებას, კერძოდ:

8. უსაფუძვლოა დაცვის მხარის აპელირება იმ გარემოებაზე, რომ შემთხვევის ადგილზე უამრავი პოლიციელის მისვლის გამო, ბრალდებულის სუნის ნიმუშები ვეღარ დარჩებოდა ადგილზე, ვინაიდან საქმის არსებითი განხილვის დროს მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა ბ. ი-მ განმარტა, რომ ადგილზე ხალხმრავლობის მიზეზით სუნის კვალი შეიძლება დაზიანდეს, მაგრამ მცირედით მაინც დარჩება, სულ არ გაქრება, სუნი 24 საათიც რჩება, 48 საათიც და ა. შ. გააჩნია შენობას, ზედაპირს, რაზეც შეეხება პირი. მანვე დაადასტურა 2013 წლის 12 სექტემბრის ოდოროლოგიური ექსპერტიზის №– დასკვნის სისწორე, რომლითაც დადგენილია, რომ 2013 წლის 10 სექტემბერს ქ. თეთრიწყაროში, დიდგორის ქუჩის №-ში მდებარე მაღაზიაში, ლ. ა-სა და ნ. ა-ზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით, შემთხვევის ადგილიდან, კერძოდ: მაღაზიაში, სალარო აპარატის დახლის წინ, ხის იატაკის ზედაპირიდან, მაღაზიაში შესასვლელი კარის წინ, მეტლახის იატაკის ზედაპირიდან, ტყეში აღმოჩენილი ნაჭრის ქუდიდან და ბრალდებულ ი. გ-სგან ამოღებული სუნის კვალის ნიმუშები ვარგისია პირის შემდგომი იდენტიფიკაციისათვის. 2013 წლის 10 სექტემბერს ქ. თეთრიწყაროში, დიდგორის ქუჩის №-ში მდებარე მაღაზიაში ლ. ა-სა და ნ. ა-ზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით, შემთხვევის ადგილიდან, კერძოდ: მაღაზიაში, სალარო აპარატის დახლის წინ, ხის იატაკის ზედაპირიდან და მაღაზიაში შესასვლელი კარის წინ, მეტლახის იატაკის ზედაპირიდან ამოღებული სუნის კვალის ნიმუშები იდენტურია ბრალდებულ ი. გ-სგან აღებული სუნის კვალის ნიმუშისა.

9. უსაფუძვლოა ასევე დაცვის მხარის მოსაზრება, რომ საქმეში არსებული ამოცნობის ოქმები სასამართლოს დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა ეცნო, ვინაიდან საკასაციო პალატას მიზანია, რომ გამოძიების პროცესში ი. გ-ს ამოცნობისას საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები არსებითად არ დარღვეულა.

10. საკასაციო პალატა ასევე არ იზიარებს დაცვის მხარის პრეტენზიას, რომ ი. გ-ს ჩატარებული პირადი ჩხრეკისას პოლიციის თანამშრომლებმა ჯიბეში ჩაუდეს ორი ტყვია, ორი ხელთათმანი და სათვალე, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია, ხოლო ე. ა-სა და ზ. მ-ს თანმიმდევრულ და ურთიერთშეთავსებად ჩვენებებში ეჭვის შეტანის საფუძველი პალატას არ გასჩენია.

11. დაცვის მხარის იმ არგუმენტთან დაკავშირებით კი, თუ რატომ არ დაათვალიერა ბრალდების მხარემ შემთხვევის ადგილი განმეორებით, პალატა მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მტკიცებულებების მოპოვება მხარეთა პრეროგატივაა. ისინი თავიანთი შეხედულებისამებრ მოიპოვებენ და წარადგენენ მტკიცებულებებს. შესაბამისად, დაცვის მხარე უფლებამოსილი იყო, საჭიროების შემთხვევაში თავად მოეპოვებინა ის მტკიცებულებები, რომელთაც საჭიროდ მიიჩნევდა თავისი პოზიციის დასადასტურებლად.

12. რაც შეეხება მსჯავრდებულ ი. გ-სთვის საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის (ყაჩაღობა, ჩადენილი საცავში უკანონო შელწევით) ბრალად შერაცხვას, პალატა აღნიშნავს, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებიდან არ იკვეთება, თუ რატომ შეერაცხა ი. გ-ს აღნიშნული მაკვალიფიცირებელი გარემოება; მეტიც, არც გასაჩივრებულ განაჩენში არ არის მსჯელობა იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა მსჯავრდებულის მიერ აღნიშნული ქმედების ჩადენა. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ თავდასხმა მოხდა მაღაზიაში, პალატა აღნიშნულს ვერ განიხილავს სადგომში/საცავში უკანონო შელწევად, ვინაიდან, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ყაჩაღობა მოხდა დაახლოებით 19.20 საათზე, მაშინ, როდესაც მაღაზია ღია იყო და სამუშაო საათები არ იყო დამთავრებული; შესაბამისად, ი. გ-ს არ მიუმართავს არანაირი უკანონო ხერხისთვის მაღაზიაში შესასვლელად და არც ჰქონდა ამის საჭიროება, ვინაიდან მას, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა პირს, იქ შესვლის სრულიად კანონიერი უფლება ჰქონდა.

13. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს მითითება ი. გ-ს მიერ ყაჩაღობის

საცავში უკანონო შეღწევით ჩადენის თაობაზე და ბრალდების ამ ნაწილში მსჯავრდებული უნდა გამართლდეს.

14. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბრალდების მოცულობის შემცირების გამო, მსჯავრდებულ ი. გ-ს უნდა შეუმსუბუქედეს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ი. გ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. რ-ს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 3 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. მსჯავრდებული ი. გ-ი გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ნარდგენილ ბრალდებაში.

4. მსჯავრდებულ ი. გ-ს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიესაჯოს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რამაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე შთანთქმას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით დანიშნული სასჯელი – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ სასჯელის სახით განესაზღვროს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდაც აეთვალოს 2013 წლის 10 სექტემბრიდან.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 3 ოქტომბრის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყარალოზა და განზრახ მკვლელოზის მცდელოზა

განაჩენი საქართველოს სახელით

№58აპ-15

19 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)

მ. ოშხარელი,

გ. შავლიაშვილი

მონაწილეობით, ზეპირი მოსმენით განიხილა მსჯავრდებულ-
ლების – თ. ჩ-ისა და მ. გ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატე-
ბის, რ. ხ-ისა და ი. შ-ის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპე-
ლაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის
2014 წლის 27 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის
განაჩენით თ. ჩ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-
ის 19,108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის – გან-
ზრახ მკვლელობის მცდელობისათვის და სსკ-ის 179-ე მუხლის
მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – ყარალობისათვის, ე.ი. თავდას-
ხმისათვის სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მი-
საკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელო-
ბისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფუ-
რად.

2. ამავე განაჩენით მ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქარ-
თველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით
გათვალისწინებული დანაშაულის – ყარალობისათვის, ე.ი. თავ-
დასხმისათვის სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო
მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთე-
ლობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუ-
ფურად.

3. თ. ჩ-ისა და მ. გ-ის დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხა-
ტა შემდეგში: თ. ჩ-ე მეგობარ მ. გ-სთან წინასწარი შეთანხმე-
ბით და მასთან ერთად, სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინა-
აღმდეგო მისაკუთრების მიზნით, 2013 წლის 2 ივნისს, დაახ-
ლოებით 05:00 საათზე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სო-
ფელ ს-ის ტერიტორიაზე, ყარაღურად თავს დაესხა ტაქსის

მძლოლ მ. კ-ეს. მათ, თ. ჩ-ის მიერ დანის გამოყენებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით მოსთხოვეს თანხის გადაცემა. ტაქსის მძლოლმა მათ გაუწია აქტიური წინააღმდეგობა, რის გამოც თ. ჩ-ე და მ. გ-ე გაიქცნენ. დანაშაულის ჩამდენ პირთა მხილების მიზნით მ. კ-ე გამოედევნა თავდამსხმელებს, რომელსაც მიახლოებისას თ. ჩ-ემ დანის გამოყენებით მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებები და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე დაზიანებების მიუხედავად, მ. კ-ე განუვლი სამედიცინო დახმარების შედეგად სიკვდილს გადაურჩა.

4. ზემოაღნიშნული ქმედებისათვის თ. ჩ-ეს მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და თ. ჩ-ეს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2013 წლის 5 სექტემბრიდან.

5. ზემოაღნიშნული ქმედებისათვის მ. გ-ეს მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე შეუმცირდა ერთი მესამედით და განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2013 წლის 28 აგვისტოდან.

6. ნივთიერი მტკიცებულებები: ვიდეომეთვალყურეობის კამერის ჩანაწერი ერთ ცალ DVD დისკზე და შპს „მ-დან“ ამოღებული ინფორმაციის ამსახველი ერთი ცალი CD დისკი, რომლებიც დალუქულ მდგომარეობაში ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, უნდა დაერთოს საქმეს მისი შენახვის ვადით; მ. კ-ის შარვალი, ორი მაისური, ტრუსი და პირსახოცი (ერთი პაკეტი), ავტომანქანიდან ამოღებული ბალიშისპირი (ერთი პაკეტი) და ავტომანქანიდან ამოღებული ცხვირსახოცი (ერთი პაკეტი), რომლებიც დალუქულ მდგომარეობაში ინახება აჭარის ა/რ-ის მთავარ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლო-

ბელს ან/და მისი ნდობით აღჭურვილ პირს; ხელკეტი, დალუქული ერთ პაკეტად, რომელიც ინახება აჭარის ა/რ-ის მთავარ სამმართველოში, უნდა განადგურდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ; შემთხვევის ადგილიდან და ხელკეტიდან აღებული ანაწმენდები (ერთი პაკეტი) და მ. კ-ის სისხლის ნიმუში (ერთი პაკეტი), რომლებიც დალუქულ მდგომარეობაში ინახება აჭარის ა/რ-ის მთავარ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

7. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულების – თ. ჩ-ისა და მ. გ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა რ. ხ-ამ, რომელმაც ითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულების მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა შემდეგი საფუძვლებით: გამამტყუნებელი განაჩენი არ ეფუძნება უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას; თ. ჩ-ის ქმედების კვალიფიკაცია სსკ-ის 19,108-ე მუხლით არასწორია, ვინაიდან მტკიცებულებებით დადგენილია, რომ იგი იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში.

8. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 27 ოქტომბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 27 ოქტომბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულების – თ. ჩ-ისა და მ. გ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა, რ. ხ-ამ და ი. შ-ემ. მათ ითხოვეს სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და ორივე მსჯავრდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: გამამტყუნებელი განაჩენი არის უკანონო და არ ეფუძნება უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას; მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულება არ იყო საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად; ასევე უკანონოა გასაჩივრებული განაჩენი თ. ჩ-ის მიმართ სსკ-ის 19,108-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში მსჯავრდებასთან მიმართებით, ვინაიდან იგი იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში; არ არის სწორი ის, რომ სასამართლომ არ გაიზიარა ბრალდებულების ჩვენებები; მტკიცებულებებს შორის, რომლებიც საფუძვლად დაედო გამამტყუნებელ განაჩენს, არის არსებითი ხასიათის წინააღმდეგობები;

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მათი მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. დაზარალებულ მ. კ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ მას საკუთრებაში ჰყავს ავტომანქანა „მერსედეს-ბენცი“, სახელმწიფო ნომრით ..., რომლითაც სამსახურისგან თავისუფალ დროს დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით ემსახურება კლიენტებს. 2013 წლის 2 ივნისს, დაახლოებით 05:00 საათზე, მასთან მივიდა ორი ახალგაზრდა, რომლებმაც სთხოვეს ს-ში, „ბ-ის“ მიმდებარე ტერიტორიაზე წაყვანა და შეთანხმდნენ მგზავრობის საფასურზე, 5 ლარზე. კლიენტებიდან დაბალი, როგორც შემდეგ გაირკვა მ. გ-ე, დაჯდა წინ, მძღოლის გვერდით სავარძელზე, ხოლო მაღალი, როგორც შემდეგ გაირკვა თ. ჩ-ე, – უკანა სალონში არსებულ სავარძელზე. მგზავრობისას, როდესაც გასცდნენ ე.წ. „ბ-ას“, ერთ-ერთმა მეორეს სამჯერ უთხრა „შენ ხომ არ გააფრინეო“. ს-ში ერთ-ერთი მოსახვევის გავლის შემდეგ მ. კ-ეს სთხოვეს ავტომანქანის გაჩერება, რაც ამ უკანასკნელმა შეასრულა. იმავედროულად, თ. ჩ-ემ უკნიდან მიადანა და უთხრა „ფული ან სულიო“, ხოლო მ. გ-ემ კი – „შენ არ გესმის, ჩქარა ფულიო“. მ. კ-ემ დაიყვირა, სწრაფად ჩამოვიდა მანქანიდან და ავტომანქანის კარის გვერდიდან გადმოიღო ხის ჯოხი, რომელსაც ინახავდა თავდაცვის მიზნით. მისი გადმოსვლისთანავე უკანა სავარძელზე მჯდომი პირი სწრაფად გადმოვიდა ავტომანქანის უკანა ფანჯრიდან, ისე, რომ კარი არ გაუხსნია, ხოლო წინა სავარძელზე მჯდომი გახსნილი კარიდან გადმოვიდა მანქანიდან. უკანა სავარძელზე მჯდომ პირს (რომელსაც ჰქონდა დანა) მანქანიდან გადმოხტომისთანავე მ. კ-ემ შეშინებისა და მოგერიების მიზნით ზურგის არეში ძლიერად დაარტყა ჯოხი. ამის შემდეგ იგი გამოედევნა თავდამსხმელებს, რათა უკან არ მობრუნებულიყვნენ და ავტომანქანა არ დაეზიანებინათ. დევნისას მ. გ-ემ ქვა ორჯერ დაარტყა თავში, რა დროსაც დაეცა, იმავედროულად თ. ჩ-ემ დანა დაარტყა ფეხსა და მუცლის არეში. დაზიანებების მიყენების შემდეგ თ. ჩ-ე და მ. გ-ე გაიქცნენ. მ. კ-ე დამოუკიდებლად, სხვისი დახმარების გარეშე დაბრუნდა ავტომანქანაში, ხოლო შემდეგ იქვე მცხოვრები ნაცნობების დახმარებით მოხვდა საავადმყოფოში. მ. კ-ემ ასევე განმარტა, რომ მან საგამოძიებო მოქმედება – ამოცნობაში მიიღო მონაწილეობა და ამოიცნო თავდამსხმელები.

3. დაზარალებულ მ. კ-ის მიერ ჩვენებაში მითითებული ფაქ-

ტობრივი გარემოებები სრულად დასტურდება 2013 წლის 25 ივნისის საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით (ფოტოტაბულით).

4. 2013 წლის 4 ივნისის ფოტოსურათით ამოცნობის ოქმებით დადგენილია, რომ მ. კ-ემ ამოიცნო თ. ჩ-ე და მ. გ-ე.

5. მოწმე ლ. ზ-ის ჩვენებით, რომელიც არის თ. ჩ-ის ნათესავი დადგენილია, რომ 2013 წლის 2 ივნისს, დილის საათებში, მასთან ოჯახში მივიდა თ. ჩ-ე. მოგვიანებით ეს უკანასკნელი ტელეფონით ესაუბრებოდა ვილაც პირს, რა დროსაც ლ. ზ-მა გაიგონა თ. ჩ-ის საუბარი, რომ ღამით ვილაც პირთან კონფლიქტი მოუხდა.

6. 2013 წლის 2 ივნისის ავტომანქანის დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ „მერსედესის“ მარკის ავტომანქანიდან, სახელმწიფო ნომრით „ ... “, სხვადასხვა ნივთთან ერთად ამოიღეს ხელკეტი.

7. 2013 წლის 2 ივნისის ტანსაცმლის დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ დათვალიერებული და ამოღებულ იქნა მ. კ-ის ტანსაცმელი.

8. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილი სამედიცინო საბუთების მონაცემების შესაბამისად, მ. კ-ე მიღებულ ტრავმასთან დაკავშირებით გადიოდა სტაციონარულ მკურნალობას შპს ქ. ბ-ის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში 2013 წლის 2 ივნისიდან. აღენიშნებოდა: ნაკვეთ-ნაჩხვლეტი შემავალი ჭრილობა მუცლის ზედა მესამედში, შუა ხაზიდან ოდნავ მარჯვნივ ღვიძლის მარჯვენა წილის გამჭოლი და კუჭის წინა კედლის დაზიანებით; ნაკვეთი ჭრილობა მარცხენა ფერდქვეშა მიდამოში; ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა მარჯვენა ბარძაყის უკანა ზედაპირზე, შუა მესამედში, ბარძაყის ღრმა არტერიისა და საჯდომი ნერვის ნაწილობრივი დაზიანებით; ნაფლეთოვანი ჭრილობა მარცხენა ყურის არეში; ექსკორიაციები თხემის მიდამოში. ნაფლეთოვანი ჭრილობა მარცხენა ყურის არეში და ექსკორიაციები თხემის მიდამოში განვითარებულია რაიმე მკერვივი ზღაგვი საგნის/საგნების ზემოქმედებით, ხოლო ჭრილობები მუცლის წინა ზედაპირზე, მარცხენა ფერდქვეშა მიდამოში, მარჯვენა ბარძაყის არეში განვითარებულია რაიმე მჩხვლეტავ-მჭრელი საგნის/საგნების ზემოქმედებით და ერთობლიობაში მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო. ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება დადგენილებაში მითითებულ თარიღს.

9. ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ გამოკვლევაზე წარდგენილი მ. კ-ის ტანსაცმლის ზედაპირ-

ზე არსებული გამჭოლი დაზიანება წარმოქმნილია რაიმე მწხველტავ-მჭრელი თვისებების მქონე საგნის ზემოქმედების შედეგად და თავისი ადგილმდებარეობით დაახლოებით შეესაბამება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულ მ. კ-ის სხეულზე არსებულ ჭრილობას.

10. ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია შემდეგი:

მ. კ-ის სისხლი მიეკუთვნება $A\beta$ /II/ ჯგუფს და Rh (D+) რეზუს დადებით ფაქტორს;

მ. კ-ის ორ მაისურზე, შარვალზე, ტრუსსა და პირსახოცზე აღმოჩნდა ადამიანის სისხლი, რომელიც მიეკუთვნება $A\beta$ /II/ ჯგუფს და Rh (D+) რეზუს დადებით ფაქტორს;

ა/მანქანიდან ამოღებულ: ორ ანანმენდზე აღმოჩნდა ადამიანის სისხლი, რომელიც მიეკუთვნება $A\beta$ /II/ ჯგუფს და Rh (D+) რეზუს დადებით ფაქტორს;

ხელკეტსა და ხელკეტიდან აღებულ ანანმენდზე აღმოჩნდა ადამიანის სისხლი, რომელიც მიეკუთვნება $A\beta$ /II/ ჯგუფს და Rh (D+) რეზუს დადებით ფაქტორს;

ბალიშისპირზე აღმოჩნდა ადამიანის სისხლი, რომელიც მიეკუთვნება $A\beta$ /III/ ჯგუფს და Rh (D+) რეზუს დადებით ფაქტორს;

მ. კ-ის სისხლი და მ. კ-ის ორ მაისურზე, შარვალზე, ტრუსზე, პირსახოცზე, ა/მანქანიდან ამოღებულ ორ ანანმენდზე, ბალიშისპირზე, ხელკეტსა და ხელკეტიდან არსებულ ანანმენდზე არსებული სისხლი მიეკუთვნება $A\beta$ /III/ ჯგუფს და Rh (D+) რეზუს დადებით ფაქტორს.

11. მონმე ო. ა-ის ჩვენებით დადგენილია, რომ ცხოვრობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ს-ში. საცხოვრებელ სახლში ყოფნისას გაიგონა ხმა – მოქალაქე ითხოვდა დახმარებას. ეს პირი აღმოჩნდა მ. კ-ე, რომელიც იყო დაჭრილი. მას დაეხმარა ავტომანქანის მობრუნებაში და გაჩერდნენ იქვე მცხოვრებ ლ. თ-ის სახლთან. ლ. თ-ემ დარეკა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურში, იმავდროულად კი მ. კ-ის ავტომანქანით გაემართნენ ქ. ბათუმში, საავადმყოფოში. გზაში შემოხვდათ სასწრაფო დახმარების ავტომანქანა, რომელშიც გადაიყვანეს დაჭრილი. ო. ა-ის ჩვენების თანახმად, მან ავტომანქანიდან აიღო ფული – ხუთლარიანი კუპიურა და ერთლარიანი რკინის მონეტა და იყიდა სანჯავი, რომელიც ჩაასხა მ. კ-ის ავტომანქანაში.

12. მონმე ლ. თ-ემ მის მიერ მიცემულ ჩვენებაში დაადასტურა მონმე ო. ა-ის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

13. მსჯავრდებულებმა – თ. ჩ-ემ და მ. გ-ემ სასამართლო

სხდომაზე წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნეს და განმარტეს, რომ მათ ტაქსის მძღოლის, დაზარალებულ მ. კ-ის დაყარალების განზრახვა არ ჰქონიათ. ისინი აპირებდნენ მეგობართან მისვლას, რომელსაც უნდა მიეცა ფული ტაქსის მძღოლისათვის გადასაცემად. გზაში მძღოლი გაბრაზდა, თუ ფული არ გქონდათ, რატომ წამომიყვანეთო, დაიწყო გინება, გააჩერა მანქანა, საიდანაც გადმოხტა, ისინიც გადმოხტნენ და გაიქცნენ. თ. ჩ-ემ ასევე განმარტა, რომ მ. კ-ე მათ დაედევნა და მას თავისა და ზურგის არეში რამდენჯერმე დაარტყა ხელკეტი, რა დროსაც თ. ჩ-ემ მ. კ-ეს ფეხის არეში დაარტყა დანა, რის შემდეგაც ისინი გაიქცნენ.

14. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს დაზარალებულ მ. კ-ის ჩვენების დამაჯერებლობაზე და მიაჩნია, რომ მასში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან მის მიერ განმარტებული ფაქტობრივი გარემოებები ასევე დასტურდება: საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით, ავტომანქანის დათვალიერების ოქმით, ტრასოლოგიური და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით, ამოცნობის ოქმებით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით. შემთხვევის ადგილზე ყოფნას და იმ გარემოებას, რომ თ. ჩ-ე და მ. გ-ე მგზავრობდნენ მ. კ-ის ტაქსით, თვითონაც არ უარყოფენ, თუმცა უარყოფენ დაყარალების განზრახვის არსებობას. ამასთან, გამოკვლეულ მტკიცებულებებს შორის არსებითი ხასიათის წინააღმდეგობები არ ფიქსირდება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა მათ სანდოობას.

15. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, გონივრულ ეჭვს მიღმა, უტყუარად არის დადასტურებული ბრალდებულების – თ. ჩ-ისა და მ. გ-ის მიერ დაზარალებულზე ჯგუფურად თავხასხმის ფაქტი სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით. მტკიცებულებათა ანალიზით ნათელია და სადავო არ არის, რომ თ. ჩ-ემ და მ. გ-ემ დაიქირავეს მ. კ-ის ტაქსი, რომლითაც გადაადგილდებოდნენ ს-ში „ბ-ის“ მიმდებარე ტერიტორიისაკენ. დაზარალებულ მ. კ-ის ჩვენებით, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით, ამოცნობის ოქმებით, ავტომანქანის დათვალიერების ოქმით, რომელთა სარწმუნოებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს, უტყუარად დგინდება, რომ დაზარალებულს გააჩერებინეს მანქანა, თ. ჩ-ემ უკნიდან მიადო დანა და მიმართა – „ფული ან სულიო“, ასევე მ. გ-მაც უთხრა, რომ ჩქარა მიეცა ფული. დაზარალებულმა მოახერხა ავტომან-

ქანიდან გადმოსვლა, ავტომანქანის კარის გვერდიდან ამოიღო ჯოხი და თავდამსხმელების მოგერიების მიზნით ზურგში ძლიერად დაარტყა ერთ-ერთ მათგანს. პალატა აღნიშნავს, რომ სახეზეა დანაშაულის – ყაჩაღობის შემადგენლობის ყველა ნიშანი, თავდასხმა დაზარალებულზე, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში რეალური მუქარა, რომლებიც მიმართული იყო დაზარალებულის კუთვნილი მოძრავი ნივთის დაუფლები-საკენ. ასევე ცალსახაა, რომ მ. კ-ზე თავდასხმაში ერთობლივად, ჯგუფურად მონაწილეობდნენ თ. ჩ-ე და მ. გ-ე. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 27 ოქტომბრის განაჩენი თ. ჩ-ისა და მ. გ-ის მსჯავრდების თაობაზე სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში კანონიერია და ამ ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

16. რაც შეეხება თ. ჩ-ის მსჯავრდებას განზრახ მკვლელობის მცდელობაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გამოკვლეული მტკიცებულებებით – დაზარალებულის ჩვენებით, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმით, ავტომანქანის დათვალიერების ოქმით, ტრასოლოგიური და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით, ამოცნობის ოქმით უტყუარად დასტურდება, რომ თ. ჩ-ემ განზრახ მოკვლის მიზნით დაზარალებულ მ. კ-ეს მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო, მიიმე ხარისხის დაზიანებები. აღსანიშნავია, რომ, ზოგადად, დანის დარტყმას დაზარალებულისათვის არ უარყოფს მსჯავრდებული თ. ჩ-ეც, თუმცა მიუთითებს, რომ იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში.

17. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორების მითითებას, რომ თ. ჩ-ე იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, კერძოდ:

საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ე.ი. ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად.

პალატა აღნიშნავს, რომ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობას ახასიათებს რამდენიმე ნიშანი, კერძოდ, სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, რომელიც უნდა იყოს იმწუთიერი და რეალური. ამ შემთხვევაში არსებული მოცემულობა, იმ პირობებში, როდესაც დაზარალებული მ. კ-ე ქვის თავში დარტყმის შედეგად დაეცა და ამ დროს მას (წაქცეულ კაცს) სამჯერ დაარ-

ტყა დანა თ. ჩ-ემ, ვერ მიიჩნევა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფად, მით უმეტეს – რეალურად და იმწუთიერად, რაც თ. ჩ-ეს მისცემდა აუცილებელი მოგერიების – დანის დარტყმის უფლებას მ. კ-ისათვის. ამდენად, კასატორების აპელირება ამ გარემოებაზე უსაფუძვლოა და არ არსებობს განზრახ მკვლელობის მცდელობის ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 27 ოქტომბრის გასაჩივრებული განაჩენის შეცვლის ან გაუქმების საფუძველი.

18. ამდენად, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორების მთითებას თ. ჩ-ისა და მ. გ-ის უდანაშაულობის შესახებ და მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 27 ოქტომბრის განაჩენი მათი მსჯავრდების თაობაზე უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულების – თ. ჩ-ისა და მ. გ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების, რ. ხ-ასა და ი. შ-ის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 27 ოქტომბრის განაჩენი თ. ჩ-ისა და მ. გ-ის მიმართ დარჩეს უცვლელად.

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ყაჩაღობა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ
და დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№518აპ-14

24 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე)
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე**

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ გ. ლ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 18 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. მცხეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის განაჩენით გ. ლ-ე, – ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“, მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, მე-3 ნაწილის „ა“, „გ“, „ე“ ქვეპუნქტებით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ და დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით; ასევე – თავისუფლების უკანონო აღკვეთა სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ორი ან მეტი პირის მიმართ, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით; ასევე – ყაჩაღობა, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად; ასევე – ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება.

2. განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მცხეთის რაიონული სასამართლოს 2013

წლის 4 ივნისის დადგენილებით ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირი გ. ლ-ე 2014 წლის 25 თებერვალს ქ. მცხეთაში, ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ატარებდა დანას, რაც, კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მიეკუთვნება ცივ იარაღთა კატეგორიას.

3. 2014 წლის 25 თებერვალს მცხეთაში, ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, გ. ლ-ე და გამოძიებით დაუდგენელი პირი თავს დაესხნენ შპს „თელიანი თრეიდინგის“ კუთვნილ „კია ცერატოს“ (სახ. №-) მარკის ავტომანქანაში მსხდომ ე. შ-სა და გ. დ-ს, რა დროსაც გ. ლ-მ – დანით, ხოლო გამოძიებით დაუდგენელმა პირმა – ცეცხლსასროლი იარაღისმაგვარი საგნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით მოსთხოვეს პირადი ნივთების გადაცემა, რის შედეგადაც გასტაცეს მობილური ტელეფონი, მაჯის საათი და ფულადი თანხა – 40 ლარის ოდენობით. ამის შემდეგ, ავტომანქანის დაუფლების გაადვილების მიზნით, გ. ლ-მ და ძიებით დაუდგენელმა პირმა გ. დ-ს შეუკრეს ხელები და მოათავსეს ავტომანქანის საბარგულში, ხოლო ე. შ-ს შეუკრეს ხელები და დატოვეს მანქანის უკანა სავარძელზე, თვითონ კი გაიტაცეს 25 109 ლარად ღირებული, შპს „თელიანი თრეიდინგის“ კუთვნილი „კია ცერატოს“ მარკის ავტომანქანა.

4. 2014 წლის 25 თებერვალს მცხეთაში, ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნიღბებაფარებული გ. ლ-ე და გამოძიებით დაუდგენელი პირი თავს დაესხნენ „სუბარუ ფორესტერის“ (სახ. №-) მარკის ავტომანქანაში მსხდომ კ. გ-სა და ქ. ბ-ს. გ. ლ-მ – დანით, ხოლო გამოძიებით დაუდგენელმა პირმა – ცეცხლსასროლი იარაღისმაგვარი საგნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით მოსთხოვეს მათ პირადი ნივთების გადაცემა, რა დროსაც გაიტაცეს ორი მობილური ტელეფონი, პლანშეტური კომპიუტერი, მაჯის საათი და ფულადი თანხა – 20 ლარის ოდენობით.

5. აღნიშნული ქმედებისათვის გ. ლ-ს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით მიესაჯა 9 წლით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, მე-3 ნაწილის „ა“, „გ“, „ე“ ქვეპუნქტებით – 8 წლითა და 6 თვით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 7 წლით, ხოლო 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; შთანთქმის პრინციპის გამოყენებით გ. ლ-ს საბოლოოდ განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2014 წლის 25 თებერვლიდან.

6. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. ლ-მ. მან მოითხოვა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამართლება და სასჯელის შემსუბუქება.

7. მცხეთის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ვ. თ-მ შესაგებლთ მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 18 ნოემბრის განაჩენით მცხეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

9. კასატორები – მსჯავრდებული გ. ლ-ე და ადვოკატი მ. ჩ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ მსჯავრდებულს არ ჰქონდა ავტომანქანის დაუფლებისა და მისაკუთრების მიზანი და განზრახვა; იგი ავტომანქანაში მხოლოდ იმიტომ ჩაჯდა, რომ სურდა დაზარალებულებისათვის ხელეხი გაეხსნა და გაეთავისუფლებინა; გ. ლ-მ არ იცის მანქანის მართვა, ამიტომ მას ვერ დაეუფლებოდა.

10. საყურადღებოა ისიც, რომ დაკავების დროს გ. ლ-ე პოლიციელთა მხრიდან განხორციელებული ფიზიკური ზეწოლის გამო დაინვალიდდა; გ. ლ-ე არ არის ნასამართლევი; ჰყავს მცირეწლოვანი შვილი და მოხუცი მშობლები; დაზარალებულებს მის მიმართ არანაირი პრეტენზია არ გააჩნიათ; აღიარებს რეალურად ჩადენილ დანაშაულს; არ გააჩნია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები.

11. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 18 ნოემბრის განაჩენის გაუქმებას, გ. ლ-ს გამართლებას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ კასატორების მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პირველ ყოვლისა, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სსსკ-ის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრის ფარგლებში, შესაბამისად, საკასაციო პალატა არ შეაფასებს გასაჩივრებული განა-

ჩენის კანონიერებას გ. ლ-ს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, მე-3 ნაწილის „ა“, „გ“, „ე“ ქვეპუნქტებით, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 238¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მსჯავრდების ნაწილში, ვინაიდან მხარეები მას სადავოდ არ ხდიან.

3. რაც შეეხება გ. ლ-ს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (ყაჩაღობა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ და დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით) მსჯავრდებას, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს გ. ლ-ს მიერ მისთვის ბრალად შეარაცხული დანაშაულის ჩადენის თაობაზე და მიაჩნია, რომ აღნიშნული გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტითაა დადასტურებული კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეული, უტყუარი, ურთიერთშეჯერებული და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ:

4. დაზარალებულების – გ. დ-სა და ე. შ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ გ. ლ-მ და გამოძიებით დაუდგენელმა პირმა გ. დ-ს ე.წ. „სკოჩით“ შეუკრეს ხელები, მოკვლის მუქარით გადაიყვანეს მანქანიდან და ჩასვეს საბარგულში, სადაც ის იმყოფებოდა პოლიციის თანამშრომელთა მიერ მის გათავისუფლებამდე, ხოლო დაზარალებულ ე. შ-ს კი ხელები შეუკრეს და მუქარით აიძულეს, ხმა არ ამოელო და ისე მჯდარიყო ავტომანქანის უკანა სავარძელზე, რის შემდეგაც თავდამსხმელებმა დაძრეს ავტომანქანა და დაახლოებით 2 წუთის განმავლობაში გადაადგილდებოდნენ საავტომობილო გზის გვერდის ავლით, რის შემდეგაც მანქანა გაჩერდა და თავდამსხმელები გადავიდნენ ავტომანქანიდან, თუმცა მალევე გ. ლ-ე დაბრუნდა და დაჯდა ავტომანქანის წინა, მარჯვენა სავარძელზე. ამავე დროს ადგილზე ასევე გამოჩნდნენ პოლიციელებიც, რომლებმაც დააკავეს ლ-ე.

5. პალატა მიუთითებს, რომ დაზარალებულების მიერ აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებს არც მსჯავრდებული ხდის სადავოდ, თუმცა აპელირებს იმაზე, რომ მას არ ჰქონია მანქანის გატაცებისა და, შესაბამისად, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზანი.

6. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატა მიუთითებს, რომ ყაჩაღობა ფორმალურ დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება და დამთავრებულია თავდასხმის მომენტიდან – ანუ იმ მომენტიდან, როდესაც გ. ლ-ე სხვა პირთან ერთად სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით დაეუფლა

სატრანსპორტო საშუალებას და თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენა იგი.

7. ამდენად, პალატა არ იზიარებს დაცვის მხარის არგუმენტაციას, საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში მსჯავრდებულის გამართლების შესახებ უსაფუძვლოების გამო.

8. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას სრულად გაითვალისწინა მსჯავრდებულის პიროვნება, ჩადენილი დანაშაულის მოტივი, მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, ქმედების განხორციელების ხერხი და ისე განუსაზღვრა სამართლიანი სასჯელი.

9. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ გ. ლ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 18 ნოემბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**გამოქალაქის უზენაესი სასამართლოს საკანონმდებლო
კონსტრუქცია**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№440აპ-14

5 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
ზ. მესხიანი,
პ. სილაგაძე**

მონაწილეობით განიხილა საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორ მ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 13 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 20 მაისის განაჩენით ი. ბ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე შეუმცირდა ერთი მეოთხედით და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. ი. ბ-ს სასჯელის მოხდა დაენიშნა 2014 წლის 20 მაისიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა დაკავებაში ყოფნის დრო – 2013 წლის 26 ივლისიდან იმავე წლის 27 ივლისის ჩათვლით.

2. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 27 ივლისის განაჩენა ი. ბ-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების შესახებ და გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა – 25000 ლარის ოდენობით განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში უნდა დაუბრუნდეს მის შემტან პირს.

3. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2013 წლის 2 აგვისტოს განჩინებით გამოყენებული სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიება და ყადაღა უნდა მოეხსნას:

4. შპს „ს-ს“ კუთვნილ 85% წილს შპს „ს-ი“ (იგივე „თ-ო“); შპს „ს-ს“ (იგივე სს „თ-ო“) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას მისამართზე: ქ. თ-ი, ს-ს ჩიხი № (ნაკვეთი ...), საკადასტრო კოდი – ...; თ-ი, გ. ნ-ს ქ. №, საკადასტრო კოდი – ...; შპს „ს-ს“ (იგივე სს „თ-ო“) ბალანსზე რიცხულ ძირითად საშუალებებს.

5. ნივთიერი მტკიცებულებები: მობილური კომპანიებიდან ამოღებული დეტალური ნუსხა სამ CD დისკად; სს „თ-ს“ საქმიანობის ამსახველი ელექტრონული ინფორმაცია ხუთ DVD დისკად შენახულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით; ი. ბ-ს სახელზე გაცემული საქართველოს მოქალაქის პასპორტი № საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს ი. ბ-ს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს.

6. განაჩენით მსჯავრდებულ ი. ბ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

7. 1998 წლის 16 ივნისს დაფუძნდა შპს „ს-ა“ (ს/ნ). 2007 წლის 17 იანვარს ა. ნ-ა შპს „ს-ს“ 100%-იანი წილი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადასცა კომპანია „კ-ს“.

8. თავის მხრივ, 2008 წლის 6 მარტს „კ-ს“ წარმომადგენელმა გ. ქ-მ შპს „ს-ს“ 100%-იანი წილი 107 170 ლარად ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადასცა შპს „ს-ს“, ხოლო შპს „ს-მ“ – შპს „ს-ს“, რომლითაც შპს „ს-მ“ შპს „ს-ს“ 100%-იანი წილი მიჰყიდა შპს „ს-ს“ (ს/კ).

9. იმის გამო, რომ კომპანია „კ-ს“ ხელმძღვანელმა პირებმა ა. ნ-ს არ გადაუხადეს 2007 წლის 17 იანვრის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა – 8 762 530 აშშ დოლარის ოდენობით, შპს „ს-ს“ 100%-იანი წილი გახდა სადავო.

10. იმის გათვალისწინებით, რომ ზემოხსენებული სამი კომპანიის ხელმძღვანელებს წარმოადგენდა ერთი და იგივე პირთა ჯგუფი, მხარეთა შორის დავის საწყის ეტაპზე ა. ნ-ს დაუბრუნდა სანარმოს 30% წილი და დარეგისტრირდა მისი სიძის, თ. ფ-ს სახელზე, ხოლო 70% კვლავ სადავო დარჩა. აღნიშნულთან დაკავშირებით, ა. ნ-ს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ხელშეკრულების გაუქმებისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნით. შედეგად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. ნ-ს მოთხოვნა დაკმაყოფილდა და შპს „ს-ს“ 100% წილის მფლობელად დარეგისტრირდა ა. ნ-ი. სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხე მხარემ გააასჩივრა სააპელაციო სასამართლოში.

11. 2011 წლის მარტის დასაწყისში, სააპელაციო სასამარ-

თლოში სარჩელის განხილვამდე, ა. ნ-ი და მისი სიძე თ. ფ-ე იმ-ყოფებოდნენ ბ-ი, რა დროსაც ა. ნ-ს მობილური ტელეფონის მემ-ვეობით დაუკავშირდა ი. ბ-ე, შეხვდა მათ სასტუმროს ფოიეში და უთხრა, რომ ი. ჩ-ა და დ. ტ-ნ ერთად აპირებდა შპს „ს-ს“ შე-ძენას, რომელსაც „კ-ნ“ შეძენილი ჰქონდა შპს „ს-ს“ 70% წილი. მანვე ა. ნ-ს მოსთხოვა უარი ეთქვა სარჩელზე, წინააღმდეგ შემ-თხვევაში დაემუქრა მისი და მისი ოჯახის წევრების მიმართ ძა-ლადობის გამოყენებით, ბიზნესისა და ქონების დაზიანება-გა-ნადგურებით.

12. ა. ნ-ი წინააღმდეგი იყო, დაეთმო მისთვის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მინიჭებული შპს „ს-ს“ 100% წილი, რის გამოც ი. ბ-ე კვლავ განაგრძობდა ფიზიკური განად-გურების მუქარით სარჩელზე უარის თქმის მოთხოვნას. 2011 წლის მარტის მეორე ნახევარში ი. ბ-ე რამდენჯერმე შეხვდა ა. ნ-ს მის ოფისში, მდებარე ქ. თ-ი, ზ-ს ქუჩაზე. აღნიშნული შეხ-ვედრის დროსაც ი. ბ-ე კვლავ განაგრძობდა ძალადობის და ქო-ნების დაზიანება-განადგურების მუქარით ეიძულებინა ა. ნ-ი, უარი ეთქვა სააპელაციო სასამართლოში სარჩელზე და შპს „ს-ს“ 70% წილი კვლავ დარეგისტრირებულიყო შპს „ს-ს“ სახელზე, რომელიც შეიძინა ი. ბ-ს, ი. ჩ-ა და დ. ტ-ს კომპანიამ – „პ-მ“.

13. ზემოაღნიშნული მუქარები ა. ნ-ა აღიქვა მისთვის და მი-სი ახლო ნათესავებისათვის რეალურ საფრთხედ და მოსალო-დნელი ძალადობის თავიდან არიდების მიზნით დათანხმდა ი. ბ-ს სააპელაციო სასამართლოში სარჩელის უკან გამოთხოვაზე.

14. მას შემდეგ, რაც ი. ბ-მ ა. ნ-ს მიიღო თანხმობა სარჩელის გამოთხოვასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც აღ-დგებოდა სასამართლოში დავის დაწყებამდე არსებული მდგო-მარეობა და შპს „ს-ე“ დაფიქსირდებოდა შპს „ს-ს“ 70%-იანი წი-ლი, ხოლო თ. ფ-ს სახელზე – 30%-იანი წილი, მან თავისი, ი. ჩ-ა და დ. ტ-ს სახელით, გარდა გარანტირებული 70% წილისა, დამა-ტებით მოითხოვა თ. ფ-ს სახელზე რეგისტრირებული 30% წი-ლიდან 15%-ის შპს „ს-ს“ სასარგებლოდ დათმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში კვლავ დაემუქრა მისი და მისი ოჯახის წევრების მიმართ ძალადობის გამოყენებითა და ქონების დაზიანება-გა-ნადგურებით. ა. ნ-ა მუქარა კვლავ აღიქვა რა რეალურ საფ-რთხედ, მოსალოდნელი ანგარიშსწორებისა და ძალადობის თა-ვიდან არიდების მიზნით, დათანხმდა თ. ფ-ს სახელზე დაფიქ-სირებული 30% წილიდან 15% წილის შპს „ს-ს“ სასარგებლოდ დათმობას. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2011 წლის 24 მარტს, ვიდრე ა. ნ-ი უარს იტყოდა სარჩელზე, თ. ფ-ა და ი. ბ-ს შორის გაფორმდა გარიგება შპს „ს-ს“ 15% წილის ნასყიდობის შესახებ,

რომელშიც მითითებულ იქნა, რომ ხელშეკრულება ძალაში შევიდოდა მას შემდეგ, რაც ა. ნ-ი უარს იტყოდა სარჩელზე და თ.ფ-ს დაუბრუნდებოდა 30% წილი სანარმოში.

15. 2011 წლის 31 მარტს განხორციელებული ძალადობრივი მუქარის რეალობაში დარწმუნებულმა ა. ნ-ა უარი თქვა სარჩელზე, რის შედეგადაც შპს „ს-ი“, რომლის მფლობელია „პ-ა“, გახდა შპს „ს-ს“ 85%-იანი წილის მფლობელი.

16. აღნიშნული ქმედებით ი. ბ-ე გამოძალავით დაეუფლა დიდი ოდენობით, 110000 ლარიანი სანესდებო კაპიტალის მქონე შპს „ს-ს“ 85%-იან წილს.

17. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 13 ოქტომბრის განაჩენით: გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 20 მაისის განაჩენი. ი. ბ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

18. მხედველობაში იქნა მიღებული, რომ ი. ბ-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია. გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში უნდა დაუბრუნდეს გირაოს შემტან პირს.

19. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომძიებო კოლეგიის 2013 წლის 2 აგვისტოს განჩინებით დადებული ყადაღა უნდა მოეხსნას:

20. შპს „ს-ს“ კუთვნილ 85% წილს შპს „ს-ი“ (იგივე „თ-ო“); შპს „ს-ს“ (იგივე სს „თ-ო“) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას მისამართზე: ქ. თ-ი, ს-ს ჩიხი № (ნაკვეთი), საკადასტრო კოდი – ...; თ-ი, გ. ნ-ს ქ. №, საკადასტრო კოდი – ; შპს „ს-ს“ (იგივე სს „თ-ო“) ბალანსზე რიცხულ ძირითად საშუალებებს.

21. ნივთიერი მტკიცებულებები: მობილური კომპანიებიდან ამოღებული დეტალური ნუსხა სამ CD დისკად; სს „თ-ს“ საქმიანობის ამსახველი ელექტრონული ინფორმაცია ხუთ DVD დისკად შენახულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით; ი. ბ-ს სახელზე გაცემული საქართველოს მოქალაქის პასპორტი № საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს ი. ბ-ს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს.

22. გამართლებულ ი. ბ-ს განემარტა, რომ უფლება აქვს, აუნაზღაურდეს მიყენებული ზიანი.

23. გამართლებული ი. ბ-ე დაუყოვნებლივ გაათავისუფლდა

სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

24. საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორი მ. ჯ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 13 ოქტომბრის გამამართლებელი განაჩენის გაუქმებას, გამამტყუნებელი განაჩენის დადგენასა და ი. ბ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

25. საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა მ. ჯ-ა ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები. მან მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება.

26. საკასაციო პალატის სხდომაზე გამართლებულ ი. ბ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – ზ. კ-მ და მ. ჭ-ა ვრცლად მიმოიხილეს საქმის მასალები და იშუამდგომლეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 13 ოქტომბრის გამამართლებელი განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის მოთხოვნას, ყოველმხრივ და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებანი, შეაფასა თითოეული მათგანი საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფო ბრალმდებლის, პროკურორ მ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. ი. ბ-მ თავი არ ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და აჩვენა, რომ 2011 წლის თებერვლის ბოლოს ან მარტის დასაწყისში დაუკავშირდა მისი მეგობარი ი. ჩ-ი, რომელმაც უთხრა, რომ თამბაქოს წარმოების აქციების შესახებ ი. ჩ-ს აწარმოებდა მოლაპარაკებებს და აღნიშნულის შესახებ ეცნობებინა ა. ნ-ს. იგი შეხვდა ა. ნ-ს ბ-ი, სასტუმრო „კ-ს“ ფოიეში და ინფორმაციის სახით მიაწოდა, რომ ი. ჩ-ს უკვე დასრულებული ჰქონდა მოლაპარაკებები ი. გ-ა და ი. ჩ-ს და შპს „ს-ს“ 70%-ის მფლობელი ხდებოდა. მისი ვარაუდით, ა. ნ-ი ინფორმირებული იყო ამის შესახებ, რის გამოც ჩავიდა ბ-ი. შეხვედრისას მასა და ა. ნ-ს შორის არანაირ დაძაბულობასა და კონფლიქტს ადგილი არ ჰქონია. მან უბრალოდ ინფორმაცია მიაწოდა მომხდარის შესახებ.

3. მისი ჩვენებით, იგი დაინიშნა აღნიშნული საწარმოს დირექტორად და ინფორმაციას აწვდიდა საწარმოში არსებული მდგომარეობის შესახებ ი. ჩ-ს. ა. წ-ი თანახმა იყო, რომ 70% წილის მფლობელი ყოფილიყო ი. ჩ-ი, ხოლო 30%-ის – თვითონ, რომელიც განახორციელებდა სადისტრიბუციო საქმიანობას, უბრალოდ, ვერ შეთანხმდა ი. ჩ-ნ მართვის საკითხზე, კერძოდ: ა. წ-ს სურდა, რომ ისინი დარჩენილიყვნენ მართვის საკითხში. პრობლემები გაჩნდა მაშინ, როდესაც ი. ჩ-ა გაარკვია, რომ საწარმოსთან უკვე აღარ იყო კავშირში სამარკო ნიშნები, დისტრიბუცია. ა. წ-ა და ი. ჩ-ს შორის შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, რის შემდეგაც შეიქმნა ახალი კომპანია, რომელიც დღემდე ახორციელებს დისტრიბუციას. ამ უკანასკნელს ა. წ-ს კომპანიისგან შექცნილი ავტომობილები იჯარით ჰქონდა აღებული, რაშიც თანხას უხდიდნენ. შემდგომ მოცემულ საწარმოს სტატუსი შეეცვალა და გახდა სააქციო საზოგადოება. იგი ამის შემდეგ გახდა სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

4. მისივე ჩვენებით, მას არავითარი მოლაპარაკება ან საუბარი არ ჰქონია დ. ტ-ნ თამბაქოს წარმოებასთან დაკავშირებით. მისთვის უცნობია, თუ რატომ ან როგორ მოხდა 15%-ის გადაფორმება, მან მხოლოდ ამ ფაქტის შემდეგ განვითარებული მოვლენები იცის ი. ჩ-ნ, რაც გამოიწვია ვალებმა, დისტრიბუციამ, სამარკო ნიშნებმა და სხვა. ერთადერთი, რაც მან ი. ჩ-ს დავალებით მოაგვარა, იყო დისტრიბუციის საკითხი. დისტრიბუციასთან დადებული ხელშეკრულების გაუქმების შემდეგ წარმოიშვა სამართლებრივი დავა. დავის საგანი იყო ის თანხა, რომელიც წაღებული ჰქონდათ ქარხნიდან წინა დისტრიბუციებს და ქარხანაში არ იყო ეს თანხა შემოსული. მოცემული დავა დასრულდა მორიგებით.

5. დაზარალებულ ა. წ-ს ჩვენებით, 2004 წლიდან იგი არის შპს „ს-ს“ 100%-იანი წილის მფლობელი. 2007 წლის იანვრის თვეში მან შპს „ს-ს“ 100%-იანი წილი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადასცა ბ. პ-ს კომპანია „კ-ს“. ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრა დაახლოებით 8 700 000 აშშ დოლარით. ვინაიდან ა. წ-ს ბ. პ-ს ჰქონდა კარგი ურთიერთობა, შეთანხმდნენ, რომ თანხას გადაუხდიდა ორი წლის განმავლობაში. ბ. პ-ი გარდაიცვალა ისე, რომ თანხა არ გადაუხდია. გარკვეული პერიოდის შემდეგ კომპანია, რომელიც 2007 წლის იანვრის თვეში წილის გასხვისების ხელშეკრულებით მიჰყიდა კომპანია „კ-ს“, აღმოჩნდა ი. ჩ-ს ფაქტობრივ მფლობელობაში ისე, რომ „კ-ს“ ნაკისრი ვალდებულება მის მიმართ არ შეუხრულებია. ამის

შემდეგ დაიწყო მოლაპარაკებები ი. ჩ-ნ, რათა დაებრუნებინა შპს „ს-ს“ 100%-იანი წილი. მან დავის საწყის ეტაპზე დაიბრუნა აღნიშნული წარმოების 30%, რომელიც გააფორმა თავისი სიძის – თ. ფ-ს სახელზე, ხოლო 70% კვლავ დარჩა სადავო. აღნიშნულთან დაკავშირებით სარჩელით პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნით მიმართა სასამართლოს, რის შემდეგაც 2011 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით იგი კვლავ გახდა შპს „ს-ს“ 100%-იანი წილის მფლობელი.

6. 2011 წლის მარტის დასაწყისში ოჯახთან ერთად იმყოფებოდა ბ-ი, სადაც ი. ბ-ე ტელეფონით დაუკავშირდა და უთხრა, რომ მასთან უნდოდა შეხვედრა. სატელეფონო საუბრიდან რამდენიმე დღეში ი. ბ-ე შეხვდა მას სასტუმრო „კ-ს“ ფოიეში ი. ჩ-ა და დ. ტ-ს დავალებით, რა დროსაც განუცხადა, რომ აპირებდნენ შპს „ს-ს“ შექმნას, რომელსაც „კ-ნ“ შექმნილი ჰქონდა შპს „ს-ს“ 70%-იანი წილი, თუმცა ა. წ-ს გაუკვირდა, როგორ აპირებდნენ აღნიშნული წარმოების შექმნას, რადგან თვითონ იყო 100%-იანი წილის მფლობელი. ასევე უთხრა, რომ 2011 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებაზე მათ მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოში შეტანილ სარჩელს დათანხმებულიყო და უარი ეთქვა თავის სარჩელზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ი. ბ-ე დაემუქრა შვილისა და სიძის დაჭერით და სიცოცხლის ხელყოფით.

7. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ი. ბ-ე კვლავ დაუკავშირდა ისევ იმავე მუქარითა და დაშინებით. საქართველოში ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ თ-ი, ზ-ს ქუჩა №-ში მდებარე ოფისში. ყოველი შეხვედრა დამუქრებით და დაშინებით მიმდინარეობდა.

8. ი. ბ-ე შპს „ს-ს“ 70% წილის გარდა, ასევე მისგან ითხოვდა თ. ფ-ს სახელზე გაფორმებული 30% წილიდან 15% წილის დათმობას. მათი საერთო მოთხოვნა იყო, რომ მიეღოთ შპს „ს-ს“ 85% წილი, რაც იმას ნიშნავდა, რომ გარდა შპს „ს-ს“ კუთვნილი 70% წილისა, თ. ფ-ს კუთვნილი 30%-დან უნდა დაეთმო 15%. წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა, რომ ფინანსურ პოლიციას შეუშვებდა მასთან, ასევე დაემუქრა სიძისა და შვილის დაჭერით და სიცოცხლის ხელყოფით.

9. ა. წ-ს განმარტებით, ი. ბ-მ ტელეფონით დააკავშირა ი. ჩ-ნ, რომელმაც უთხრა, რომ მისი ინტერესი იყო, ასევე ტელეფონით ესაუბრა დ. ტ-ს, რომელსაც ასევე უარი უთხრა წილის დათმობაზე. შემდეგ ერთ-ერთი შეხვედრის დროს ი. ბ-მ გადასცა თავისი ტელეფონი და ალაპარაკა ი. მ-ნ, რომელმაც უთხრა, რასაც გეუბნება, ყველაფერი გააკეთეო. „ცოტა, ისეთი ტონით და

მაშინ უკვე ყველაფერი გასაგები იყო ჩემთვის.“ ა. წ-ა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას ასევე განაცხადა, რომ „მ-ს შემეშინდა მე, თორემ ამათი კი არ შემეშინებია“. ი. მ-ს იგი პირადად იცნობდა, ასევე მაინცაა შეხვედრილი და ამიტომ დარწმუნდა, რომ ტელეფონზე სწორედ იგი ელაპარაკებოდა, თუმცა ისე სწრაფად მოახდინეს ზემოქმედება, რომ ი. მ-ს სიტუაციის გარკვევა ვერ მოასწრო. ა. წ-ა მუქარა რეალურად აღიქვა, რის გამოც იძულებული გახდა, დათანხმებოდა ი. ბ-ს მოთხოვნას. მართალია, გამომძიებაში მიცემულ პირველ ჩვენებაში სიცოცხლის ხელყოფის მუქარა არ აქვს მითითებული, რადგან ის პასუხოვდა გამომძიებლის კითხვებს. ამასთან, „სიცოცხლის ხელყოფის“ მუქარა მას ნახსენები აქვს თავის შემდგომ ჩვენებებში, როცა გამომძიებელმა კითხვა დაუსვა.

10. მოწმის სახით დაკითხვისას თ. ფ-მ აჩვენა, რომ 2011 წლის მარტში იმყოფებოდა ბ-ი ა. წ-ს ერთად. ბ-ი ყოფნის დროს ა. წ-ს ტელეფონზე დაუკავშირდა ი. ბ-ე და უთხრა, რომ მასთან უნდოდა შეხვედრა. სატელეფონო საუბრის შემდეგ ი. ბ-ე შეხვდა მათ ბ-ი სასტუმრო „კ-ს“ ფოიეში და დასხდნენ სასაუბროდ, რა დროსაც ი. ბ-მ უთხრა ა. წ-ს, რომ მისული იყო ი. ჩ-ა და დ. ტ-ს დავალებით, რომელთაც შპს „ს-ს“ შეძენის სურვილი ჰქონდათ და აღნიშნულის გამო ა. წ-ს სააპელაციო სასამართლოში უარი უნდა ეთქვა სარჩელსა და შპს „ს-ს“ 100%-იან ნიღზე, რაზედაც ა. წ-ა უარი განუცხადა, რის შემდეგაც ი. ბ-მ უთხრა, ნუ გავართულებთ სიტუაციას და დაიწყო მუქარა შვილზე, ბიზნესზე. ბ-ი მათ მოუხდათ კონფლიქტი და ი. ბ-ე ხელის კვრით გამოაგდეს. შემდეგ ა. წ-ს ი. ბ-ე ხვდებოდა თ-ი. ერთ-ერთი შეხვედრის დროს ტელეფონით დააკავშირა დ. ტ-ა და ი. მ-ს. ი. მ-ა უთხრა, რასაც გეუბნებიან, ის გააკეთეო. მოწმის ჩვენებით, მარტო ი. ბ-ე, ერთი კაცი, მათ ვერ მოერეოდა, მაგრამ იყვნენ მისი „ამფსონები“, ვინც ეხმარებოდნენ და ამიტომაც ჩათვალეს მუქარად. თ. ფ-ს განმარტებით, „მოგკლავ და ტყვიას დაგახლი“, ასეთი სახის მუქარა არ ყოფილა, მაგრამ ი. ბ-ე ეუბნებოდა: „ნუ გავართულებთ სიტუაციას, გამოიტანეთ სარჩელი, ფინანსური პოლიცია ჩვენს ხელშია, შვილი გყავს“. ასევე იყო სიცოცხლის ხელყოფის მუქარა. თ. ფ-ს განმარტებით, ი. ბ-ე მარტო რომ მისულიყო და არ დაესახელებინა ჩ-ი, ტ-ი და მ-ი, წილს არ გადაუფორმებდა. მიხედვით განმარტებით, მას სიცოცხლის ხელყოფის მუქარასთან დაკავშირებით, გამომძიებლისთვის არ უთქვამს, როგორი კონტექსტითაც იყო კითხვა დასმული, იმ მიმართებით გასცა პასუხი.

11. მოწმის სახით დაკითხვისას ბ. ხ-მ პირველი ინსტანციის სასამართლოში დაადასტურა ის გარემოება, რომ 2011 წლის გა-

ზაფხულზე იმყოფებოდა ბ-ი. მასთან ერთად იმყოფებოდნენ ა. წ-ი და მისი სიძე – თ. ფ-ე მეუღლეებთან ერთად და ცხოვრობდნენ სასტუმრო „კ-ი“. 2011 წლის მარტში ა. წ-ა და თ. ფ-ნ ერთად იმყოფებოდა სასტუმროს ფოიეში, რა დროსაც მივიდა ი. ბ-ე, რომელმაც საუბარი დაიწყო ა. წ-ნ, ხოლო თვითონ დატოვა სასტუმრო. სასტუმროში დაბრუნებისას კი ა. წ-ნ შეიტყო, რომ ი. ბ-ე გამოგზავნილი იყო ი. ჩ-ა და დ. ტ-ს მიერ და ითხოვდნენ მისგან თამბაქოს ქარხნის დათმობას. წინააღმდეგ შემთხვევაში შვილისა და სიძის „აორთქლებით“ ემუქრებოდნენ.

12. მონმის სახით დაკითხვისას ზ. ბ-ა განაცხადა, რომ ა. წ-ნ აქვს სამსახურებრივი ურთიერთობა, რომელიც გადადის ერთმანეთის ნდობაში. 2007 წელს ა. წ-ა შპს „ს-ს“ 100%-იანი წილი მიჰყიდა კომპანია „კ-ს“. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა – 8.760.000 აშშ დოლარი უნდა გადახდილიყო ორი წლის განმავლობაში. საბოლოოდ შპს „ს-ს“ 100%-იანი წილი გადავიდა ი. ჩ-ს ხელში ისე, რომ ა. წ-ს თანხა არავის გადაუხდია, რაც მისთვის ცნობილია ა. წ-ნ. ა. წ-ი ი. ჩ-ნ მოითხოვდა მისი კუთვნილი ქონების დაბრუნებას, რის შედეგადაც მან მიაღწია იმას, რომ შპს „ს-ს“ დათმო შპს „ს-ს“ 30%-იანი წილი ა. წ-ს სასარგებლოდ, რაც სამენარმეო რეესტრში რეგისტრირებულ იქნა მისი სიძის – თ. ფ-ს სახელზე. გარკვეული პერიოდის შემდეგ ა. წ-ი აგრძელებდა წილის დაბრუნებასთან დაკავშირებით მოთხოვნას. ვინაიდან ეს საკითხი გაჭიანურდა, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნით სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. აღნიშნული მოთხოვნა დააკმაყოფილა თბილისის საქალაქო სასამართლომ და გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ მიექცა აღსასრულებლად.

13. 2011 წლის მარტში ა. წ-ი ოჯახთან ერთად იმყოფებოდა ბ-ი. ბ-ნ დაბრუნების შემდეგ ა. წ-ნ შეიტყო, რომ ი. ბ-ე ბ-ი იყო ჩასული მასთან და ი. ჩ-ა და დ. ტ-ს სახელით ითხოვდა მისგან შპს „ს-ს“ 100%-იან წილზე უარის თქმას, რაზედაც ა. წ-ა უარი განუცხადა, რის გამოც, როგორც მისთვის ცნობილია, იყო ა. წ-ა და მისი ოჯახის, ასევე მისი ბიზნესის მიმართ „ანოკების“ მუქარა. ა. წ-ი აღნიშნული მუქარის გამო იძულებული გახდა, დათანხმებოდა მათ მოთხოვნას.

14. 2011 წლის მაისის მეორე ნახევარში ზ. ბ-ი სტუმრად იმყოფებოდა ა. წ-ნ, რა დროსაც ა. წ-ა სთხოვა მასთან დარჩენა, რადგან ი. ბ-ე აპირებდა მისვლას. როდესაც ი. ბ-ე მივიდა, ა. წ-ნ კატეგორიული ტონით ითხოვდა სარჩელის გამოტანას. ა. წ-ა უარი უთხრა და კარისკენ მიუთითა, ამაზე ი. ბ-მ უთხრა მათ: „წაბავთ თქვენ, თუ არ გაიტრუპოთ“. მონმის განმარტებით, ი. ბ-ე

ემუქრებოდა ყველას, ვინც სამსახურებრივად დაკავშირებული იყო ა. ნ-ნ, ვისაც შეხება ჰქონდა სიგარეტის წარმოებასა და დისტრიბუციასთან, მათ შორის – მასაც.

15. მონმე ო. ფ-მ განაცხადა, რომ იყო შპს „პ-ს“-ს დირექტორი, რომელიც შპს „ს-ს“ უწევდა სადისტრიბუციო მომსახურებას. 2011 წლის მაისის დასაწყისში მას დაუკავშირდა თ. ფ-ე და უთხრა, რომ მისულიყო შპს „ს-ი“ ი. ბ-ნ და ხელი მოეწერა შეთანხმების აქტზე შპს „პ-დ“-სა და შპს „ს-ს“ შორის დისტრიბუციასთან დაკავშირებული ხელშეკრულების შეწყვეტაზე. მის კითხვაზე, თუ რა ხდებოდა, თ. ფ-მ უთხრა, რომ „ბიზნესი წაგვართვესო“. ამის შემდეგ შეხვდა თამბაქოს ქარხნის ოფისში ი. ბ-ს, რომელმაც დაახვედრა დაბეჭდილი სახით გამზადებული დოკუმენტი – შეთანხმება „ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე“. შეთანხმების თანახმად, შპს „პ-დ“ და შპს „ს-ა“ თანხმდებოდნენ ხელშეკრულების უპირობო შეწყვეტაზე, მათ შორის – პირგასამტეხლოს მოთხოვნაზე უარის თქმაზეც. ამის შემდეგ დაუკავშირდა ი. ბ-ე და სთხოვა შეხვედრა საკუთარ ბინაში. შეხვედრისას მან იკითხა, თუ როგორ მოხდა ბიზნესში პარტნიორების ჩანაცვლება, რადგან იცოდა, რომ შპს „ს-ს“ 100%-იანი წილის მფლობელი იყო ა. ნ-ი, რაზედაც ი. ბ-მ განუმარტა, რომ ა. ნ-ს ბიზნესი წაართვის, რის შემდეგაც შესთავაზა თანამშრომლობა, რაზედაც თვითონ დათანხმდა. მონმის ჩვენებით, ი. ბ-მ იგი გაათავისუფლა სამსახურიდან. იგი მასზე არის ნაწყენი, ხოლო ა. ნ-ნ აქვს კარგი, მეგობრული ურთიერთობა.

16. მონმე ნ. თ-ა განაცხადა, რომ 2008 წლიდან მუშაობს ა. ნ-ს მდივან-თანამშრომელად. 2011 წლის მარტში ა. ნ-ა გააფრთხილა ი. ბ-ს მოსვლის თაობაზე. ცოტა ხანში მივიდა მამაკაცი, რომელიც გაეცნო როგორც ი. ბ-ე და შეიყვანა ა. ნ-ნ კაბინეტში. მას შემდეგ ა. ნ-ნ ი. ბ-ე რამდენჯერმე, სხვადასხვა დღესაც იყო მისული. მან დაადასტურა ის გარემოება, რომ ა. ნ-ს კაბინეტიდან ი. ბ-ს სტუმრობის დროს ყოველთვის ისმოდა ხმამაღალი საუბარი და იმ პერიოდში ა. ნ-ი ყოველთვის იყო აღელვებული.

17. მონმე ზ. თ-მ განაცხადა, რომ მუშაობდა ა. ნ-ნ დაცვის თანამშრომლად. სტუმრის მოსვლის თაობაზე საქმის კურსში აყენებდა ნ. თ-ი. იგი ხვდებოდა მოსულ სტუმარს და აცილებდა ნ. თ-ს ოთახამდე, ხოლო მას სტუმარი შეჰყავდა ა. ნ-ნ. 2011 წლის მარტში ა. ნ-ს ოფისში ხშირად მოდიოდა ი. ბ-ე. მან დაადასტურა ის გარემოება, რომ ი. ბ-ს სტუმრობის დროს ა. ნ-ი ხშირად იყო აღელვებული.

18. მონმე ი. რ-ა განაცხადა, რომ შპს „ს-ი“ ფლობდა 70% წილს შპს „ს-ი“, დანარჩენი 30% წილის მფლობელი იყო ა. ნ-ს სიძე – თ.

ფ-ე. როგორც მისთვის ცნობილია, კომპანია „კ-ს“ თანხის გადა-
რიცხვის ოპერაცია არ განუხორციელებია. ა. ნ-ა თბილისის სა-
ქალაქო სასამართლოს მიმართა სარჩელით შპს „ს-ი“ 100% წი-
ლის დაბრუნების მოთხოვნით. აღნიშნული სარჩელი დაკმაყო-
ფილდა და შპს „ს-ს“ 100% წილის მფლობელად თბილისის საქა-
ლაქო სასამართლომ აღიარა ა. ნ-ი. მოცემული გადაწყვეტილე-
ბა გასაჩივრდა სააპელაციო წესით. ამის შემდეგ ი. ჩ-ს შესთავა-
ზა შპს „ს-ს“ შექმნა, რომელიც ფლობდა 70% წილს შპს „ს-ი“.
მანვე უთხრა ი. ჩ-ს, რომ აღნიშნულზე მიმდინარეობდა დავა
თბილისის სააპელაციო სასამართლოში. მართალია, პირველ ინ-
სტანციაში სარჩელი დაკმაყოფილდა და ა. ნ-ი გახდა შპს „ს-ს“
100%-იანი წილის მფლობელი, მაგრამ აპელაციის წესით შეიძ-
ლებოდა საწარმოს 70% წილის უკან დაბრუნება, რომელსაც მა-
ნამდე ფლობდა შპს „ს-ი“, რაზედაც იგი დათანხმდა. გაფორმდა
სამმხრივი შეთანხმება ი. ჩ-ს, მასა და ი. გ-ს შორის, რომლის
თანახმადაც, ი.ჩ-ა ი. ჩ-ს შეიძინა 70% წილი შპს „ს-ი“ და სანაც-
ვლოდ უნდა გადაეხადა 2 500.000 აშშ დოლარი, საიდანაც
1.250.000 აშშ დოლარი ეკუთვნოდა ი. გ-ს. მისთვის უცნობია, ი.
გ-მ მიიღო თუ არა აღნიშნული ოდენობის თანხა. თავად კი ხელ-
შეკრულებით გათვალისწინებული თანხა არ მიუღია.

19. მოწმე ა. ა-მ განაცხადა, რომ 2011 წლის ივნისიდან არის
სს „თ-ს“ (იგივე შპს „ს-ა“) დირექტორი, ხოლო ი. ბ-ე – სამეთ-
ვალეურეო საბჭოს თავმჯდომარე. ხსენებული კომპანიის დამ-
ფუძნებლები არიან შპს „ს-ი“ 85% წილით და ა. ნ-ი – 15% წი-
ლით. იგი კურირებს წარმოების პროცესს, ხოლო კომპანიის
სტრატეგიულ მართვას ათანხმებს ი. ჩ-ს. 2011 წლის ზაფხულში
შენყდა ხელშეკრულება შპს „პ-7“-სა და შპს „პ-დ“-ს შორის, რო-
მელიც ახორციელებდა სს „თ-ს“ დისტრიბუციას, რომლის დამ-
ფუძნებელი და მფლობელი იყო ა. ნ-ი. ამის შემდეგ დაფუძნდა
შპს „გ-ა“, რომელმაც დაიწყო აღნიშნული კომპანიის ნაწარმის
დისტრიბუცია.

20. მოწმე დ. ტ-ა განაცხადა, რომ ი. ბ-ს იცნობს და მეგობ-
რობს მასთან. ა. ნ-ს არასდროს შეხვედრია. ბიზნესთან საერ-
თოდ არანაირი შეხება არ ჰქონია და საერთოდ მისთვის უცნო-
ბია, თუ სად მდებარეობს თამბაქოს ქარხანა საქართველოში.

21. მოწმე თ. შ-მ განაცხადა, რომ 2011 წელს დაინიშნა შპს
„ს-ი“ ფინანსურ დირექტორად. მისთვის ცნობილია ა. ნ-ა და თ.
ფ-ნ საწარმოს ხელმძღვანელობის მხრიდან გამართული მოლა-
პარაკებების შესახებ, რომელიც ეხებოდა საწარმოსა და თ. ფ-ს
კუთვნილ სადისტრიბუციო კომპანიებს შორის გაფორმებული
ხელშეკრულების გაუქმებას, ასევე – საწარმოს კუთვნილი სა-

მარკო ნიშნების გასხვისებას. მოლაპარაკებები აგრეთვე ეხებოდა ა. წ-ა და თ. ფ-ს მხრიდან, მისი განმარტებით, დაუსაბუთებელი ვალის მოთხოვნას შპს „ს-ს“ მიმართ. მისთვის ცნობილია, რომ თ. ფ-ს კომპანიას გადახდილი ჰქონდა დაახლოებით ხუთი მილიონ სამოცი ათასი ლარი, ხოლო დანარჩენ თანხაზე შედგა მორიგების აქტი.

22. მოწმე ი. ჩ-ა განაცხადა, რომ 2011 წლის მარტში, ლონდონში ყოფნისას, დაუკავშირდა ი. ჩ-ი და შესთავაზა „ს-ს“ 70% წილის შექენა, რაზედაც უპასუხა, რომ მას სჭირდებოდა დრო, რათა ენახა, იურიდიულად რა მდგომარეობა იყო წარმოებაში, ასევე დაინტერესდა, თუ ვინ იყო ი. ჩ-ს პარტნიორი. მისთვის ცნობილი გახდა, რომ არსებობდა რიგი პროცესუალური დარღვევები, მაგრამ შეთანხმებას მიაღწია ი. ჩ-ა და ი. გ-ნ. პრობლემების წარმოშობა დაიწყო იქიდან, რომ ი. ჩ-ა რაც მიჰყიდა მას, პრაქტიკულად არაფერი არ აღმოჩნდა ადგილზე. მან კონკრეტულ შემთხვევაში წარმოება იყიდა თავისი დისტრიბუციით და დისტრიბუცია ადგილზე არ იყო. დისტრიბუცია უკვე ა. წ-ს ორგანიზაციას ჰქონდა და არა – მას. სამარკო ნიშნები, რომელიც ძირითადი კაპიტალია, ამ ორგანიზაციის აღარ იყო. იგი გადაფორმებული იყო სიმბოლურ ფასად რაღაც ორგანიზაციაზე, რომელსაც ფლობდა ა. წ-ს ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრი. როდესაც მან მოითხოვა, რომ ეს ყველაფერი უნდა დაბრუნებულიყო, ა. წ-ნ მიიღო უარი. მან ადვოკატების დახმარებით სარჩელი შეიტანა 2011 წლის მარტის ბოლოს. ერთ-ერთი სარჩელით ითხოვდნენ 30%-ის „ს-ს“ დაბრუნებას, ვინაიდან ეს გასხვისება მოხდა არასწორად. დისტრიბუციაზე ვერაფერს ვერ მიაღწიეს. მისივე ჩვენებით, დისტრიბუციის მანქანების დაქირავება ხდებოდა იმ კომპანიისგან, რომელსაც ა. წ-ი ფლობდა. თანხას უხდიდნენ, სანამ მოახერხეს სადისტრიბუციო მანქანების ყიდვა. ასევე მოითხოვდა იმ უკანონოდ მითვისებული 30%-ის დაბრუნებას, რაც მას ეკუთვნოდა, თუმცა დიდი კამათითა და საუბრებით, იურისტებისა და აუდიტორების ჩარევით საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ა. წ-ი უარს იტყოდა თერთმეტი მილიონი ლარის მოთხოვნაზე, სანარმოს დაუბრუნდებოდა სამარკო ნიშნები, გაუქმდებოდა დისტრიბუციის შესახებ კაბალური ხელშეკრულება და ა. წ-ნ იყიდა 15%-იან წილს. სანაცვლოდ იგი ა. წ-ს არ მოსთხოვდა დისტრიბუციის დავალიანებას, დაახლოებით – 3.400.000 ან 3.500.000 ლარის ოდენობით, დამატებით გადაუხდიდა ერთ მილიონ აშშ დოლარს და დისტრიბუციის მანქანები დარჩებოდა ა. წ-ს.

23. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეში ბრალდების

მხარის მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული მტკიცებულებები სასამართლოს არ აძლევს ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ ი. ბ-მ ჩაიდინა გამოძალვა, ე.ი. სხვისი ქონებრივი უფლების გადაცემის მოთხოვნა, რასაც თან ერთვის დაზარალებულისა და მისი ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების, მათი ნივთის განადგურების და დაზიანების მუქარა, ჩადენილი დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

24. საკანაცუო პალატა განმარტავს, რომ გამოძალვის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციიდან გამომდინარე, გამოძალვის საგანს წარმოადგენს როგორც ქონება, ისე ქონებაზე უფლება (ხელწერილი, ხელშეკრულება ან სხვა დოკუმენტი), რომლის თანახმადაც, განსაზღვრული ქონებრივი უფლება ან ქონებით სარგებლობა დამნაშავეზე გადადის. გამოძალვის ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება დამნაშავეს მიერ ქონების მესაკუთრის ან ქონების მფლობელის მიმართ მოთხოვნაში, გადასცეს მას ნივთი ან მასზე უფლება, ასევე ქონებით სარგებლობის უფლება.

25. დანაშაულის კონსტრუქციიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ქონების უკანონო მოთხოვნა გულისხმობდეს მის გადაცემას დამნაშავესათვის სასურველი სხვა პირისათვის. ამასთან, ამ მოთხოვნას თან ერთვის დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მუქარა. მუქარა შეიძლება გამოხატული იყოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით, ტელეფონითა და სხვა.

26. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ი. ბ-ს ბრალი დაედო იმაში, რაც 1-ლი ინსტანციის სასამართლომ დამტკიცებულად ცნო, რომ ა. წ-ა და მისი ოჯახის წევრების მიმართ ძალადობის გამოყენების მუქარით, გამოძალვით დაეუფლა დიდი ოდენობით – 110 000-ლარიანი სანესდებო კაპიტალის მქონე შპს „ს-ს“ 85%-იან წილს, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

27. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით უტყუარად დადგენილია ის გარემოება, რომ, მართალია, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. წ-ს მოთხოვნა დაკმაყოფილდა და შპს „ს-ს“ 100% წილის მფლობელი გახდა ა. წ-ი, მაგრამ იმ პერიოდში, როდესაც ბრალდება ედავება ი. ბ-ს ა. წ-ს ქონების გამოძალვას, ა. წ-ს სახელზე

არ ირიცხებოდა საკუთრების უფლებით შპს „ს-ს“ 85 %-იანი წილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, 2011 წლის 22 მარტს ვერ გაფორმდებოდა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ი. ჩ-ს კომპანია „პ-ა“ გახდა შპს „ს-ს“ მესაკუთრე, ხოლო იმავე წლის 24 მარტს ასევე ვერ გაფორმდებოდა 15%-იანი წილის ნასყიდობის ხელშეკრულება თ. ფ-ნ, მაშინ, როდესაც ა. წ-ა სარჩელზე უარი თქვა ამავე წლის 31 მარტს.

28. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს გამოძალვის საგანი და, შესაბამისად, ა. წ-ს საკუთრების უფლებას ვერ მიადგებოდა ზიანი, ვინაიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში ა. წ-ი სადავო ქონებაზე მესაკუთრედ არ ყოფილა აღრიცხული.

29. ბრალდების მხარე და 1-ლი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ცალსახად დადასტურებულად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ი. ბ-ე არის მხოლოდ ის სუბიექტი, რომელმაც გამოსცალა თამბაქოს წარმოების 85%-იანი წილი ა. წ-ს. საქმის მასალებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ ი. ბ-ე დაეუფლა დიდი ოდენობით – 110 000-ლარიანი სანესდებო კაპიტალის მქონე შპს „ს-ს“ 85% წილს. ი. ბ-ს სახელზე არასდროს ყოფილა დარეგისტრირებული საკუთრების უფლებით შპს „ს-ს“ თამბაქოს 85%-იანი წილი, რასაც არც მხარეები ხდიან სადავოდ, ხოლო ბრალდების მხარე მას არ ედავება იმას, რომ მან დაზარალებულს ეს წილი გამოსცალა სხვის სასარგებლოდ.

30. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ გვყავს გამოძალვის ის სუბიექტი, რომელმაც ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, გამოძალვით მიიღო სხვისი ნივთი ან ქონებრივი უფლება.

31. სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაკითხული, დაზარალებულ ა. წ-ა და მოწმე თ. ფ-ს მიერ მიცემული ჩვენებებით, ი. ბ-ე მოქმედებდა ი. ჩ-ა და დ. ტ-ს დავალებით, ხოლო მას შემდეგ, რაც ის არ დაეთანხმა ი. ბ-ს მოთხოვნას სარჩელის გამოტანაზე, მან ის დაალაპარაკა ი. მ-ს, რის შემდეგაც ა. წ-ი იძულებული გახდა, უარი ეთქვა სასამართლოს გადაწყვეტილებით მისთვის მიკუთვნებულ თამბაქოს წარმოების 100%-იან წილზე. საკასაციო პალატის ხდომაზე ბრალდების მხარემ მთლიანად დაუჭირა მხარი მათ ჩვენებებს და აღნიშნა, რომ ი. ბ-ე სძალავდა 85%-იან წილს ა. წ-ს ი. ჩ-ა და დ. ტ-ს სახელით და დავალებით, რასაც მიაღწია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ა. წ-ი დაალაპარაკა ი. მ-ს, რომელმაც უთხრა, რომ დაეჯერებინა ი. ბ-ს და მოქცეულიყო ისე, როგორც ის ეტყოდა.

32. საკასაციო პალატა საყურადღებოდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ი. ბ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების აღწერისას მითითებულია მხოლოდ ი. ჩ-ა და დ. ტ-ს შესახებ, რომ ი. ბ-ე მოქმედებდა მათი სახელითა და დავალებით და სთხოვდა ა. წ-ს, უარი ეთქვა სარჩელზე, მაშინ, როდესაც ი. ბ-ს ბრალი არ წარდგენია ჯგუფურად ჩადენილ გამოძალავაში.

33. ამასთან საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ა. წ-ა და თ. ფ-ს ჩვენებები არ არის სანდო და დამაჯერებლობას მოკლებულია იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ ი. ბ-მ ის ასაუბრა ი. მ-ნ ტელეფონით. ამ საუბრით კი ის დარწმუნდა, რომ ი. ბ-ს მხრიდან მომდინარე მუქარა იყო რეალური, რის გამოც მან უარი თქვა სარჩელზე.

34. საკასაციო პალატა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ, მართალია, ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ბრალდების მხარე დადგენილად არ მიიჩნევს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ი. ბ-მ ის ასაუბრა ი. მ-ნ ტელეფონით, ამ საუბრით კი ის დარწმუნდა, რომ ი. ბ-ს მხრიდან მომდინარე მუქარა იყო რეალური, რის გამოც მან მხოლოდ ამის შემდეგ თქვა უარი სარჩელზე, მაგრამ საკასაციო პალატა ა. წ-ა და თ. ფ-ს ჩვენებების სანდოობის დადგენის მიზნით მსჯელობს ამ გარემოებასთან მიმართებითაც.

35. საქმის მასალებში არ არსებობს ა. წ-ა და ი. მ-ს შორის საუბრის ფაქტის დამადასტურებელი, საკმარის და უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა. გამართლებული ი. ბ-ე კატეგორიულად უარყოფს იმ გარემოებას, რომ მან დაალაპარაკა ა. წ-ი ი. მ-ნ, თავად ი. მ-ი კი მონმის სახით არ არის დაკითხული. საქმეში წარმოდგენილი, ი. ბ-ს მობილურ ტელეფონზე შემავალი და გამავალი ზარების ინფორმაციით, ი. ბ-ს ტელეფონიდან არ განხორციელებულა ზარი ი. მ-ნ, ასევე არც ი. მ-ს ტელეფონიდან განხორციელებულა ზარი ი. ბ-ნ. ამ გარემოებას ადასტურებენ მხოლოდ ა. წ-ი და მისი სიძე – თ. ფ-ე. რაც შეეხება ზ. ბ-ს ჩვენებას, რომ მან ამ საუბრის შესახებ იცის გადმოცემით ა. წ-ნ, არის ირიბი ჩვენება და მას სამართლებრივი შეფასება ვერ მიეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების გათვალისწინებით, ხოლო სხვა პირდაპირი მტკიცებულება, რაც ერთმნიშვნელოვნად დაადასტურებს ა. წ-ა და თ. ფ-ს ჩვენებებს ამ ეპიზოდში, საქმეში არ არსებობს. აღნიშნული კი მიუთითებს ა. წ-ა და თ. ფ-ს ჩვენებების არასარწმუნოებაზე.

36. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ალოგიკური და წინა-

აღმდევობრივია თავად ბრალდების მხარის პოზიცია ა. ნ-ა და ი. მ-ს შორის შემდგარ საუბართან დაკავშირებით.

37. როგორც აღვნიშნეთ, ბრალდების მხარე ბრალდების შესახებ დადგენილებაში დადგენილად არ მიიჩნევს ა. ნ-ა და თ. ფ-ს ჩვენებებში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს იმ ნაწილში, რომ ა. ნ-ა და ი. მ-ს შორის შედგა საუბარი, რამაც ა. ნ-ს განმარტებით, ის იძულებული გახადა, დათანხმებოდა ი. ბ-ს მოთხოვნას. სასამართლოს სხდომაზე კი სახელმწიფო ბრალმძებელი ი. ბ-ს მიერ ჩადენილი ქმედების შეფასებისას ა. ნ-ისა და მონმე თ. ფ-ს ჩვენებებს ამ ნაწილშიც სარწმუნოდ მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ი. ბ-მ საკუთარი ტელეფონით ასაუბრა ა. ნ-ი ი. მ-სთან, რომელმაც უთხრა, რომ ყველაფერი დაეჯერებინა ი. ბ-სთვის და სარჩელი უკან გამოეხმო.

38. საკასაციო პალატა განმარტავს: გარდა იმისა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული პალატას არ აძლევს შესაძლებლობას, დამაჯერებლად მიიღოს ა. ნ-სა და თ. ფ-ს ჩვენებების სანდობა ამ გარემოებასთან მიმართებით, ამასთან, საყურადღებოა, რომ არც ბრალდების მხარემ მიიჩნია მათი ჩვენებები საკმარის მტკიცებულებებად ამ ფაქტის დასადასტურებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ბრალდების მხარე დადგენილად მიიჩნევდა ამ გარემოებას ბრალდების შესახებ დადგენილებაში, თუმცა, მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ბრალმძებელი ბრალდების მხარის მტკიცებულებების შეფასებისას აპელირებდა ამ ფაქტობრივი გარემოების თაობაზეც, რითაც ბრალდების მხარე გაცხდა ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ფარგლებს.

39. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბრალდების მხარემ ასევე ვერ წარმოადგინა საკმარის, თანმიმდევრულ და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ ი. ბ-ე ა. ნ-ს მიმართ ახორციელებდა მისი და მისი ოჯახის წევრების სიცოცხლის ხელყოფის მუქარას, რის გამოც ა. ნ-ა უკან გამოიხმო სარჩელი, კერძოდ:

40. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება ბრალდების მხარის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სამოქალაქო დავა თბილისის საქალაქო სასამართლომ გადაწყვიტა ა. ნ-ს სასარგებლოდ და იგი თბილისის სააპელაციო სასამართლოდან თავისი ნებით სარჩელს უკან არ გამოიხმოდა. საკასაციო პალატა მთლიანად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას და მიაჩნია, რომ მხოლოდ აღნიშნული გარემოება არ არის საკმარისი საფუძველი ი. ბ-ს ბრალეულობის დასადგენად გამოძალვაში. პალატა განმარტავს, რომ სარჩელის გამოხმოება, ასევე მხარეთა მორი-

გება გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით. მხარეებს აქვთ უფლება, აწარმოონ ხელახალი მოლაპარაკება ერთმანეთთან და მე-3 პირებთან, შეაფასონ საქმის გარემოებები და სარჩელი გამოითხოვონ ან დაამთავრონ დავა მორიგებით. თავად ი. ჩ-სა და ი. ბ-ს ჩვენებებით დადგენილია, რომ მათი მხრიდან ა. წ-სთან, ი. ჩ-სა და ი. გ-სთან მიმდინარეობდა მოლაპარაკებები თამბაქოს წარმოების შექმნასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ა. წ-ი უარს იტყოდა თერთმეტი მილიონი ლარის მოთხოვნაზე, საწარმოს დაუბრუნებოდა სამარკო ნიშნები, გაუქმებოდა დისტრიბუციის შესახებ კაბალური ხელშეკრულება და ა. წ-სგან იყიდა 15%-იან წილს. სანაცვლოდ, იგი ა. წ-ს არ მოსთხოვდა დისტრიბუციის დავალიანებას, დაახლოებით – 3.400.000 ან 3.500.000 ლარის ოდენობით, დამატებით გადაუხდიდა ერთ მილიონ აშშ დოლარს და დისტრიბუციის მანქანები დარჩებოდა ა. წ-ს.

41. ბრალდების მხარემ იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ ი. ბ-ე ა. წ-ს მიმართ ახორციელებდა მისი და მისი ოჯახის წევრების სიცოცხლის ხელყოფის მუქარას, ძირითადად წარმოადგინა ორი მტკიცებულება – ა. წ-სა და მისი სიძის – თ. ფ-ს ჩვენებები.

42. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ა. წ-ისა და თ. ფ-ს არათანმიმდევრული და წინააღმდეგობრივი ჩვენებები მათ სარწმუნოებას ეჭვქვეშ აყენებს და დამაჯერებლად ვერ ადასტურებს ი. ბ-ს ბრალეულობას.

43. საკასაციო პალატა საყურადღებოდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ გამოძიების პირველ ეტაპზე, მოწმის სახით დაკითხვისას, რაც გამოკვლეული იქნა 1-ელი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე, ა. წ-ი არ უთითებს იმის შესახებ, რომ ი. ბ-ს მხრიდან მის მიმართ ადგილი ჰქონდა სიცოცხლის ხელყოფის მუქარას მისი და მისი ოჯახის წევრების მიმართ, მხოლოდ უთითებს იმ გარემოებაზე, რომ ი. ბ-ე ეუბნებოდა ფინანსური პოლიცია შევიდოდა მასთან ბიზნესში და პრობლემებს შეუქმნიდნენ. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული, გამოძალვის საკანონმდებლო დეფინიციიდან გამომდინარე, არ ქმნის გამოძალვის შემადგენლობის ნიშნებს, კერძოდ, გამოძალვის დროს მოთხოვნას უნდა ერთვოდეს დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების, რაშიც მოიაზრება ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობა, ან მათი ნივთის განადგურების მუქარა ან დაზიანების ანდა მათთვის სახელის გამტეხი ცნობის გახმაურების ან სხვა ისეთი ცნობის გავრცელების მუქარა, რომელმაც შეიძლება არსებითად დააზიან-

ნოს მათი უფლებები, რასაც აღნიშნულ განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა.

44. გამოძიების პირველ ეტაპზე, ანალოგიურს უჩვენებს თ. ფ-ე, ხოლო შემდეგ ჩვენებებში და სასამართლოშიც ჩვენების მიცემის დროს როგორც ა. წ-ა, ასევე თ. ფ-მ აჩვენეს, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა სიცოცხლის ხელყოფის მუქარას.

45. სასამართლო პროცესზე, დაცვის მხარის შეკითხვაზე, ა. წ-მა განმარტა, რომ გამომძიებელს მისთვის კითხვა არ დაუსვამს და ამიტომ არ უჩვენა, რომ მის მიმართ ხორციელდებოდა სიცოცხლის ხელყოფის მუქარა. საყურადღებოა, რომ მისივე განმარტებით, რასაც ასევე ადასტურებს მისი სიძე – თ. ფ-ე, მას არ შეშინებია ი. ბ-ს, პირიქით თ. ფ-ს ჩვენებით, ის ბ-ი შეხვედრის შემდეგ ხელის კვრით გააგდეს, მხოლოდ მაშინ, როდესაც ა. წ-ი შეაშინეს სიცოცხლის ხელყოფის მუქარით მისი და მისი ოჯახის წევრების მიმართ და როდესაც საქმე მის ოჯახს შეეხო, რა დროსაც ის „ცოტა სუსტია“, ის ოჯახის წევრების სიცოცხლეს ვერ დააყენებდა ეჭვქვეშ. მართალია, მას მისი სიძე, თ. ფ-ე ურჩევდა, არაფერი გადაეხადათ და ქვეყანა დაეტოვებინათ. მაგრამ მას მიაჩნდა, რომ მათ უნდა „ჩაჰყოლოდა“, რადგან ისინი დიდხანს მაინც ვერ გაძლებდნენ და დღეს თუ ხვალ შეძლებდა მათ წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებას და ქონების უკან დაბრუნებას, რის გამოც მან უარი თქვა სარჩელზე.

46. საკასაციო პალატა ძალადობის მუქარის ფაქტის დადასტურებას საფუძვლად ვერ დაუდებს ა. წ-სა და თ. ფ-ს წინააღმდეგობრივ და არათანმიმდევრულ ჩვენებებს.

47. ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მათი ჩვენებების არასანდოობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ თუ ი. ბ-ე ა. წ-ს ემუქრებოდა მისი და მისი ოჯახის წევრების სიცოცხლის ხელყოფით და ის ამის გამო გახდა იძულებული, უარი ეთქვა სარჩელზე, ბუნებრივია საქმის წარმოების პირველ ეტაპზე მიცემულ ჩვენებებში როგორც ა. წ-ი, ასევე მისი სიძე, თ. ფ-ე ამის თაობაზე აუცილებლად მიუთითებდნენ და არ დაავიწყდებოდათ იმ შემთხვევაშიც კი, გამომძიებელს რომც არ დაესვა კითხვა, რითაც არსებითი განხილვის დროს მიცემულ ჩვენებაში ისინი ხსნიან მათ ჩვენებებს შორის არსებულ ამ წინააღმდეგობას. ამდენად, ასევე ყოველგვარ დამაჯერებლობას მოკლებულია მათი ზემოაღნიშნული განცხადება.

48. სასამართლო ასევე საყურადღებოდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რასაც ასევე მხარეები არ ხდიან სადავოდ, რომ ა. წ-ს და ი. ბ-ს შეხვედრები ხდებოდა ა. წ-ს კაბინეტში. ა. წ-მა წინასწარ იცოდა ი. ბ-ს მასთან ვიზიტის თაობაზე. თ. ფ-ს ჩვენებით, ა.

ნ-ს კაბინეტი აღჭურვილი იყო ვიდეოკამერებით, რაც საუკეთესო საშუალება იქნებოდა მათი საუბრის ჩასაწერად, თუმცა, რატომღაც ა. ნ-მა ეს საშუალება არ გამოიყენა, რათა შემდეგ უტყუარად დაედასტურებინა მის მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტი, როცა, მისივე ჩვენებით, ის აპირებდა მომავალში მათ წინააღმდეგ ბრძოლას და ქონების უკან დაბრუნებას. მან არა მარტო არ გამოიყენა ეს ტექნიკური საშუალება, არამედ ასევე არ მიმართა შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს მის მიმართ უკანონო მოქმედების განხორციელების თაობაზე.

49. ყოველივე აღნიშნული სასამართლოს უქმნის შთაბეჭდილებას, რომ ა. ნ-ი და თ. ფ-ე არ არიან გულახდილები, ხოლო მათი ჩვენებები, არათანმიმდევრული და წინააღმდეგობრივი შინაარსის გამო, ვერ მიიჩნევა იმ ურთიერთშეთავსებად, დამაჯერებელ და აშკარა მტკიცებულებათა ერთობლიობად, რაც დაედება საფუძვლად გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ი. ბ-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას.

50. ამასთან, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სახელმწიფო ბრალმდებლის განმარტებას და მოსაზრებას საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოს აქვს შესაძლებლობა, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის დროს გამოიყენოს ირიბი ჩვენება მტკიცებულების სახით.

51. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მართალია, საკონსტიტუციო სასამართლომ არ იმსჯელა 76-ე მუხლის მესამე ნაწილზე (საკანონმდებლო რედაქციის შეცვლის გამო), მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოს როგორც სამოტივაციო, ისე სარეზოლუციო ნაწილებიდან გამომდინარე, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი რა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76-ე მუხლით განსაზღვრული (2013 წლის 14 ივნისის რედაქცია) მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას, – სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, გამოიყენოს ირიბი ჩვენება მტკიცებულების სახით მანამ, სანამ საკანონმდებლო ორგანო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მომავალში არ შეიტანს შესაბამის ცვლილებებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე.

52. შესაბამისად, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძ-

ლებლობას, სამართლებრივი შეფასება მისცეს ო. ფ-ს, ბ. ხ-ა და ზ. ბ-ს ჩვენებებს იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რაც მათთვის გახდა ცნობილი თამბაქოს ბიზნესთან დაკავშირებით.

53. რაც შეეხება მოწმე ზ. ბ-ს ჩვენებას, რომ ის იყო ა. წ-ის და ი. ბ-ის ერთ-ერთი შეხვედრის უშუალო მონაწილე, რა დროსაც ი. ბ-მ ა. წ-ს უთხრა, რომ „ნახავთ თქვენ, თუ არ გაიტრუპოთო“, ამასთან დაკავშირებით პალატა განმარტავს, რომ თავად ზ. ბ-ს ჩვენებით, ის შეესწრო ა. წ-ს და ი. ბ-ს შორის საუბარს მაისის მეორე ნახევარში. აღსანიშნავია, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებით ი. ბ-ს ედავებიან მხოლოდ 2011 წლის მარტში ჩადენილ გამოძახებაზე, რაც დასრულდა 2011 წლის 31 მარტს, როდესაც ა. წ-მა უარი თქვა სარჩელზე. შესაბამისად, მაისის ეპიზოდში თუ რა მოხდა ა. წ-სა და ი. ბ-ს შორის, ამას ბრალდების მხარე ი. ბ-ს არ ედავება და, შესაბამისად, ამ დროს მათი საუბრის შესახებ მოწმე ზ. ბ-ს ჩვენებას სასამართლო ვერ მისცემს სამართლებრივ შეფასებას მარტში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ა. წ-სა და ი. ბ-ს შორის.

54. საქმეზე დაკითხული მოწმეების – ნ. თ-ა და ზ. თ-ს ჩვენებებთან მიმართებით საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას და განმარტავს, რომ ისინი ადასტურებენ მხოლოდ ი. ბ-ს სტუმრობას ა. წ-თან, რასაც არც თავად გამართლებული ი. ბ-ე უარყოფს, ხოლო ის ფაქტი, რომ ი. ბ-ს სტუმრობისას ა. წ-ის კაბინეტიდან ისმოდა ა. წ-ის ხმამაღალი საუბარი და ის იყო სახეზე აწითლებული და განერვიულებული, ერთმნიშვნელოვნად არ ადასტურებს ი. ბ-ს მიერ რაიმე სახის დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ფაქტს.

55. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გარდა ზემოაღნიშნული სამართლებრივი შეუსაბამობებისა საქმეზე დადგენილ და ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს შორის, საქმეზე გამოკვლეული და მითითებული მტკიცებულებების საფუძველზე, ი. ბ-ს მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დადასტურებულად და საფუძველად დაედოს მის მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს.

56. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

57. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, „მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურ-

დება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ“.

58. ამავე კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად „გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი.

59. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბრალდების მხარეს არ მოუპოვებია უტყუარ და დამაჯერებელ მტკიცებულებათა საკმარისი ერთობლიობა, რომელიც დაადასტურებდა ი. ბ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, პირველი ინსტანციის სასამართლომ მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი არ გადაწყვიტა ბრალდებულის სასარგებლოდ, რაც საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნაა.

60. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა სახეზე არ არის. ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.

61. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი ი. ბ-ს მიმართ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და

დაადგინა:

1. საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორ მ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 13 ოქტომბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო სასამართლო

№493აპ-14

25 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ომხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ ლ. მ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ხ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 4 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 20 ივნისის განაჩენით ლ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 331-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2. ლ. მ-ს სასჯელის მოხდა უნდა დაენდოს განაჩენის აღსრულების მიზნით მისი ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში უნდა ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2013 წლის 12 სექტემბრიდან 2013 წლის 28 ოქტომბრის ჩათვლით.

3. ლ. მ-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა. გირაოს შემტან პირებს განაჩენის აღსრულებიდან ერ-

თი თვის ვადაში სრულად უნდა დაუბრუნდეთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა (გირაოს შეტანის დროს არსებული კურსის გათვალისწინებით).

4. 3 ცალი CD დისკი, რომელიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შენახულ უნდა იქნეს საქმის შენახვის ვადით.

5. განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ლ. მ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, რაც გამოიხატა შემდეგში:

2013 წლის 12 სექტემბერს ლ. მ-ა დარეკა ნომერზე 112 და განაცხადა, რომ თ-ი, ს. ე-ს ქ. №-ში მდებარე ტელეკომპანია „რ-ს“ შენობაში დამონტაჟებული იყო ასაფეთქებელი მოწყობილობა, რაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს. აღნიშნულით ხელი შეეშალა ტელეკომპანია „რ-ს“ სრულფასოვან ფუნქციონირებას, რითიც მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

6. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 4 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად, კერძოდ:

ლ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 331-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

7. მსჯავრდებულ ლ. მ-ს სასჯელის მოხდა დაენყო ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან – 2014 წლის 20 ივნისიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2013 წლის 12 სექტემბრიდან 2013 წლის 28 ოქტომბრის ჩათვლით.

8. ლ. მ-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია, ხოლო გირაოს შემტან პირებს განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში სრულად უნდა დაუბრუნდეთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა (გირაოს შეტანის დროს არსებული კურსის გათვალისწინებით).

9. 3 ცალი CD დისკი, რომელიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შენახულ უნდა იქნეს საქმის შენახვის ვადით.

10. მსჯავრდებულ ლ. მ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ხ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 4 ნოემბრის განაჩენის გაუქმებასა და ლ. მ-ს გამართლებას.

25. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ ლ. მ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ხ-ა ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები. მან მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება, რასაც დაეთანხმა მსჯავრდებული ლ. მ-ი.

26. საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორებმა დ. კ-მა და ი. ც-მ ვრცლად მიმოიხილეს საქმის მასალები და იშუამდგომლეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 4 ნოემბრის განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქმის მასალებით უტყუარად დადგენილია ის გარემოება, რომ 2013 წლის 12 სექტემბერს ნომერზე 112 შევიდა შეტყობინება იმის თაობაზე, რომ ტელეკომპანია „რ-ს“ შენობაში დამონტაჟებული იყო ასაფეთქებელი მოწყობილობა, რაც შემონების შედეგად არ დადასტურდა, ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სიმართლეს.

3. მოწმე ე. მ-ს მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ ის არის 112-ის თანამშრომელი. 2013 წლის 12 სექტემბერს, დილის საათებში, დაახლოებით 1030 საათისთვის, 112-ში შევიდა ზარი. უცნობმა მამაკაცმა, რომელმაც არ დაასახელა თავისი ვინაობა, უთხრა, რომ „რ-ს“ შენობაში იყო ბომბი, რომელიც 1 საათში უნდა ამოქმედებულიყო. მის კითხვაზე, თუ რომელი შენობა იყო, ახალი თუ ძველი, უცნობმა უპასუხა, რომ „რ-ს“ ახალ შენობას გულისხმობდა. მისამართის დაზუსტებაზე კი უპასუხა, რომ ეს თავად გაერკვიათ, ხოლო სახელისა და გვარის დაზუსტებაზე ტელეფონი გათიშა. სტანდარტის მიხედვით, მოწმემ ცვლის უფროსს მოახსენა ზარის შესახებ და პროგრამულად გადასცეს დისპეტჩერს, რომელსაც უშუალოდ აქვს კონტაქტი საპატრულო ეკიპაჟთან და ოცმეთაურთან. დაფიქსირდა, რომ იყო მამაკაცი, ხმის მიხედვით, სავარაუდოდ, 40-50 წლის, საკონტაქტო ინფორმაცია იყო „მაგთის“ ინ-

დექსი – . 112-ზე შესული ზარები ინერება, რომელსაც ცვლის უფროსი უსმენს.

4. მოწმე ზ. კ-ს ჩვენებით დადგინილია, რომ ის არის ტელეკომპანია „რ-ს“ მთავარი იურისტი. 2013 წლის 12 სექტემბერს, დილის საათებში, გაიგო სატელეფონო ზარის შესახებ, რომელიც ეხებოდა ტელეკომპანია „რ-ი“ ნაღმის არსებობას. 12 საათისთვის, როდესაც მიბრუნდა სამსახურში, თანამშრომლები გარეთ დახვდნენ, თუმცა ამ დრომდე ტელევიზიით უკვე გაგებული ჰქონდა მომხდარის შესახებ. ტელეკომპანიის პერიმეტრს აკონტროლებდა საპატრულო პოლიცია, ასევე მოსული იყვნენ გამნაღმველები, რომლებიც დაახლოებით 09³⁰-15⁰⁰ საათებში მუშაობდნენ და შენობაში არავის არ უშვებდნენ. შენობა პარალიზებული იყო. გამნაღმველებმა დაადგინეს, რომ შენობაში ბომბი არ იყო, შესაბამისად, ადგილი ჰქონდა ცრუ შეტყობინებას, რამაც შეაფერხა კომპანიის მუშაობა. იმ დროისათვის უნდა გასულიყო ეთერში გადაცემა, რაც ვერ გავიდა, ასევე – რეკლამები, რომლებიც „რ-ს“ შემოსავლის წყაროს წარმოადგენს.

5. შსს-ს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილების დეტექტივ-გამომძიებელ ლ. ც-ს 2013 წლის 12 სექტემბრის პატაკის თანახმად ირკვევა, რომ ოპერატიულად მოპოვებული ინფორმაციით, 2013 წლის 12 სექტემბერს საქართველოს საგანგებო მთავარ ცენტრში შევიდა სატელეფონო ზარი ნომრიდან. მამაკაცმა განაცხადა, რომ ტელეკომპანია „რ-ში“ არის ნაღმი. აღნიშნული ტელეფონით სარგებლობს ლ. მ-ი, რომელიც უნდა იმყოფებოდეს დროებით საცხოვრებელ მისამართზე, თ-ი, ნ-ს ქ. კორპ. ..., ბინა №-ში.

6. მოწმე ლ. ც-ს ჩვენებით, 2013 წლის 12 სექტემბერს ვაკე-საბურთალოს მეორე განყოფილებაში, მორიგე ჯგუფში ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, რა დროსაც განყოფილებაში შევიდა შეტყობინება ტელეკომპანია „რ-ს“ შენობაში ბომბის არსებობის შესახებ. ოპერატიულ ჯგუფთან ერთად გავიდა ადგილზე, მოპოვებულ იქნა ოპერატიული ინფორმაცია დანაშაულის ჩამდენი პირის შესახებ. მან დაადგინა დანაშაულის ჩამდენი პირი, მისი საცხოვრებელი ადგილი, ტელეფონის ნომერი და ეს პირი იყო ლ. მ-ი.

7. მოწმე ნ. მ-ს ჩვენებით, ის არის შსს-ს ვაკე-საბურთალოს რაიონული სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილების დეტექტივის თანაშემწე გამომძიებელი. 2013 წლის 12 სექტემბერს განყოფილებაში შევიდა შეტყობინება. დაიწყო გამოძიება, რის შედეგადაც გავიდნენ შემთხვევის ადგილზე – ტელეკომპანია

„რ-სთან“. შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად განმანაღმველმა სამსახურმა ვერაფერი აღმოაჩინა. დეტექტივმა ლ. ც-ამ მიიღო ოპერატიული ინფორმაცია. იგი დაკითხულ იქნა აღნიშნულ საკითხზე, რის საფუძველზეც დააკავეს შესაძლო დანაშაულის ჩამდენი პირი – ლ. მ-ი. დაკავებული დაკითხა მ. ი-მ, წაუყენა ბრალი, დათვალიერდა ნივთმტკიცება. მოწმემ დაადასტურა, რომ მან მიიღო მონაწილეობა ლ. მ-ს დაკავებაში და მას ფორმა ეცვა. ლ. მ-ი იმყოფებოდა მეუღლესთან ერთად და მისთვის უცნობია, თუ ვინ წაიყვანა ნ. კ-ე. ლ. მ-ი დააკავა თანამშრომელ გ. ტ-თან ერთად. ოპერატიულ ჯგუფში შედიოდნენ ასევე სხვა თანამშრომლებიც, თუმცა მან ლ. მ-ი დააკავა გ. ტ-თან ერთად.

8. 2013 წლის 12 სექტემბრის გამოძიების აღრიცხვის ბარათით, შეტყობინებებით დანაშაულის შესახებ, 2013 წლის 12 სექტემბრის შს სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრის სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის განაღმვის სამმართველოს თანამშრომლის მიერ შედგენილი შემონმების ოქმის თანახმად, დათვალიერდა და შემონმდა სამაუწყებლო კომპანია „რ-ს“ შენობაში განთავსებული ოთახები, კაბინეტები, სტუდიები, საპირფარეშოები, სხვენი და სარდაფი. შემონმდა ძაღლებით ვიზუალურად შენობის გარე პერიმეტრი, თუმცა რაიმე სახის ასაფეთქებელი მოწყობილობა ან ნივთიერება არ აღმოჩნდა.

9. 2013 წლის 12 სექტემბრის შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის თანახმად, შემთხვევის ადგილი მდებარეობს თ-ი, ს-ს ქ. №-ში, კერძოდ, ეს არის ტელეკომპანია „რ-ს“ შენობა, რომლის შემონმების შედეგადაც რაიმე ასაფეთქებელი მოწყობილობა ან ნივთიერება ვერ იქნა აღმოჩენილი.

10. ასევე არ არის სადავო და ცალსახად დადგენილია ის გარემოება, რომ მსჯავრდებული ლ. მ-ი სარგებლობდა იმ მობილური ტელეფონით, რომლითაც განხორციელდა ზარი 112-ში. თავად ლ. მ-ი არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ ის სარგებლობს აღნიშნული მობილური ტელეფონით და 2013 წლის 12 სექტემბერსაც სარგებლობდა ამ ტელეფონით.

11. მოწმე მ. ი-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ის არის შსს-ს ვაკე-საბურთალოს რაიონული სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილების გამომძიებელი. მოცემულ საქმესთან დაკავშირებით მან ჩაატარა საგამოძიებო მოქმედებები, კერძოდ, ბრალდებულის დაკითხვა, ასევე ნ. კ-ა და ბრალდებულის გერის დაკითხვები. ნ. კ-ს დაკითხვისას წარდგენილ იქნა ბრალდებულის მობილური ტელეფონი, რომელიც მ. ი-მ დაათვალიერა. დაკავე-

ბის დღეს გამოიძახა სასწრაფო დახმარება, რადგან ნ. კ-ე გახდა ცუდად, თუმცა ეს იყო მის დაკითხვამდე თუ დაკითხვის შემდეგ, ვერ იხსენებს, ისევე როგორც იმ ფაქტს, თუ რა მედიკამენტები იქნა გამოყენებული.

12. თავად მონწილე ნ. კ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ აღნიშნული მობილური ტელეფონით სარგებლობდა მისი მეუღლე ლ. მ-ი. მითითებულ დღესაც ტელეფონი ჰქონდა მეუღლეს, რომელმაც შემდეგ მას გადასცა შესაძლებლად. მას მობილური ტელეფონი ჰქონდა ჩანთაში.

13. გამომძიებელ მ. ი-ს მიერ 2013 წლის 12 სექტემბერს შედგენილი დათვალიერების ოქმის თანახმად, დათვალიერდა „ნოკიას“ ფორმის მობილური ტელეფონი. საგამომძიებო მოქმედების დაწყებამდე პირს, ვისთანაც ტარდება დათვალიერება – ამ შემთხვევაში ნ. კ-ს – წარედგინა დადგენილება დათვალიერების შესახებ, განემარტა უფლება, გამოეთქვა შენიშვნა, დამატება ან შესწორება, რაც აისახება ოქმში. ამასთან, ნ. კ-მ განაცხადა თანხმობა ნებაყოფლობით წარედგინა ამოსაღები ნივთი. ტელეფონს აქვს ორი იმეი კოდი: მასში მოთავსებულია სიმბოლოატი ნარწერიოთ – „წარმოადგენს მაგთიკომის საკუთრებას“.

14. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ ლ. მ-ს ჩვენებას იმ ნაწილში, რომ, მართალია, 2013 წლის 12 სექტემბერს ის სარგებლობდა აღნიშნული მობილური ტელეფონით, მაგრამ მას ამ მობილური ტელეფონიდან არ დაურეკია 112-ში.

15. მსჯავრდებულ ლ. მ-ს ჩვენებით, ის სარგებლობს და 2013 წლის 12 სექტემბერსაც სარგებლობდა მობილური ტელეფონით, რომლის ნომერია. 2013 წლის 12 სექტემბერს, 09:20 საათზე, ჩავიდა მალაზიაში ერთჯერადი ყავისა და ფუნთუშების საყიდლად, თან წაიღო ნაგვის პარკი. მე-5 კორპუსთან იდგა მისთვის უცნობი ახალგაზრდა ბიჭი, რომელმაც დარეკვა სთხოვა. მან უთხრა, რომ ტელეფონზე ანგარიში არ ჰქონდა, რაზეც უცნობმა უპასუხა, რომ სასწრაფო უნდა გამოეძახებინა. მან მიანოდა მობილური, თვითონ მივიდა ნაგვის გადასაყრელად, დაბრუნდა, გამოართვა მობილური, შევიდა მალაზიაში და ავიდა სახლში. დაახლოებით 1-2 წუთში დაურეკეს საპატრულოდან და ჰკითხეს, სასწრაფო მან გამოიძახა თუ არა. მან უპასუხა, რომ უცნობს დაარეკვინა. ტელეფონში იკითხეს, შეჯახება ხომ არ იყო მომხდარი, რაზეც მან უპასუხა, რომ მსგავსი არ უნახავს. დაახლოებით 2 საათში კვლავ დაურეკეს და უთხრეს, რომ „საპატრიარქოს“ ტელევიზიასთან ახლობელი ქალი იყო ცუდად და მიეკითხა. მან გათიშა ტელეფონი და დააპირა მისვლა, თან მეუღლეს სთხოვა გადაერეკა და გაერკვია, რაზეც უთხრეს, რომ შეეშა-

ლათ. შემდეგ ისევ შევიდა ზარი და უთხრეს, რომ გასაღები ჩა-
ეგდოთ. დაახლოებით 1430 საათზე გამოვიდა მეუღლესთან ერ-
თად სახლიდან, სადაც შეხვდნენ მისთვის უცნობი პირები, რომ-
ლებიც მიესალმნენ. მან უთხრა, რომ ეშლებოდათ, რადგან არ
იცნობდა, მაგრამ პასუხად მიიღო, რომ ისინი იცნობდნენ, რის
შემდეგაც გაიგო ხმა – „არ გაინძრეთ, პოლიციაა“. დაახლოებით
იყო 6-7 პოლიციის თანამშრომელი, მისთვის არ განუმარტავთ
უფლებები, ან მიზეზი, თუ რატომ მიჰყავდათ. სთხოვეს ტელე-
ფონი, მან უთხრა, რომ მეუღლეს ჰქონდა, შემდეგ მეუღლეს
უთხრა, რომ მიეცა მათთვის მობილური ტელეფონი, მეუღლემ
შეაყოვნა ტელეფონის მიცემა, რის გამოც 2-3 ადამიანი ართმე-
და მას ჩანთას. ერთ-ერთი მათგანი, როგორც შემდეგ გაიგო, იყო
უფროსი დ. დ-ი. ის და მისი მეუღლე ჩასხეს ავტომანქანებში და
წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც ესმოდა მეუღლის
ტირილი და ყვირილი. შემდეგ მეუღლის თავისუფლების სანაც-
ვლოდ აღიარა დანაშაული, რადგან ის ხანგრძლივად ჰყავდათ
განყოფილებაში. მიუხედავად ამისა, მისი მეუღლე არ გაუშვი-
ათ. ის დაკითხა ნ. მ-მ, ხოლო გამოძიებელი მ. ი-ე ბეჭდავდა
ჩვენებას. დაახლოებით საათ-ნახევრის შემდეგ მოუწერა ხელი
ჩვენებებზე, დაადეს ხელბორკილი და გადაიყვანეს ვაკე-საბურ-
თალოს რაიონის პოლიციის სამმართველოში. მისი გაყვანისას
მეუღლე გახდა ცუდად და სასწრაფო გამოიძახეს. შემდეგ მიიყ-
ვანეს მოდულის შენობაში. შემდგომში ნ. მ-ს სთხოვა ახალი ჩვე-
ნების მიცემა. ამ დროისათვის უკვე ჰყავდა ადვოკატი, თუმცა
2013 წლის 19 სექტემბერს ნ. მ-მ ჰკითხა, ადვოკატმა ძალით
დაანერინა ჩვენება თუ ნებაყოფლობით მისცა. მან ასევე უთ-
ხრა, რომ შეეძლო იმ პირის ამოცნობა, ვინც ტელეფონი გამო-
ართვა. აღნიშნული ასევე უთხრა 20 სექტემბერს მ. ი-საც.

16. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მი-
ერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობაში ურთი-
ერთშეჯერებისა და ანალიზის შედეგად დამაჯერებლად დას-
ტურდება ის გარემოება, რომ ლ. მ-ა ჩაიდინა ტერორიზმის შე-
სახებ ცრუ შეტყობინება – მან დარეკა 112-ში, გაგზავნილი ინ-
ფორმაცია არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, რითაც შეაფერხა
„რ-ს“ მუშაობა.

17. თავად მსჯავრდებულ ლ. მ-სა და მისი მეუღლის ჩვენე-
ბებით ცალსახად დადგენილია, რომ მობილური ტელეფონი, სა-
იდნაც განხორციელდა ზარი 112-ში, ეკუთვნის ლ. მ-ს და დრო-
ის იმ შუალედში, რა დროსაც მოხდა ეს ფაქტი, ის სარგებლობ-
და ამ მობილური ტელეფონით.

18. საქმეზე წარმოდგენილი ფონოსკოპიური ექსპერტიზე-

ბის დასკვნებითა და სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული ექსპერტების – ე. კ-ა და ა. მ-ს ჩვენებებით ცალსახად დასტურდება ის გარემოება, რომ აღნიშნული მობილური ტელეფონიდან დარეკა არა უცნობა პირმა, არამედ თავად მსჯავრდებულმა ლ. მ-მ.

19. 2013 წლის 19 სექტემბრის ნიმუშის აღების ოქმის თანახმად, ხმის ნიმუშის აღებაზე თანხმობა განაცხადა ბრალდებულმა ლ. მ-მ. ხმის ნიმუშის აღება მოხდა სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულებაში და მისმა ხანგრძლივობამ შეადგინა 05:06 წუთი.

20. 2013 წლის 21 ოქტომბრის ნივთიერი მტკიცებულების გახსნისა და დათვალიერების ოქმის თანახმად, ნ. მ-მ გახსნა პაკეტები და მასში მოთავსებული CD დისკებიდან დაკოპირებულ იქნა ლ. მ-ს ხმის ნიმუში და 112-ის ჩანაწერი, რის შემდეგაც დისკები კვლავ დაილუქა.

21. მოწმის სახით დაკითხული ე. კ-ს მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენების თანახმად, იგი არის საქართველოს შსს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ფონოსკოპიური და ვიდეო-ტექნიკური ექსპერტიზის განყოფილების მთავარი ექსპერტი. დანიშნული იყო ფონოსკოპიური ექსპერტიზა. მან სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულებაში ბრალდებულისაგან აიღო ხმის ნიმუში. გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ არსებული ჩანაწერი ტექნიკური თვალსაზრისით არის თავსებადი, ანუ სადავო ფონოგრამასთან ეტალონური ფონოგრამა არის იდენტური, ხოლო ლინგვისტური ანალიზის ჩატარება შეუძლებელია, რადგან მასალა არასაკმარისი იყო. ლინგვისტური და ტექნიკური ანალიზი ერთმანეთს ავსებს, მაგრამ მარტო ტექნიკური თვალსაზრისითაც ხდება იდენტურობის დადგენა. ტექნიკური თვალსაზრისით დასკვნა არის 100%-იანი.

22. მოწმის სახით დაკითხული ა. მ-ს მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ ის არის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტი. მან დაადასტურა მის მიერ 2013 წლის 21 ნოემბერს გაცემული ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, ექსპერტიზაზე წარდგენილი სადავო ფონოგრამა ნაწილობრივ ვარგისია პიროვნების იდენტიფიკაციისათვის, ხოლო წარდგენილი ლ. მ-ს ხმის ნიმუში ვარგისია ხმის მიხედვით პიროვნების იდენტიფიკაციისათვის. სადავო ფონოგრამაზე არ აღინიშნება რაიმე სახის მონტაჟის კვალი. ჩატარებული კომპლექსური გამოკვლევების შედეგებიდან გამომდინარე დადგინდა, რომ სადავო ფო-

ნოგრამაზე დაფიქსირებული დიქტორის ხმა და ეტალონურ ფონოგრამაზე დაფიქსირებული ლ. მ-ს ხმის ნიმუში სავარაუდოდ ეკუთვნის ერთსა და იმავე პიროვნებას. ექსპერტმა განმარტა, რომ ჩატარებულ ანალიზებზე დაყრდნობით არ არის შესაძლებელი, რომ ეს ხმა ეკუთვნოდეს სხვა პირს. მონმემ დასკვნაში აღნიშნულ ტერმინზე „სავარაუდო“ სასამართლოს მისცა განმარტება და განაცხადა, რომ „სავარაუდო“ ნიშნავს იმას, რომ მოცემული მონაცემებით ყველა თანადამთხვევა არსებობს, მაგრამ რადგან მცირე ნიუანსებით სრულად ვერ მოხდა გამოკვლევა, მიუთითეს სიტყვა „სავარაუდო“. მანვე დაამატა და განაცხადა, რომ ის, როგორც საქართველოში ყველაზე დიდი გამოცდილების მქონე ექსპერტი ამ სფეროში, გამოიციხავს, რომ არსებული მოცემულობიდან გამომდინარე, არ არის შესაძლებელი, რომ ეს ხმა ეკუთვნოდეს სხვა პირს. ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილ სადავო ფონოგრამაში მითითებული ხმა და ლ. მ-ს ხმის ნიმუში ეკუთვნის ერთსა და იმავე პირს. სხვა პირის შემთხვევაში დასკვნაში დაინერგებოდა კატეგორიულად, რომ ხმები არ ეკუთვნის ერთსა და იმავე პიროვნებას, მანვე დაადასტურა, რომ ხმებზე არსებული მნიშვნელოვანი, ძნელად კონტროლირებადი თანადამთხვევიდან გამომდინარე, გამოირიცხავს, რომ ხმა ეკუთვნოდეს სხვა პირს, ვინაიდან არსებული დამთხვევები არ შეიძლება იყოს ორი სხვადასხვა პირის შემთხვევაში, მით უფრო, რომ განსხვავებები ვერ იქნა აღმოჩენილი და დაფიქსირებული.

23. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება დაცვის მხარის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სასამართლომ არ უნდა გაიზიაროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა და მონმის სახით დაკითხული ექსპერტ ა. მ-ს ჩვენება, რადგან მათ საპროცესო კანონის მოთხოვნათა დარღვევით გადაეცათ დადგენილება ექსპერტიზის ჩატარების შესახებ და მის საფუძველზე ჩატარებული თავად ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა. აღნიშნულით დარღვეულ იქნა მათი დაცვის უფლება.

24. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილი იძლევა შესაძლებლობას, რომ საქმის არსებითი განხილვის დროს მხარემ წარადგინოს დამატებითი მტკიცებულება. მხარის შუამდგომლობით სასამართლო იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს და არკვევს საქმის არსებით განხილვამდე მტკიცებულების წარუდგენლობის მიზეზს, რის საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე მტკიცებულების დაშვება-არდაშვების თაობაზე.

25. საქმის მასალების მიხედვით, 2013 წლის 22 ოქტომბერს ბრალდების მხარემ და დაცვის მხარემ გაცვალეს იმ მომენტი-სათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებდნენ. იმავე დღეს ბრალდების მხარემ დაცვის მხარის მიერ შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცნობის შემდეგ საჭიროდ მიიჩნია და დანიშნა დადგენილებით ფონოსკოპიური ექსპერტიზა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. დადგენილება დაცვის მხარეს გადაეცა მეორე დღეს, ხოლო ფონოსკოპიური ექსპერტის დასკვნა – საქმის არსებითი განხილვის დროს. ბრალდების მხარემ იშუამდგომლა როგორც ამ ექსპერტის დასკვნის მოცემულ საქმეზე დასაშვებად ცნობა, ასევე მოწმის სახით ექსპერტ ა. მ-ს დაკითხვა, რაზეც დაცვის მხარემ თანხმობა განაცხადა. ამდენად, 2013 წლის 22 ოქტომბერს ბრალდების მხარე ვერ გადასცემდა დაცვის მხარეს აღნიშნულ დადგენილებას ფონოსკოპიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და, შესაბამისად, ექსპერტის დასკვნას, ვინაიდან გაცვლის მომენტისთვის მათ ხელთ არ ჰქონდათ ეს მტკიცებულებითი მნიშვნელობის ინფორმაცია. დაცვის მხარეს შესაძლებლობა მიეცა წინასასამართლო სხდომაზე როგორც მოცემული ბრალდების საქმის სხვა მასალების, ასევე აღნიშნული დადგენილების დასაშვებობისა და კანონიერების საკითხზე დაეყენებინა შუამდგომლობა.

26. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, მართალია, მხარეების მიერ მტკიცებულებითი მნიშვნელობის ინფორმაციის გაცვლის შემდეგ მხარეების მიერ ახალი დამატებითი მტკიცებულების საფუძვლის წარმოშობის შემთხვევაში ამ საპროცესო დოკუმენტის, მოცემულ შემთხვევაში ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილების, მხარისათვის გადაცემის საკითხს საქმის არსებითი განხილვის სხდომამდე საპროცესო კანონმდებლობა არ აწესრიგებს, მაგრამ პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარის უფლება არ დარღვეულა, დაცვის მხარეს მიეცა შესაძლებლობა და უზრუნველყოფილი იყო მისი დაცვის უფლებისთვის იმ საპროცესო გარანტიით, რომ გასცნობოდა როგორც დადგენილებას, ხოლო შემდეგ, საქმის არსებითი განხილვის დროს, მის საფუძველზე მიღებულ ფონოსკოპიური ექსპერტის დასკვნას და გამოეთქვა თავისი მოსაზრება ამ მტკიცებულების დასაშვებობის საკითხთან დაკავშირებით.

27. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით იგივე პოზიცია აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საქმეზე მ-ი რუსეთის წინააღმდეგ (*Mirilashvili v. Russia*). ამ გადაწყვეტილებით

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ იმ შემთხვევაში, თუ დაცვის უფლების შეზღუდვას აქვს ლეგიტიმური მიზანი, შემდგომ განხილულ უნდა იქნეს ის საკითხი, იყო თუ არა ამ უფლების შეზღუდვა დაბალანსებული სხვა საპროცესო გარანტიებით, რაც მოცემულ შემთხვევაში დაბალანსებულ იქნა.

28. იგივე მოსაზრება აქვს ევროპულ სასამართლოს საქმეზე ჩ-ო უკრაინის წინააღმდეგ (Chopenko v. Ukraine). ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს იმ შესაძლებლობას, თუ რამდენად ობიექტურად მოხდა შემდგომ ეტაპზე საპროცესო ხარვეზის გამოსწორება. როგორც აღვნიშნეთ, დაცვის მხარეს მის სასარგებლოდ ბრალდების მხარემ გადასცა დადგენილება და ექსპერტიზის დასკვნა, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცა. აღნიშნული ვერ ჩაითვლება იმ აბსოლუტურ დარღვევად, რაც სასამართლოს არ მისცემს შესაძლებლობას, მტკიცებულებებზე გამოიყენოს აღნიშნული ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა და მონმე ა. მ-ს ჩვენება.

29. გასაჩივრებული განაჩენით ლ. მ-ს მსჯავრი დაედო ასევე იმაში, რომ მისი მოქმედებით ტელეკომპანია „რ-ს“ სრულფასოვან ფუნქციონირებას ხელი შეეშალა და მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი – 10000 ლარის ოდენობით. საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ ლ. მ-ს მოქმედებით ტელეკომპანია „რ-ს“ სრულფასოვან ფუნქციონირებას შეეშალა ხელი, მაგრამ ვერ დაეთანხმება ბრალდების მხარესა და სააპელაციო სასამართლოს და მთლიანად იზიარებს დაცვის მხარის მოსაზრებას იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ საკმარისი და დამაჯერებელი მტკიცებულებებით არ არის დადასტურებული მნიშვნელოვანი ზიანის ოდენობა, რაც საკასაციო პალატას მისცემდა შესაძლებლობას, ჯეროვნად შეეფასებინა მნიშვნელოვანი ზიანი, კერძოდ:

30. სასამართლო ამ გარემოების დადგენისას დაეყრდნო მხოლოდ მონმე ზ. კ-ს ჩვენებას, რომელიც წარმოადგენს დაზარალებული ტელეკომპანიის ინტერესებს. მისი ჩვენებით, განხორციელებულმა ცრუ შეტყობინებამ ტელეკომპანიას მიაყენა 10000 ლარის ზიანი. მას ეს ინფორმაცია მიანოდა რეკლამების ხელმძღვანელმა და ენდო მხოლოდ მის ინფორმაციას. ხარჯთაღრიცხვის თაობაზე რაიმე დოკუმენტი წერილობით მათ არ წარუდგენიათ. ასევე საქმის მასალებში არ მოიპოვება არანაირი სახის დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ ტელეკომპანიამ თანხობრივად განიცადა 10000 ლარის ზიანი. სააპელაციო სასამართლომ პირდაპირ გაიზიარა მონმის ჩვენება და ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე დადგენილად მიიჩნია,

რომ მართლაც 10000 ლარის ღირებულების ზიანი მიადგა ტელეკომპანიას. როგორც აღენიშნეთ, ამ მუხლის მიზნებისათვის მნიშვნელოვანი ზიანი შეფასებითია. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია დაზარალებულ მხარეს წარმოედგინა შესაბამისი დოკუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც დადგინდებოდა მიყენებული ზიანის ოდენობა და სასამართლო იმსჯელებდა, თუ რამდენად იყო ეს ზიანი მნიშვნელოვანი ტელეკომპანია „რ-ს“.

31. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ლ. მ-ს მსჯავრდებიდან უნდა ამოერიცხოს მაკვალიფიცირებული გარემოება მნიშვნელოვანი ზიანი და, შესაბამისად, მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 331-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია).

32. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატა სასჯელის დანიშვნის დროს ითვალისწინებს მსჯავრდებულ ლ. მ-ს პიროვნებას, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის მოტივს, მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხს, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს, კერძოდ: იგი პირველადაა სამართალში, ხასიათდება დადებითად, მიღებული აქვს მონაწილეობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, აქვს მძიმე მატერიალური მდგომარეობა, არ აქვს საცხოვრებელი სახლი, დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ლ. მ-ს საქართველოს სსკ-ის 331-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 1 წლითა და 21 დღით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ლ. მ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ხ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 4 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:
3. ლ. მ-ს მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება სა-

ქართველოს სსკ-ის 331-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 331-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), რისთვისაც სასჯელის სახით განესაზღვროს 1 წლითა და 21 დღით თავისუფლების აღკვეთა.

4. ლ. მ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწესოს 2014 წლის 20 ივნისიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2013 წლის 12 სექტემბრიდან 2013 წლის 28 ოქტომბრის ჩათვლით.

5. ლ. მ-ი ჩაითვალოს სასჯელმოხდილად და დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 4 ნოემბრის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

თ ვ ი თ ნ ა ბ ო ზ ა

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ს ხ ლ ი თ

№7აპ-15

12 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

გ. შავლიაშვილი,

პ. სილაგაძე

მონაწილეობით განიხილა გორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ი. მ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 31 იანვრის განაჩენით ო. ბ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-

16 მუხლის შესაბამისად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 3 წლით, 4 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა უნდა დაეწყოს დაკავების მომენტიდან.

2. ნივთმტკიცება – DVD დისკი უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს მისი შენახვის ვადით.

3. განაჩენით მსჯავრდებულ ო. ბ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2012 წლის პირველ ოქტომბერს ქალაქ კ-ი, თ-ს ქუჩაზე, ო. ბ-ა შპს „მ-ს“ ოპერატორ გ. ხ-ს გასტაცა ტელეკომპანიის კუთვნილი, 4621 ლარად ღირებული ვიდეოკამერა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით აშკარად დაეუფლა მას.

4. მსჯავრდებული ო. ბ-ი დააკავეს 2014 წლის 3 აპრილს.

5. აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ნოემბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ: ო. ბ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 154-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე.

6. ო. ბ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 3000 ლარი. სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, პატიმრობაში ყოფნის პერიოდის (2014 წლის 3 აპრილიდან 2014 წლის 26 ნოემბრის ჩათვლით) გათვალისწინებით, ო. ბ-ს შეუმსუბუქდა დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 1500 ლარი.

7. ნივთმტკიცება – DVD დისკი, რომელიც ერთვის საქმეს, შენახულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

8. ო. ბ-ი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

9. გორის რაიონული პროკურატურის პროკურორი ი. მ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ნოემბრის განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: ო. ბ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მის მიმართ დანიშნული სასჯელის შეცვლას ამ მუხლით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში.

10. საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორებმა – ლ. ზ-მ, მ. ბ-ა და ო. მ-ა ვრცლად მიმოიხილეს საქმის მასალები. მათ მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას

და იშუამდგომლეს მისი დაკმაყოფილება.

11. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ ო. ბ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ბ-ა ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ნოემბრის განაჩენის უცვლელად დატოვება, რასაც დაეთანხმა მსჯავრდებული ო. ბ-ი.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის კანონიერება, საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პროკურორის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივ და ობიექტურად შეამოწმა მხარეთა მიერ შეკრებილი და წარმოდგენილი მტკიცებულებები, გააანალიზა და შეაჯერა ისინი ერთმანეთთან, თუმცა განაჩენში ჩამოყალიბებულ სასამართლო დასკვნებს არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება.

3. სააპელაციო პალატის სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულ, მსჯავრდებულ ო. ბ-ს ჩვენებით, 2012 წლის 1 ოქტომბერს ბიძასთან – ა. კ-ს ერთად მანქანით იმყოფებოდა ქუჩაში, რა დროსაც უთხრეს, რომ საარჩევნო უბანზე იყო კამათი. ვინაიდან მისი ბიძის მეუღლე ამ უბანზე იყო დამკვირვებელი, გადაწყვიტეს, რომ მისუღიყვნენ და გაერკვიათ, რა ხდებოდა. ...-ე საარჩევნო უბანზე მისვლისთანავე მათ დაუწყეს გინება, თუ რატომ მივიდნენ იქ. მას აინტერესებდა გაეგო, ბიციოლას ხომ არაფერი ემუქრებოდა. როდესაც დარწმუნდა, რომ მნიშვნელოვანი არაფერი ხდებოდა, გამოტრიალდა უკან. ამ დროს ვილაც პიროვნება მათი მანქანისკენ გარბოდა და ჟურნალისტები მისდევენ. იძახდნენ, რატომ ახორციელებთ ზეწოლას, რომ ხალხი მოვიდეს და ბიულეტენები ჩაყარონ. ეს ჟურნალისტი იყო ქ. წ-ა. უცნობი პიროვნება ჩაჯდა ბიძამისის მანქანაში. შემდეგ ჟურნალისტები მოვიდნენ და მათ იღებდნენ ვიდეოკამერით. ბიძამისმა რამდენჯერმე უთხრა, რომ არ გადაელოთ, თავადაც ჟურნალისტებს ორჯერ გაუმეორა, რომ არ გადაელოთ. აღნიშნულ ინციდენტს თან ახლდა სიტყვიერი შეურაცხყოფა. ქ. წ-მ მიმართა მაშინდელი პოლიციის უფროსს – მ. ბ-ს, რომ იქ სისხლის სამართლის დანაშაული იყო მომხდარი და გამოძიებით იმუქრებოდა. მსჯავრდებულის ჩვენებით, ამ ყველაფერმა მას-

ზე იმოქმედა. ვერ მიხვდა, რაზე იყო საუბარი. ეს რომ გაიგო, დაინტერესდა, ოპერატორს გამოსტაცა კამერა და გაიქცა. სახლში მისვლის დროს ნახა კამერა, რადგან აინტერესებდა, ჩანერილი იყო თუ არა მათი გინება. მასალის ნახვის შემდეგ, მეორე დღეს, კამერა დააბრუნა ხელუხლებელი. მას არ სურდა კამერის მისაკუთრება. ეს იქიდან ჩანს, რომ როცა სახლში მივიდა და ნახა კამერაში არსებული მასალა, დაურეკა მძღოლს – გ. ბ-ს და სთხოვა ქ. წ-ს ნომერი, რათა კამერა დაებრუნებინა. გ-მ უთხრა, რომ ისინი თბილისში იყვნენ წასულები და ვერ მოახერხებდა დაბრუნებას. მსჯავრდებულის ჩვენებით, მან მის დეიდაშვილს გამოართვა ქ. წ-ს ნომერი და თვითონ გადაურეკა მასაც და გ-საც, თან უთხრა, რომ არაფერი ჰქონდა წაშლილი და სურდა ვიდუოკამერის დაბრუნება. მეორე დღეს დაურეკა ქ. წ-ს და ბოდიში მოუხადა. მცირეწლოვან ბავშვს სთხოვა, რომ მიეტანა კამერა ქ. წ-ს სახლში. ბავშვმა ქ. წ-ს გადასცა კამერა. მსჯავრდებულმა განაცხადა, რომ მან დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ არა – ძარცვა. კამერის გაყიდვა რომ სდომოდა, ალბათ, ვერავინ შეუშლიდა ხელს.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოწმის სახით დაკითხული ა. მ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2012 წლის პირველი ოქტომბრისთვის ოპერატორად მუშაობდა საინფორმაციო სააგენტო „ი-ი“. 2012 წლის 1 ოქტომბერს, დაახლოებით 5:00 საათზე, ...-ე საარჩევნო უბანზე გავიდნენ. მათ თან ახლდა ასევე ჟურნალისტი ქ. ნ-ა. ჩანერეს გ. მ-ი, რომელიც „ქართული ოცნების“ წევრებმა დაიჭირეს, რადგან გასაყალბებელი ბიულეტენები ეჭირა. საარჩევნო უბანზე შენობაში ყოფნის დროს ხმაური შემოესმათ და ეზოს გარეთ გავიდნენ. კ-ში მცხოვრებ „თათარ ქალს“, სახელად ნ-ს (რომლის გვარი არ ახსოვს) იღებდნენ, რადროსაც „ი-ს“ მეორე ოპერატორის – გ. ხ-ს კუთვნილი კამერა გაიტაცეს. მოწმის ჩვენებით, საინფორმაციო სააგენტო „ი-ის“ კუთვნილი კამერა გაიტაცა ო. ბ-მა და გაიქცა. ეს პიროვნება მაშინ დანახა, როცა თავის კამერაში ნახა გადაღებული მასალები. შემდეგ უთხრეს, რომ კამერის გამტაცებელი პირი იყო ო. ბ-ი. მეორე დღეს ქ. წ-ს და გ. ხ-ს ვილაც ბავშვმა მიუტანა კამერა. ყველა მასალა ხელშეუხებელი იყო და არც კამერა იყო დაზიანებული. მოწმემ ასევე განმარტა, რომ ქ. წ-ს გადმოცემით, ო. ბ-მა ვიდუოკამერა გაიტაცა იმ მიზნით, რომ აინტერესებდა, მისი გინება იყო თუ არა ჩანერილი. მოწმის ჩვენებით, მას უშუალოდ კამერის წართმევის მომენტი არ დაუნახავს. მოგვიანებით მის კამერაში ნახა კამერის წართმევის მომენტი. კამერის წართმევამდე ო. ბ-ს გ. ხ-თვის ხელი არ გაურტყამს და არც და-

მუქრებია. უცებ გამოსტაცა კამერა და გაიქცა. მოწმის განმარტებით, ო. ბ-ს კამერის მისაკუთრების მიზანი რომ ჰქონოდა, სურვილის შემთხვევაში იგი შეძლებდა კამერის 1000 დოლარად გაყიდვას, თუმცა მან ეს არ გააკეთა.

5. მოწმე გ. ბ-ს სააპელაციო სასამართლოში მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ 2012 წლის პირველი ოქტომბრისთვის საინფორმაციო სააგენტოში „ი-ი“ მუშაობდა მძღოლად. 2012 წლის 1 ოქტომბერს, 4-5 საათის შუალედში, ოფისში ინფორმაცია შევიდა, რომ კ-ის ...-ე საარჩევნო უბანზე რაღაც იგეგმებოდა, რის გამოც იქ წავიდა. როდესაც საარჩევნო უბანზე მივიდა, „ქართული ოცნების“ აქტივისტებს დაკავებული ჰყავდათ პიროვნება, გვარად მ-ი, რომელსაც ბიულეტენები ამოუღეს წელის არედან. ის პიროვნება აცხადებდა, რომ არ იცოდა, იქ რისთვის იყო და რა უნდოდა. ინტერვიუს „ი-ს“ ჟურნალისტები წერდნენ. უცებ ატყდა ხმაური. „ეთნიკურად თათარი ქალი ნ-ა“, რომლის გვარი არ იცის, შეხლა-შემოხლაში იყო ჩართული, „ქართული ოცნების“ აქტივისტებს ეჩხუბებოდა. ამ დროს შემოვიდა თეთრი ფერის ავტომანქანა, რომელშიც ო. ბ-ი იჯდა. ორივე ოპერატორი ქალბატონ ნ-ს უღებდა და ერთ-ერთმა ოპერატორმა, გ. ხ-ა, მანქანის მიმართულებით დაიწყო გადაღება; ალბათ, გადაღება არ ესიამოვნათ და ო. ბ-სა და ბიძამისის მხრიდან შეურაცხმყოფელი სიტყვები გაისმა, დადეთ კამერა, ნუ გვიღებთო. ო. ბ-ი ჟურნალისტს აგინებდა, ნუ მიღებთო. ამ ყველაფრის შემდეგ ისევ ამ ქალბატონზე გადავიდა ყურადღება. ამ დროს მთელი პოლიცია, მაშინდელი პოლიციის უფროსი ბ-ი და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მაშინდელი სამმართველოს უფროსი გ. გ-ი მოვიდნენ. ასევე იქ იმყოფებოდა ლ. ბ-ც, რომელმაც ის გამოძიებისას დაკითხა. პოლიციელების ათკაციანი ჯგუფი იდგა, ამ ჯგუფში შევიდა ო. ბ-ი და გაიქცა. ო-ს მისცეს საშუალება, ჩამჯდარიყო მანქანაში და წასულიყო. მოწმის ჩვენებით, ო. ბ-ი მაშინ დაინახა, როცა უკვე მანქანაში ჯდებოდა. ო-ი წავიდა და წაიღო კამერა. მეორე დღეს ო-მ პირველად მას დაურეკა და სთხოვა ქ. ნ-ნ დაკავშირება, რათა დაებრუნებინა კამერა. მან ასევე უთხრა, რომ კამერა წაიღო იმ მიზნით, რათა ენახა, ხომ არ იყო გადაღებული მისი შეურაცხმყოფელი სიტყვები. მოწმე გ. ბ-ს განმარტებით, მან ო. ბ-ი დააკავშირა ქ. ნ-ს, რომელმაც ჩაიბარა ვიდეოკამერა. კამერის ლირებულება იყო 3500-4000 დოლარამდე და ო. ბ-ს რომ მოენდომებინა, შეძლებდა მის გაყიდვას.

6. სააპელაციო პალატის სხდომაზე მოწმის სახით დაკითხული ქ. ნ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2012 წლის 30 დეკემბრამ-

დე მუშაობდა საინფორმაციო სააგენტო „ი-ს“ კ-ს ბიუროს ჟურნალისტად. 2012 წლის 1 ოქტომბერს, დაახლოებით 5:00 საათზე, საინფორმაციო სააგენტო „ი-ს“ მეშვეობით თბილისიდან მიიღეს ინფორმაცია, რომ კ-ს №-ე საარჩევნო უბანზე ხდებოდა გაყალბება. ორი ეკიპაჟი წავიდა ინფორმაციის გადასამოწმებლად და გადასაღებად. როდესაც საარჩევნო უბნის შესასვლელთან მივიდნენ, დახვდათ კავთისხევში მცხოვრები პიროვნება (სახელი და გვარი ზუსტად არ ახსოვს), რომელსაც ეკავა თხუთმეტამდე გაყალბებული ბიულეტენი, სადაც 5 ნომერი იყო შემოხაზული. მათ დაიწყეს სინქრონების ჩაწერა. მისი ოპერატორი იყო ა. მ-ე, მეორე ოპერატორი კი – გ. ხ-ი. გადაღების პროცესში საარჩევნო უბნის გარეთ მოხდა სიტყვიერი შელაპარაკება, რის გამოც გარეთ გავიდნენ. მ. ა-ი სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა მათ მეორე ოპერატორს – გ. ხ-ს. მ. ა-ნ ერთად იმყოფებოდნენ გ. ჩ-ი, ა. ბ-ი და ო. ბ-ი. მ. ა-ს ჰკითხა, თუ რატომ აყენებდა იგი მათ შეურაცხყოფას, რაზეც მან პასუხი არ გასცა და გადავიდა სიტყვიერ შეურაცხყოფაზე. მიკროფონის წართმევა სცადა და შემდეგ გაიქცა. მოწმის განმარტებით, ერთ-ერთ მოქალაქეს წერდნენ. წინ იღებდა ოპერატორი ა. მ-ე, უკან განვითარებულ პროცესებს კი – მეორე ოპერატორი გ. ხ-ი, რომელსაც ამ დროს ო. ბ-მ კამერა გასტაცა. მოწმის ჩვენებით, საარჩევნო უბანზე გადაღების მიმდინარეობისას მათ აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას და უშლიდნენ ხელს ჟურნალისტური საქმიანობის შესრულებაში. ო. ბ-მ კამერა წაიღო საარჩევნო უბანზე არსებული სიტუაციის გაყალბების დამალვის მიზნით. კამერას ფიზიკურად ვერ გაყიდდა, რადგან ის იბლოკება ექვს საათში ერთხელ და გასახსნელად კოდის ცოდნა საჭირო. მოწმის ჩვენებით, ო. ბ-მ კამერის გატაცებით მას, როგორც ჟურნალისტს, 5-6 საათით ხელი შეუშალა მუშაობაში, რადგან ვერ გადაგზავნეს სიუჟეტის სრული ვერსია. ქ. წ-ს განმარტებით, კამერა წარმოადგენდა საინფორმაციო სააგენტო „ი-ს“ საკუთრებას და მისი ღირებულება დაახლოებით 4000 ლარი. კამერის წაღების შემდეგ ეს პიროვნებები, რომლებიც სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ „ი-ს“ ჟურნალისტს და ოპერატორებს, ჩასხდნენ მანქანაში და წავიდნენ. ო. ბ-სგან ინტერვიუ არ აღუღიათ, იღებდნენ მხოლოდ განვითარებულ პროცესებს, რაც იქ ხდებოდა. კადრებში მოხვედრილი იყო ო. ბ-ც. კამერა სად წაიღეს, მისთვის უცნობია, მაგრამ მეორე დღეს დაახლოებით 15 წლის ბიჭმა მას სახლში მიუტანა კამერა სრულიად უვნებელი, მასალაც იყო ხელუხლებელი. ო. ბ-ი დაუკავშირდა ერთხელ – კამერის დაბრუნების შემდეგ და ბოდიში მოიხადა ჩადენილი

საქციელისთვის.

7. მონმე ქ. ნ-მ დაადასტურა ის გარემოება, რომ 2012 წლის 3 ოქტომბერს, 13 საათსა და 20 წუთზე, „ი-ს“ ეთერში გავიდა მისი და ა. მ-ს სიუჟეტი, რომ კ-ს №-ე საარჩევნო უბანზე „ი-ს“ გადამღებმა ჯგუფმა წინასწარ შემოხაზული საარჩევნო ბიულეტენები დააფიქსირა. ეს ბიულეტენები ერთ-ერთ მოქალაქეს – გ. მ-ს ვინმე ბ. ზ-მ გადასცა და საარჩევნო ყუთში ჩაყრა დაავალა. ამ ფაქტის დაფიქსირების გამო „ი-ს“ წარმომადგენლებს უცნობმა პირებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და ოპერატორ გ. ხ-ს კამერა წაართვეს. ხსენებული სატელევიზიო სიუჟეტის შინაარსის მიხედვით, ვიდეოკამერის გ. ხ-ს წართმევის მიზეზად დასახელდა ყალბი ბიულეტენების მ-სთვის ჩამორთმევის ფაქტი, რაც ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა ინტერესებში არ შედიოდა. მონმემ ასევე დაადასტურა, რომ 1 ოქტომბერს მომხდარი ინციდენტის შემდეგ, გ. ხ-სთან ერთად წავიდა თბილისში „ი-ს“ ხელმძღვანელობასთან, რა დროსაც საქმის კურსში ჩააყენა ხელმძღვანელობა ქალაქ კ-ს ...-ე საარჩევნო უბანზე მომხდარი ინციდენტის შესახებ.

8. სააპელაციო პალატის სხდომაზე მონმის სახით დაიკითხა გ. ხ-ი, რომელმაც აჩვენა, რომ 2012 წლის 1 ოქტომბერს მუშაობდა „ი-ს“ ტელე-ოპერატორად. 2012 წლის 1 ოქტომბერს მ. ბ-მ დარეკა და მოითხოვა მისულიყვნენ კ-ს ...-ე საარჩევნო უბანზე. მითითებულ საარჩევნო უბანზე მივიდა ჟურნალისტ ქ. ნ-სა და მძლოლ გ. ბ-სთან ერთად, სადაც დახვდათ არეულობა და ქაოსი. მის გარდა იქ იმყოფებოდა ასევე მეორე ოპერატორი ა. მ-ე. როდესაც უბანზე მივიდა, დაიწყო სიტუაციის აღბეჭდვა ფირზე, რა დროსაც რამდენიმე ბიჭმა, მათ შორის ო. ბ-მაც, მიაყენა შეურაცხყოფა, დაიწყეს გინება, ყვიროდნენ, კამერა განიეთ, ნუ იღებთო. მიუხედავად ამისა, იგი მაინც განაგრძობდა გადაღებას. შემდეგ ჟურნალისტმა იკითხა, რა ხდებოდა, ცდილობდა გაერკვია სიტუაცია. ამ დროს ქალი გამოვიდა და დაიწყეს მისი გადაღება, რა დროსაც ო. ბ-მა გამოსტაცა კამერა და გაიქცა. მას გაეკიდა თავადაც, მეორე ოპერატორიც, ჟურნალისტიც, დაახლოებით ოცი ადამიანი, მაგრამ ვერ დაენივნენ, რადგან გამტაცებელი მანქანაში ჩაჯდა და გაიქცა. კამერის გატაცების პროცესს იღებდა ა. მ-ე. იმ დროს არ იცოდა, ვინ იყო გამტაცებელი, მოგვიანებით გაიგო მისი ვინაობა. შემდეგ დარეკა „ი-ს“ დირექტორთან და უთხრა, რომ კამერა წაართვეს. მეორე დღეს კი უცნობმა ბავშვმა მოიტანა კამერა.

9. მონმის ჩვენებით, როდესაც ო. ბ-მა კამერა წაართვა, ფიზიკურად საერთოდ არ შეხებია. მონმემ აღნიშნა, რომ კამერის

გატაცების მიზეზი გახდა ყალბი ბიულეტენების გადაღების ფაქტი. ო. ბ-ს თავიდანვე შეეძლო კამერის გატაცება, ვიდრე იგი გაფრთხილებას და შემდეგ გინებას დაუწყებდა. ო. ბ-მა კამერა მას შემდეგ წაართვა, რაც მისი გადაღება არ შეწყვიტა.

10. გარდა ზემოაღნიშნულისა, ო. ბ-ს მიერ ვიდეოკამერის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისა და შემდეგ ამ ვიდეოკამერისა და „დვდ“ დისკის უკან დაბრუნების ფაქტი დადასტურებულია ასევე მხარეთა მიერ უდავოდ ცნობილი შემდეგი მტკიცებულებებით – მოწმეების: ი. მ-ს, ხ. ყ-ს, ნ. ო-ს, გ. გ-ს, თ. მ-ს, ა. კ-ს, დ. ბ-ს, ლ. ნ-ს, გ. მ-ს, დ. ჭ-ს, მ. ა-ს, ნ. ე-ს, ზ. წ-ს, გ. ბ-ს, ი. ბ-ს, ტ. ქ-ს, მ. გ-ს, ა. რ-ს, ვ. ტ-ს, ლ. ბ-ს, მ. ზ ბ-ს, გ. მ-ს, ლ. ხ-ს ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ვიდეოკამერისა და „დვდ“ დისკის დათვალიერების ოქმით, ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებებით.

11. ზემოაღნიშნული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მთლიანად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ 2012 წლის 1 ოქტომბერს ქალაქ კ-ი, თავისუფლების ქუჩაზე, იმ დროს, როდესაც ჟურნალისტები და ოპერატორები ცდილობდნენ, არჩევნების დროს განვითარებული მოვლენების გადაღებას, კადრში მოხვდა ო. ბ-ც, რაზეც მან და მისმა თანმხლებმა პირებმა სიტყვიერი შეურაცყოფა მიაყენეს ჟურნალისტებს და ეუბნებოდნენ, აღარ გადაელოთ მათთვის ვიდეოკამერით. თავად ო. ბ-მა ორჯერ უთხრა ოპერატორს, რომ არ გადაელო. მას შემდეგ, რაც ოპერატორმა გააგრძელა მისი გადაღება, ხოლო ჟურნალისტი ქ. წ-ა სამართალდამცავებს ეუბნებოდა, რომ ჩადენილი იყო სისხლის სამართლის დანაშაული, მსჯავრდებულმა ო. ბ-მა გადაწყვიტა, ოპერატორისთვის წაერთმია კამერა, რათა მისი გადაღება შეჩერებულიყო და ამასთან, აინტერესებდა, ხომ არ იყო მისი გინება დაფიქსირებული ვიდეოკამერაში ან სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ამსახველი კადრები. მან ოპერატორ გ. ხ-ს წაართვა კამერა და გაიქცა. ხოლო მას შემდეგ, რაც დაათვალიერა ვიდეოკამერაში აღბეჭდილი მასალა, რომელიც მისთვის საინტერესო არ აღმოჩნდა, დაუბრუნა იგი ჟურნალისტ ქ. წ-ს.

12. საკასაციო პალატა მთლიანად იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ ო. ბ-ს ქმედებაში არ არის ძარცვის შემადგენლობისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი და მიაჩნია, რომ პროკურორის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა დაუსაბუთებელი და უკანონოა, მაგრამ პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გასაჩივ-

რებული განაჩენით ო. ბ-ს მიერ ჩადენილი ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და თვლის, რომ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ო. ბ-ს ქმედება მოიცავს სსკ-ის 360-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის – თვითნებობის ნიშნებს.

13. საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ძარცვა არის სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. პირის ქმედება რომ ძარცვად დაკვალიფიცირდეს, აუცილებელია ძარცვისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშნის არსებობა, კერძოდ: 1. სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება, 2. ქმედების აშკარა ფორმით განხორციელება, 3 მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის არსებობა.

14. განსახილველ შემთხვევაში, მართალია, ო. ბ-მა შპს „მ-ს“ ოპერატორ გ. ხ-ს აშკარად გასტაცა ვიდეოკამერა, მაგრამ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების გამოკვლევით უტყუარად დასტურდება, რომ მას არ ამოძრავებდა ვიდეოკამერის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი. თვით მსჯავრდებულ ო. ბ-ს, ასევე ჟურნალისტ ქ. ნ-ს, ოპერატორების – გ. ხ-ს, ა. მ-ს, მონმე გ. ბ-ს ჩვენებებით დადასტურებულია, რომ ისინი ასრულებდნენ თავიანთ პროფესიულ მოვალეობას, იღებდნენ სიუჟეტს, რა დროსაც ო. ბ-ს თანმხლები პირი – მ. ა-ი ცდილობდა ჟურნალისტისათვის მიკროფონის წართმევას. ვიდეოკამერის წართმევას წინ უსწრებდა ო. ბ-ს გინება და შეძახილი „ნუ მიღებთ“, ხოლო მას შემდეგ, რაც ოპერატორმა კვლავ გააგრძელა თავისი პროფესიული საქმიანობა -განაგრძო გადაღება, ო. ბ-ა ვიდეოკამერა წაართვა ოპერატორ გ. ხ-ს. მონმეებმა დეტალურად აღწერეს, თუ რა გარემოებებში გაიტაცა ო. ბ-ა ვიდეოკამერა და შემდეგ დააბრუნა, რაც გამორიცხავს მის ქმედებაში ვიდეოკამერის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის არსებობას.

15. ამასთან, იმ გარემოებების მხედველობაში მიღებით, რომ მსჯავრდებული ო. ბ-ი არის ჟურნალისტ ქ. ნ-ს თანაკლასელი, იქ მყოფი ყველა პირი მას კარგად იცნობდა, იქვე იყვნენ პოლიციის თანამშრომლები, ამასთან, საქმეზე უტყუარად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლივი სამართლებრივი ანალიზით – რომ მას ოპერატორისათვის ვიდეოკამერის წართმევის მომენტში ამოძრავებდა მხოლოდ ის მოტივი, რომ ოპერატორს შეეწყვიტა მისი გადაღება და მას ენახა, თუ რა იყო ჩანერილი ვიდეოკამერაში, შემდეგ ვიდეოკამერის შემონმება

და თავისი ნებით დაბრუნება ჟურნალისტიკისათვის – საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ყოველგვარ დამაჯერებლობას არის მოკლებული ის ფაქტი, რომ მოცემულ შემთხვევაში ო. ბ-ი მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მის განზრახვაში არ იკვეთება ვიდეოკამერის მისაკუთრების მიზანი. ამ აუცილებელი მაკვალიფიცირებელი ნიშნის გარეშე მსჯავრდებულის ქმედებაში არ შეიძლება არსებობდეს და არც არსებობს ძარცვის შემადგენლობა.

16. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად ვერ მტკიცდება ის ფაქტი, რომ ო. ბ-ი ვიდეოკამერის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მომენტში მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რის გამოც პროკურორის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

17. საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განაჩენით ო. ბ-ს ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილით არასწორია. ამ მუხლის დისპოზიციის თანახმად, სისხლის სამართლის წესით აკრძალულ და დასჯად ქმედებას წარმოადგენს ჟურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლა, ესე იგი მისი იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია ან თავისი შეიკავოს მისი გავრცელებისაგან.

18. ბრალდების დადგენილების მიხედვით, ო. ბ-ს ბრალი ედება მხოლოდ იმაში, რომ მან 2012 წლის 1 ოქტომბერს ქალაქ კ-ი, თ-ს ქუჩაზე, შპს „მ-ს“ ოპერატორ გ. ხ-ს გასტაცა ტელეკომპანიის კუთვნილი, 4621 ლარად ღირებული ვიდეოკამერა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით აშკარად დაეუფლა მას.

19. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატა გასცდა ბრალდების ფარგლებს, როდესაც იმსჯელა ო. ბ-ს ქმედებაში სსკ-ის 154-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების არსებობაზე და ამ მუხლით დააკვალიფიცირა მისი ქმედება. ბრალდება არ ედავება ო. ბ-ს, რომ მან აღნიშნული მოქმედებით ჟურნალისტს ხელი შეუშალა პროფესიულ საქმიანობაში და, შესაბამისად, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას ამ მიმართებით იმსჯელოს, იყო თუ არა ო. ბ-ს ქმედებაში სსკ-ის 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებიც.

20. ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ როდესაც მსჯავრდებული ო. ბ-ი დაეუფლა გ. ხ-ს კუთვნილ ვიდეოკამერას მისი ნების საწინააღმდეგოდ, რითაც დაზარალებულ მხარეს აღარ მიეცა საშუალება, განეხორციელებინა თავისი პრო-

ფესიული საქმიანობა, ესარგებლა ვიდეოკამერით, გაეგრძელე-
ბინა გადალება, ხოლო შემდეგ არჩევნების დროს განვითარე-
ბული მოვლენების ამსახველი მასალა სიუჟეტის სახით დროუ-
ლად გასულიყო ეთერში, აღნიშნული ქმედებით ო. ბ-ა ჩაიდინა
საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალის-
წინებული დანაშაული.

21. საქმის მასალების მიხედვით, ბრალდების დადგენილე-
ბაში მითითებული ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები
დაცვის მხარეს სადავოდ არ გაუხდია, გარდა ერთი გარემოები-
სა, რომ მოცემულ შემთხვევაში ო. ბ-ს არ ჰქონდა ვიდეოკამე-
რის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, რაზეც ზე-
მოთ იმსჯელა საკასაციო პალატამ.

23. საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მი-
ხედვით, თვითნებობა არის ნამდვილად თავისი ან თავისად და-
გულვებული უფლების დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ გან-
ხორციელება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი.

24. თვითნებობა ობიექტური შემადგენლობის ნიშნებით გა-
რეგნულად ზოგჯერ ძალიან ჰგავს საკუთრების წინააღმდეგ მი-
მართულ დანაშაულთა შემადგენლობას, მაგრამ ყველა ცალკე-
ულ შემთხვევაში, საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ერ-
თობლივი სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე და თავად
მსჯავრდებულის ქცევის, მოტივის მხედველობაში მიღებით და-
ნაშაულის ჩადენამდე და დანაშაულის შემდეგ, უნდა მოხდეს
პირის მიერ ჩადენილი ქმედების გამიჯვნა, რასთან გვაქვს საქ-
მე – საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან, თუ –
თვითნებობასთან.

25. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევა-
ში, როგორც აღვნიშნეთ, ო. ბ-ს ქმედებაში არის თვითნებობის
დანაშაულის ნიშნები. გამოკვლეული მტკიცებულებებით უტ-
ყუარად არის დადგენილი, რომ იმ დროს, როდესაც ოპერატორი
ახორციელებდა თავის პროფესიულ საქმიანობას და უღებდა ო.
ბ-ს, ეს უკანასკნელი ამაზე გაბრაზდა, შეაგინა ოპერატორს და
რამდენჯერმე მოსთხოვა, შეეწყვიტა მისი გადალება. ასევე, ამ
ფაქტს თან ერთვოდა ისიც, რომ ო. ბ-ი ავინებდა ყურნალის-
ტებს. ამ დროს მოვიდნენ სამართალდამცავი ორგანოს წარმო-
მადგენლები. ოპერატორმა გააგრძელა მისი გადალება, ხოლო
ყურნალისტი ქ. ნ-ა სამართალდამცავებს ეუბნებოდა, რომ „დ-
გილი ჰქონდა სისხლის სამართლის დანაშაულს“. მსჯავრდებულ-
მა ო. ბ-მა გადაწყვიტა, ოპერატორისთვის წაერთმია კამერა, რა-
თა მისი გადალება შეჩერებულიყო და ამასთან, მას აინტერე-
სებდა, ხომ არ იყო მისი გინება დაფიქსირებული ვიდეოკამერა-

ში, ან სხვა რაიმე სისხლის სამართლის დანაშაულის ამსახველი კადრები. მან ოპერატორ გ. ბ-ს წაართვა კამერა და გაიქცა კადრების სანახავად, ხოლო მას შემდეგ, რაც დაათვალიერა ვიდეოკამერაში აღბეჭდილი მასალა, რომელიც მისთვის საინტერესო არ აღმოჩნდა, დაუკავშირდა ჟურნალისტის მძღოლს და გაიგო, რომ ჟურნალისტი და ოპერატორი უკვე თბილისში იყვნენ წასულები, შემდეგ ტელეფონით დაუკავშირდა ჟურნალისტს და უთხრა, რომ დაუზიანებლად დაუბრუნებდა ვიდეოკამერას, რაც მეორე დღეს დაუბრუნა ჟურნალისტ ქ. ნ-ს.

26. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ დროს, როდესაც ოპერატორი ასრულებდა თავის პროფესიულ საქმიანობას და უღებდა ო. ბ-ს, მან შეცდომით ჩათვალა, რომ ოპერატორს მისი გადაღების უფლება არ ჰქონდა თანხმობის გარეშე და მოსთხოვა, შეენწყვიტა მისი გადაღება. ხოლო მას შემდეგ, რაც ოპერატორმა მაინც გააგრძელა მისი გადაღება, მიუხედავად მისი მხრიდან რამდენჯერმე მოთხოვნისა, მან გადაწყვიტა, თვითონ მოეხდინა მის მიერ შეცდომით დაგულეებული უფლების აღდგენა, რეალიზება და წაართვა ოპერატორს ვიდეოკამერა, რათა მისი გადაღება შეწყვეტილიყო და ამასთან, ენახა, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, მანამდე რა გადაიღო ოპერატორმა, ხომ არ იყო ვიდეოკამერაში დაფიქსირებული ისეთი კადრები, რაც მას პრობლემებს შეუქმნიდა. აღნიშნული მოქმედებით ო. ბ-მა უგულვებლყო კანონით დადგენილი წესი, რომ პირს, რომელსაც მართლზომიერ მფლობელობაში აქვს ნივთი და ახორციელებს თავის პროფესიულ საქმიანობას, უფლება ჰქონდა ნებაყოფლობით შეენწყვიტა მისი გადაღება, თუ ამას თვითონ ჩათვლიდა საჭიროდ. აღნიშნული ქმედებით მსჯავრდებულმა ო. ბ-მა დაზარალებულ მხარეს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი, კერძოდ, არჩევნების დღეს, 2012 წლის 1 ოქტომბერს, დაზარალებულ მხარეს აღარ მიეცა საშუალება, განეხორციელებინა ჟურნალისტული პროფესიული საქმიანობა, ესარგებლა ვიდეოკამერით, გაეგრძელებინა საჭიროებისამებრ ვიდეოკამერის საშუალებით გადაღება, ხოლო შემდეგ გადაღებული მასალა სიუჟეტის სახით დროულად გასულიყო ეთერში. აღნიშნული ქმედებით ო. ბ-ს ქმედებაში იკვეთება საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის – თვითნებობის ნიშნები.

27. ამდენად, სასამართლომ ყოველმხრივ და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებანი, შეაფასა თითოეული მათგანი საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის, ასევე ო. ბ-ს დამნაშავედ ცნობისთვის

საკმარისობის თვალსაზრისით და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს, რომ ო. ბ-მა ჩაიდინა თვითნებობა, ესე იგი თავისად დაგულვებული უფლების დადგენილი წესის სანინალმდეგოდ განხორციელება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი.

28. სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს ო. ბ-ს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის პიროვნებას, მის ოჯახურ მდგომარეობას. ო. ბ-ს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებაა ის, რომ აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, ხოლო დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია.

29. გარდა ამისა, სასჯელის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს დანაშაულებრივი ქმედების ხასიათს და მიაჩნია, რომ ო. ბ-ს უნდა შეეფარდოს სასჯელის ისეთი სახე და ზომა, რაც გახდება მომავალში მისი საზოგადოებაში უსაფრთხო ინტეგრაციის საფუძველი და იქნება დამაფიქრებელი მსჯავრდებულისათვის, რათა მან უკეთ გააცნობიეროს ჩადენილი ქმედების ხასიათი, საზოგადოებრივი საშიშროებისა და გასაკიცხაობის ხარისხი და ბოლოს, სასჯელმა უნდა შეამციროს მსჯავრდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სამართლიანობის აღდგენას.

30. პალატის შეფასებით, სასჯელის დანიშვნის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, რათა სასჯელი იყოს სამართლიანი. დამნაშავე პირის რესოციალიზაციისათვის, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების დაცვის აუცილებლობიდან და სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, აგრეთვე ზოგადი და კერძო პრევენციის მიზნებისათვის პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ო. ბ-ს დაენიშნოს საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სასჯელი ჯარიმის სახით, რაც მას უნდა შეუმცირდეს საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით.

31. ამავე დროს პალატა ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ ო. ბ-მა დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინა 2012 წლის 1 ოქტომბერს. „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის 21-ე მუხლის თანახმად, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება იმ პირზე, რომელმაც დანაშაული 2012 წლის

2 ოქტომბრამდე ჩაიდინა. ამავე კანონის მე-20 მუხლის თანახმად, „ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება სასჯელის სახით შეფარდებულ ჯარიმასა და ქონების ჩამორთმევაზე. შესაბამისად, ო. ბ-ს მიმართ ვერ გავრცელდება „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მოქმედება, ვინაიდან მას ძირითადი სასჯელის სახით უნდა განესაზღვროს ჯარიმა.

32. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 26 ნოემბრის განაჩენში ო. ბ-ს მიმართ უნდა შევიდეს ცვლილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ ბ ი ნ ა:

გორის რაიონული პროკურატურის პროკურორ ი. მ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

ო. ბ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 154-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე და სასჯელად დაენიშნოს ჯარიმა – 3000 ლარის ოდენობით.

საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, პატიმრობაში ყოფნის პერიოდის (2014 წლის 3 აპრილიდან 2014 წლის 26 ნოემბრის ჩათვლით) გათვალისწინებით, ო. ბ-ს შეუმსუბუქდეს დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 1500 ლარის ოდენობით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სისხლის სამართლის პროცესი

მხარეთა მიერ მტკიცებულებების ერთმანეთისათვის გადაცემისა და სასამართლოსათვის წარდგენის წესი

ბანაჩანი საქართველოს სახელით

№526აპ-14

29 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე)

მ. ოშხარელი,

გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ლ-ასა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ს-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 3 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები:

1.1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის განაჩენით გ. ლ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვისათვის; სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შექმნა, შენახვისათვის და სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ ტარებისათვის. სასამართლოს მიერ დადგენილი ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

გ. ლ-ამ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა „ნაგანის“ სისტემის ცეცხლსასროლ იარაღს და 7 საბრძოლო ვაზონას, რაც ამოღებულ იქნა 2013 წლის 20 სექტემბერს, მისი პირადი ჩხრეკისას ქ. ფ-ში, ჭ-ის ქუჩაზე.

მანვე დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა და უკანონოდ ინახავდა დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებას – 0,000011 გრამ „დეზომორფინს“, რაც ამოღებულ იქნა 2013 წლის 20 სექტემბერს, მისი პირადი ჩხრეკისას ქ. ფ-ში, ჭ-ის ქუჩაზე.

1.2. გ. ლ-ას ზემოაღნიშნული დანაშაულებისათვის მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებით სასჯელად ჯარიმა – 2000 ლარი; სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებით სასჯელად ჯარიმა – 3500 ლარი. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გ. ლ-ას მიმართ დანიშნულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და მას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 59-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 5500 ლარის ოდენობით. გ. ლ-ას სასჯელის ათვლა დაეწყო 2013 წლის 20 სექტემბრიდან. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გ. ლ-ას, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის; საადვოკატო საქმიანობის; პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის; სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის; პასიური საარჩევნო; იარაღის დამზადების, შექენის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო 10 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებები.

1.3. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა გ. ლ-ამ და მისმა ინტერესების დამცველებმა, ადვოკატებმა – ზ. კ-ამ და ვ. ს-ემ, რომლებმაც ითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის გამოტანა.

1.4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 3 ოქტომბრის განაჩენით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

2. საკასაციო საჩივრის არსი:

1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის

საქმეთა პალატის 2014 წლის 3 ოქტომბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა გ. ლ-ამ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ვ. ს-ემ. კასატორები ითხოვენ მსჯავრდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: ბრალდების მხარის მტკიცებულებები – მოწმეთა ჩვენებები შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციას, რასაც სასამართლოებმა არ მისცეს ადეკვატური შეფასება; ბრალდებულის დაკავებისას და მისი პირადი ჩხრეკისას არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნები; დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმში შეტანილ იქნა ცრუ ინფორმაცია – თითქოსდა დაკავებულისაგან ამოიღეს იარაღი და ნარკოტიკი; დაკავებისას პოლიციის თანამშრომლებმა გ. ლ-ას საინიექციო შპრიცით გაუკეთეს ნარკოტიკული საშუალება, რაც სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა; უკანონო ასევე სააპელაციო სასამართლოს შეფასება დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების – ვიდეომასალებისა და თანდართულ ტექსტებთან დაკავშირებით, რომლებიც დასაშვებად იქნა ცნობილი და სასამართლომ გამოიკვლია არსებითი განხილვის სხდომაზე აღნიშნული მტკიცებულებები დაცვის მხარემ მოიპოვა ოფიციალური საინფორმაციო წყაროებიდან, რომელთა ლოგო და ელმისამართი მითითებულია ამ მტკიცებულებებზე; დაცვის მხარემ სასამართლოს წარუდგინა შვიდი თვითმხილველი მოწმის გამოკითხვის ოქმი, რომლებიც ადასტურებენ, რომ დაკავების ადგილზე არ ჩატარებულა პირადი ჩხრეკა, არ შემდგარა დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი, არ განუმარტავთ დაკავებულისთვის უფლებები; ბრალდების მხარემ ხელი შეუშალა დაცვის მხარის მიერ დანიშნული ექსპერტიზის ჩატარებას, კერძოდ, არ გადაგზავნა საექსპერტო დაწესებულებაში მათ ხელთ არსებული გამოსაკვლევი ნივთები; პირველი ინსტანციის სასამართლომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევით უარი უთხრა დაცვის მხარეს წინასასამართლო სხდომაზე დასაშვებად ცნობილი მტკიცებულებების გამოკვლევაზე – მოწმეთა დაკითხვაზე, იმ უკანონო საფუძვლით, რომ მხოლოდ მოწმეთა გამოკითხვის ოქმების ბრალდების მხარისათვის გადაცემა და სასამართლოში წარდგენა არ ნიშნავს, რომ მხარე მათ მოწმის სახით დაკითხვას ითხოვს. ამისათვის სავალდებულოა დასაკითხ პირთა ნუსხის შედგენა. სასამართლოების აღნიშნული განმარტება და გადაწყვეტილება უკანონოა, არ გამომდინარეობს საპროცესო კოდექსის არც ერთი ნორმიდან, ვინაიდან მოწმეთა გამოკითხვის ოქმების მოწინააღმდეგე მხარისათვის გა-

დაცემა და სასამართლოსათვის წარდგენა, სხვა არაფერია თუ არა შუამდგომლობა მათ დაკითხვაზე. მოწმის გამოკითხვის ოქმის არსებითი განხილვის დროს გამოკვლევის ერთადერთი კანონიერი გზა და ასევე მათი მხარეთათვის გადაცემისა და სასამართლოში წარდგენის ერთადერთი მიზანი არის მათი მოწმედ დაკითხვა, ამდენად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მოწმეთა დაკითხვაზე უარის თქმის კანონიერების საკითხი; გამოძიება ჩატარდა არაობიექტურად და არასრულყოფილად, რაც არ შეაფასა სააპელაციო სასამართლომ; დაირღვა ბრალდებულის ფუნდამენტური უფლებები – პასუხი აგოს მხოლოდ იმ ქმედებისათვის, რომელსაც იგი ჩაიდენს, მოიპოვოს მტკიცებულებები, რომლებიც თანაბარ პირობებში იქნება გამოკვლეული და ასევე, ბრალდებულმა ისარგებლოს სამართლიანი სასამართლოს უფლებით.

სამოტივაციო ნაწილი:

გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების დასაბუთება:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა პირველ რიგში აღნიშნავს, რომ გ. ლ-ას მიმართ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის არსებითი მხარის – მტკიცებულებათა ერთობლიობის, დანაშაულის კვალიფიკაციის მართებულობისა და მისი დამნაშავეობა/უდანაშაულობის შეფასებამდე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ საპროცესო სამართლებრივ საკითხებზე, რომლებსაც დაცვის მხარე სადავოდ ხდოდა პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში და ამ ეტაპზეც წარმოადგენს საკასაციო საჩივრის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს.

3. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს კასატორის მითითებაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ უკანონოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევით უარი უთხრა დაცვის მხარეს წინასასამართლო სხდომაზე დასაშვებად ცნობილი მტკიცებულებების გამოკვლევაზე – მოწმეთა დაკითხვაზე, რაც სააპელაციო სასამართლომაც გაიზიარა. ამ მიმართებით პალატას მიაჩნია, რომ საკითხის გადწყვეტისას ზედმინვენით უნდა შეფასდეს იმ საპროცესო მოქმედებისა და გადწყვეტილებების კანონიერება, რომელიც უკავშირდება ამ საკითხს და დამოუკიდებლად ან სხვა გარემოებებ-

თან მიმართებით გავლენას ახდენს მის სამართლებრივ შეფასებაზე, კერძოდ:

ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 22 სექტემბრის განჩინებით გ. ლ-ას სისხლის სამართლის საქმეზე წინასასამართლო სხდომა დაინიშნა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში 2013 წლის 13 ნოემბერს;

ინფორმაციის გაცვლის თაობაზე ოქმების, სასამართლოში წარსადგენი მტკიცებულებების შესახებ განცხადებისა და წინასასამართლო სხდომის ოქმის თანახმად, დადგენილია, რომ დაცვის მხარემ წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 5 დღისა ბრალდების მხარეს გადასცა მოქალაქეების – ბ. ბ-ას, დ. ბ-ის, რ. წ-ას, ლ. ჯ-ას, ლ. კ-ას, ლ. კ-ასა და ნ. გ-ას გამოკითხვის ოქმები, ასევე ვიდეომასალები თანდართული ტექსტებით. აღნიშნული მტკიცებულებები 2013 წლის 8 ნოემბერს ბრალდებულ გ. ლ-ას ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. კ-ას განცხადებით, წარედგინა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს;

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 2013 წლის 13 ნოემბრის წინასასამართლო სხდომაზე დაცვის მხარის ზემოაღნიშნული ყველა მტკიცებულება დასაშვებად ცნო.

სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვისას, მიუხედავად იმისა, რომ წინასასამართლო სხდომაზე მოქალაქეთა გამოკითხვის ოქმები დასაშვებად იქნა ცნობილი, არსებითად განმხილველმა მოსამართლემ უარი თქვა მათ დაკითხვაზე იმ მოტივით, რომ დაცვის მხარემ ბრალდების მხარეს წინასასამართლო სხდომამდე არაუგვიანეს 5 დღისა არ გადასცა სრული ინფორმაცია მტკიცებულებების თაობაზე, რომელთა წარდგენასაც სასამართლოში აპირებდა, კერძოდ, სასამართლოში დასაკითხ პირთა ნუსხა. ამასთან, განმარტა, რომ დაცვის მხარის მიერ მხოლოდ გამოკითხვის ოქმების გადაცემა მოწინააღმდეგე მხარისათვის თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ მხარე მათ დაკითხვას ითხოვს საქმის არსებითად განხილვისას;

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დაცვის მხარის მოწმეთა დაკითხვაზე უარის თქმის შესახებ.

4. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვს ბრალდე-

ბის მოწმეებს. აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 (დ) პუნქტით, კერძოდ: ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები: დაკითხოს ან დააკითხინოს ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სტანდარტი ასახულია ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-14 ნაწილში, რომლის თანახმადაც, „ბრალდებულს უფლება აქვს: ... დაცვის მხარის მტკიცებულება გამოიკვლიოს იმავე პირობებში, როგორშიც ბრალდების მხარის მტკიცებულების გამოკვლევა ხდება“.

5. პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული უფლება წარმოადგენს მხარეთა თანასწორუფლებიანობისა და შეჯიბრებითი პროცესის მნიშვნელოვან გარანტიას. მიუხედავად დაცვის მხარისათვის ამ უფლების მნიშვნელობისა, უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ არის აბსოლუტური ხასიათის და სასამართლო ყველა შემთხვევაში, უპირობოდ არ არის ვალდებული, დააკმაყოფილოს დაცვის მხარის ეს მოთხოვნა. ეს დამოკიდებულია იმ სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებზე, რომლებიც ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, სახელმწიფოში აწესრიგებს მტკიცებულებათა დასაშვებობისა და გამოკვლევის პროცედურებს.

6. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლით განმტკიცებულია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი, კერძოდ: ამ მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე, ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება. აღნიშნული პრინციპები ასევე რეგლამენტირებულია სსსკ-ის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილში – სასამართლო ვალდებულია, მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა. პალატა აღნიშნავს, რომ მითითებული ნორმები არის ზოგადი ხასიათის, რომლებიც განამტკიცებს შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპებს, ხოლო კონკრეტული სა-

მართლებრივი საკითხი უნდა გადაწყდეს იმ სპეციალური ნორმების შესაბამისად, რომლებიც არეგულირებს სადავო სამართლებრივ ურთიერთობას, კერძოდ:

7. საქართველოს სსკ-ის 83-ე მუხლი არეგულირებს მხარეთა მიერ მტკიცებულებათა ერთმანეთისათვის გადაცემისა და სასამართლოსათვის წარდგენის წესს. მოცემულ შემთხვევაში აღნიშნულ მუხლთან მიმართებით უნდა შეფასდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა ბრალდების მხარისათვის გადაცემისა და სასამართლოსათვის წარდგენის კანონიერების საკითხი.

8. აღნიშნული მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „...მხარეების მიერ ინფორმაციის გაცვლის თობაზე დგება ოქმი, რომლის ასლიც ეგზავნება სასამართლოს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად“. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ დაცვის მხარემ მის ხელთ არსებული გამოკითხვის ოქმები გადასცა მონინალმდეგე – ბრალდების მხარეს, რის თაობაზეც შეადგინა შესაბამისი ოქმები და წარუდგინა სასამართლოს, ასევე სასამართლოს წარუდგინა ოქმები ინფორმაციის გაცვლის შესახებ.

9. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა არასწორად განმარტეს სსკ-ის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილი და მასში მოხსენიებული ტერმინი – „სრული ინფორმაცია“, რომლის ერთმანეთისთვის მიწოდების ვალდებულება აქვთ მხარეებს. პალატა აღნიშნავს, რომ „სრულ ინფორმაციაში“ მოიაზრება ყველა ის ინფორმაცია (მტკიცებულება), რომლებიც მხარეებს ხელთ აქვთ და მის სასამართლოში წარდგენას აპირებენ. დამატებით მხარეებისათვის იმ მოვალეობის დაკისრება, რომ გამოკითხვის ოქმების მეორე მხარისათვის გადაცემასა და სასამართლოსთვის წარდგენასთან ერთად დაეკისროთ ასევე ერთმანეთისა და სასამართლოსათვის დასაკითხ პირთა სიის (ნუსხის) წარდგენა, არ გამომდინარეობს საქართველოს სსკ-ის 83-ე მუხლის ან სხვა ნორმების მოთხოვნებიდან, რის გამოც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა გადაწყვეტილება ამ საკითხზე არამართებულია.

10. სსკ-ის მე-3 მუხლის 24-ე ნაწილის თანახმად, მოწმის ჩვენება არის მოწმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ. ამა-

ვე მუხლის მე-20 ნაწილის თანახმად, „...პირი მოწმის სტატუსსა და უფლება-მოვალეობებს იძენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე გაფრთხილებისა და ფიცის დადების შემდეგ. ამდენად, პალატა განმარტავს, რომ მოწმის გამოკითხვის ოქმს არ აქვს სამართლებრივი ძალა, ვერ მიენიჭება მტკიცებულების სტატუსი და ვერ იქნება სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანისას გამოყენებული, თუ არ იქნა გამოკვლეული საქმის არსებითად განხილვისას, რაც გულისხმობს გამოკითხული პირის უშუალო დაკითხვას სასამართლო სხდომაზე. ამ მოცემულობაში მხარის მიერ მოწმის გამოკითხვის ოქმის მონინააღმდეგე მხარისათვის გადაცემა, ამ დოკუმენტის გაცვლის თაობაზე ოქმის შედგენა და სასამართლოსათვის წარდგენა ერთმნიშვნელოვნად გულისხმობს, რომ მხარეს სურს აღნიშნული პირის (პირების) მოწმის სახით დაკითხვა, ვინაიდან გამოკითხვის ოქმს, დამოუკიდებლად აღებულს, სამართლებრივი ძალა არ გააჩნია და დაცვის მხარის მიერ განხორციელებული ზემოაღნიშნული ყველა საპროცესო მოქმედება ამ შემთხვევაში ყოველგვარ აზრს დაკარგავს.

11. ასევე, აღსანიშნავია, რომ მტკიცებულებათა გამჟღავნება – მხარეების მიერ ერთმანეთისათვის მტკიცებულებების გადაცემა – შეჯიბრებითობის უფლების შემადგენელი ნაწილია და მიზნად ისახავს იმას, რომ მხარეებს ჰქონდეთ ინფორმაცია ერთმანეთის მტკიცებულებებზე და აღნიშნულზე სასამართლოს წარუდგინონ თავიანთი პოზიცია. არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მოწმის გამოკითხვის ოქმების ერთმანეთისთვის გადაცემით ისინი არ იქნებიან ინფორმირებულნი, თუ მოწინააღმდეგე მხარე კონკრეტულად, რომელი მტკიცებულების წარდგენას აპირებს და რომელი მოწმის დაკითხვას ითხოვს სასამართლოში, არ არის მყარი, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოწმის გამოკითხვის ოქმს, თუ ეს მოწმე არ იქნება დაკითხული არსებითი განხილვის სხდომაზე, არ ენიჭება მტკიცებულების სტატუსი, ხოლო გამოკითხვის ოქმის გადაცემა მხარისათვის და წარდგენა სასამართლოსთვის სხვა არაფერია, თუ არა გამოკითხული პირის დაკითხვაზე მოთხოვნა. ამდენად, ეს საპროცესო მოქმედებები გონივრულია, ჩაითვალოს მოწინააღმდეგე მხარის სრულ ინფორმირებად მტკიცებულების გამოკვლევის – მოწმის შემდგომი დაკითხვის თაობაზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მხარეს, რომელმაც წარადგინა გამოკითხვის ოქმი, სამართალწარმოების შემდგომ ეტაპებზე (წინასასამართლო სხდომა, არსებითი განხილვა) აღარ სურს ამ მოწმის დაკითხვა, აღნიშნული მისი უფლებამოსილებაა და ამით მოწინააღმდეგე

მხარის უფლებების რაიმე ფორმით შეზღუდვის ან დარღვევის საფრთხე არ არსებობს.

12. ამასთან, პალატა დამატებით აღნიშნავს: ამ სამართლებრივი საკითხის იმგვარად გადაწყვეტა, რომ მხოლოდ გამოკითხვის ოქმის მეორე მხარისათვის გადაცემა და სასამართლოსათვის წარდგენა არ არის საკმარისი და საჭიროა მხარემ შეადგინოს დასაკითხ პირთა სია (ნუსხა), თუ რომელი მონმის დაკითხვას აპირებს სასამართლოში, წინააღმდეგობაში მოდის ასევე ამ შემთხვევაში – ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების პოზიციასთან, კერძოდ: იმ პირობებში, თუ სასამართლო მხარეს ერთ შემთხვევაში სთხოვს, რომ ცალკე შეადგინოს დასაკითხ პირთა ნუსხა, ბუნდოვანია, რატომ წყვეტს ამ საკითხს სხვაგვარად წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებების შემთხვევაში? ქვემდგომი სასამართლოების მიდგომას თუ გავიზიარებთ და მათ ლოგიკას მივყევით, მაშინ მხარეებმა სასამართლოს დასაკითხ პირთა ნუსხასთან ერთად ასევე უნდა წარუდგინონ ცალკე ნუსხა ან არსებულ ნუსხაში შეიტანონ დამოუკიდებელი პუნქტი, თუ რომელი წერილობითი ან ნივთიერი მტკიცებულების გამოკვლევას – დემონსტრირებას აპირებენ არსებითი განხილვის დროს, რაც ასევე ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს იქნებოდა მოკლებული.

13. პალატა ასევე ყურადღებას ამახვილებს სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომელიც განსაზღვრავს მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის საფუძველს, კერძოდ: ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ იმ მომენტიდან არსებული მასალის მხარისათვის სრული მოცულობით გადაუცემლობა იწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას. ამასთან, აღნიშნული მუხლით პირდაპირ გათვალისწინებული არ არის მტკიცებულებათა გაცვლისას და სასამართლოსთვის წარდგენისას მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის სხვა საფუძველები. მონმის ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად მიჩნევის საფუძველი გათვალისწინებულია სსსკ-ის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილით, კერძოდ, მონმის ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ ამ მონმის გამოკითხვის ოქმი არ გადაეცა მეორე მხარეს ამ კოდექსის 83-ე მუხლით დადგენილი წესით. მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული ნორმების დარღვევა სახეზე არ არის, ხოლო მხარის მიერ დამატებით მონინააღმდეგე მხარისათვის და სასამართლოსათვის დასაკითხ პირთა სიის (ნუსხის) გადაცემა, რომელიც, თავის მხრივ, არ გამომდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედი ნორმებიდან, არ შეიძლება შეფასდეს სისხლის სამართლის საპრო-

ცესო კოდექსის არსებით დარღვევად და გახდეს მონმეთა გამოკითხვის ოქმების, მათი ჩვენებების დაუშვებლად ცნობის ან არსებითი განხილვის დროს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის საფუძველი.

14. და ბოლოს, საკასაციო პალატა ყურადღებას უშუალოდ ამახვილებს სადავო საკითხის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტზე – მონმეთა გამოკითხვის ოქმების დასაშვებად ცნობის მიუხედავად, არსებითი განხილვის დროს ამ მონმეთა დაკითხვაზე უარის თქმის შესახებ. სსსკ-ის 220-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „წინასასამართლო სხდომის მოსამართლე მხარეთა მონაწილეობით საქმის არსებითად განხილვისათვის მოსამზადებლად: ამტკიცებს მხარეების მიერ წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხას...“. მოცემულ შემთხვევაში, როდესაც წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ გ. ლ-ას სისხლის სამართლის საქმეზე დაამტკიცა დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ნუსხა, მათ შორის – მონმეთა გამოკითხვის ოქმები, მხარეს წარმოეშვა მათი არსებითი განხილვის სხდომაზე გამოკვლევის – დაკითხვის უფლება, რაც მოცემულ შემთხვევაში, მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, არ იქნა რეალიზებული, ხოლო აღნიშნული დასაშვები მტკიცებულების გამოკვლევა ამ მოცემულობაში სასამართლო სხდომაზე მათი უშუალო დაკითხვის გარეშე სხვაგვარად (დემონსტრირებით) შეუძლებელი იყო. ამდენად, ყველა ზემოაღნიშნული გარემოების მხედველობაში მიღებით, ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობა და გადანყვეტილება მონმეთა დაკითხვაზე უარის თქმის თაობაზე, რითაც არალეგიტიმურად შეიზღუდა დაცვის მხარის უფლება, მისი მონმეების ისეთსავე პირობებში დაკითხვის თაობაზე, როგორიც აქვს მონინააღმდეგე – ბრალდების მხარეს.

15. ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში საქმის განხილვისას განვითარებულ მოსაზრებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში დაცვის მხარის მონმეთა დაკითხვით ბრალდების მხარე აღმოჩნდებოდა დაცვის მხარესთან არათანაბარ მდგომარეობაში. პალატა აღნიშნავს, რომ ბრალდების მხარის მიერ მონმეთ დასაკითხ პირთა ნუსხის შედგენა და სასამართლოსათვის წარდგენა იმ პირობებში, როდესაც საპროცესო კოდექსის არც ერთი ნორმა ასეთ ვალდებულებას მხარეთათვის არ ითვალისწინებს, არ შეიძლება შეფასდეს შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპების დარღვევად, თუ ასეთივე, მონმედ დასაკითხ პირ-

თა წუსხა არ შეადგინა დაცვის მხარემ და არ გადასცა სასამართლოს. პალატა მიუთითებს, რომ შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპების არალეგიტიმური შეზღუდვა სახეზე იქნებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული საპროცესო კოდექსის ნორმის მოთხოვნის საფუძველზე მოსამართლე ანალოგიურ მოცემულობაში ბრალდებისა და დაცვის მხარეების სასარგებლოდ მიიღებდა განსხვავებულ გადაწყვეტილებებს და მათ არ მისცემდა კონკრეტული ნორმით გარანტირებული უფლებებით სარგებლობის თანაბარ შესაძლებლობას, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

16. საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ სასამართლო საქმეს განიხილავს წარდგენილი ბრალდების ფარგლებში. საქართველოს სსსკ-ის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირის ბრალდება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა. ამავე კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბრალდების შესახებ დადგენილებაში უნდა აღინიშნოს: ბრალდების ფორმულირება – ინკრიმინირებული ქმედების აღწერა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით. ამდენად, წარდგენილი ბრალდების ფარგლებში მოიაზრება სწორედ პროკურორის მიერ ბრალდების შესახებ დადგენილებაში ჩამოყალიბებული ბრალდების ფორმულირება, რომელშიც მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული იმ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების აღწერა (როგორ გამოიხატა), რომელსაც ბრალდების მხარე ედავება ბრალდებულს, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხის, საშუალების, იარაღის, აგრეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით.

17. მოცემულ შემთხვევაში, გ. ლ-ას ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, მისი დანაშაულებრივი ქმედება იმაში გამოიხატა, რომ იგი 2013 წლის 20 სექტემბერს ქ. ფ-ში, ჭ-ის ქუჩაზე, 21:30 წუთზე გადაადგილდებოდა და ატარებდა მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილ „ნაგანის“ სისტემის ცეცხლსასროლ იარაღსა და 7 საბრძოლო მასალას. პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა გ. ლ-ას მსჯავრი დასაჯეს ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენის, შენახვისა და ტარებისათვის, რითაც სასამართლოებმა მას ფაქტობრივად ბრალდება დაუშდომეს ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შენახვით, რომელიც ბრალდების მხარეს მისთვის არ წარუდგენია (დადგენილებიდან არ გამომდინარეობს). შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა იმ-

სჯელოს ამ მიმართებით.

18. საკასაციო პალატა ზემოაღნიშნული გარემოების გამო, არ მსჯელობს კასატორის მითითებაზე – ბრალდების მხარის მტკიცებულებებს შორის არსებულ ურთიერთინააღმდეგობებზე, დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმში შესაძლო ცრუ ინფორმაციის შეტანაზე, მტკიცებულებათა უტყუარობასა და საკმარისობაზე, ვინაიდან ეს და სხვა სადავო საკითხები საბოლოოდ ერთობლიობაში უნდა შეფასდეს დაცვის მხარის მტკიცებულებების გამოკვლევის – მოწმეთა დაკითხვის შემდეგ, ასევე მათი ბრალდების მხარის მტკიცებულებებთან ურთიერთშეჯერების შედეგად.

19. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დაცვის მხარისათვის მოწმეთა დაკითხვაზე უარის თქმით არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები, რის გამოც უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 3 ოქტომბრის განაჩენი მსჯავრდებულ გ. ლ-ას მიმართ. ამასთან, ვინაიდან საკასაციო პალატას არ გააჩნია აღნიშნული დარღვევის გამოსწორებისა და დაცვის მხარის უფლებების აღდგენის – მოწმეთა დაკითხვის სამართლებრივი მექანიზმი, ეს უნდა გამოსწოროს სააპელაციო სასამართლომ, კერძოდ: საქმე უნდა განიხილოს და დაკითხოს დაცვის მხარის მოწმეები, რის შემდეგაც უნდა შეაფასოს გ. ლ-ას დამნაშავეობა/უდანაშაულობა და მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ გ. ლ-ასა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ს-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 3 ოქტომბრის განაჩენი მსჯავრდებულ გ. ლ-ას მიმართ.

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

„დაუსწრებელი მოწმის“ ჩვენება

ბანაჩანი საქართველოს სახელით

№14აპ-15

30 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე)
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ ა. ბ-ს ინტერესე-
ბის დამცველი ადვოკატების – გ. კ-სა და ა. მ-ს საკვასაციო საჩი-
ვარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 20 ნოემ-
ბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილებით ა. ბ-ს, – ნასამართლო-
ბის არმქონეს, – ბრალი დაედო საქართველოს სსკ-ის მე-19,108-
ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელო-
ბა; ასევე – ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შე-
ძენა და ტარება; ასევე – ნარკოტიკული საშუალების ექიმის და-
ნიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება ასეთი ქმედებისათ-
ვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ, რაც
გამოიხატა შემდეგში:

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 26 ივნისის
დადგენილებით ა. ბ-ე ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად ასკ-
ის 45-ე მუხლით და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეე-
ფარდა ჯარიმა – 500 ლარის ოდენობით. 2013 წლის 19 ოქტომ-
ბერს თბილისში ნარკოლოგიური გამოკვლევის შედეგად ა. ბ-ს
დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება ტეტრაჰიდროკანაბინო-
ლის (მარიხუანა) უკანონოდ მოხმარების ფაქტი.

3. 2013 წლის 5 ნოემბერს, სალამოს საათებში, თბილისში, ტაშ-
კენტის ქ. №...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, ა. ბ-მ შურისძიე-
ბის მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, ცეცხლსასროლი ია-
რალიდან რამდენჯერმე ესროლა ა. კ-ს, რის შედეგადაც მიაყე-
ნა დაზიანებები ფეხების, გულ-მკერდისა და მუცლის არეში და
მიიმალა შემთხვევის ადგილიდან, ხოლო ა. კ-ე გადაიყვანეს სა-
ავადმყოფოში.

4. ა. ბ-მ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინა-

აღმდევოდ შეიძინა „P.BERETTA-ს“ მსგავსად კუსტარული წე-სით დამზადებული ცეცხლსასროლი იარაღი მჭიდრითა და ვაზ-ნებით, რომლებსაც ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა 2013 წლის 5 ნოემბერს თბილისში, ტაშკენტის ქ. №...-ის მიმდე-ბარე ტერიტორიაზე.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 25 ივნისის განაჩენით ა. ბ-ე გამართლდა საქართველოს სსკ-ის მე-19,108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით წარდგე-ნილ ბრალდებაში; მასვე სსკ-ის 273-ე მუხლით განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით. ა. ბ-ს 3 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კა-ნონში ჩამოთვლილი უფლებები და იგი დაუყოვნებლივ გათავი-სუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

6. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორმა შ. ნ-მ. მან მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 25 ივნისის განაჩენის გაუქმება ა. ბ-ს გამართლების ნაწილში და მისი დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის მე-19,108-ე მუხ-ლითა და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით.

7. მსჯავრდებულ ა. ბ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატ-მა ა. მ-მ შესაგებლად მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უც-ვლელად დატოვება.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 20 ნოემ-ბრის განაჩენით დაკმაყოფილდა პროკურორ შ. ნ-ს სააპელაციო საჩივარი და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 25 ივნისის განაჩენი შეიცვალა: ა. ბ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და განესაზღვრა: საქართველოს სსკ-ის მე-19,108-ე მუხლით – 7 წლითა და 6 თვით, 273-ე მუხლითა და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწი-ლით – 6-6 თვით, ხოლო 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა; შთანთქმის პრინციპის გამოყენებით ა. ბ-ს საბოლოოდ მიესაჯა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; მასვე 3 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაუ-ლის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩა-მოთვლილი უფლებები. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთ-ვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2013 წლის 5 ნოემბრიდან 2014 წლის 25 ივნისის ჩათვლით.

9. კასატორები – მსჯავრდებულ ა. ბ-ს ინტერესების დამ-ცველი ადვოკატები – გ. კ-ი და ა. მ-ე საკასაციო საჩივარში აღ-ნიშნავენ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს არსებითად დაირღვა საქართველოს სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსი და მსჯავრდებულის ქმედებას მიეცა არასწორი კვალიფიკაცია.

10. კასატორთა განმარტებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ, სამართლებრივი არგუმენტაციის გარეშე, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დამახინჯებით მიიღო ტენდენციური გადაწყვეტილება; სასამართლო გაცდა აპელანტის სააპელაციო საჩივრის ფარგლებს და მსჯავრდებულის ინტერესების სანინააღმდეგოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის იმ ნაწილსაც შეეხო, რაც საერთოდ არ იყო სააპელაციო საჩივრის საგანი, რითიც დაარღვია საქართველოს სსსკ-ის 298-ე მუხლის მოთხოვნა, კერძოდ: სააპელაციო სასამართლომ რევიზია გაუკეთა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით ჩადენილი დანაშაულისათვის ა. ბ-ს მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენების შესაძლებლობას, მაშინ, როდესაც აღნიშნული არ წარმოადგენდა პროკურორის სააპელაციო საჩივრის საგანს და ამით უკანონოდ გაუარესდა ა. ბ-ს სამართლებრივი მდგომარეობა.

11. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, მონმეებისა და დაზარალებულის ჩვენებებით არ დადასტურდა, რომ ა. ბ-სა და ა. კ-ს ჰქონდათ კონფლიქტი, რაც შეიძლებოდა გამხდარიყო მკვლელობის მოტივი; მონმეების – ს. მ-სა და ქ. ზ-ს ჩვენებებით, მსროლელი არ იყო ა. ბ-ე; გამოძიებამ ამოიღო, თუმცა საქმეში არ მოათავსა ტაშკენტის ქ. №...-ის გარე სათვალთვლო ვიდეოკამერის ჩანაწერი და დაცვის მხარეს არაოფიციალურად გადაეცა რამდენიმენამიანი „დაჩეხილი“ მასალა, რასაც ადასტურებს 2013 წლის 11 დეკემბრის ცნობა და დათვალთვლების ოქმი, რომელიც ბრალდების მხარემ უდავოდ მიიჩნია, ხოლო სააპელაციო სასამართლომ ამასთან დაკავშირებით საერთოდ არ იმსჯელა; სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა ა. ბ-ს იძულებაზე, ხსენებული დანაშაულის ჩადენაში ემხილა თავისივე მეგობარი და ნათესავი თ. დ-ე.

12. ხაზგასასმელია დ. თ-ზე სამართალდამცავი ორგანოს მხრიდან განხორციელებული უკანონო ქმედებები, რომლებითაც მას აიძულებდნენ, დანაშაულის ჩადენაში ემხილა თ. დ-ე, რომელიც, ოფიციალური ინფორმაციით, დანაშაულის ჩადენის მომენტში არ იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე; მას შემდეგ, რაც მიიღეს სასურველი ჩვენება, რომლის მიხედვით, დ. თ-ე ირიბად ამხელდა ა. ბ-ს მკვლელობის მცდელობის ჩადენაში, ბრალდების მხარემ ყველაფერი გააკეთა, რომ იგი არ გამოცხადებულიყო სასამართლო პროცესზე და არ ეთქვა სიმარ-

თლე, რომ ა. ბ-ე იყო უდანაშაულო; სააპელაციო სასამართლო კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით, ცალსახად დაეყრდნო დ. თ-ს მიერ გამოძიებისათვის მიწოდებულ ფალსიფიცირებულ ინფორმაციას, რომელიც, პროკურატურის ძალისხმევით, სასამართლოში ვერ გადამონმდა; ა. ბ-ს ბრალეულობა, დ. თ-ს ჩვენების გარდა, არ დასტურდება არც ერთი სხვა მტკიცებულებით, დ. თ-ს ჩვენება კი ირიბი მტკიცებულებაა, რომელიც იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს დასაშვები, თუკი ის დადასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი (სსსკ-ის 76-ე მუხლი); ბუნებაში არ არსებობს ისეთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ა. ბ-ს მიერ ა. კ-ს დაჭრას.

13. დ. თ-ს მიერ გამოძიებაში იძულებით მიცემული ინფორმაცია არ შეიძლებოდა აღქმულიყო, როგორც მოწმის ჩვენება, რადგან მოწმის ჩვენება – ეს არის ინფორმაცია, რომელსაც მოწმე იძლევა სასამართლოში; დ. თ-ს მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაციის დეპონირებულ ჩვენებად ჩათვლა და სსსკ-ის 243-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შემდგომში მისი სასამართლო სხდომაზე წაკითხვა საპროცესო კანონის უხეში დარღვევაა, შესაბამისად, დაუშვებელია ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა.

14. ა. ბ-ს ჩვენებით, იგი პოლიციაში მას აიძულებდნენ, რომ „ხელი დაედო“ დ. თ-სათვის, რომელიც იყო მისი მეგობარი და ნათლული, ამიტომ თავდაპირველად ა. კ-ს დაჭრა აიღო თავის თავზე; აღნიშნული ჩვენება სრულად დადასტურდა მოწმედ დაკითხული გ. რ-სა და ნ. კ-ს ჩვენებებითა და ი. მ-ს გამოკითხვის ოქმით, თუმცა სააპელაციო სასამართლომ უსამართლოდ და უსაფუძვლოდ არ გაიზიარა ეს ჩვენებები იმ მოტივით, რომ ისინი ცდილობენ, პასუხისმგებლობა აარიდონ მეგობარს.

15. მოწმეები – გ. ს-ე, მ. ხ-ი, ტ. ბ-ე, ნ. კ-ე, გ. რ-ე, ე., ლ. და ვ. ც-ები, გ. ნ-ი და თ. ჩ-ე აცხადებდნენ, რომ ისინი შეესწრნენ ს. მ-ს საუბარს, როდესაც იგი აღწერდა ა. კ-ს დაჭრის დეტალებს და აცხადებდა, რომ მსროლელი არ იყო ა. ბ-ე; ბრალდების მხარემ აღნიშნული მტკიცებულებები და მათში გადმოცემული ფაქტობრივი გარემოებები არ გახადა სადავოდ, თუმცა სასამართლომ ისინი უსაფუძვლოდ არ გაიზიარა.

16. მოწმე ე. ზ-ს ჩვენებით, ა. ბ-ე მისი გულისთვის არ დაჭრიდა ა. კ-ს, რომელიც, მისი აზრით, დაჭრა თავისმა ყოფილმა მეუღლემ თ. დ-მ, რომელსაც არაოფიციალურად ჰქონდა „ბერეტას“ მოდელის იარაღი მაყუჩთან ერთად; სააპელაციო სასამართლო საერთოდ გვერდს უვლის ამ გარემოებებს და ა. ბ-ს ადანა-

შაულებს შემთხვევის ადგილიდან ამოღებული იარაღის უკანონო შექენასა და ტარებაში, მაშინ, როდესაც ამის ირიბი მტკიცებულება კი არ გააჩნია; ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებულ იარაღზე არ არის ა. ბ-ს თითის ანაბეჭდები, მის ტანსაცმელს არ აღენიშნება მეტალიზაციის კვალი; აღსანიშნავია ისიც, რომ რეზინის ხელთათმანები ნაპოვნია და სამძებრო ძალში „ჯინა“ წავიდა ა. ბ-სა და დ. თ-ს მოძრაობის საპირისპიროდ, ანუ იმ მხარეს, საითაც ა. ბ-ს საერთოდ არ გაუვლია; დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ და სასამართლოში უდავოდ ცნობილ, ტაშკენტის ქუჩაზე ს/ს „საქართველოს ბანკისა“ და „მედი ქლაბ ჯორჯიას“ სათვალთვალო ვიდეოკამერებით 2013 წლის 5 ნოემბერს განხორციელებულ ჩანაწერებში არ ჩანს ა. ბ-ე, რითიც დასტურდება მისი უდანაშაულობა.

17. ოდოროლოგიური ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, „შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი თეთრი ფერის სამედიცინო ხელთათმანებიდან ამოღებული სუნის კვალის ნიმუშები არაიდენტიურია ბრალდებულ ა. ბ-ს ტანსაცმელიდან და მისგან აღებული სუნის კვალის ნიმუშების“; ხელის კვლები არ გამოვლინდა პისტოლეტზე, მჭიდსა და ხელთათმანებზე; ა. ბ-ს ტანსაცმელზე რაიმე სახის მეტალის კვალი არ დაფიქსირდა; აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებს საერთოდ არ ახსენებს სააპელაციო სასამართლო და არ ცდილობს, გააქარწყლოს ან რაიმე ლოგიკური მსჯელობა შემოგვთავაზოს მოცემულ მტკიცებულებებზე; უბრალოდ იგნორირებას უკეთებს ა. ბ-ს აშკარა გამამართლებელ ფაქტობრივ გარემოებებს.

18. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ქიმიური ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, არ არის დადგენილი ა. ბ-ს მარჯვენა ხელის ანაწმენდსა და ქურთუკის სახელოზე რა რაოდენობის სტიბიუმისა და ბარიუმის კვალი იქნა აღმოჩენილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ, გამოძიებას არ აწყობდა რა ქიმიური ელემენტების ოდენობის დაფიქსირება, ექსპერტიზის მიერ დასკვნაში საერთოდ არ აისახა აღნიშნული; დასკვნაში არაფერია თქმული ა. ბ-ს ტანსაცმელსა და ხელის ანაწმენდზე დიფენილამინის კვალის აღმოჩენის თაობაზე, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ა. ბ-ს ტანსაცმელსა და ხელის ანაწმენდზე დარჩენილი ქიმიური შემადგენლობები არ არის დარჩენილი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად (ა. ბ-მ გრ-სთან გაისროლა საახალწლო შუშხუნა).

19. ექსპერტიზის დასკვნით, რომელიც დაადასტურა ექსპერტმა ზ. ო-მ, NO₂ არის მაღალი ტემპერატურის წვის დროს გამოყოფილი გაზისებრი კომპონენტი, რომელიც გამოიყოფა თით-

ქმის ნებისმიერი ნივთიერების წვის დროს (მათ შორის – შუშხუნის, დენტის და ა.შ.); მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივად უგულვებლყო მოცემული განმარტება და ტენდენციურად არ გაიზიარა დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა.

20. გარდა ამისა, სასამართლომ არ გაიზიარა გ. რ-ს მიერ წარმოდგენილი საბავშვო ბაღის გარე სათვალთვალო ვიდეოკამერის ჩანაწერი (რომლითაც დგინდება, რომ 2013 წლის 5 ნოემბერს ა. ბ-ე გ. რ-სთან საბავშვო ბაღში მივიდა 20 საათსა და 52 წუთზე) იმ მოტივით, რომ შენობაში შემსვლელი პირის ქურთუკის ფერი არ ემთხვევა მონმეების მიერ აღწერილი ა. ბ-ს ქურთუკის ფერს; ცნობილი ფაქტია, რომ გარე სათვალთვალო კამერა ღამის საათებში ინფრანითელი სხივების მეშვეობით განსხვავებულ ფერებში აღიქვამს მატერიას; ა. ბ-ს შემთხვევის დღეს, ამოღებისა და დათვალთვალების ოქმის მიხედვით, ეცვა ტყავისა და ნაჭრის კომპონენტებისაგან შეკერილი ქურთუკი, ამიტომ ღამით ინფრანითელ კამერაში ტყავისა და მატერიის შემადგენლობა აღიქმება სხვადასხვა ფერად.

21. ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ შემთხვევის ადგილის დათვალთვალების ოქმზე თანდართულ სურათებში ნათლად ჩანს, თუ როგორ კარგად არის განათებული შემთხვევის ადგილი, ამიტომ გამორიცხულია, ს. მ-ს ვერ ეცნო თავისი ალალი დეიდაშვილი ა. ბ-ე; მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა ირწმუნეს გარეშე პირების მონათხრობი, რეალური, ობიექტური გარემოებებისა და ფაქტების საწინააღმდეგოდ.

22. კასატორთა აზრით, ა. კ-სა და სასულიერო პირის საუბრის ფარული აუდიოჩანაწერიდან აშკარად იკვეთება დანაშაულის ჩამდენი პირი და მოტივი; ამ ჩანაწერის სამართლებრივ შეფასებას სააპელაციო სასამართლო გვერდს უვლის; რაც შეეხება თ. დ-ს, მან 2013 წლის 4 ნოემბერს გადაკვეთა საქართველოს საზღვარი თურქეთის მიმართულებით და ოფიციალურად საქართველოში არ დაბრუნებულა, თუმცა 2013 წლის 9 ნოემბერს დააკავეს საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთის საზღვრის გადაკვეთის მცდელობისას და ამჟამად იხდის სასჯელს.

23. დაზარალებულ ა. კ-ს არ დაუნახავს, თუ ვინ ესროლა; მისი აზრით, მსროლელს სურდა მისი დაჭრა და არა – მოკვლა; მოკვლა რომ ნდომებოდა, მსროლელი დაახლოებით 2 მეტრში იმყოფებოდა და საკონტროლო გასროლით ა. კ-ს მოკვლა პრობლემას არ წარმოადგენდა, მით უფრო, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ იარაღში იყო ერთი გაუსროლელი ვაზნა; აღ-

ნიშნულის გამო, ა. კ-ს მიმართ განხორციელებული ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და არა – სსკ-ის მე-19,108-ე მუხლით.

24. საჩივრის ავტორთა აზრით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო სწორი და ობიექტური გადაწყვეტილება, ხოლო ბრალდების მხარეს სააპელაციო სასამართლოში არ წარუდგენია ახალი მტკიცებულება, რომლითაც დადგინდებოდა ა. ბ-ს შემხებლობა ხსენებულ საქმესთან, მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საპროცესო კანონის არაერთი მოთხოვნა, არასწორად განმარტა კანონის მუხლები, მიიღო უკანონო გადაწყვეტილება და რევიზია გაუკეთა განაჩენის იმ ნაწილსაც, რომელსაც არც ერთი მხარე სადავოდ არ ხდოდა და დაამძიმა ა. ბ-ს სამართლებრივი მდგომარეობა.

25. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატები – გ. კ-ი და ა. მე-ე ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 20 ნოემბრის განაჩენის შეცვლას: ა. ბ-ს გამართლებას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, მე-19,108-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებებში, ხოლო სსკ-ის 273-ე მუხლით მისთვის სასჯელის ზომად 6 თვით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას, რაც ჩაეთვლება პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობით განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს ვინაიდან, ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებები არ იძლევა იმის საფუძველს, რომ საკასაციო პალატამ გონივრულ ეჭვს მიღმა დადგენილად მიიჩნიოს ა. ბ-ს მიერ განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შექენა-ტარების ფაქტი, კერძოდ:

2. მოწმე გ. ს-მ აჩვენა, რომ ა. ბ-ე მისი შვილის ნათლიაა და იცნობს დაახლოებით 1992-1993 წლებიდან, ის ასევე მისი მამიდაშვილის – ა. კ-ს მამიდაშვილია. ა. კ-ე დაავადებულია C ჰეპატიტითა და შიდსით, რის გამოც, სამკურნალოდ ინფექციურ საავადმყოფოში უწევდა კვირაში ერთხელ მისვლა და ამიტომ მომხდარ ფაქტამდე მასთან ხშირად რჩებოდა, თუმცა ხანდახან სხვა ნათესავეებთანაც მიდიოდა. ნ. მ-ს იცნობდა ა. კ-სა და ა. ბ-საგან, ის ა. კ-ს მამიდაშვილია. ა. ბ-ე და ნ. მ-ი დეიდაშვილები

არიან. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ა. კ-ე გაშორდა მეუღლეს, 2-3 თვე ბათუმში იყო, შემდეგ – მონასტერში, შემდეგ კი მკურნალობის მიზნით – თბილისში. ა. კ-ს და ა. ბ-ს ციხიდან გამოსვლის შემდეგ გაუფუჭდათ ურთიერთობა, თუმცა მიზეზი არ იცის. ქ. ზ-ს იცნობს ა. კ-საგან, იგი არის მისი მამიდაშვილი, ის მეუღლეს ასევე გაშორებულია; ამ საკითხთან დაკავშირებით იცის ბათუმში გავრცელებული ჭორის შესახებ, რომ ა. კ-სა და ქ. ზ-ს ჰქონდათ ინტიმური ურთიერთობა. აღნიშნული ქ. ზ-ს მეუღლემ თ. დ-მ დაიჯერა და ისინი განქორწინდნენ. მოწმემ განაცხადა, რომ ხშირად უნახავს ა. და ქ. ერთად. 2013 წლის 5 ნოემბერს დაურეკა ა. კ-მ და უთხრა, რომ სამსახურის შემდეგ გაველო ნ. მ-თან, ვისთანაც სუფრა იშლებოდა. სუფრის ერთ-ერთ წევრს – ს. მ-ს სიგარეტი გაუთავდა და ჩავიდა მაღაზიაში საყიდლად, მას ა. კ-ე გაჰყვა. დაახლოებით ორ წუთში ს-ს მეუღლის ტელეფონზე გაისმა ზარი, შეიტყვეს, რომ ა. კ-ე იყო ცუდად. სუფრის წევრები ჩავიდნენ ეზოში, ა. კ-ე ძირს იწვა და იგი-ნებოდა. ფეხებთან დაინახა სისხლი და მიხვდა, რომ ის იყო დაჭრილი. ს. ყვიროდა, რომ ავტომანქანა ვერ გავიდოდა ეზოდან, რა ავტომანქანას გულისხმობდა ს., მისთვის უცნობია. მომხდარის შემდეგ ს. მ-ი ბევრჯერ ნახა, ის საავადმყოფოში მიდიოდა ხოლმე და მომხდართან დაკავშირებით საუბრობდნენ. ს. მ-მა უთხრა, რომ სროლის დროს სილუეტი დაინახა, რომელმაც ავტომანქანასთან მიიღბინა და სწორედ ამ მანქანას გულისხმობდა შემთხვევის დროს. მოწმემ დაადასტურა, რომ ეზო კორპუსის მხარეს განათებულია „არკა“ კი – ჩაბნელებული. როგორც ს. მ-ი ამბობდა, მსროლელი ა. ბ-ე რომ ყოფილიყო, იცნობდა.

3. ანალოგიური ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურეს სუფრის სხვა წევრებმაც, მოწმეებმა – ნ. მ-მა, დ. ლ-მ და მ. ხ-მა.

4. დაზარალებულმა ა. კ-მ აჩვენა, რომ ა. ბ-ე მისი მამიდაშვილია. ქ. ზ-ე არის ასევე მისი მამიდაშვილი, ხოლო ქ. და ა. არიან დეიდაშვილები. მას ა. ბ-სთან ჰქონდა კარგი ურთიერთობა, თუმცა ბოლო პერიოდში უკვე აღარ ჰქონდა ურთიერთობა. ქ. და ა. ერთმანეთთან, როგორც იცის, ბოლო პერიოდში აღარ კონტაქტობდნენ. მას ქ-სთან დამური ურთიერთობა აქვს. ქ. ზ-ე ქორწინებაში იყო თ. დ-სთან, თუმცა ამჟამად არის განქორწინებული, მას ასევე გაცნობის დღიდან კარგი ურთიერთობა აქვს თ. დ-სთან. მისთვის უცნობია ქ. ზ-სა და თ. დ-ს განქორწინების მიზეზი. მოწმემ განაცხადა, რომ 2013 წლის 5 ნოემბერს იმყოფებოდა ნ. მ-თან სუფრაზე. საღამოს ს. მ-ს გაჰყვა მაღაზიაში, ეზოში ჩასვლისას „არკაში“ ყოფნისას ესროლეს. იმ დროისათვის უკვე ბნელოდა. პირველი ტყვიის მოხვედრა ვერ იგრძნო,

ეგონა იყო შაშხანა, შემდეგ კი მიხვდა, რომ ვიღაცა ცეცხლსასროლ იარაღს ესროდა ზურგის მხრიდან. მან ს-ს მიარტყა ხელი, მობრუნდა, მაგრამ შუქი მიენათა და ვერ დაინახა ვერავინ. ს. ყვიროდა, უცნობებს მიმართავდა სასწრაფო დახმარება გამოეძახათ. მოწმემ დაადასტურა, რომ მას არ დაუნახავს, ვინ ესროდა, დაინახა ადამიანი, რომელიც გარბოდა, თუმცა სქესის იდენტიფიცირებაც ვერ შეძლო. მოწმემ განმარტა, რომ არ სჯერა, რომ ა. ბ-ე ჩაიდენდა მისთვის ბრალად შერაცხულ ქმედებას.

5. მოწმე ს. მ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ა. ბ-ე მისი დეიდაშვილია, დაზარალებული ა. კ-ე ასევე მისი ნათესავია, ისევე როგორც – ა. ბ-ს. მისი განმარტებით, ა. კ-ე სამკურნალო პროგრამაში იყო ჩართული და ყოველ სამშაბათს ნემსის გასაკეთებლად ჩამოდიოდა თბილისში და რჩებოდა ან მის დასთან – ნ. მ-თან, რომელიც ცხოვრობდა ვაჟა-ფშაველას –ში, ან თავის ბიძაშვილთან – გ. ს-სთან, რომელიც აგრეთვე ცხოვრობდა ვაჟა-ფშაველას კვარტალში. მოწმემ აჩვენა, რომ 2013 წლის 5 ნოემბერს ნ. მ-თან იმყოფებოდა, სადაც ასევე იყო ამ უკანასკნელის მეუღლე, და, ა. კ-ე და გ. ს-ე. დაახლოებით საღამოს 9-ის ნახევარზე ის და ა. კ-ე ჩავიდნენ მაღაზიაში სიგარეტის საყიდლად; „არკიდან“ გასვლისას გაიგეს გასროლის ხმა, 2-3 მეტრით წინ დაინახა ნაპერწკალი ასფალტზე, რაც მაშხალა ეგონა, თუმცა აღნიშნულს მოჰყვა რამდენიმე გასროლა, ის რაღაც მომენტში მოტრიალდა და დაინახა მსროლელის ხელი, შემდეგ კი – ნაქცე-ული ა. კ-ე. იქვე 20-30 მეტრში, ხელმარცხნივ, კალათბურთის მოედანთან, დაინახა ავტომანქანა, რომელიც უკვე დაძრული იყო და სილუეტი, რომელიც ავტომანქანისკენ გარბოდა. იგი შველას ითხოვდა. როგორც ახსოვს, მეუღლესთან დარეკვაც მოახერხა. აზრზე რომ მოვიდა, ძალიან ბევრი პოლიციელი იყო, შემდეგ პოლიციელებს ეძებდა და ყვიროდა, რომ ეზოს სხვა გასასვლელი არ აქვს, ავტომანქანა კი ეზოში იყო და მოექცნათ. „არკაში“ არანაირი განათება არ იყო და ბნელოდა. მისი განმარტებით, მან სროლის დროს დაინახა იარაღიანი ხელი იდაყვიდან. მსროლელს, როგორც ახსოვს, შავი ტანსაცმელი ეცვა. მოწმემ განმარტა, რომ მის მიერ დანახული სილუეტი ა. ბ-ე რომ ყოფილიყო, აუცილებლად იცნობდა.

6. მოწმე ქ. ზ-ს მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ ა. ბ-ე არის მისი დეიდაშვილი, ხოლო დაზარალებული ა. კ-ე მისი ბიძაშვილია. ა. კ-ე და ა. ბ-ე არიან ბიძაშვილ-მამიდაშვილები. რამდენიმე წელია ა. ბ-სთან არანაირი ურთიერთობა არ აქვს, ხშირად ჩხუბობდნენ. ა. კ-სთან ძალი-

ან კარგი ურთიერთობა აქვს. ა. კ-ს და ა. ბ-ს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ ბავშვობიდან, მაგრამ პერიოდულად რიგდებოდნენ, თუმცა ეს ურთიერთობა არ იყო ისეთი, რომ ერთმანეთი სასიკვდილოდ გაემეტებინათ. თ. დ-სთან განქორწინებულია, რადგან ბათუმში გავრცელდა ჭორი, რომ თითქოსდა მას და ა. კ-ს ჰქონდათ ინტიმური ურთიერთობა, რის გამოც თ. დ-მ სცემა და უთხრა, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ ა. კ-ს არსად გადაეყრებოდა. მოწმემ განაცხადა, რომ თ. დ-ს ჰქონდა იარაღი ე.წ. „ბერეტა“ მაცუჩით, ტყვიები კი იყო გრძელი, მაკაროვისმაგვარი.

7. მოწმე თ. დ-ს მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ ა. ბ-ე მისი მეგობარი და ნათლიაა. 2013 წლის 4 ნოემბრიდან 9 ნოემბრამდე იმყოფებოდა სტამბულში, საიდანაც არალეგალურად გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი და გადმოსვლისას დააკავეს. წაიყვანეს ნარკოლოგიურში, სადაც ხალხი ლაპარაკობდა ა. ბ-სა და ა. კ-ს საქმეზე. „კაპეზეში“ გამოძიებლებმა ასევე უთხრეს მომხდარი ამბავი, კერძოდ ის, რომ ა. ბ-მ ესროლა ა. კ-ს. ის იმყოფებოდა ქორწინებაში ქ. ზ-სთან, ქორწინებამდე პერიოდიდან იცნობს ა. კ-ს. ბ-ე და კ-ე ნათესავეები არიან. იცის, რომ კარგი ურთიერთობა არ ჰქონდათ ა. ბ-სთან არც ა. კ-ს და არც ქ. ზ-ს. ა. და ქ. ნათესავეები არიან. ასევე მეუღლისგან იცის, რომ ბინძურად ჭორაობდნენ, თითქოს ა-სა და ქ-ს ჰქონდათ ინტიმური ურთიერთობა, თუმცა მას არ დაუჯერებია ჭორი, შესაბამისად, არც გაურკვევია. ა. კ-ე ჩვეულებრივ მიდიოდა მასთან სახლში და ჰქონდა ურთიერთობა, არც ულაპარაკიათ ჭორებთან დაკავშირებით. მისთვის უცნობია, იცოდა თუ არა ა. ბ-მ ჭორების შესახებ. მოწმემ დაადასტურა, რომ მეუღლესთან ჭორებთან დაკავშირებით არ უჩხუბია. განქორწინების მიზეზი იყო ის, რომ ქ. თბილისელი იყო, ის კი – ბათუმელი, ქ-ს მშობლები თბილისში ჰყავდა და არ შეეძლო ბათუმში ცხოვრება. ა. კ-ს მოკვლით არ დამუქრებია, ამასთან, ცეცხლსასროლ იარაღებთან არასდროს ჰქონია შეხება და არც არასდროს ჰქონია. მისი მეუღლე გარკვეულია თუ არა იარაღებში, არ იცის.

8. მოწმე ლ. ხ-ს მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ ის არის შსს საქსპერტო დანესებულების მთავარი ექსპერტი. მან დაადასტურა მის მიერ 2013 წლის 6 ნოემბერს გაცემული დასკვნა, რომლის თანახმადაც, იარაღის ლულიდან აღებულ ანანმენდზე დენთის შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტის ფუნქციონალური ჯგუფის – NO₂-ის არსებობა დაფიქსირდა. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი იარა-

ლიდან ბოლო განმენდის შემდეგ ნაწარმოებია გასროლა; მანვე დაადასტურა 2013 წლის 8 ნოემბერს გაცემული დასკვნა, რომლის თანახმადაც, ექსპერტიზაზე წარმოდგენილ ა. ბ-სა და დ. თ-ს ტანსაცმელზე დენთის შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტის ფუნქციონალური ჯგუფის – NO_2 -ის არსებობა დაფიქსირდა ა. ბ-ს ქურთუკის გულისპირსა და ორივე სახელოზე, ტყვიის კაფსულაში შემავალი კომპონენტების – სტიბიუმისა და ბარიუმის არსებობა დაფიქსირდა ა. ბ-ს ქურთუკის მარჯვენა სახელოზე. სამედიცინო ხელთათმანზე დაფიქსირდა დენთის შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტის ფუნქციონალური ჯგუფის – NO_2 -ის და ტყვიის კაფსულაში შემავალი კომპონენტების – სტიბიუმისა და ბარიუმის არსებობა. ტყვიის კაფსულაში შემავალი კომპონენტების – სტიბიუმისა და ბარიუმის არსებობა დაფიქსირდა ა. ბ-ს მარჯვენა ხელიდან აღებულ ანაწმენდზე. ცილინდრული ფორმის მეტალის საგნიდან აღებულ ანაწმენდზე დაფიქსირდა დენთის შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტის ფუნქციონალური ჯგუფის – NO_2 -ის არსებობა. გასროლის შემდეგ ა. ბ-ს ქურთუკზე, სამედიცინო ხელთათმანზე და ცილინდრული ფორმის მეტალის საგნიდან აღებულ ანაწმენდზე დაფიქსირებული NO_2 -ის მიხედვით დენთის იდენტიფიკაცია შეუძლებელია.

9. მოწმე ლ. ხ-მ ასევე განმარტა, რომ NO_2 არის დენთის წვის პროდუქტი – გაზი, რომლიც წარმოიქმნება გასროლის შედეგად. NO_2 პირის ტანსაცმელზე შეიძლება მოხვდეს გასროლის პროცესში, შესაძლებელია ადამიანს დაეფინოს ტანსაცმელზე ან სხეულზე. სტიბიუმი და ბარიუმი არის ტყვიის კაფსულის შემადგენელი კომპონენტები და გასროლის შედეგად ანალოგიურად რჩება ტანსაცმელსა და სხეულზე. შესაძლებელია, NO_2 ყოფით ცხოვრებაში დაფიქსირდეს, ნებისმიერი ნიტრო ჯგუფის შემცველმა ნაერთმა შეიძლება დატოვოს ანალოგიური კვალი. სტიბიუმი და ბარიუმი ნაკლებ გავრცელებულია, ამიტომ ნაკლები შანსია საყოფაცხოვრებო ან გარემო პირობებიდან მათი ადამიანის სხეულზე ან ტანსაცმელზე დარჩენა. დასკვნაში მითითებული დენთის წვის პროდუქტის – NO_2 -ის არსებობა და ტყვიის კაფსულის შემადგენლობაში შემავალი კომპონენტების – სტიბიუმისა და ბარიუმის არსებობა შესაძლებლობას იძლევა ვივარაუდოთ, რომ გასროლა ნაწარმოებია.

10. მოწმე ტ. ბ-ს ჩვენების თანახმად, ა. ბ-ს დიდი ხანია იცნობს. 2013 წლის 5 ნოემბერს, ლამის პირველიდან ორის ნახევრამდე, თ. ჩ-მ, ა. ბ-ს დედის მ. ა-ს მეუღლემ, დაურეკა და სთხოვა გაგარინის ქუჩაზე მდებარე პოლიციაში გაეგლო, რადგან ა.

ბ-ე ჰყავდათ დაკავებული, სავარაუდოდ, ა. კ-ს დაჭრის გამო. გამომძიებლის ოთახში დაინახა ა. ბ-ს დეიდაშვილები, მათი მეუღლეები – დ. და მ., ასევე ა. კ-ს და. მათ უთხრეს მომხდარის შესახებ, კერძოდ ის, რომ ს. მ-ს და ა. კ-ს მალაზიაში ჩასვლისას, „არკაში“ მოხდა გასროლა და დაიჭრა ა.. ასევე მივიდნენ ა. ბ-ს მეუღლე ი., მეგობარი ს. და ადვოკატი. დაახლოებით დილის 5 საათზე პოლიციის შენობიდან გამოვიდა ს. მ-ი და დანარჩენები, მან გვერდით გაიყვანა ს. მ-ი და ჰკითხა, თუ რა შუაში იყო ა. ბ-ე, რაზეც ს. მ-მა უთხრა, რომ მასაც უკვირდა, თუ რატომ დაიჭირეს ა. ბ-ე. მანვე უთხრა, რომ ა. არ ყოფილა, ის მას სუნითაც იცნობდა. მან დაინახა სუსტი, საშუალო ტანის ბიჭი, რომელსაც კეპი ეხურა და გარბოდა. მეორე დღეს ოჯახის წევრები შენვდნენ, რა დროსაც ს. მ-მა უთხრა, რომ მას პოლიციაში უთხრეს, თითქოს მომხდარი ა. ბ-ს გაკეთებული იყო, რასაც თავად ა. ბ-ც ადასტურებდა და თვითონ რატომ არ ადებდა ხელს. მოწმემ განმარტა, რომ ა. კ-ს და ა. ბ-ს არასდროს ჰქონიათ ურთიერთკონფლიქტი.

11. დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილმა მოწმეებმა – ვ. ც-მ, გ. ნ-მა, ლ. ც-მ, ე. ც-მ და თ. ჩ-მ განმარტეს, რომ ს. მ-ი გაოგნებული იყო, თუ რატომ იღებდა ა. ბ-ე თავის თავზე მომხდარს. იგი აბსოლუტურად გამორიცხავდა ა. ბ-ს შემთხვევის ადგილზე ყოფნას. მოწმეებმა გამორიცხეს ა. ბ-სა და ა. კ-ს შორის რაიმე ისეთი კონფლიქტის არსებობა, რაც ბრალდებულს ჩაადენინებდა მომხდარს.

12. დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ, მოწმე ნ. კ-ს ჩვენების თანახმად, ა. ბ-ე არის მისი მეჯვარე და ბავშვის ნათლია. როგორც მისთვის ცნობილია, ა. ბ-ე დაკავებულია ა. კ-ს დაჭრის გამო. 2013 წლის 5 ნოემბერს მივიდა მეგობართან საბავშვო ბაღში, სადაც დახვდნენ გ. რ-ე და ა. ბ-ე, ეს უკანასკნელი არაადეკვატურად იქცეოდა, იყო ცოტა „აცანცარებული“. ა-მ უთხრა, რომ მარიხუანა ჰქონდა მოწმეული და „დაბოლილი“ იყო. აღნიშნულის შემდეგ ისინი იყვნენ გ. რ-ს ოჯახში, საიდანაც გადანყვიტეს ნ. კ-ს სახლში წასვლა. გარეთ გასვლისას ა. ბ-მ საბავშვო ბაღიდან წამოღებული მაშხალა დაანთო. სახლში მისვლიდან დაახლოებით 15-20 წუთში ა. ბ-ს ტელეფონზე დაურეკეს, ამ უკანასკნელმა წასვლა გადანყვიტა, რადგან მეგობრისათვის ღვინო უნდა მიეცა. ნ. კ-მ ტაქსი გამოიძახა, რა დროსაც ოპერატორს მიმართულეზად საბურთალო მიუთითა, როგორც ეს ა. ბ-მ უთხრა. აღნიშნულის შემდეგ ნ. კ-სათვის ცნობილი გახდა, რომ ა. ბ-ე დაიჭირეს ა. კ-ს დაჭრის გამო. მოწმემ დაადასტურა, რომ პოლიციიდან გამოსულმა ს. მ-მა თქვა, რომ რა შუაში იყო ა. ბ-ე, არ

იცოდა. ს-მ ასევე განმარტა, რომ ა. ბ-ე იქ არ იყო, რადგან რომ ყოფილიყო, ის იცნობდა. მოწმემ განმარტა, რომ ის საბავშვო ბაღში საღამოს ცხრის ნახევრისთვის მივიდა და აღელვება ა. ბ-სათვის არ შეუმჩნევია.

13. ა. ბ-ს საბავშვო ბაღში მისვლისა და „ბენგალიური“ შუშ-ხუნების დანთების ფაქტი დაადასტურა სასამართლო სხდომაზე მოწმე გ. რ-მაც.

14. მოწმე ჯ. ჩ-ს მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენების თანახმად, მან მეგობარ გ. მ-ს თხოვნით მონანილეობა მიიღო ექსპერიმენტში, დაიჭირა ე.წ. შუშხუნა, რომლის დანვის შემდეგაც მისი ქურთუკიდან აიღეს ნიმუში და ჩაატარეს ექსპერიმენტი, რასაც ვიდეოკამერით იღებდნენ. მოწმემ დაადასტურა, რომ საადვოკატო ბიუროში შემთხვევით მოისმინა ვინმე თ-ს ნათქვამი, რომელსაც „-“ ეძახდნენ, რომ გამოძიებას რა ჩვენებაც მისცა, ის იყო არასწორი. მოყვა, რომ ის და ა. ბ-ე იმ მომენტში ერთად იყვნენ და მას არ უსვრია. ა-მ კი სთხოვა ხელი მისთვის დაედო, რადგან ვინმე დ-სთვის სთხოვდნენ ხელის დადებას.

15. მოწმე ზ. ო-ს ჩვენების თანახმად, ის არის დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ შპს „ვექტორის“ ექსპერტი. მან დაადასტურა მის მიერ 2014 წლის 14 იანვარს გაცემული დასკვნა, რომლის თანახმადაც, საახალწლო შუშხუნები ე.წ. „ბენგალიური სანთლები“ დაუმწვარ მდგომარეობაში შეიცავს ისეთ ქიმიურ ელემენტებს, როგორიცაა სტიბიუმი და ბარიუმი. მისი მოხმარების შედეგად გარემოში გამოიყოფა აღნიშნული ქიმიური ელემენტები. რაც შეეხება NO₂-ის აღმოჩენას – აზოტისა და ჟანგბადის ნაერთი ძალიან მსუბუქი ელემენტების ნაერთია, იგი სპექტრომეტრის ფანჯარაში ვერ ხვდება და, შესაბამისად, კვლევის მოცემული მეთოდით NO₂-ის აღმოჩენა შეუძლებელია. მოწმემ განმარტა, რადგან შუშხუნის ანთების შემდეგ ადგილი აქვს ეგზოთერმულ რეაქციას და ტემპერატურის ადიამბატურ მატებას, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბარიუმის და გოგირდის ჭარბი რაოდენობისას წარმოიქმნება და გამოიყოფა ატმოსფეროში NO₂-ის კომპლექსური ნაერთი. მოწმემ დაადასტურა, რომ შუშხუნის წვის შედეგად NO₂, რომ წარმოიქმნება, ფაქტია, მაგრამ მოხვდებოდა თუ არა ის ხელზე, ამასთან დაკავშირებით ექსპერიმენტი არ ჩატარებია.

16. ბრალდებულმა ა. ბ-მ არ ცნო თავი დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში და განმარტა, რომ 2013 წლის 5 ნოემბერს დააკავეს და ბრალი წაუ-

ყენეს ა. კ-ს დაჭრის გამო, რასთან დაკავშირებითაც მან მისცა არასწორი ჩვენება, რადგანაც იმყოფებოდა მარიხუანას ზემოქმედების ქვეშ. რეალურად კი 2013 წლის 5 ნოემბერს დ. ს-სთან ერთად დოლიდის ქუჩაზე იმყოფებოდა დაახლოებით 5 საათამდე, სადაც აგრეთვე იყო მისი მეგობარი ლ. ა-ე. შემდეგ ბუდაპეშტის ქუჩაზე მივიდა დ. თ-სთან, რომლისთვისაც უნდა მიეცა ღვინო. დ. თ-მ მეგობარს გამოართვა ავტომანქანა და ქალაქში მოძრაობდნენ. მან უთხრა დ. თ-ს, რომ ჰქონდა მარიხუანა, რაზეც თ-მ უპასუხა, რომ არ ენეოდა. დ. თ-მ შეუხვია ტაშკენტის ქუჩაზე და ავტომანქანა „არკამი“ შეაყენა. ა. ბ-მ მოწია მარიხუანა, ხოლო 1-2 წუთში სროლის ხმა გაიგო. რადგან იყო „კაიფში“ და ადრეც ჰქონდა პოლიციასთან პრობლემები, დ. თ-ს უთხრა, რომ გასცლოდნენ იქაურობას. დ. თ-მ ავტომანქანა დაძრა, მაგრამ გასასვლელი არ აღმოჩნდა, რის გამოც ფეხით გადავიდნენ ვაჟა-ფშაველაზე, ჩავიდნენ პეკინის ქუჩაზე და დაშორდნენ ერთმანეთს. ის ტაქსით წავიდა გ. რ-სთან საბავშვო ბაღში, სადაც ნახა შუშხუნა მწვანე ყუთში, რომელიც ეზოში დაანთო. შემდეგ წავიდნენ ნ. კ-სთან სავახშმოდ, რა დროსაც დაურეკა დ. თ-მ და სთხოვა ბუდაპეშტის ქუჩაზე მისვლა. მათ ავტომანქანა უნდა წამოეყვანათ და ასევე ა. ბ-ს ღვინო უნდა მიეცა. ის დაუკავშირდა ოჯახის ახლობელ ს. მ-ს, რომელსაც ღვინო ჰქონდა, დაახლოებით თერთმეტის ნახევარი იქნებოდა. შემდეგ კარზე იყო კაკუნნი და პოლიციამ დააკავა, მაშინ იფიქრა, რომ მარიხუანას მოწევის გამო აკავებდნენ. პოლიციაში სთხოვდნენ ეთქვა, რომ თ. დ-მ დაჭრა ა. კ-ე, რაც აბსურდი იყო, რის გამოც თქვა, რომ მან თავად ჩაიდინა აღნიშნული ქმედება, რაც ასევე ტყუილია.

17. სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებული, მონმე დ. თ-ს ჩვენების თანახმად, 2013 წლის 4 ნოემბერს ჩამოვიდა სტუმრად თბილისში ცოლის ძმასთან – გ. ბ-სთან. 2013 წლის 5 ნოემბერს დაუკავშირდა მობილური ტელეფონის საშუალებით მეგობარ ა. ბ-ს და სთხოვა შეხვედრა ბუდაპეშტის ქუჩაზე, დაახლოებით 1930 საათზე ა. ბ-ე და ის სეირნობდნენ ბუდაპეშტის ქუჩაზე, რა დროსაც საუბრობდნენ სხვადასხვა საკითხზე; საუბრისას ასევე შეეხნენ ა. ბ-ს ნათესავების – ქ. ზ-სა და ა. კ-ს ურთიერთობას. აღნიშნულის შემდეგ დაურეკა მეგობარ თ. ბ-ს, რომელსაც სთხოვა ავტომანქანა BMW-545. ის ა. ბ-სთან ერთად მოძრაობდა საბურთალოს ტერიტორიაზე, რა დროსაც ა. ბ-მ უთხრა, რომ ვილაც ჰყავდა სანახავი, როგორც შემდგომში შეიტყო – ა. კ-ე. ტაშკენტის ქუჩიდან შევიდნენ და გაჩერდნენ ვაჟა-ფშაველას გამზირის №...-ის ეზოში. დაახლოებით 20:40 საათზე ავტომანქანასთან ჩაიარა ა. კ-მ თანმხლებ ქალბატონთან

ერთად, რა დროსაც ავტომანქანიდან სწრაფად გადავიდა ა. ბ-ე და გააგრძელა მოძრაობა მათი მიმართულებით. რამდენიმე წამში გაიგონა სამი-ოთხი გასროლის ხმა, გასროლის ხმები არ იყო მკვეთრი და შეექმნა შთაბეჭდილება, რომ გასროლა მოხდა ხმის ჩამხშობის გამოყენებით. გასროლიდან რამდენიმე წამში სწრაფად მივიდა ა. ბ-ე, რომელიც იყო შეშინებული და დაბნეული. ის იძახდა, რომ მოკლა ა. კ-ე, რის შემდეგაც მან სწრაფად დაძრა ავტომანქანა და დააპირა ეზოდან გასვლა, მაგრამ არა იმ გზით, საიდანაც შევიდა, რადგანაც „არკის“ ქვეშ მოხდა გასროლისა და დაჭრის ფაქტი. ვინაიდან გასასვლელი ვერსად იპოვა, გააჩერა ავტომანქანა, სწრაფად გადმოვიდა და სირბილით გადაკვეთა ვაჟა-ფშაველას გამზირი, შორიახლოს მორბოდა ასევე ა. ბ-ც. დ. თ-მ აღ. ყაზბეგის გამზირზე გააჩერა ტაქსი და მივიდა ბუდაპეშტის ქუჩაზე, ცოლის ძმის ბინაში, სადაც მალევე მივიდა ა. ბ-ე. მას მომხდარი არ შეუტყობინებია სამართალდამცავი ორგანოებისთვის. დაახლოებით 23⁰⁰ საათზე ბინაში გამოცხადდნენ პოლიციის მუშაკები, რომლებმაც ბინაშივე დააკავეს დანაშაულის შეუტყობინებლობის გამო. პოლიციის მუშაკებმა ბრალდებულის სახით დააკავეს აგრეთვე ა. ბ-ც.

18. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული ზემოაღნიშნული მტკიცებულებებიდან ერთადერთი, რომელიც უშუალოდ მიუთითებს ა. ბ-ს მიერ ა. კ-ს მკვლელობის მცდელობისა და იარაღის უკანონო შექმნა-ტარების ფაქტს, არის მოწმე დ. თ-ს ჩვენება, რომელიც გამოქვეყნდა სასამართლო სხდომაზე მოწმის გამოუცხადებლობის გამო.

19. დ. თ-ს ჩვენების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა არ იზიარებს დაცვის მხარის მოსაზრებას, რომ დ. თ-ს მიერ გამოძიებაში მიცემული ინფორმაციის მოწმის ჩვენებად აღქმა და მისი სასამართლო სხდომაზე წაკითხვა საპროცესო კანონის უხეში დარღვევაა და მიუთითებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ აღნიშნული ჩვენების მოწმის ჩვენებად ჩათვლა და მისი გამოქვეყნება შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე და 243-ე მუხლის მოთხოვნებს.

20. ამასთან, საკასაციო პალატა იზიარებს დაცვის მხარის არგუმენტაციას იმის თაობაზე, რომ მხოლოდ დ. თ-ს ჩვენება ვერ დაედება საფუძვლად გამამტყუნებელ განაჩენს შემდეგ გარემოებათა გამო:

21. პირველ ყოვლისა, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დ. თ-ს ჩვენება იმ ნაწილში, რომ ა. ბ-მ დაჭრა ა. კ-ე, თავისი სამართლებრივი ბუნებით არის მოწმის ირიბი ჩვენება (რაც არც მხა-

რეებს გაუხდიათ სადავოდ), ვინაიდან ეფუძნება სხვა პირის – ამ შემთხვევაში ა. ბ-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, ხოლო ამ უკანასკნელმა კი უარყო მის მიერ აღნიშნული ინფორმაციის თ-სთვის მინოდება.

22. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების თანახმად, მოწმის ირიბი ჩვენება ვერ აკმაყოფილებს უტყუარობის კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტანდარტს, რის გამოც საკასაციო პალატას, იმის გათვალისწინებით, რომ დ. თ-ს ირიბი ჩვენების გარდა სხვა არც ერთი პირდაპირი მტკიცებულება არ ადასტურებს ა. ბ-ს მიერ ა. კ-ს დაჭრის ფაქტს, მიაჩნია, რომ იგი ვერ გახდება ბ-ს მსჯავრდების საფუძველი.

23. გარდა ამისა, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა და ეფუძნებულია მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, რაც ვლინდება მხარეთა მიერ მოპოვებულ მტკიცებულებათა გამოკვლევის წესშიც, რაც გულისხმობს იმას, რომ მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, წარადგინონ და გამოიკვლიონ მტკიცებულებები.

24. მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი განმტკიცებულია ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, კერძოდ: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია უზრუნველყოფენ, რომ ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს „თვითონ დაკითხოს ან დააკითხვინოს მისი ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს მისი დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში“.

25. მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვის უფლება უნდა იქნეს გაგებული შეჯიბრებითობის პროცესის ჩრილში, რაც სამართლიანი სასამართლოს კონცეფციაში დევს და იგი გულისხმობს, რომ მოსარჩელეს მიეცეს მოწმის განცხადების ან ჩვენების ნებისმიერ ასპექტში შედავების შესაძლებლობა დაპირისპირების ან დაკითხვის დროს. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია ასევე ზეპირობის პრინციპი, რომელიც გულისხმობს სასამართლოს უშუალო კონტაქტს პირებთან, რომლებიც ჩვენებას იძლევიან პროცესზე, კერძოდ, ბრალდებული უნდა დაუპირისპირდეს მოწმეს მოსამართლის თანდასწრებით, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას საქმეზე, რათა შესაძლებელი გახდეს მოწმის ქცევის მანერასა და სანდობაზე ყურადღებით დაკვირვება.

26. ზემოაღნიშნული პრინციპის მნიშვნელობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია ხაზგასმული. თუმცა, ამავე დროს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ ამ პრინციპიდან გამონაკლისი დასაშვებია, მაგრამ ამან არ უნდა შელახოს დაცვის მხარის უფლებები. მსჯავრდება, რომელიც ეფუძნება მხოლოდ ან მეტწილად იმ დაუსწრებელი მონმის ჩვენებას, ვისი გამოკითხვის შესაძლებლობაც არ ჰქონდა განსასჯელს არც გამოძიების მიმდინარეობისას და არც სასამართლო პროცესზე, როგორც ნესი, ჩაითვლება მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანობის მოთხოვნასთან („ერთადერთობის ან მეტწილობის ნესი“) შეუსაბამოდ. თუმცა ეს არ არის აბსოლუტური ნესი, რომელიც მოუქნელობით ხასიათდება და არ ითვალისწინებს კონკრეტული სამართლებრივი სისტემის განსაკუთრებულობას. შესაბამისად, მაშინაც კი, როდესაც დაუსწრებელი მონმის ჩვენებაა ერთადერთი ან მეტწილი მტკიცებულება განსასჯელის წინააღმდეგ, მტკიცებულებად მისი მიღება ავტომატურად არ იწვევს 6.1 მუხლის დარღვევას. ამავედროულად, იმ შემთხვევაში, როდესაც მსჯავრდება მხოლოდ ან მეტწილად ეფუძნება ე.წ. „დაუსწრებელი მონმის“ ჩვენებას, სასამართლომ საქმისწარმოება უნდა განიხილოს განსაკუთრებული ყურადღებით. ასეთი მტკიცებულების დაშვების საფრთხიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება მისი დაბალანსება და სწორედ ეს მოითხოვს საკმარისად გამაწონასწორებელ ფაქტორებს, მათ შორის ძლიერ პროცედურულ გარანტიებს. თითოეულ ასეთ საქმეში მნიშვნელოვანია გამაწონასწორებელი ფაქტორების არსებობა, მათ შორის ისეთი ზომებისა, რომლებიც შესაძლებელს ხდის ამ მტკიცებულების სარწმუნოობის სამართლიან და სათანადო შეფასებას. მსჯავრდება შეიძლება დაფუძნებული იყოს ამგვარ მტკიცებულებაზე (გამოქვეყნებულ ჩვენებაზე) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის საკმარისად სანდოა.

27. აღნიშნულიდან გამომდინარე საქმეზე, Al-Khawaja და Tahery გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ, იმის გათვალისწინებით, რომ მეორე განმცხადებელი (ბატონი ტაჰერი) მოკლებული იყო შესაძლებლობას, შეემოწმებინა თ-ს ჩვენების ნამდვილობა და სანდოობა ჯვარედინი დაკითხვით და ვინაიდან თ. ერთადერთი მონმე იყო, რომელმაც მოისურვა და შეძლო ეთქვა, თუ რა ნახა, განმცხადებელს არ შეეძლო მოენვია სხვა მონმე, რომელიც დაუპირისპირდებოდა ამ ჩვენებას, რის

გამოც დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, ვინაიდან თ-ს ჩვენება ერთადერთი პირ-დაპირი მტკიცებულება იყო მის წინააღმდეგ.

28. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ დ. თ-ს ჩვენება არსებითაა საქართველოს სსკ 19, 108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ ბრალდებასთან დაკავშირებით ა. ბ-ს მსჯავრდების საკითხის გადასაწყვეტად და გასაჩივრებული განაჩენიც მეტწილად სწორედ მასზეა დაფუძნებული, ხოლო დაცვის მხარეს არც გამოძიების ეტაპზე და არც საქმის არსებითი განხილვის დროს არ ჰქონია მისი დაკითხვის/გამოკითხვის და ჩვენებების გაპროტესტების ადეკვატური და ჯეროვანი შესაძლებლობა, მაშინ, როცა დაცვის მხარის მიერ დასმულ შეკითხვებს შეეძლო არა მხოლოდ მოწმეთა სანდოობის შეფასებაზე მოეხდინა გავლენა, არამედ ნათელი მოეფინა ისეთი გარემოებებისთვის, რომლებიც რელევანტური იქნებოდა წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა დ. თ-ს ჩვენება გარკვეულ ეპიზოდებში ეწინააღმდეგება სხვა მტკიცებულებებს. მაგალითისთვის პალატა მიუთითებს, რომ თ-ს ჩვენებაში აღნიშულია, რომ მან გააჩერა მანქანა ტაშკენტის ქუჩაზე და როდესაც მასთან ა. ბ-ე მივიდა და უთხრა, რომ ესროლა კ-ს, დაძრა ავტომანქანა; მაშინ, როდესაც ს. მ-მა ჩვენებაში მიუთითა, რომ სილუეტი დაძრული ავტომანქანისკენ გარბოდა. ასევე დ. თ-ე ჩვენებაში მიუთითებს, რომ ის მარტო მივიდა გ. ბ-სთან, ხოლო გ. ბ-ე იმავს არ მიუთითებს ჩვენებაში. პალატა ყურადღებას ამახვილებს ასევე 2013 წლის 7 ნოემბრის ქიმიური ექსპერტიზის №-- დასკვნაზე, რომლის მიხედვითაც, ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარმოდგენილ ა. ბ-ს ტანსაცმელზე რაიმე სახის მეტალის (რკინის, სპილენძის და ტყვიის) კვალი არ აღმოჩნდა. აღნიშნულის გათვალისწინებით პალატას მიაჩნია, რომ ა. ბ-ს ხელში უნდა სჭეროდა იარაღი, რაც თავის მხრივ უნდა შეემჩნია თ-ს, ხოლო ეს უკანასკნელი თავის ჩვენებაში არ მიუთითებს აღნიშნულის თაობაზე.

29. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას იმის თაობაზე, რომ გარდა დ. თ-ს ჩვენებისა, ა. ბ-ს ბრალეულობა დადასტურებულია სხვა პირდაპირი მტკიცებულებების ერთობლიობით, კერძოდ:

30. სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს: დ. თ-ს ჩვენების ის ნაწილი, რომ ა. ბ-ე 2013 წლის 5 ნოემბერს ტაშკენტის ქ. №...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ა. კ-ს სანახავად იყო მისული, დას-

ტურდება მოწმეების: ს. მ-ს, ნ. მ-სა და გ. ს-ს ჩვენებებით, რომელთა მიხედვითაც, ა. კ-ე ყოველ სამშაბათს ნემსის გასაკეთებლად ჩამოდიოდა თბილისში და რჩებოდა აღნიშნულ მისამართზე. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ხსენებული მოწმეები მხოლოდ იმ ფაქტს ადასტურებენ, რომ ა. კ-ე სამშაბათობით იმყოფებოდა ხოლმე აღნიშნულ ტერიტორიაზე, რაც არც პირდაპირ და არც ირიბად არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ა. ბ-ე 5 ნოემბერს იქ კ-ს სანახავად მივიდა.

31. სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ ს. მ-სა და ა. კ-ს ჩვენებებში აღნიშნული ფაქტი, რომ მათ უკნიდან ესროდნენ და დ. თ-ს ჩვენება, რომ ა. ბ-ე ა. კ-ს და მასთან ერთად მყოფ ქალბატონს უკან გაჰყვა, ასევე მხოლოდ ვარაუდია, რომ სწორედ ბ-მ ესროლა კ-ს.

32. დაუსაბუთებელია აგრეთვე გასაჩივრებული განაჩენის დასკვნა, რომ დ. თ-ს ჩვენებაში აღნიშნული გარემოება, რომ გასროლიდან რამდენიმე წამში ავტომანქანასთან სწრაფად მივიდა ა. ბ-ე, ასევე დასტურდება ს. მ-ს ჩვენებით, რომ მან დაინახა დაძრული ავტომანქანა და სილუეტი, რომელიც მისკენ გარბოდა, რადგანაც ს. მ-მა თავის ჩვენებაში აღნიშნა, რომ მან დაინახა სილუეტი, რომელიც მანქანისკენ გარბოდა, მაგრამ ჩაჯდა თუ არა ის მანქანაში, არ დაუნახავს და, უბრალოდ, ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ სილუეტი მანქანისკენ გარბოდა, რაც საკასაციო პალატის აზრით, არ შეიძლება იქნეს იმის უტყუარი მტკიცებულება, რომ სილუეტი მანქანაში ჩაჯდა და მით უმეტეს, რომ ის სილუეტი ა. ბ-ს იყო.

33. რაც შეეხება ა. ბ-ს ხელზე აღმოჩენილ დენტის კვალს, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ, მართალია, არ იზიარებს დაცვის მხარის ვერსიას ა. ბ-ს საბავშვო ბაღში ყოფნისა და იქ „ბენგალიური შუშხუნების“ ანთების თაობაზე, ისევე როგორც არ იზიარებს დაცვის მხარის მითითებას, რომ ვიდეომასალაზე ნათლად ჩანს ა. ბ-ს საბავშვო ბაღში შესვლის ფაქტი, ვინაიდან პალატისთვის ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნის გარეშე შეუძლებელია მასალაზე აღბეჭდილი პირის ამოცნობა, მით უმეტეს სრულიად გაუგებარია, თუ ასეთი ამკარაა, რომ სწორედ ბ-ა ვიდეოზე აღბეჭდილი, რამ შეუშალა ხელი დაცვის მხარეს, წარმოედგინა ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა, რათა მეტად გაემყარებინა საკუთარი პოზიცია, მაგრამ ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ექსპერტ ო-ს ჩვენებით დადგენილია, რომ „ბენგალიური სანთლების“ წვის შედეგადაც გამოიყოფა NO_2 , სტიბიუმი და ბარიუმი; შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია: ის ფაქტი, რომ ბ-ს ხელზე აღმოჩნდა ზე-

მოაღნიშნული ნივთიერებების კვალი, უტყუარად არ ადასტურებს მისი მხრიდან კ-ს დაჭრის ფაქტს, ვინაიდან შესაძლებელია, ბ-ს სხვა იარაღიდან გაესროლა სხვა ვითარებაში, ან სხვა პროდუქტის წვის შედეგად დარჩენოდა ეს კვალი. მეტიც, ბრალდების მხარის მოწმის, ექსპერტ ლ. ყ-ს განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ ა. ბ-ს ქურთუკის გულისპირსა და ორივე სახელოზე დაფიქსირდა დენტის შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტის ფუნქციონალური ჯგუფის NO_2 – ის არსებობა, ხოლო ტყვიის კაფსულაში შემავალი კომპონენტების – სტიბიუმისა და ბარიუმის არსებობა დაფიქსირდა მისივე ქურთუკის მარჯვენა სახელოსა და მარჯვენა ხელიდან აღებულ ანაწმენდზე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პირმა გაისროლა. შესაბამისად, პალატა ვერც აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე მიიჩნევს დადასტურებულად ბ-ს ბრალეულობას საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის *in dubio pro reo* (ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადანაცვების) გათვალისწინებით, რომელიც ასევე განმტკიცებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილში, რომლის მიხედვითაც, მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადანაცვდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.

34. ყოველივე ზემოაღნიშნულისა და საქმეში არსებული შემდეგი მტკიცებულებების გათვალისწინებით – 2013 წლის 7 ნოემბრის ოდოროლოგიური ექსპერტიზის №... დასკვნით, რომლის მიხედვითაც, შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი თეთრი ფერის სამედიცინო ხელთათმანებიდან ამოღებული სუნის კვალის ნიმუშები ვარგისია პიროვნების იდენტიფიკაციისთვის, თუმცა არაიდენტიურია ბრალდებულების: ა. ბ-სა და დ. თ-ს ტანსაცმლიდან და მათგან აღებული სუნის კვალის ნიმუშებისა; 2013 წლის 7 ნოემბრის დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის №... დასკვნით, რომლის მიხედვითაც, საქმეზე წარმოდგენილ ერთ ცალ პისტოლეტზე, ერთ ცალ მჭიდსა და ხელთათმანის ფრაგმენტებზე ხელის კვლები არ აღმოჩნდა, ხოლო შემთხვევის ადგილიდან ამოღებული კვლები არაიდენტიურია ა. ბ-სა და დ. თ-ს ხელი კვალის ნიმუშებისა; 2013 წლის 11 ნოემბრის ქიმიური ექსპერტიზის №... დასკვნით, რომლის მიხედვითაც, ა. ბ-სა და ა. კ-ს ტანსაცმელზე ურთიერთგადამავალი ბოჭკოს მიკრონაწილაკები არ აღმოჩნდა; ა. ბ-ს მარჯვენა ხელის ფრჩხილებში ა. კ-ს ტანსაცმლის ქსოვილის შემადგენლობაში შემავალი ბოჭკოს მიკრონაწილაკები არ აღმოჩნდა; ფარული აუდიოჩანერის კრებებით, რომლის მიხედვითაც ა. კ-ე ეუბნება სასულიერო პირს, რომ ფ-

ებმა „შეუსრულეს“, ხოლო მის კითხვაზე, თუ ვინ ესროლა და იყო თუ არა ის „კ-ს“ (ქ. ზ-ე) ქმარი, ა. კ-ე პასუხობს, რომ ამ საქმეში 40000 აშშ დოლარი იყო გადახდილი და მათ ისროლეს, ფ-ებს და კ-ს ქმარსაც უნდოდა ამის გაკეთება, მსროლელთან დაკავშირებით კი პასუხობს, რომ ა. ბ-ზე ამბობენ „ძალღები“, რისიც მას არ სჯერა. კ-მ ასევე უთხრა მას, რომ კ-ს ქმარი დაჭერილია; აღნიშნულთან დაკავშირებით მან სასულიერო პირს განუმარტა, რომ წინა დღეებში თ. დ-ე გადავიდა თურქეთში, შემდეგ გადმოიპარა, ასეთ დროს კეთდება საქმე, აღნიშნულით ალიბი გაიკეთა – პასპორტის მონაცემებით იმყოფებოდა თურქეთში – საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ა. ბ-ს ბრალეულობის შესახებ (საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლი, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები) აგებულია ეჭვებსა და ვარაუდებზე, რაც საქართველოს სისხლის სამართლის სპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, 259-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საფუძვლად ვერ დაედება გამამტყუნებელ განაჩენს.

35. რაც შეეხება ა. ბ-ს მსჯავრდებას საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით, პალატა იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას, რომ სააპელაციო სასამართლომ არ დაიცვა საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის წესი, კერძოდ: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 25 ივნისის განაჩენით ა. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით განესაზღვრა პირობითი სასჯელი, ხოლო საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა. ბრალდების მხარემ აღნიშნული განაჩენი გაასაჩივრა მხოლოდ გამამართლებელ ნაწილში, რის გამოც სააპელაციო სასამართლო, საქართველოს სსკ-ის 298-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე, არ იყო უფლებამოსილი, ამ ნაწილში გაეუარესებინა ა. ბ-ს სამართლებრივი მდგომარეობა (მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ა. ბ-სთვის საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელი შთანთქმულია) – კერძოდ, არ უნდა შეეცვალა პირობითი სასჯელი სასჯელალღსრულების დანესებულებაში მოსახდელი სასჯელით (ე.წ. „რეალური“ სასჯელით), ვინაიდან ბრალდების მხარეს სააპელაციო საჩივარი ამ მოთხოვნით არ შეუტანია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით,

მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. მსჯავრდებულ ა. ბ-ს ადვოკატების – ა. მ-სა და გ. კ-ს საკავშირეო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 20 ნოემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. ა. ბ-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლითა და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში.

4. ა. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით განესაზღვროს პირობითი მსჯავრი 6 თვე, რაც მისი პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით ჩაეთვალოს მოხდილად.

5. ა. ბ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 3 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საქემო საქმიანობის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

6. ა. ბ-ს უფლებების ჩამორთმევის ვადის დინება დაეწყოს განაჩენის გამოცხადების მომენტიდან. ამ ვადაში ჩაეთვალოს პერიოდი 2014 წლის 25 ივნისიდან 2015 წლის 20 აპრილამდე.

7. ა. ბ-ე დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

8. ა. ბ-ს განემარტოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება განაჩენის გამართლებელ ნაწილში.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 20 ნოემბრის განაჩენი ნივთმტკიცებათა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

10. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

გირაოს უზრუნველსაყოფად შეტანილი უპრაპო ქონების მისი შემტანი პირისათვის დაბრუნება

განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№43აპ-15

24 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ომხარელი,
გ. შავლიაშვილი

მონაწილეობით, ზეპირი მოსმენით განიხილა მსჯავრდებულ
ე. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ქ-ას საკასაციო
საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამარ-
თლის საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერითი ნაწილი:

1. პირველი და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტი-
ლებები:

1.1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 26 აგ-
ვისტოს განაჩენით ე. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:
საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნ-
ქტით (2012 წლის 2 სექტემბრის ეპიზოდი) – 4 წლით თავისუფ-
ლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012
წლის 28 დეკემბრის კანონის თანახმად, გაუნახევრდა და განე-
საზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 210-ე მუხ-
ლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2012 წლის 5 ოქტომბრის
ეპიზოდი) – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 218-ე მუხ-
ლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 5 წლით თავისუფლების
აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ე. მ-ის
მიმართ დანიშნულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკ-
ლებად მკაცრი სასჯელები და მას საბოლოო სასჯელად განე-
საზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა და-
ენყო 2014 წლის 17 ივნისიდან.

1.2. სასამართლოს მიერ დადგენილი ზემოაღნიშნული ქმე-
დებები გამოიხატა შემდეგში:

ე. მ-ი 2011 წლის 12 აგვისტოდან რეგისტრირებულია ინდმე-
ნარმედ და ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, კერძოდ, ხე-ტყის
რეალიზაციას. მან 2011 წლის 12 აგვისტოდან 2013 წლის 1 იან-

ვრამდე პერიოდში არ განახორციელა გადახდის წყაროსთან დაკავება, ასევე დამატებითი ღირებულების გადასახადისა და წლიური საშემოსავლო გადასახადის დეკლარირება, რითაც განზრახ აარიდა თავი განსაკუთრებით დიდი ოდენობით – 533 756 ლარის გადახდას.

მანვე 2012 წლის 2 სექტემბერს შპს „გ-ას“ დირექტორ ა. გ-თან ერთად ჯგუფურად, გასაღების მიზნით, არასწორი ინფორმაციის ასახვით დაამზადა და ა. გ-ზე გაასალა ხე-ტყისა და მისი პირველადი გადამუშავების სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

მანვე 2012 წლის 5 ოქტომბერს შპს „გ-ას“ დირექტორ ა. გ-თან ერთად ჯგუფურად, გასაღების მიზნით, არასწორი ინფორმაციის ასახვით დაამზადა და ა. გ-ზე გაასალა ელექტრონული სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

1.3. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 26 აგვისტოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ე. მ-მა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. ქ-ამ. მათ ითხოვეს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა მსჯავრდებულის სასარგებლოდ, კერძოდ: დანიშნული სასჯელის ერთი მესამედის პირობით ჩათვლა, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 11 ივნისის საოქმო განჩინების (გიროსო უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის შესახებ) გაუქმება და უძრავი ქონების მესაკუთრე – ნ. ჯ-ასათვის დაბრუნება.

1.4. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 26 აგვისტოს განაჩენი და ამავე სასამართლოს 2014 წლის 11 ივნისის საოქმო განჩინება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 28 ოქტომბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

2. საკასაციო საჩივრის არსი:

2.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 28 ოქტომბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ე. მ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ზ. ქ-ამ. კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვს: ე. მ-ის მიმართ დანიშნული სასჯელის ერთი მესამედის პირობითად ჩათვლას; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 11 ივნისის უკანონო საოქმო განჩინების გაუქმებას, რომლითაც ე. მ-ს აღკვეთის ღონისძიება – გიროსო შეეცვალა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით – პატიმრობით და რომელიც უცვლელად დატოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, ასევე გიროსო უზრუნველყოფის მიზნით დაყადაღებული და შემდგომ თანხის ამოღების მიზნით აღსასრულებლად მიქცეული უძრავი ქონების მესაკუთრე ნ. ჯ-

ასათვის დაბრუნებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მისი მოთხოვნა ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს კასატორის მითითებაზე, რომ ე. მ-ი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, ხასიათდება დადებითად, არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი, ჰყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი, რის გამოც ითხოვს დანიშნული სასჯელის ნაწილის – ერთი მესამედის პირობითად ჩათვლას. აღნიშნულთან მიმართებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულს სწორედ ზემოთითთქმული გარემოებების გათვალისწინებით სასჯელად განესაზღვრა საქართველოს სსკ-ის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის სანქციით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამასთან, საბოლოო სასჯელი განესაზღვრა შთანთქმის პრინციპით, რითაც კიდევ უფრო შეუმსუბუქდა სასჯელის ზომა. რაც შეეხება დანიშნული სასჯელის ნაწილის – ერთი მესამედის პირობით ჩათვლას, პალატას ეს მიზანშეუწონლად მიაჩნია, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ჩადენილი დანაშაულისა და მსჯავრდებულის პიროვნების ურთიერთმიმართების გათვალისწინებით, ვერ იქნება უზრუნველყოფილი სასჯელის მიზნები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 28 ოქტომბრის განაჩენი ე. მ-ის მიმართ სასჯელის ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

3. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საკასაციო საჩივრის მეორე მოთხოვნაზე – ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 11 ივნისის უკანონო საოქმო განჩინების გაუქმებასა და ნ. ჯ-ასათვის უძრავი ქონების დაბრუნებაზე და მიაჩნია, რომ ე. მ-ის ბრალდების საქმეზე ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ თავისი 2014 წლის 11 ივნისის საოქმო განჩინებით ნ. ჯ-ას მიერ ე. მ-ის მიმართ შეფარდებული გირაოს სახით შეტანილი მისი (ნ. ჯ-ას) უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თბილისში, ნ-ის ქუჩის №...-ში, საკადასტრო კოდი – ..., გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის ამოღების მიზნით, მიაქცია აღსასრულებლად „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, რა დროსაც არ შეამოწმა, გირაოს შეტანისას იყო თუ არა დაცული საქართველოს

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, „გირაოს შეტანის წინ შემტანს აფრთხილებენ წერილობითი ვალდებულებებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის იმ შესაძლო შედეგების შესახებ, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის მე-7 ნაწილში“. აღნიშნულის თაობაზე ასევე პირდაპირ არის მითითებული ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 იანვრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტშიც, რომლითაც პროკურორს დაევალა გირაოს შემტანის (მესაკუთრის) გაფრთხილება გირაოს პირობების დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

4. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება ოქმი, რომელიც დაადასტურებს გირაოს შემტანი პირის გაფრთხილებას სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-7 ნაწილში მითითებული პირობებისა და კანონის დარღვევის შემთხვევაში მესაკუთრისათვის შესაძლო შედეგების თაობაზე, რომ მის მიერ გირაოს სახით შეტანილი უძრავი ქონება გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის ამოღების მიზნით, აღსასრულებლად მიექცეოდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

5. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 11 ივნისის საოქმო განჩინება უნდა შეიცვალოს და ე. მ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების – გირაოს უზრუნველსაყოფად შეტანილი ნ. ჯ-ას უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თბილისში, ნ-ის ქუჩის №...-ში, საკადასტრო კოდი – ..., უნდა დაუბრუნდეს მის შემტან პირს – ნ. ჯ-ას.

ასევე, უნდა გაუქმდეს ე. მ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების – გირაოს უზრუნველსაყოფად ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 იანვრის განჩინება და ნ. ჯ-ას უძრავ ქონებას, მდებარე: ქ. თბილისში, ნ-ის ქუჩის №...-ში, საკადასტრო კოდი – ..., უნდა მოეხსნას ყადაღა.

6. ამასთან, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ოქტომბრის განაჩენი ე. მ-ის მიმართ უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით,

ამავე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. მსჯავრდებულ ე. მ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ქ-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ცვლილება შევიდეს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 11 ივნისის საოქმო განჩინებაში, კერძოდ: ე. მ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების – გირაოს უზრუნველსაყოფად შეტანილი ნ. ჯ-ას უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თბილისში, ნ-ის ქუჩის №...-ში, საკადასტრო კოდი – ... დაუბრუნდეს მის შემტან პირს – ნ. ჯ-ას.

3. გაუქმდეს ე. მ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების – გირაოს უზრუნველსაყოფად ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 იანვრის განჩინება და ნ. ჯ-ას უძრავ ქონებას, მდებარე: ქ. თბილისში, ნ-ის ქუჩის №...-ში, საკადასტრო კოდი – ... მოეხსნას ყადაღა.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ოქტომბრის განაჩენი ე. მ-ის მიმართ დარჩეს უცვლელად.

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

საპროცესო შეთანხმება

განაჩენი საქართველოს სახელით

№333აპ-15

30 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ ვ. ს-ას ინტერესე-
ბის დამცველი ადვოკატის – ა. გ-ის საკასაციო საჩივარი ქუთა-
ისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა
პალატის 2015 წლის 3 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 იან-
ვრის განაჩენით ვ. ს-ა, ნასამართლობის არმქონე, ცნობილ იქნა
დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი, მე-3 ნა-
წილებით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის
მართლსაწინააღმდეგოდ შექმნა, გადაზიდვა).

2. ვ. ს-ას დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

ვ. ს-ამ 2014 წლის 22 ოქტომბერს წალენჯიხის რაიონში მარ-
თლსაწინააღმდეგოდ შეიძინა „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის
„AKM-ის“ მოდელის, 7,62 მმ კალიბრიანი ავტომატური ცეც-
ხლსასროლი იარაღი და 1943 წლის ნიმუშის, 7,62 მმ კალიბრიანი
19 საბრძოლო ვაზნა, რაც იმავე დღეს ავტომატურად გადაზი-
და წალენჯიხიდან ზუგდიდში.

3. აღნიშნული ქმედებებისთვის:

ვ. ს-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს
სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლით, ხოლო 236-ე მუხ-
ლის მე-3 ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით, შთანთქმის
პრინციპის გამოყენებით, ვ. ს-ას დანაშაულთა ერთობლიობით
სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ვ. ს-ას სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან
– 2014 წლის 22 ოქტომბრიდან.

4. გადანყდა საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებე-
ბის ბედი:

„კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის „AKM-ის“ მოდელის, 7,62 მმ კალიბრიანი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 1943 წლის ნიმუშის, 7,62 მმ კალიბრიანი 19 საბრძოლო ვაზნა, რომელიც ინახება საქართველოს შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაეცეს საქართველოს შსს-ს შესაბამის სამსახურს შემდგომი განკარგვის მიზნით.

5. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 იანვრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ვ. ს-ას ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ა. გ-მა, რომელმაც ითხოვა უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულის გამართლება იმ საფუძვლით, რომ ვ. ს-ას ცეცხლსასროლი იარაღი და ვაზნები არ შეუძენია, ისინი იპოვა წალენჯიხის საცხოვრებელი სახლის დამხმარე სათავსში. ამასთან, საქმეში არ დევს არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს ვ. ს-ას მიერ ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის ფაქტს.

6. პროკურორს სააპელაციო საჩივარზე შესაგებელი არ შეუტანია.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 3 აპრილის განაჩენით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 იანვრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

8. სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ვ. ს-ას ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ა. გ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა აღნიშნა, რომ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო ნორმათა დარღვევებით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; ბრალდებულის აღიარება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს, თუ იგი არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებებით; სააპელაციო სასამართლომ განაჩენს საფუძვლად დაუდო ვარაუდი, რითაც დაარღვია სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა. ამდენად, კასატორმა ითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 3 აპრილის განაჩენში ცვლილების შეტანა და მსჯავრდებულის გამართლება, ალტერნატივად კი ითხოვა მსჯავრდებულის ქმედების დაკვალიფიცირება სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით და დანიშნული სასჯელის ჩათვლა პირობით, ხოლო პი-

რობითი მსჯავრის გამოყენებაზე უარის თქმის შემთხვევაში – მინიმალური სასჯელის – 3 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება.

9. 2015 წლის 23 ივნისს ზუგდიდის რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორმა ი. ტ-ამ, საქართველოს სსკ-ის 209-211-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაულები, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 236-ე 1-ლი, მე-3 ნაწილებით, შეადგინა წერილობითი შეთანხმებები მასა და მსჯავრდებულ ვ. ს-ას შორის.

10. შუამდგომლობისა და საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე ოქმების თანახმად, პროკურატურამ, მხედველობაში მიიღო რა ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, ასევე ის გარემოებები, რომ მსჯავრდებულმა ვ. ს-ამ აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაულები, ნებაყოფლობით მიმართა პროკურატურას განცხადებით და თანხმობა განაცხადა ბრალის აღიარებით, სასჯელზე შეთანხმებით, საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ, სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, 2015 წლის 23 ივნისს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-211-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, მსჯავრდებულ ვ. ს-ასა და ზუგდიდის რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორ ი. ტ-ას შორის წერილობით გააფორმა ოქმები საპროცესო შეთანხმების თაობაზე. საპროცესო შეთანხმება კანონით დადგენილი წესით წინასწარ შეთანხმდა ზემდგომ პროკურორთან.

11. 2015 წლის 30 ივნისს სასამართლო სხდომაზე პროკურორმა ი. ტ-ამ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მასა და მსჯავრდებულ ვ. ს-ას შორის 2015 წლის 23 ივნისს დადებული საპროცესო შეთანხმებების დამტკიცების შესახებ და ითხოვა:

ვ. ს-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს:

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – 1 წლით, ხოლო 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებით სასჯელად დაეკისროს ჯარიმა – 5000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, ვ. ს-ას დანაშაულთა ერთობლიობით ძირითად სასჯელად დაენიშნოს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე – 1 წელი, 6 თვე განესაზღვროს სასჯელად-

სრულების დანესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი – 3 წელი და 6 თვე, სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით ვ. ს-ას დამატებით სასჯელად დაეკისროს ჯარიმა – 5000 ლარი.

ვ. ს-ას სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან – 2014 წლის 22 ოქტომბრიდან.

12. იმავე სხდომაზე პროკურორმა ი. ტ-ამ დააზუსტა შუამდგომლობა და ითხოვა:

ვ. ს-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს:

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – 1 წლით, ხოლო 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებით სასჯელად დაეკისროს ჯარიმა – 5000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, ვ. ს-ას დანაშაულთა ერთობლიობით ძირითად სასჯელად დაენიშნოს 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე – 1 წელი, 6 თვე განესაზღვროს სასჯელაღსრულების დანესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი – 3 წელი, სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით ვ. ს-ას დამატებით სასჯელად დაეკისროს ჯარიმა – 5000 ლარი.

ვ. ს-ას სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან – 2014 წლის 22 ოქტომბრიდან.

13. სასამართლო სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას შეცვლილი პირობით მხარი დაუჭირეს პროცესში მონაწილე მსჯავრდებულმა ვ. ს-ამ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ა. გ-მა.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, წარმოდგენილი შუამდგომლობა და მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 3 აპრილის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება, სახელმწიფო ბრალმძებლის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს და დამტკიცდეს საპროცესო შეთანხმება პროკურორ ი. ტ-ასა და მსჯავრდებულ ვ. ს-ას შორის შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ი. ტ-ამ მხარი დაუჭირა თავის შუამდგომლობას დაზუსტებული პირობებით და ითხოვა მსჯავრდებულ ვ. ს-ას დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი, მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში.

3. სასამართლო სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას მხარი დაუჭირეს პროცესში მონაწილე მსჯავრდებულმა ვ. ს-ამ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ა. გ-მა.

4. სასამართლომ საქმის მასალების საფუძველზე კანონის მოთხოვნათა დაცვით განიხილა შუამდგომლობის დასაბუთებულობა და აღნიშნავს, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით – მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, ა/მანქანის ჩხრეკის ოქმით, მოწმეების – ნ. ჭ-ას, ც. ზ-ას, გ. ქ-ას, ვ. თ-ასა და სხვათა ჩვენებებით, საექსპერტო კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნითა და საქმის სხვა მასალებით ვ. ს-ას მიმართ ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია.

5. საკასაციო პალატა დარწმუნდა, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას მსჯავრდებულ ვ. ს-ას მიმართ არ განხორციელებულა ძალადობა, დაშინება, მოტყუება, მუქარა ან რაიმე უკანონო დაპირება; ამასთან, მას არ შეზღუდვია უფლება, მიეღო იურიდიული დახმარება. პალატის სხდომაზე გამოკვლეულ იქნა, რომ მსჯავრდებული სრულად აცნობიერებს საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებულ, კანონით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას, აღიარებს ბრალს და ეთანხმება პროკურორს სასჯელის ზომაზე. მსჯავრდებული ვ. ს-ა ასევე აცნობიერებს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, არ მიიღოს მხედველობაში შეთანხმების საფუძველზე პროკურორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა.

6. მსჯავრდებულისათვის ასევე ცნობილია საქართველოს სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მისი უფლებები; მისთვის ასევე ცნობილია, რომ საპროცესო შეთანხმება მას არ ათავისუფლებს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან.

7. საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ მოთხოვნილი სასჯელი კანონიერი და სამართლიანია, რის გამოც არსებობს სსსკ-ის 213-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით განსაზღვრული, შუამდგომლობების დაკმაყოფილების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველები.

8. ამდენად, ზუგდიდის რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორ ი. ტ-ას შუამდგომლობა მსჯავრდებულ ვ. ს-ას

მიმართ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 209-215-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სახელმწიფო ბრალმდებლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 3 აპრილის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. დამტკიცდეს პროკურორ ი. ტ-ასა და მსჯავრდებულ ვ. ს-ას შორის დადებული საპროცესო შეთანხმება შეცვლილი პირობებით.

4. ვ. ს-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს.

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის – 1 წლით, ხოლო 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით დამატებით სასჯელად დაეკისროს ჯარიმა – 5000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, ვ. ს-ას დანაშაულთა ერთობლიობით ძირითად სასჯელად დაენიშნოს 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე – 1 წელი, 6 თვე განესაზღვროს სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი – 3 წელი, სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით ვ. ს-ას დამატებით სასჯელად დაეკისროს ჯარიმა – 5000 ლარი.

5. ვ. ს-ას სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან – 2014 წლის 22 ოქტომბრიდან.

6. საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებები:

„კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის „AKM-ის“ მოდელის, 7,62 მმ კალიბრიანი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 1943 წლის ნიმუშის, 7,62 მმ კალიბრიანი 19 საბრძოლო ვაზნა, რომე-

ლიც ინახება საქართველოს შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში, უნდა გადაეცეს საქართველოს შსს-ს შესაბამის სამსახურს შემდგომი განკარგვის მიზნით.

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

სისხლის სამართლის საქმეზე უტყუარი და პირდაპირი მტკიცებულებების არარსებობის გამო გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და საქმის შეწყვეტა

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№60აპ.-15

15 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
ზ. მეიშვილი,
გ. შავლიაშვილი**

მონაწილეობით, მსჯავრდებულ თ. კ-ას მონაწილეობის გარეშე, ზეპირი მოსმენით განიხილა დაზარალებულის უფლებამონაცვლის – ი. გ-ისა და მისი წარმომადგენლის – გ. ს-ას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 13 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 27 დეკემბრის განაჩენით თ. კ-ა, ძებნილი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულებებისათვის – ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შექმნა, შენახვისა და ტარებისათვის; სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის – ხულიგნობისათვის, ე.ი. ქმედებისათვის, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა

უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით და ძალადობის მუქარით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით; სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ და 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის – განზრახ მკვლელობისათვის, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის. თ. კ-ას ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2010 წლის 14 მარტს ქ. თბილისში, გ-ის ქუჩაზე, ზ. ტ-ი შეხვდა თავის ნაცრობს, ამავე ქუჩის №...-ში მდებარე სახლში მცხოვრებ ს. გ-ს, რა დროსაც მათ შორის მოხდა შელაპარაკება. ს. გ-მა ზ. ტ-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, თუმცა იმ დროს ინციდენტი განიმუხტა. აღნიშნულზე განაწყენებული ზ. ტ-ი 2010 წლის 15 მარტს დაუკავშირდა ს. გ-ს და სთხოვა შეხვედროდა წინა დღეს მომხდარი კონფლიქტის გასარკვევად, რაზეც ეს უკანასკნელი დასთანხმდა. აღნიშნულის შემდეგ, 2010 წლის 15 მარტს, საღამოს, დაახლოებით 20 საათსა და 15 წუთზე, გ-ის ქუჩაზე, №... სახლთან, ზ. ტ-ი და მისი მეგობრები ლ. და დ. ჩ-ები მივიდნენ ბ. ლ-ას კუთვნილი „ფიატ-ტიპოს“ მარკის ავტომანქანით. ზ. ტ-ს თან ჰქონდა მართლსაწინააღმდეგოდ შექმნილი „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი და საბრძოლო ვაზნები, ხოლო ლ. ჩ-ა შეიარაღებული იყო მართლსაწინააღმდეგოდ შექმნილი „მაკაროვის“ სისტემის უნომრო პისტოლეტით და საბრძოლო ვაზნებით. დათქმულ ადგილას მისვლისას ავტომანქანიდან გადმოვიდნენ ზ. ტ-ი და ძმები ჩ-ები, რომლებსაც კაფე-ბარ „...-თან“ შეხვდნენ ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებული ს. გ-ი და თ. კ-ა. ზ. ტ-სა და ს. გ-ს შორის საუბარი წარიმართა გ-ის ქუჩის №... სახლის ეზოში შესასვლელ „არკაში“, რაც გადაიზარდა ჩხუბში. ს. გ-მა საქამრიდან ამოიღო „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი ნომრით ..., მას მაჯაში სწვდა დ. ჩ-ა და შეეცადა, არ მიეცა სროლის საშუალება. მიუხედავად ამისა, ს. გ-მა მოახერხა პისტოლეტიდან ორჯერ გასროლა. იმავდროულად თ. კ-ამ ხელი გამოჰკრა პისტოლეტის სასხლეტს, თუმცა ვერ მოახერხა გასროლა იარაღის გაუმართაობის გამო. ამის შემდეგ იგი შევიდა კაფე „...-ში“, იარაღი მოიყვანა საბრძოლო მდგომარეობაში და „არკაში“ შესულმა მართლსაწინააღმდეგოდ შექმნილი „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტიდან, რასაც უკანონოდ ინახავდა და ატარებდა, განზრახ მკვლელობის ჩადენის მიზნით, დამამძიმებელ გარემოებებში, ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნიდა საფრთხეს იქ მყოფი პირების სიცოცხლესა და ჯანმრთელო-

ბას, მიუახლოვდა და მათი მიმართულებით განახორციელა მრავალჯერადი გასროლა, რის შედეგად სასიკვდილო დაზიანება მიიღო ს. გ-მა. ასევე მის მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან განხორციელებული მრავალჯერადი გასროლების შედეგად სხეულის სხვადასხვა დაზიანება მიიღეს შემთხვევის ადგილზე მყოფებმა – ზ. ტ-მა, ლ. ჩ-ამ და დ. ჩ-ამ. თ. კ-ას მიერ პისტოლეტიდან ნაწარმოები გასროლებით ს. გ-მა მიიღო თავის ქალას გამჭოლი ცეცხლნასროლი ჭრილობა, ქალა, სარქველის ძვლების ხვრელოვანი და ფრაგმენტოვანი მოტეხილობით და ფუძის ძვლის ხაზოვანი მოტეხილობით, თავის ტვინის სტრუქტურის ტლანქი დარღვევითა და თავის ტვინში ტრავმული სისხლჩაქცევით, ასევე – ცეცხლსასროლი ჭრილობა, წყვეტილი არხით, ბარძაყის მიდამოში, მარცხენა ბარძაყის ძვლის მოტეხილობით. თავის არეში მიღებულმა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის ცეცხლნასროლმა დაზიანებამ, გამოიწვია ს. გ-ის სიკვდილი. ლ. ჩ-ამ მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო ცეცხლნასროლი დაზიანება გულ-მკერდის მარცხენა ნახევარში, ხოლო ზ. ტ-მა და დ. ჩ-ამ მიიღეს სხეულის მსუბუქი დაზიანებები ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით.

თ. კ-ასა და სხვათა ხულიგნურმა მოქმედებამ, რომელიც გაგრძელდა რამდენიმე წუთს და რასაც თან ახლდა ძალადობა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება მჭიდროდ დასახლებულ გ-ის ქუჩაზე, უხეშად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი და მოსახლეობის სიმშვიდე, გამოხატა საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა. დანაშაულის ჩადენის შემდეგ თ. კ-ა შემთხვევის ადგილიდან მიიმალა და დღემდე მისი ადგილსამყოფელი დაუდგენელია.

2. აღნიშნული ქმედებისათვის თ. კ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ და 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით – 17 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1'-ლი ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა ნაწილობრივ, კერძოდ: სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ და 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით დანიშნულ სასჯელს – 17 წლით თავისუფლების აღკვეთას – დაემატა სსკ-ის 236-ე მუხლის 1-

ლი ნაწილით დანიშნული სასჯელიდან – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელიდან – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით დანიშნული სასჯელიდან – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ თ. კ-ას სასჯელად განესაზღვრა 24 წლით თავისუფლების აღკვეთა. თ. კ-ას სასჯელის ათვლა უნდა დაეწყოს განაჩენის აღსრულების მომენტიდან.

გადაწყდა საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებების ბედი, კერძოდ: საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ნივთიერ მტკიცებულებად ცნობილ 2010 წლის 12 აპრილს შპს კლინიკა „ს-დან“ და 2010 წლის 14 აპრილს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებიდან მიღებული ზ. ტ-ის ავადმყოფობის ისტორიის ქსეროასლები; კლინიკა „კ-დან“ ამოღებული დ. ჩ-ას ავადმყოფობის ისტორია; შპს „თ-რი“ კლინიკიდან ამოღებული ლ. ჩ-ას ავადმყოფობის ისტორია; ხელის კვლევი – უნდა დაერთოს საქმეს მისი შენახვის ვადით;

მოყვითალო ფერის ლითონის ტყვიისმაგვარი საგნები; მოყვითალო ფერის დეფორმირებული მასრა; მოყავისფრო ლითონის მასრა; მოყვითალო ფერის მასრისმაგვარი საგნები; 1 ცალი მეტალის მოყვითალო ფერის, სავარაუდოდ, საბრძოლო ვაზნის შემადგენელი ნაწილი – გულა; მოყავისფრო კორპუსის მქონე მასრა, ლითონის დეფორმირებული საგანი (სავარაუდოდ, ტყვიის გულა); დეფორმირებული ოქროსფერი მეტალის საბრძოლო ვაზნის შემადგენელი ნაწილი, კერძოდ, ტყვიის გულა; მეტალის მჭიდისმაგვარი საგანი; მოყვითალო ფერის ტყვიისმაგვარი საგანი; დენტის ნიმუშები, ფრჩხილების ნიმუშები, ანაბეჭდების ნიმუში; მონითალო ფერის სისხლისმაგვარი ლაქები, ს. გ-ის თმის ნიმუში; გ. ლ-ისაგან აღებული ფრჩხილის ნიმუში; ლ. ჩ-ას სხეულში ნანახი ოვალური ფორმის ყვითელი ფერის ლითონის ფრაგმენტი; 4 ცალი ინსულინის შპრიცი; ერთი ცალი მოყვითალო ფერის ლითონის ფრაგმენტი; ს. გ-ის ფრჩხილების ნიმუში; ორი ცალი გადატეხილი ამპულა ერთზე წარწერით „პიპოლფენ“, ხოლო მეორეზე „ვადა დლია ინექციი“; მინის 4 ბოთლი წარწერით „ZIPFERI“, ბოთლები და ჭიქები; გ. ლ-ისაგან აღებული თმის ნიმუში; გ. ლ-ისაგან აღებული ანაბეჭდების ნიმუში; ე. ც-ისაგან აღებული თმის ნიმუში; 2010 წლის 16 მარტს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პროზექტურიდან გარდაცვლილ ს. გ-ის გვამიდან საექსპერტო კვლევისათვის ხელის თითებიდან აღებული ანაწმენდები; 2010 წლის 16 მარტს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს

პროზექტურიდან გარდაცვლილ ს. გ-ის გვამიდან საექსპერტო კვლევისათვის აღებული ცხვირის ნესტოების ანაწმენდები; 2010 წლის 16 მარტს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან, პროზექტურაში გარდაცვლილ ს. გ-ის გვამიდან საექსპერტო კვლევისათვის ყურის ნიჟარებიდან აღებული ანაწმენდები – უნდა განადგურდეს;

სიგარეტ „კენტის“ კოლოფი; შავი ფერის სანთებელა; ქოლგა; შავი ნაჭრის მოკლე ქურთუკი შიგნით თეთრი და შავი ზოლებით განყოფილი წარწერით „SEVENHILL“; შავი ფერის ტყავის ქამარი; დ. ჩ-ას ერთი ცალი ლურჯი ფერის ჯინსის შარვალი; დ. ჩ-ას ერთი ცალი ყავისფერი ტყავის ქამარი; ლ. ჩ-ას ერთი წყვილი შავი ფერის ფეხსაცმელები; ლ. ჩ-ას შავი ფერის მაისური; დ. ჩ-ას ერთი წყვილი წინდა; დ. ჩ-ას ერთი წყვილი შავი ფერის ე.წ. „შუზები“; ლ. ჩ-ას შავი ფერის ნაჭრის შარვალი; ერთი ცალი შავი ფერის კეტი „ნაიკის“ ემბლემით; ბ. ლ-ას ლურჯი ფერის ჯინსის შარვალი; თეთრი ფერის მოკლემკლავიანი მაისური; შავი ფერის გრძელმკლავიანი მაისური; ორი ცალი შავი ფერის წინდა – უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელებს.

ს. გ-ის შარვალი; ერთი წყვილი სპორტული ბოტასი; ერთი წყვილი წინდა; ტრუსი; ერთი ცალი სვიტრი უნდა დაუბრუნდეს ს. გ-ის ოჯახის წევრებს.

ზ. ტ-ის ლურჯი ფერის ჯინსის შარვალი; შავი ფერის ტყავის ქურთუკი, რომელშიც მოთავსებული იყო ზ. ტ-ის სახელზე გაცემული საქართველოს პასპორტი; ზ. ტ-ის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა; რუხი ფერის ტყავის საფულე, რომელშიც მოთავსებული იყო ზ. ტ-ის სახელზე გაცემული საქართველოს ბანკის სამი ცალი პლასტიკური ბარათი; შპს „ჯ-ის“ სიმბარათი; ზ. ტ-ის სახელზე გაცემული „სახალხო ბანკის“ ორი ცალი პლასტიკური ბარათი და ზ. ტ-ის სახელზე გაცემული მართვის მოწმობა – უნდა დაუბრუნდეს ზ. ტ-ის ოჯახის წევრებს.

3. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო ნესით გაასაჩივრა დაზარალებულის უფლებამონაცვლე ი. გ-ის წარმომადგენელმა, ადვოკატმა შ. შ-ემ. იგი ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ თ. კ-ას მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 13 ოქტომბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 27 დეკემბრის განაჩენში თ. კ-ას მიმართ შევიდა ცვლილება, კერძოდ:

თ. კ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 1 წლითა და 6 თვით თავი-

სუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 1 წლით, 1 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ და 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით – 17 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის თანახმად, შეუმცირდა ერთი მეოთხედით და განესაზღვრა 12 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა ნაწილობრივ, კერძოდ: სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ და 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით დანიშნულ სასჯელს – 12 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთას – დაემატა სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელიდან – 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელიდან – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით დანიშნული სასჯელიდან – 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ თ. კ-ას სასჯელად განესაზღვრა 15 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი ნივთმტკიცების ნაწილში დარჩა უცვლელად.

5. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს დაზარალებულის უფლებამონაცვლემ – ი. გ-მა და მისმა წარმომადგენელმა – გ. ს-ამ. მათ ითხოვეს სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და თ. კ-ას მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, ასევე სააპელაციო სასამართლოს მიერ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული ყველა არაშემაჯამებელი გადაწყვეტილების გაუქმება, შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად უარყო დაცვის მხარის პოზიცია თ. კ-ას უდანაშაულო-

ბის შესახებ და უსაფუძვლოდ გაიზიარა კონფლიქტში მონაწილე მხარის წარმომადგენლების – დ. ჩ-ას, ლ. ჩ-ას, ზ. ტ-ისა და ბ. ლ-ას ჩვენებები; არ არის დადგენილი დასაბუთებული განაჩენის გამოსატანად საჭირო ყველა ფაქტობრივი გარემოება; გამოძიების დროს არ დაუკითხავთ ან არასრულად დაკითხეს ის მოწმეები, რომელთა ჩვენებებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ქვემარტების დადგენისათვის; არ ჩატარებულა ან არასრულად ჩატარდა ექსპერტიზები და სხვა საპროცესო მოქმედებები; თ. კ-ას დამნაშავედ ცნობის თაობაზე სასამართლოს დასკვნა არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან; სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა საქმეზე დაცვის მხარის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნები, რომლებიც არსებითად ცვლიდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს; სასამართლო სხდომები წარიმართა დაზარალებულის უფლებამონაცვლისა და მისი წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე, რითაც უხეშად შეიზღუდა მათი უფლებები დაეყენებინათ შუამდგომლობები მტკიცებულებების გამოთხოვის, მონშეთა დაკითხვისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე; მათ დაუსაბუთებლად ეთქვათ უარი სააპელაციო სასამართლოში დაყენებული შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე; ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე დაზარალებულის უფლებამონაცვლეს ეცნობა დაგვიანებით, რითაც არსებითად დაირღვა საპროცესო კოდექსის მოთხოვნები; სასამართლომ არასწორად, უკრიტიკოდ გაიზიარა ზ. ტ-ისა და ლ. ჩ-ას ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები, რომლებიც იყვნენ კონფლიქტის მონაწილე პირები და იყვნენ დაინტერესებულნი, მათ არ დაზარალებოდათ მომხდარი მკვლელობა, რაც მათი ჩვენებების სარწმუნოების დაბალ ხარისხზე მიუთითებს; გამოძიება წარიმართა არასრულად და ცალმხრივად; ბრალდების მხარემ სასამართლო სხდომაზე იშუამდგომლა მოწმედ დასაკითხ პირთა სიიდან ო. ც-ის მოხსნის თაობაზე, რომლის ჩვენება არსებითად ეწინააღმდეგებოდა ბრალდების მხარის მიერ დადგენილ გაყალბებულ ფაქტობრივ გარემოებებს და მისი დაკითხვა არ შედიოდა პროკურორის ინტერესებში; სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა მოწმე მ. გ-ას ჩვენება სხვა მტკიცებულებებთან მიმართებით; არ დაკითხულა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ავტორი, რათა პასუხი გასცემოდა კითხვას, რა იგულისხმებოდა დასკვნაში მითითებული ცეცხლსასროლი ჭრილობის მიყენების არა-ახლო მანძილში; არ ჩატარებულ ექსპერტიზა იმის დასადგენად, თუ რა მანძილიდან ჰქონდა მიყენებული ს. გ-ს ცეცხლსასროლი

დაზიანება მარცხენა ბარძაყის მიდამოში; სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით ლ. ჩ-ას მიმართ სროლის მანძილის განსაზღვრა, წარდგენილი დოკუმენტების თანახმად, შეუძლებელია, ხოლო ზ. ტ-ის მიმართ გაცემულ დასკვნაში საერთოდ არ არის გაცემული პასუხი კითხვაზე, თუ რა მანძილიდან აქვს მას მიყენებული დაზიანება. მიუხედავად ამისა, არავის მოუთხოვია განმარტება ამ საკითხებზე ექსპერტებისაგან და არც დამატებითი ექსპერტიზა დანიშნულა; ს. გ-ი და თ. კ-ა იყვნენ მეგობრები, ერთად ისხდნენ ბარში, რომელთა შორისაც არანაირი კონფლიქტი არ მომხდარა. კონფლიქტი მოხდა, ერთი მხრივ – ზ. ტ-ს, ლ. და დ. ჩ-ებს, ხოლო, მეორე მხრივ – ს. გ-ს შორის. ამ პირობებში, რატომ უნდა გასჩენოდა თ. კ-ას მეგობრის – ს. გ-ის მოკვლის განზრახვა, გაურკვეველია, მითუმეტეს, ბრალდების მხარე ვერ მიუთითებს დანაშაულის მოტივსა და მიზანზე.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს სსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქმის მასალებით ირკვევა, რომ თ. კ-ას ბრალდების საქმეში წარმოდგენილი არ არის უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც, მისი სანდოობისა და შესახებობის თვალსაზრისით, საკმარისია დასკვნისათვის, რომ თ. კ-ამ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“, 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებითა და სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულები, კერძოდ:

3. სააპელაციო წესით საქმის განხილვისას დაკითხული დაზარალებულის უფლებამონაცვლის – ი. გ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2010 წლის 15 მარტს იმყოფებოდა სახლში. ვინაიდან ჩაქრა შუქი, დაურეკა შვილს ს. გ-ს, რომელიც იყო კაფემი სახლიდან დაახლოებით 100-150 მეტრში და უთხრა, რომ სახლში დაბრუნებულიყო. როგორც კი ტელეფონი გათიშა, გაიგონა გასროლის ხმა. მან ინსტინქტურად ჩაირბინა კიბეებზე, რა დროსაც კიდევ გაიგო სროლის ხმა. იგი წავიდა იმ მიმართულებით, საიდანაც სროლის ხმა ისმოდა. იყო სრული სიბნელე, მხოლოდ ჭ-ის ქუჩაზე ენთო „ლამპიონები“. ჭ-ისა და გ-ის ქუჩების კვეთაზე შეხვდა თ. კ-ა. ი. გ-ის განმარტებით, იცოდა, რომ მისი შვილი

და თ. კ-ა ერთად იყვნენ. თ. კ-ამ მას უთხრა – „მგონი, ს-ს ესროლა ვილაცამო“. ისინი ერთად წავიდნენ იმ „არკის“ მიმართულებით, სადაც უკვე ბევრი ხალხი იყო შეკრებილი. მისივე ჩვენებით დადგენილია, რომ ამასობაში მას წამოენია მისი მეუღლე. შემთხვევის ადგილზე მისულმა იცნო თავისი შვილი, რომელიც ჩასვეს მეზობლის ავტომანქანაში და საავადმყოფოში წაიყვანეს. ამ დროს კ-აც საავადმყოფოში იყო. ი. გ-ის განმარტებით, ექიმი, რომელიც ს-ოს ოპერაციას უკეთებდა და ტყვია რომელმაც ამოიღო, მივიდა მასთან და უთხრა, რომ ან ლილიპუტის ნასროლია ან მაღალზე იდგა თვითონ ს. გ-ო, ასევე იმდენად ახლო მანძილიდან არის ნასროლი, რომ ტყვია არ გავიდა და ქსოვილებში დარჩაო. მისი განმარტებით, ჩ-ების ბიძამ ერთი წლის შემდეგ ვითომ მათი იარაღები ჩააბარა, რის შემდეგაც მათ საპროცესო შეთანხმება გაუფორმდათ, მკვლელობა კი კ-ას დაბრალდა.

4. დაზარალებულ ზ. ტ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2010 წლის 14 მარტს, საღამოს, გ-ისა და ჭ-ის ქუჩების კუთხეში, ის შემთხვევით შეხვდა ს. გ-ს, რომელთანაც მეგობრობდა. შეხვედრისას მან თავზე ხელი გადაუსვა ს. გ-ს, რაც ამ უკანასკნელმა იუკადრისა და ხელი ჰკრა. იქვე მყოფმა პირებმა ს. გ-ი გააკავეს. მან ჩათვალა, რომ ს. გ-ი ნასვამი იყო და წავიდა სახლში. მეორე დღეს, დაახლოებით 12 საათზე, დაურეკა ს. გ-ს, მოიკითხა და უთხრა, რომ მის სახლთან იდგა და ჩასულიყო. მან უპასუხა, რომ თავს მოინესრიგებდა და მოგვიანებით თვითონ დაურეკავდა. საღამოს, როდესაც იგი იმყოფებოდა თავის მეობრებთან – ძმებ ლ. და დ. ჩ-ებთან, ასევე ბ. ლ-ასთან ერთად ამ უკანასკნელის ავტომანქანაში, დაურეკა ს. გ-მა, რომელმაც უთხრა, რომ იმყოფებოდა გ-ის ქუჩაზე კაფესთან და მისულიყო. ამის შემდეგ ბ. ლ-ას ავტომანქანით მივიდნენ გ-ის ქუჩაზე მდებარე კაფე-ბარ „...-თან“, კაფეს შესასვლელთან გააჩერეს მანქანა. ბ. ლ-ა ავტომანქანაში დარჩა, თვითონ, ლ. და დ. ჩ-ები კი მანქანიდან გადავიდნენ და შეხვდნენ ს. გ-ს, რომელსაც თან ახლდა თ. კ-ა. ის და გ-ი შევიდნენ იქვე კაფეს გვერდით მდებარე არკაში, სადაც შეყვნენ დ. და ლ. ჩ-ები. მასა და ს. გ-ს შორის საუბარი წარმართა წინა დღეს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, კერძოდ, მან ს. გ-ს უთხრა, რომ თავზე ხელი მეგობრულად გადაუსვა, რაზეც მან უპასუხა, რომ არ ესიამოვნა. ამის შემდეგ კვლავ გაუმეორა ზემოთ ნათქვამი, რაზეც ს. გ-მა პასუხად ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო და მიუშვირა მას. დ. ჩ-ა, რომელიც გვერდით ედგა ს. გ-ს, ხელში სწვდა ამ უკანასკნელს და იარაღი დაანევირა ქვევით, შემდეგ თვითონ და ლ. ჩ-აც დაეჭიდნენ ხელზე

და შეეცადნენ, არ მიეცათ მისთვის სროლის საშუალება, მაგრამ ს. გ-მა მაინც მოახერხა რამდენიმე გასროლა, რასაც „არკის“ შესასვლელის მხრიდან, პიროვნებისგან, რომლის გარჩევა სიბნელის გამო ვერ მოახერხა, მოჰყვა ცეცხლსასროლი იარაღიდან ექვსზე მეტი გასროლა. აღნიშნული გასროლის შედეგად დაიჭრნენ თვითონ, ძმები ჩ-ები და ს. გ-ი. თავდაცვის მიზნით მან და ლ. ჩ-ამ განახორციელეს საპასუხო სროლები „არკის“ მიმართულებით, რის შემდეგაც ბ. ლ-ას ავტომანქანით დატოვეს შემთხვევის ადგილი. მივიდნენ ყ-ის ქუჩაზე, ნ. ჩ-ას საცხოვრებელ სახლში, სადაც გადამალეს ცეცხლსასროლი იარაღები და წავიდნენ №... კლინიკურ საავადმყოფოში. ზ. ტ-მა ასევე განმარტა, რომ აღნიშნული – სასამართლოში მიცემული ჩვენება არის სწორი, ხოლო გამოძიებისათვის მიცემული ჩვენება – მცდარი. გამოძიების დროს მცდარი ჩვენება იმიტომ მისცა, რომ იარაღი არ იყო ამოღებული.

5. დაზარალებულ ლ. ჩ-ას ჩვენებით დადგენილია, რომ 2010 წლის 15 მარტს, საღამოს, ზ. ტ-თან, დ. ჩ-ასა და ბ. ლ-ასთან ერთად, ამ უკანასკნელის ავტომანქანით მივიდნენ გ-ის №...-თან, კაფე-ბარ „...-თან“. შეხვდნენ ს. გ-ს და თ. კ-ას. ჯერ ს. გ-ი ნახეს, შემდეგ წამიერად – თ. კ-აც. ზ. ტ-ი და ს. გ-ი შევიდნენ კაფე-ბარის გვერდით მდებარე „არკაში“, სადაც შეყვნენ თვითონ და დ. ჩ-ა. საუბარი გაიმართა ზ. ტ-სა და ს. გ-ს შორის წინა დღის კონფლიქტთან დაკავშირებით. ამ დროს ს. გ-მა ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღი. მან იარაღის დანახვაზე გ-ს მიაძახა, რომ არ ესროლა. დ. ჩ-ა ს. გ-ს მაჯაში სწვდა და იარაღიანი ხელი ქვევით დაანეწინა. თვითონ და ზ. ტ-იც დაეჭიდნენ იარაღიან ხელზე ს. გ-ს. სამივე დახრილ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რა დროსაც აღნიშნული იარაღიდან მოხდა ორი გასროლა „არკის“ მიმართულებით. ლ. ჩ-ას განმარტებით, ის სთხოვდა ს. გ-ს, რომ იარაღისთვის ხელი გაეშვა და შემდეგ ისევ დაუბრუნებდა. ამა-სობაში „არკის“ შემოსასვლელიდან ვილაცამ დაიწყო სროლა, დაახლოებით ექვსზე მეტი გასროლა იყო, დაახლოებით მეხუთე გასროლის დროს დაიჭრა. მსროლელი მათ დაახლოებით ორ მეტრში მიუახლოვდა. იმ მიზნით, რომ თავი დაეცვა და თავდამსხმელი შეეშინებინა, თანნაქონი პისტოლეთიდან ქურჩის მიმართულებით 4-5-ჯერ გაისროლა. სროლების შემდეგ დაინახა, რომ ს. გ-ი ძირს იწვა იარაღით ხელში. მოკიდა ხელი გ-ის იარაღს და წაიღო, რათა დაზღვეული ყოფილიყო, რომ ს. გ-ს ისევ არ გაესროლა. ზ. ტ-თან და დ. ჩ-ასთან ერთად, რომლებიც ასევე დაჭრილები იყვნენ, ჩასხდნენ ავტომანქანაში და წავიდნენ ყ-ის ქუჩაზე, სადაც გადამალეს იარაღები. შემდეგ გზიდან შეატყობი-

ნეს ოჯახის წევრებს, რომ დაჭრილები იყვნენ და წავიდნენ საავადმყოფოში. მისივე განმარტებით, მანქანა, რომლითაც ისინი მივიდნენ, „არკიდან“ დაშორებული იყო დაახლოებით ორი მეტრით. მან სიმართლე ამ ჩვენებაში თქვა.

6. ზ. ტ-მა და ლ. ჩ-ამ ჩვენებებში ასევე მიუთითეს, რომ, მართალია, ვერ დაინახეს სიბნელის გამო ვინ ესროლა მათ, მაგრამ გამოძიებისა და საქმის მასალებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, ეს პიროვნება უნდა ყოფილიყო თ. კ-ა.

7. საქმის სააპელაციო წესით განხილვისას დაზარალებულ დ. ჩ-ას მიერ მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ თ. კ-ას იცნობს, მისი სკოლელია, ხოლო ზ. ტ-ი მისი მეგობარია. მან განმარტა, რომ წინა დღეს მომხდარი კონფლიქტის შესახებ არაფერი იცოდა. მისმა ძმამ – ლ. ჩ-ამ და მეგობარმა – ზ. ტ-მა მიაკითხეს სახლში ბ. ლ-ას ავტომაქანით. მიდიოდნენ მეგობრების სანახავად, თურქეთში რაგბის მატჩზე დასასწრებად წასვლის საკითხის გასარკვევად. გზაში ზ-ას დაურეკეს მობილურზე. საუბრის დასრულებისთანავე ზ-ამ უთხრა ბ. ლ-ას შესულიყო იქვე, გ-ის ქუჩაზე მდებარე კაფესთან, „გ-რა“ უნდა ენახა. კაფესთან რომ მივიდნენ, ზ. და ლ. გადავიდნენ ავტომანქანიდან, შემდეგ თვითონაც გადავიდა მის სანახავად. ბ. ლ-ა ავტომანქანიდან არ გადასულა. მისალმების შემდეგ შევიდნენ გვერდით მდებარე „არკაში“. მოკითხვის შემდეგ ს-ოს და ზ-ას შორის დაიწყო საუბარი წინა დღეს მომხდარი შელაპარაკების შესახებ. მან საუბრიდან გაიგო, რომ ს-ოს ზ-საგან აგდებული მისალმება და თავზე ხელის გადასმა არ ესიამოვნა, ზ-ას კი – მისი მისალმება. ამ დროს მისმა ძმამ თქვა დაემთავრებინათ საუბარი – „შინაურები ვართ და რა გვაქვს სალაპარაკო“, რასაც ყველა დაეთანხმა. მან ერთი-ორი ნაბიჯი გადადგა, ზ-ამ და ს-ომ გააგრძელეს საუბარი. იგი ს-ოს აგრესიულ საუბარზე შემოტრიალდა. ს-ო ამბობდა, შენი ბავშვი ხომ არა ვარ შუბლზე ხელს რომ მისვამო, შემდეგ ს. გ-მა ამოიღო იარაღი და შუბლთან ახლოს მიუტანა. მან ხელი მოკიდა იარაღზე და ცდილობდა მათ სანინა აღმდეგო მხარეს ყოფილიყო მიმართული. ს-ო იძახდა ვიხუმრეო, მას მიეხმარნენ ზ. და ლ-ი. ის და ს-ო დაეცნენ და ჯაჯგურში ორი გასროლა მოხდა ს-ოს იარაღიდან „არკის“ შემოსასვლელის მიმართულებით. ამ დროს ის და ს-ო დაწოლილ მდგომარეობაში იყვნენ. ამ ორი გასროლიდან რამდენიმე წამში არკის შემოსასვლელიდან მისთვის უცნობმა პიროვნებამ განახორციელა მრავალჯერადი გასროლები მათი მიმართულებით და გაიქცა. მისივე ჩვენებით, იგი სროლის დაწყებისთანავე დაიჭრა და მიიწია „არკის“ მარჯვენა მხარეს. ამასობაში ლ-ი და ზ-ა სროლა-

სროლით გაიქცნენ „არკის“ გასასვლელისკენ და გავიდნენ ქუჩაში. ქუჩაში გავიდა თვითონაც. ჩასხდნენ ბ. ლ-ას ავტომანქანაში, რომელიც უკვე დაძრული შუა ქუჩაზე იყო და წავიდნენ. ავტომანქანაში მან დაკარგა გონება და საავადმყოფოში რომ მივიდა, გაუკეთეს ოპერაცია. ამის შემდეგ გაიგო ს. გ-ის გარდაცვალების შესახებ. მისივე ჩვენებით, ის პიროვნება, რომელიც ესროდათ, დაინახა. მას არ იცნობს, თუმცა ამოცნობა შეუძლია. მანვე აჩვენა, რომ თ. კ-ას იცნობს და იგი იქ არ ყოფილა. იმ დღეს საერთოდ არ უნახავს. მან ასევე დაადასტურა, რომ შემთხვევის დროს წვიმდა, ლამპიონები გამოართული იყო და არკაში ბნელოდა. მისივე განმარტებით, სროლის დროს ის და ს-ო ძირს, ერთმანეთის გვერდით იწვნენ, ს-ოს ხელები ჰქონდა გაშლილი „არკის“ შემოსასვლელის მიმართულებით, მას კი მის იარაღსა და ს-ოს ხელზე ეკიდა ხელი, ს-ოს ორივე ხელი იარაღზე ჰქონდა, ხოლო იარაღი ასფალტზე იყო. იგი კონცენტრირებული იყო იარაღზე და ვინ საით იდგა, არ ახსოვს, რას აკეთებდნენ ლ-ი და ზ-ა არ დაუნახავს, ალბათ, მას ეხმარებოდნენ. დ. ჩ-ას ჩვენებით, სროლის დაწყებამდე ზ-ას და ლ-ს იარაღები არ ამოუღიათ. იარაღების ამოღების ფაქტი არ დაუნახავს, მაგრამ როდესაც მათ ისროლეს, ის მსროლელი, უკვე გაქცეული იყო. თავიდან ლ-ას ავტომანქანა „არკის“ შესასვლელთან გააჩერეს. მანვე ასევე განმარტა, რომ მასზე სამართალდამცავი ორგანოს მუშაკების მხრიდან მიმდინარეობდა ზენოლა, მას აყენებდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფას, აწამებდნენ და ეუბნებოდნენ, რომ ხელი დაედო თ. კ-ასთვის, ხოლო თუ ამას არ გააკეთებდა, დაიღუპებოდა და მთელ ცხოვრებას ციხეში გაატარებდა, თუმცა ამ ფაქტთან დაკავშირებით განცხადებით პოლიციისთვის ან პროკურატურისთვის არ მიუმართავს, რადგან არ სურდა გაეხმაურებინა.

8. მოწმე ბ. ლ-ას ჩვენებით დადგენილია, რომ 2010 წლის 15 ოქტომბერს, საღამოს, თავისი ავტომანქანით ზ. ტ-ი, ძმები – ლ. და დ. ჩ-ები მიიყვანა გ-ის ქუჩის №... სახლთან, სადაც ავტომანქანიდან ს. გ-თან შესახვედრად გადავიდნენ ზ. ტ-ი და ძმები ჩ-ები. თვითონ ავტომანქანიდან არ გადასულა და აღნიშნული სახლის „არკიდან“ დაახლოებით 15-20 მეტრის მოშორებით ავტომანქანაში იჯდა. რამდენიმე წუთში გაიგონა ცეცხლსასროლი იარაღიდან ორი გასროლის ხმა, რასაც მალევე მოჰყვა რამდენიმე გასროლა. აღნიშნულით შეშინებულმა ავტომანქანა დაძრა, რა დროსაც მივარდნენ ზ. ტ-ი და ძმები ჩ-ები, უთხრეს, რომ დაჭრილები იყვნენ. ჩასხდნენ ავტომანქანაში და ზ. ტ-ის თხოვნით მივიდნენ ყ-ის ქუჩაზე, სადაც ტ-მა და ჩ-ამ დატოვეს ცეც-

ხლსასროლი იარაღები. ბ. ლ-ამ ასევე განმარტა, რომ იარაღები ჰქონდათ მხოლოდ ზ. ტ-ს და ლ. ჩ-ას. მისთვის ლ. ჩ-სგან ცნობილი გახდა, რომ შემთხვევის ადგილიდან მან ასევე წამოიღო ს. გ-ის იარაღი. ბ. ლ-ამ დაადასტურა ასევე ის გარემოება, რომ 2010 წლის ოქტომბრის თვეში, როდესაც სასჯელაღსრულებითი დაწესებულებიდან ახდენდნენ მისი, ტ-ის და ლ. ჩ-ას ბადრაგირებას, გაიგონა, რომ ლ. ჩ-ამ უთხრა ზ. ტ-ს, რომ „არკაში“ მათი მიმართულებით კ-ამ გაისროლა, რასაც დაეთანხმა ზ. ტ-იც. ბ. ლ-ამ დამატებით განმარტა, რომ „არკის“ წინ იდგა რაღაც ჯიპი, ხოლო ჯიპის გვერდით, ცოტა წინ, მისი მანქანა. პირველი – ორი გასროლის შემდეგ ანთო შუქები, ვიღაც მოვიდა ამ დროს, მანქანაში ჩაიხედა და წავიდა. ეს პირი, მისი ვარაუდით, მოწმის სახითაც დაიკითხა. ქუჩაში ჩავლილი არავინ დაუნახავს.

9. მოწმეების – გ. ლ-ისა და ე. ც-ის ჩვენებებით დადგენილია, რომ ს. გ-ი იყო მათი მეგობარი. 2015 წლის 15 მარტს, სალამოს, ს. გ-სა და თ. კ-ასთან ერთად იმყოფებოდნენ გ-ის ქუჩაზე მდებარე კაფე-ბარ „...-ში“. კაფეში ყოფნის დროს ს. გ-ს ტელეფონზე დაურეკეს, რის შემდეგაც იგი წამოდგა, თქვა, ნაცნობები მოვიდნენ და უნდა გავიდეო და გავიდა. ს. გ-ის გასვლიდან დაახლოებით 10 წამში თ. კ-აც წამოდგა, თქვა, ჩემი ნაცნობებიც არიანო და ისიც გავიდა. ს-ოს და თ-ეს გასვლისთანავე, ბარის გარეთ, ქუჩაში ატყდა ყვირილი და გინება. ყვირილის შემდეგ გაიგონეს სროლის ხმები. უცებ ბარში შემოვარდა თ-ე, რომელსაც ხელში პისტოლეტი ეჭირა. ის შოკურ მდგომარეობაში იყო და ყვიროდა „გამიჭედაო“, მან „გააჩხაკუნა“ პისტოლეტი და მალევე გავარდა გარეთ, რასაც მოჰყვა 6-7 გასროლა. მალე შეწყდა სროლები. ბარში მყოფი ხალხი შეშინებული და დაბნეული იყო. მათი ჩვენებებით, ისინი სროლების დამთავრებისთანავე წავიდნენ.

10. მოწმე შ. ნ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2010 წლის 15 მარტს, სალამოს, ის, ზ. გ-ე და ე. გ-ი წავიდნენ გ-ის ქუჩაზე მდებარე კაფე-ბარ „...-ში“. ბარში მისვლამდე გაიარეს „არკა“, რომლის შესასვლელთან დაინახა 3-4 ბიჭი. ბარში მათი შესვლიდან ნახევარ წუთში, შესასვლელიდან პირდაპირ მდგარი მაგიდიდან ერთი ბიჭი გარეთ გავიდა, მაგრამ უცებ შემობრუნდა უკან, რადროსაც ხელში ეკავა პისტოლეტი. მოწმის განმარტებით, იგი ცნობს „მაკაროვის“ სისტემის იარაღს და პისტოლეტი, რომელიც ბიჭს ეკავა, იყო „მაკაროვის“ სისტემის. მან ის აშკარად დაინახა, როდესაც შემოსულმა ბიჭმა სანთლის შუქზე მიიტანა, გადატენა და თქვა – „ზადნი მომცაო“, ანუ არ გავარდაო. მასთან ერთად მყოფმა ორმა ბიჭმა უთხრა – „რას შერები ბიჭოო“.

ამის შემდეგ იმ ბიჭმა იარაღი მოიყვანა საბრძოლო მდგომარეობაში და გავიდა გარეთ, რასაც მომენტალურად მოჰყვა ინტენსიური სროლები. სროლები წარმოებდა რამდენიმე პისტოლეტიდან.

11. მონმეების – ზ. გ-ის და ე. გ-ის ჩვენებებით დადგენილია, რომ 2010 წლის 15 მარტს, სალამოს, ისინი შ. ნ-თან ერთად, შევიდნენ გ-ის ქუჩაზე მდებარე კაფე-ბარ „...-ში“. ბარში მისვლამდე გაიარეს „არკა“, სადაც რამდენიმე ბიჭი იდგა. ცოტა ხანში შემოესმათ ყვირილისა და გინების ხმა. მათივე განმარტებით, აღნიშნულ ხმაურზე გარეთ გავიდა ამავე ბარში სხვა პირებთან ერთად მყოფი ბიჭი. ის უცებ შემობრუნდა უკან, რა დროსაც ხელში ეკავა პისტოლეტი. ბიჭი დაძაბული იყო და ამბობდა, რომ იარაღმა უმტყუნა. ამის შემდეგ მან იარაღი მოიყვანა საბრძოლო მდგომარეობაში და გავიდა გარეთ, რასაც მოჰყვა ინტენსიური სროლები. სროლები წარმოებდა რამდენიმე პისტოლეტიდან. მათ შეეშინდათ და გაიქცნენ სამზარეულოსაკენ. მონმე ზ. გ-ემ ასევე განმარტა, რომ ის ბიჭი როგორც კი გავიდა, გაისმა სროლის ხმა, ალბათ, ქუჩაში გაისროლა, რადგან ასე უცბად „არკაში“ შესვლას ვერ მოასწრებდა. ინციდენტი დაახლოებით 10-12 წუთი გაგრძელდა. ე. გ-ის ჩვენებით ასევე დადგენილია, რომ როდესაც კაფე-ბარისკენ მიდიოდნენ „არკასთან“ ტროტუარიდან გადავიდნენ გზის სავალ ნაწილზე, რადგან ტროტუარზე ცუდად იყო გაჩერებული ავტომანქანა.

12. მონმე მ. კ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობდა გ-ის ქუჩის №...-ში მდებარე კაფე-ბარ „...-ში“ დირექტორად. 2010 წლის 15 მარტს, სალამოს, კაფე-ბარში ერთ-ერთ მაგიდასთან, რომელიც იყო შესასვლელიდან 3 მეტრში, ისხდნენ ს. გ-ი და თ. კ-ა, რომლის სახელი მერე გაიგო. მათ შეუერთდათ ორი პიროვნება, რომლებიც მანამდე მას არ უნახავს. მონმის განმარტებით, სამზარეულოდან როდესაც გამოდიოდა, გაიგონა სროლის ხმები და დაინახა იქ მყოფები სამზარეულოსკენ მირბოდნენ. ამ დროს მას იქ ს. და თ. კ-ა არ დაუნახავს, ხოლო მათთან ერთად მყოფი ორი ბიჭი იქ იყო და ყველაფერი რომ ჩანყნარდა, მერე გავიდნენ გარეთ. მონმის ჩვენებით, ქუჩიდან შემოსულმა სროლის ხმამ გამოიწვია კაფე-ბარის სტუმრების შეშინება და შენუხება. მისივე ჩვენებით დადგენილია, რომ მან ფოტოსურათით ამოცნობის დროს ამოიცნო თ. კ-ა, რომელიც კაფე-ბარ „...-ში“ თავიდან ახლდა ს. გ-ს.

13. მონმე ე. ნ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ შემთხვევის დროს ის იმყოფებოდა გ-ის ქ. №...-ში და უვლიდა მოხუცებულ ქალბატონს. ოთახის გასანიავებლად გამოალო ფანჯარა, რა

დროსაც წინა კორპუსის „არკის“ ქვემოდან გაიგონა ყვირილის ხმა „გაუშვი ხელი“, რაც რამდენჯერმე განმეორდა. აღნიშნულს მოჰყვა გინება და სროლები, რაც ხორციელდებოდა სხვადასხვა იარაღიდან. მონმის განმარტებით, მანქანის შუქზე დაინახა, რომ ორი თუ სამი ბიჭი გამოვარდა. ისინი ჩასხდნენ ავტომანქანაში და წავიდნენ, ორი ბიჭი კი ფეხით გარბოდა. ე. წ-ის განმარტებით, აღნიშნული ინციდენტის გამო შეშინებული და შენუხებული იყო, როგორც თვითონ, ისე მეზობლებიც.

14. მონმე გ. ხ-ას ჩვენებით დადგენილია, რომ მისი სამსახური განთავსებულია გ-ის ქუჩის №...-ში. 2010 წლის 15 მარტს, საღამოს, საკმაოდ ახლო მანძილიდან გაიგონა ჩხუბის, გინების და გარჩევის ხმა, რაც კარგა ხნის განმავლობაში გაგრძელდა. შემდეგ დაიწყო სროლები ცეცხლსასროლი იარაღებიდან, კერძოდ, პირველი გასროლიდან ცოტა ხნის შემდეგ გაიგონა დაახლოებით შვიდი გასროლის ხმა. მონმის განმარტებით, მას ესმოდა რამდენიმე ადამიანის ხმა, რომელთაგან ზოგი იყო აგრესიული, ხოლო ზოგი – აწყნარებდა. ჩხუბი გაგრძელდა დაახლოებით 15 წუთს.

15. მონმე მ. გ-ას ჩვენებით დადგენილია, რომ 2010 წლის 15 მარტს, საღამოს, ავტომანქანით მივიდა სახლში, გ-ის ქუჩის №...-ში. ინსტინქტურად შეუხვია სახლისკენ „არკაში“, მაგრამ დაინახა, რომ უცხო მანქანას ჰქონდა გზა დაკეტილი. გააჩერა ავტომანქანა, გადმოვიდა და დაინახა, რომ მანქანაში, რომელსაც გზა ჰქონდა გადაკეტილი, რალაც ანათებდა – მობილური ან მაგნიტოფონის ბანერი. ჩანდა, რომ სკამზე არავინ იჯდა. „არკიდან“ შემოესმა ახალგაზრდების ჩხუბის ხმა. გაახსენდა, რომ სანთელი უნდა ეყიდა, დაძრა ავტომანქანა და წავიდა კონსერვატორიის მხარეს, მალაზიისკენ. პირველი გასროლის ხმა გაიგო, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო მისული გ-ის №...-თან, რასაც, სანამ კონსერვატორიასთან მივიდოდა, მოჰყვა 4-5 გასროლის ხმა. როდესაც სახლთან დაბრუნდა, ნახა, რომ ხალხი იყო შეკრებილი და გაიგო, რომ მოკლული იყო ახალგაზრდა ბიჭი.

16. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია:

ს. გ-ის გვაზე აღინიშნებოდა თავის ქალას გამჭოლი ცეცხლსასროლი ჭრილობა, ქალა-სარქველების ძვლების სვრელოვანი და ფრაგმენტოვანი მოტეხილობა, ფუძის ძვლების ხაზოვანი მოტეხილობა, თავის ტვინის სტრუქტურის ტლანქი დარღვევითა და თავის ტვინში ტრავმული სისხლჩაქცევით.

მეორე ჭრილობა, წყვეტილი არხით აღინიშნებოდა ბარძაყის

მიდამოში, მარცხენა ბარძაყის ძვლის მოტეხილობით. ნაჭდე-
ვები ნიკაპის, მარცხენა ყვრიმალის, მარჯვენა კოჭ-წვივის სახ-
სრის და მარჯვენა მტევნის ზურგის მიდამოებში. ჭრილობები
განვითარებულია ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ჭურ-
ვების მოქმედებით, ერთობლიობაში და ცალ-ცალკე მიეკუთ-
ვნება სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანე-
ბას.

ნიკაპის, მარცხენა ყვრიმალის, მარჯვენა კოჭ-წვივის, სახ-
სრისა და მარჯვენა მტევნის ზურგის მიდამოებში არსებული
ნაჭდევები განვითარებული მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედე-
ბით, ერთობლიობაში და ცალ-ცალკე მიეკუთვნება დაზიანება-
თა მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად. ყველა და-
ზიანება სიცოცხლის დროინდელია და ხანდაზმულობით არ ეწი-
ნააღმდეგება დადგენილებაში მითითებულ დანაშაულის ჩადე-
ნის თარიღს. სიკვდილი გამოიწვია თავის არეში არსებულმა ცეც-
ხლნასროლმა დაზიანებამ, რომლის შედეგადაც განვითარდა თა-
ვის ტვინში ტრავმული სისხლჩაქცევა და თავის ტვინის სტრუქ-
ტურის სიცოცხლესთან შეუთავსებელი ტრავმული დაზიანება.

თავის არეში არსებული ჭრილობის არხი მიემართება გარე-
დან შიგნით, მარცხნიდან მარჯვნივ, ირიბად უკნიდან წინ, ოდ-
ნავ ირიბად ზემოდან ქვემოთ. ბარძაყების მიდამოში არსებული
წყვეტილი ჭრილობების არხი მიემართება გარედან შიგნით, მარ-
ცხნიდან მარჯვნივ, ოდნავ ირიბად ზემოდან ქვემოთ და უკნი-
დან წინ. სამედიცინო კრიმინალისტიკური მონაცემებით, თა-
ვის არეში არსებული ცეცხლნასროლი ჭრილობების შემთხვე-
ვაში სროლა ნაწარმოებია არაახლო მანძილიდან.

17. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერ-
ტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერ-
ტიზის №... დასკვნით, ზ. ტ-ი მიღებული ტრავმების გამო იტა-
რებდა სტაციონარულ მკურნალობას შპს სისხლძარღვთა და გა-
დაუდებელი მიკროქირურგიის კლინიკა „კ-ში“ 16.03.10-დან
18.03.10-ის ჩათვლით. კლინიკის დიაგნოზით: ცეცხლნასროლი
ჭრილობები მარჯვენა ქუსლის და მარცხენა მტევნის მე-5 ფა-
ლანგის არეში. 18.03.10 წლიდან იგი გადაყვანილ იქნა მსჯავ-
რდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, სა-
დაც მკურნალობდა 25.03.10 წლის ჩათვლით, დიაგნოზით: მარ-
ჯვენა ტერფის და მარცხენა მტევნის ცეცხლნასროლი ჭრილო-
ბები. აღნიშნული დაზიანებები მიყენებულია რაიმე ცეცხლსას-
როლი იარაღიდან გასროლილი ტყვიის ჭურვების მოქმედებით
და ერთიანობაში მიეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს,
ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლის ნიშნით.

18. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის № ... დასკვნით, დ. ჩ-ა მიღებული ტრავმის გამო შპს „ტ-ში“ იტარებდა სტაციონარულ მკურნალობას 15.03.10წ-დან 18.03.2010წ-ის ჩათვლით. 18.03.10 წელს გადაყვანილ იქნა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც მკურნალობდა 27.03.10წ-მდე კლინიკური დიაგნოზით: გამჭოლი ცეცხლნასროლი ჭრილობა მარჯვენა ბარძაყის არეში, დაჭიმული ჰემატომა, საჯდომი ნერვის დაჟეჟილობა, ექსკორაციები მარცხენა მტევნის თითების და II-III-IV თითის დისტალურ ზედაპირზე. ექსკორაციები განვითარებულია რაიმე მკერვივი-ბლაგვი საგნის მოქმედებით, ხოლო გამჭოლი ცეცხლნასროლი ჭრილობა მარჯვენა ბარძაყის არეში, დაჭიმული ჰემატომა, საჯდომი ნერვის დაჟეჟილობა განვითარებულია რაიმე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ჭურვის მოქმედების შედეგად და ერთობლიობაში მიეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით.

19. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო №... ექსპერტიზის დასკვნით, ლ. ჩ-ა მიღებული ტრავმის გამო შპს „თურ“ კლინიკაში იტარებდა სტაციონალურ მკურნალობას 15.03.10წ-დან 19.03.10წ-ის ჩათვლით, კლინიკური დიაგნოზით: ცეცხლნასროლი ჭრილობა გულ-მკერდის მარცხენა ნახევარში, მე-7, მე-8 ნეკნების მოტეხილობა მარცხნივ, მარცხენა ფილტვის კონტუზია, ჰემოპტოე, კანქვეშა ჰემატომა, ტრავმული ჰემოთორაქსი, მარცხნივი შემხები ჭრილობა, მარცხენა მხრის სამთავა კუნთის არეში. აღნიშნული დაზიანებები განვითარებულია რაიმე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ჭურვების მოქმედებით. შემხები ჭრილობა მარცხენა მხრის სამთავა კუნთის არეში მიეკუთვნება დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოშლით, ხოლო ცეცხლნასროლი ჭრილობა გულ-მკერდის მარცხენა ნახევარში – მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათოს. წარმოდგენილ სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებული ჭრილობის მორფოლოგიური აღწერილობიდან გამომდინარე, გულ-მკერდის არეში არსებული ცეცხლნასროლი ჭრილობის არხი მიემართება წინიდან უკან და რამდენადმე ზემოდან ქვემოთ. სროლის მანძილის განსაზღვრა წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის ჩანაწერების მიხედვით შეუძლებელია.

20. შს სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2010 წლის 31 მაისის ფიზიკო-ტექნიკური

ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია:

ს. გ-ის შარვალზე არსებული დაზიანება ცეცხლსასროლი წარმოშობისაა და განვითარებულია სპილენძის შემცველი ჭურვით. დაზიანება წარმოქმნილია ახლო მანძილიდან გასროლის შედეგად. დაზიანებაზე და კონტრაქტოგრამაზე მიბჯენისათვის დამახასიათებელი რაიმე სახის კვალი არ აღინიშნება. ს. გ-ს ქურთუკზე, მაისურზე, პულოვერზე, ქვედა საცვალზე, ერთ წყვილ წინდასა და ერთ წყვილ ფეხსაცმელზე ცეცხლსასროლი წარმოშობის დაზიანებები არ აღინიშნება. ს. გ-ის შარვალზე არსებული დაზიანება №1 თავისი ადგილმდებარეობით დაახლოებით შეესაბამება სასამართლო-სამედიცინო დასკვნის – №... თანახმად, სხეულზე არსებულ ჭრილობას. შენიშვნა: დასკვნაში აღწერილია – „მარცხენა ბარძაყის ზემო მესამედში გარეთა ზედაპირზე ერთი ჭრილობა შემავალი ხვრელი, ამავე ბარძაყის შუა მესამედში უკანა ზედაპირზე ერთი ჭრილობა გამომავალი და მარჯვენა ბარძაყის შუა მესამედში შიგნითა ზედაპირზე ერთი ჭრილობა შემავალი ხვრელი“. სულ სამი დაზიანება. აქედან შარვალზე აღინიშნება მხოლოდ ერთი დაზიანება – შარვლის უკანა მხარეს, მარცხენა ზედა ნახევარში.

ზ. ტ-ის ერთ-ერთ, სავარაუდოდ /მარჯვენა/ წინდაზე არსებული დაზიანებები ცეცხლსასროლი წარმოშობისაა, ჭურვის სახეობისა და სროლის მანძილის განსაზღვრა ვერ მოხერხდა.

ზ. ტ-ის ქურთუკზე, მაისურზე, შარვალზე, ქვედა საცვალზე, ერთ წინდასა და ერთ ფეხსაცმელზე ცეცხლსასროლი დაზიანებები არ აღინიშნება. დაზიანების მორფოლოგიური სურათიდან გამომდინარე, მასზე მიბჯენისათვის დამახასიათებელი რაიმე სახის კვალი არ აღინიშნება. ზ. ტ-ის წინდაზე არსებული დაზიანებები თავისი ადგილმდებარეობით დაახლოებით შეესაბამება სასამართლო სამედიცინო დასკვნის №... თანახმად, სხეულზე არსებულ ჭრილობებს.

ლ. ჩ-ას მაისურზე არსებული დაზიანებები ცეცხლსასროლი წარმოშობისაა, დაზიანება №1 ჭურვის სახეობისა და სროლის მანძილის განსაზღვრა ვერ მოხერხდა. დაზიანება №2 განვითარებულია სპილენძის შემცველი ჭურვით. დაზიანება №2 წარმოქმნილია არაახლო მანძილიდან გასროლის შედეგად. დაზიანებასა და კონტრაქტოგრამაზე მიბჯენისათვის დამახასიათებელი რაიმე სახის კვალი არ აღინიშნება.

ლ. ჩ-ას მაისურზე არსებული დაზიანებები თავისი ადგილმდებარეობით დაახლოებით შეესაბამება სასამართლო სამედიცინო დასკვნის №... თანახმად, დადგენილ სხეულზე არსებულ ჭრილობებს.

დ. ჩ-ას შარვალზე არსებული დაზიანებები ცეცხლსასროლი წარმოშობისაა. ჭურვის სახეობისა და სროლის მანძილის განსაზღვრა ვერ მოხერხდა. დაზიანების მორფოლოგიური სურათიდან გამომდინარე, მასზე მიბჯენისათვის დამახასიათებელი რაიმე სახის კვალი არ აღინიშნება.

დ. ჩ-ას შარვალზე არსებული დაზიანებები თავისი ადგილმდებარეობით დაახლოებით შეესაბამება სასამართლო-სამედიცინო დასკვნის №... თანახმად, სხეულზე არსებულ ჭრილობებს.

ბ. ლ-ას შარვალსა და ქურთუკზე ცეცხლსასროლი წარმოშობის დაზიანებები არ აღინიშნება.

21. 2010 წლის 2 ნოემბრის საგნის ამოსაცნობად წარდგენის ოქმით დადგენილია, რომ ზ. ტ-მა ამოიცნო „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი ნომრით ოქმში არსებული ჩანაწერის მიხედვით, მას სავარაუდოდ მიაჩნია, რომ ... პისტოლეტი თან ჰქონდა 2010 წლის 15 მარტს გ-ის ქუჩაზე №... სახლთან ს. გ-თან შეხვედრისას და როგორც ახსოვს, აღნიშნული პისტოლეტიდან შემთხვევის დღეს განახორციელა ორი გასროლა. მან ამოცნობისას განაცხადა, რომ, მართალია, არ ახსოვს მისი იარაღის ნომერი, მაგრამ წარდგენილ იარაღებს შორის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია, კერძოდ, პისტოლეტის ზედა ჩარჩოს საფარ ნაწილიც, სამიზნეებს შორის ამოტვიფრული მეტალის ზოლი, რომელიც შედარებით ფართე ზომისაა, ვიდრე ამოსაცნობად წარდგენილ სხვა პისტოლეტებზე.

22. 2010 წლის 2 ნოემბრის საგნის ამოსაცნობად წარდგენის ოქმით დადგენილია, რომ ლ. ჩ-ამ ამოიცნო „მაკაროვის“ სისტემის უნომრო პისტოლეტი, რომელიც უნდა იყოს მისი. აღნიშნული პისტოლეტი თან ჰქონდა შემთხვევის დღეს ს. გ-თან შეხვედრისას, საიდანაც როგორც ახსოვს, განახორციელა 4 გასროლა. მან აღნიშნული პისტოლეტი ამოიცნო ზედა ჩარჩოზე არსებული ლაქებით, ასევე იმ ნიშნით, რომ ლულის წინა ნაწილი გაცვეთილია. ლ. ჩ-ამ ასევე წარდგენილი იარაღებიდან ამოიცნო ს. გ-ის კუთვნილი იარაღი, რომელიც არის „მაკაროვის“ სისტემის და წარდგენილი იარაღებიდან უნდა იყოს ... პისტოლეტი. ამ იარაღის ამოცნობა შეუძლია შემდეგი ნიშნებით: როდესაც მათ ს. გ-ს დაუჭირეს მაჯა, რომელშიც ეჭირა იარაღი, მარცხენა გვერდი ეხახუნებოდა ასფალტს, ხოლო ... პისტოლეტს წინა მარცხენა მხარეს, ლულასთან აშკარად ეტყობა ხახუნის და დაზიანების კვალი, რაც აძლევს ვარაუდის საშუალებას, რომ აღნიშნული იარაღი არის ს. გ-ის, თუმცა იყო ღამე, თავად იყო დაჭრილი და იარაღი არ დაუთვალიერებია.

23. შს სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთა-

ვარი სამმართველოს 2010 წლის 18 მარტის ექსპერტის № ... დასკვნით დადგენილია:

შემთხვევის ადგილიდან ამოღებული სულ 16 ცალი მასრა, ქარხნული წესით დამზადებული, 1951 წლის ნიმუში 9 მმ კალიბრიანი ვაზნის შემადგენელი ნაწილი, განკუთვნილია „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტებისათვის (□ □) და „სტეჩკინის“ სისტემის ავტომატური პისტოლეტებისთვის (□□□) და სხვა.

შემთხვევის ადგილის პირველადი დათვალიერების დროს ამოღებული ხუთი მასრა (ობიექტი №10, №11, №12, №13, №15), გასროლილია 9 მმ კალიბრიანი „მაკაროვის“ ან „სტეჩკინის“ სისტემის ერთი და იმავე პისტოლეტში (იარაღი პ/ა „1“). შემთხვევის ადგილის პირველადი დათვალიერების დროს ამოღებული 2 მასრა (№8, №9) გასროლილია 9 მმ კალიბრიანი „მაკაროვის“ ან „სტეჩკინის“ სისტემის ერთი და იმავე პისტოლეტში (იარაღი პ/ა „2“). შემთხვევის ადგილის პირველადი დათვალიერების დროს ამოღებული ორი მასრა (№7, №18) გასროლილია 9 მმ კალიბრიანი „მაკაროვის“ ან „სტეჩკინის“ სისტემის ერთი და იმავე პისტოლეტში (იარაღი პ/ა „3“).

შემთხვევის ადგილის პირველადი დათვალიერების დროს ამოღებული ოთხი მასრა (№1, №2, №14, №16) და დამატებითი დათვალიერებისას ამოღებული სამი მასრა (№1, №2 და №4) გასროლილია 9მმ კალიბრიანი „მაკაროვის“ ან „სტეჩკინის“ სისტემის ერთი და იმავე პისტოლეტში (იარაღი პ/ა „4“) . 2.3.4.5.6.8. შემთხვევის ადგილის პირველადი დათვალიერებისას ამოღებულ პ/აღნიშნულ №2 პაკეტში მოთავსებული სამი ტყვია (ობიექტი №17, №19, №20), შემთხვევის ადგილის დამატებითი დათვალიერებისას ამოღებული პ/აღნიშნულ №7 პაკეტში მოთავსებული 1 ტყვია (ობიექტი №3), შემთხვევის ადგილის დამატებითი დათვალიერებისას ამოღებული ერთი ტყვია (ობიექტი №5), ს. გ-ის გვამიდან ამოღებული ერთი ტყვია, ლ. ჩ-ას სხეულიდან ამოღებული ერთი ტყვია, სულ რვა ტყვია, არის ქარხნული წესით დამზადებული, 1951 წლის ნიმუშის 9მმ კალიბრიანი ვაზნის შემადგენელი ნაწილები, განკუთვნილი „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტების (□ □) და „სტეჩკინის“ სისტემის ავტომატური პისტოლეტებისათვის და სხვა. ქირურგ ა. ა-ისგან ამოღებული ერთი ტყვია ობიექტი №3 ვარგისია იდენტიფიკაციისათვის. ს. გ-ის გვამიდან ამოღებული ერთი ტყვია ვარგისია იდენტიფიკაციისათვის და იდენტურია ქირურგ ა. ა-ისგან ამოღებული ერთი ტყვიის. ლ. ჩ-ას სხეულიდან ამოღებული ერთი ტყვია ვარგისია იდენტიფიკაციისათვის და იდენტურია ს. გ-ის გვამიდან ამოღებული ერთი ტყვიის და ქირურგ ა. ა-ისგან ამოღებული ერთი

ტყვიისა. შემთხვევის ადგილის დამატებითი დათვალიერებისას ამოღებული ერთი ტყვია ობიექტი №5 ვარგისია კონკრეტულ იარაღთან იდენტიფიკაციისათვის და გასროლილია 9 მმ კალიბრიანი „მაკაროვის“ ან „სტეჩკინის“ სისტემის პისტოლეტის ლულიდან და არ არის იდენტური ლ. ჩ-ას სხეულიდან ამოღებული ერთი ტყვიის, ს. გ-ის გვამიდან ამოღებული ერთი ტყვიის და ქირურგ ა. ა-ისგან ამოღებული ერთი ტყვიის.

24. შს სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთვარი სამმართველოს 2010 წლის 25 ოქტომბრის ბალისტიკური ექსპერტიზის № ... დასკვნით დადგენილია:

შემთხვევის ადგილიდან ამოღებული 16 მასრიდან 5 მასრა გასროლილია „მაკაროვის“ სისტემის უნომრო პისტოლეტში; 2 მასრა გასროლილია „მაკაროვის“ სისტემის ... პისტოლეტში; 2 მასრა გასროლილია „მაკაროვის“ სისტემის ... პისტოლეტში. რაც შეეხება დანარჩენ 7 მასრას, ისინი გასროლილია ერთი და იმავე „მაკაროვის“ სისტემის სხვა პისტოლეტიდან.

5 ტყვიიდან დამატებით წარმოდგენილი 2 ტყვია (ობიექტი №1, №2) გასროლილია „მაკაროვის“ სისტემის უნომრო პისტოლეტის ლულიდან, ხოლო ქირურგ ა. ა-ისგან ამოღებული ერთი ტყვია, ს. გ-ის გვამიდან ამოღებული ერთი ტყვია და ლ. ჩ-ას სხეულიდან ამოღებული ერთი ტყვია (სამი ტყვია) გასროლილია ერთი და იმავე „მაკაროვის“ სისტემის სხვა პისტოლეტის ლულიდან.

25. შს სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთვარი სამმართველოს 2010 წლის 14 აპრილის ბალისტიკური ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ სს № ... საქმეზე გამოსაკვლევად წარდგენილი ორი ცალი ტყვია (ობიექტი №1 და №2) წარმოადგენს ქარხნული წესით დამზადებულ, 1951 წლის ნიმუშის 9მმ კალიბრიანი ვაზნის შემადგენელ ნაწილებს (ტყვიებს), განკუთვნილს „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტებისათვის (□ □) და „სტეჩკინის“ სისტემის ავტომატური პისტოლეტებისათვის და სხვა. ორივე ტყვია ვარგისია იდენტიფიკაციისათვის, გასროლილია 9მმ კალიბრიანი „მაკაროვის“ ან „სტეჩკინის“ სისტემის ერთი და იმავე პისტოლეტის ლულიდან და არ არის იდენტური ლ. ჩ-ას სხეულიდან ამოღებული ტყვიის, ს. გ-ის გვამიდან ამოღებული ტყვიის და ქირურგ ა. ა-ისგან ამოღებული ტყვიის. წარმოდგენილ ორ ტყვიასა და ტყვია მასროთეკაში არსებულ ს. გ-ის მკვლელობის ფაქტზე ამოღებულ მასრებზე ვერ იქნა აღმოჩენილი სათანადო რაოდენობა ინდივიდუალური კერძო ნიშნებისა, რომელთა ერთობლიობით ცალსახად დგინდება, შეადგენდა თუ არა გასროლამდე წარმოდგე-

ნილი რომელიმე მასრა და რომელიმე ტყვია ერთ მთელს, რის გამოც ამ უკანასკნელის დადგენა ვერ მოხერხდა.

26. რაც შეეხება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს: 2010 წლის 17 მარტს ჩატარებული პიროვნების ამოსაცნობად წარდგენის ოქმებს, ქიმიური, ბიოლოგიური, ფიზიკო-ტექნიკური და ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნებს, ზ. ტ-ის, ლ. და დ. ჩ-ისა და ბ. ლ-ას მიმართ არსებულ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 3 დეკემბრის განაჩენს, თ. კ-ას მიმართ არსებულ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 30 დეკემბრის განაჩენს და საქმეზე არსებულ სხვა მტკიცებულებებს, მათი ანალიზით არ დგინდება არსებითი მნიშვნელობის გარემოებები, რომლებიც მიუთითებდა თ. კ-ას დანაშაულებრივ ქმედებებზე (ს. გ-ის, ზ. ტ-ისა და სხვათა მიმართ ცეცხლსასროლი იარაღით სროლის ფაქტზე) საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“, 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებითა და სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულებთან მიმართებით.

27. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეზე არსებული და გამოკვლეული ზემოაღნიშნული მტკიცებულებებისა და საქმის მასალების ერთობლივი ანალიზით, უტყუარად ვერ დასტურდება თ. კ-ას მიერ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“, 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებითა და სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა:

28. საქმის მასალებით დადგენილია და სადავო არ არის, რომ 2010 წლის 15 მარტს ერთი მხრივ, ზ. ტ-ი და, მეორე მხრივ, ს. გ-ი გ-ის ქუჩაზე კაფე-ბარ „...-თან“ შეხვდნენ ერთმანეთს, მათ შორის წინა დღეს მომხდარი უსიამოვნების გასარკვევად. ასევე დადგენილია, რომ ზ. ტ-ი ამ შეხვედრაზე მივიდა ძმებთან – დ. და ლ. ჩ-ებთან ერთად.

29. რაც შეეხება თ. კ-ას შემთხვევის ადგილზე ყოფნას, ზ. ტ-მა და ლ. ჩ-ამ მიუთითეს, რომ კაფე-ბართან მისულებს დახვდათ თ. კ-აც, თუმცა შემდეგ სად წავიდა და რას აკეთებდა, მათ არ იციან. დ. ჩ-ამ განმარტა, რომ შემთხვევის ადგილზე თ. კ-ა არ უნახავს. მოწმეებმა – გ. ლ-მა და ე. ც-ემ მიუთითეს, რომ ს. გ-ის კაფე-ბარიდან გასვლიდან დაახლოებით 10 წამში გავიდა თ. კ-აც. მოწმეებმა – შ. ნ-მა, ზ. გ-ემ და ე. გ-მა მიუთითეს, რომ კაფე-ბარში შესვლამდე გაიარეს „არკა“, სადაც ბიჭები იდგნენ. მათი კაფე-ბარში შესვლიდან ცოტა ხანში გარეთ გავიდა ამავე ბარში

სხვა ბიჭებთან ერთად მყოფი ბიჭი. სასამართლოს სარწმუნოდ მიაჩნია საქმის შედეგებით დაუინტერესებელი მოწმეების – შ. ნ-ის, ზ. გ-ისა და ე. გ-ის ჩვენებები, რომლებიც მიუთითებენ, რომ კაფე-ბარში მათ შესვლამდე „არკასთან“ უკვე იდგნენ ბიჭები და საუბრობდნენ, ხოლო მათი შესვლის შემდეგ კაფე-ბარიდან გავიდა ერთი პირი (თ. კ-ა). აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ თ. კ-ა გარეთ გავიდა ს. გ-ის გასვლიდან გარკვეული დროის შემდეგ (ამ მონაკვეთში მოწმეებმა გაიარეს „არკა“, შევიდნენ და დასხდნენ კაფე-ბარში) და თავიდანვე არ შეხვედრია ზ. ტ-ს და მის მეგობრებს, როგორც ამას ისინი მიუთითებენ.

30. ბ. ლ-ასთან მიმართებით ზ. ტ-მა განმარტა, რომ ავტომანქანა გააჩერეს კაფე-ბარის შესასვლელთან. ბ. ლ-ა დარჩა ავტომანქანაში. ლ. ჩ-ამ განმარტა, რომ მანქანა „არკიდან“ დაახლოებით ორი მეტრის მოშორებით გააჩერეს. დ. ჩ-ამ კი მიუთითა, რომ თავდაპირველად ავტომანქანა გააჩერეს „არკის“ შესასვლელთან. ბ. ლ-ა მანქანიდან არ გადასულა. ე. გ-ის განმარტებით, როდესაც კაფე-ბარისკენ მიდიოდნენ, „არკასთან“ ტროტუარიდან გადავიდნენ გზის სავალ ნაწილზე, რადგან ცუდად იყო გაჩერებული ავტომანქანა. მ. გ-ამ განმარტა, რომ „არკაში“ შესასვლელი გზა დაკეტილი ჰქონდა ავტომანქანას, მანქანაში რაღაც ანათებდა – ტელეფონი ან მაგნიტოფონის ბანერი. ჩანდა, რომ სკამზე არავინ იჯდა. „არკიდან“ გამოდიოდა ჩხუბისა და გინების ხმა. ბ. ლ-ამ განმარტა, რომ ავტომანქანა გაჩერებული ჰქონდა „არკიდან“ დაახლოებით 15-20 მეტრის მოშორებით, საიდანაც არ გადასულა და არკაში მიმდინარე მოვლენების შემსწრე არ არის. აღსანიშნავია, რომ ბრალდების მხარემ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოხსნა ნეიტრალური მოწმე თ. ც-ე (გამოძიების მიმდინარეობის დროს, დაკითხვისას მიუთითებდა, რომ ავტომანქანა კეტავდა ეზოში შესასვლელს. სროლის დამთავრების შემდეგ ავტომანქანაში სწრაფად ჩაჯდა ოთხი პირი), რომლის დაკითხვითაც გაიზრდებოდა საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების სწორად გარკვევისა და ჭეშმარიტების დადგენის შესაძლებლობა. ამ წინააღმდეგობების პირობებში სასამართლოს არასარწმუნოდ მიაჩნია ბ. ლ-ას ჩვენება.

31. აღსანიშნავია, რომ უშუალოდ შემთხვევის ადგილზე მყოფი პირები – ზ. ტ-ი, ლ. და დ. ჩ-ები ვერ/არ მიუთითებენ თ. კ-ას მიერ რაიმე დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების შესახებ, თუ რაში გამოიხატა თ. კ-ას როლი სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებში. პირიქით, ლ. ჩ-ამ და ზ. ტ-მა მიუთითეს, რომ შეხვედრის შემდეგ თ. კ-ა სად იყო და რას აკეთებდა, არ დაუნახავთ, ხოლო დ. ჩ-ამ განმარტა, რომ თ. კ-ა საერთოდ არ

უნახავთ. ამდენად, მათი ჩვენებების მიხედვით, საერთოდ გაურკვეველია, რაში გამოიხატა თ. კ-ას დანაშაულებრივი ქმედება.

32. ზ. ტ-მა და ლ. ჩ-ამ ჩვენებებში მიუთითეს, რომ, მართალია, სიბნელის გამო ვერ დაინახეს, ვინ ესროლა მათ, მაგრამ საქმის მასალების მიხედვით, ეს პირი უნდა ყოფილიყო თ. კ-ა. აღნიშნულთან მიმართებით საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ამ განმარტებას ვერ მიენიჭება არსებითი მნიშვნელობა, ვინაიდან საქმის მასალების შეფასება სასამართლოს კომპეტენციაა, ხოლო მათ უშუალოდ არ დაუნახავთ პირი, რომელმაც მათი მიმართულებით ისროლა. შესაბამისად, მათი ჩვენებები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მტკიცებულებებად, რომლითაც შესაძლებელია უტყუარად დადგინდეს პირი, რომელმაც ცეცხლსასროლი იარაღიდან მათი და ს. გ-ის მიმართულებით ისროლა.

33. ზ. ტ-ი, ლ. და დ. ჩ-ები, როგორც კონფლიქტის მონაწილე ერთი მხარის წარმომადგენლები, არიან დაინტერესებული პირები, რომლებიც გამოძიების მიმდინარეობისას რიგ გარემოებებს სხვადასხვა ჩვენებაში განსხვავებულად აღწერდნენ. აღსანიშნავია, რომ ზ. ტ-მა და ლ. ჩ-ამ სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას მიუთითეს, რომ სიმართლეს შეესაბამება მათ მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენებები. ასევე მათი ჩვენებები რიგ მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებით ეწინააღმდეგება საქმეზე დაკითხული სხვა მოწმეების ჩვენებებს. ამ პირობებში შემთხვევის ადგილზე განვითარებული მოვლენების, დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებისა და იქ არსებული სურათის დადგენა (აღდგენა) გამოძიებისა და ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მხოლოდ მათი ჩვენებების საფუძველზე კრიტიკას ვერ უძლებს, ხოლო ზ. ტ-ის, ლ. ჩ-ასა და დ. ჩ-ას ჩვენებები არ აკმაყოფილებს უტყუარობის სტანდარტს. ამდენად, წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით, შეუძლებელია უტყუარად დადგინდეს, რეალურად რა მოხდა შემთხვევის ადგილზე: იარაღი პირველად მართლა ს. გ-მა ამოიღო, თუ სხვა იქ მყოფმა რომელიმე პირმა; „არკიდან“ გამოსული ხმები – „ხელი გაუშვი“ და სხვა, კონკრეტულად კონფლიქტის რომელი მხარის წარმომადგენლისგან მოდიოდა; სავარაუდოა ასევე იქ განვითარებული სხვა მოვლენებიც.

34. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ასევე 2010 წლის 2 ნოემბრის საგნის ამოსაცნობად წარდგენის ოქმზე, რომლის თანახმადაც, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა უტყუარად დადგენილად მიიჩნიეს, რომ ზ. ტ-მა ამოიცნო „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი ნომრით თუმცა, ოქმში მი-

თითებულია, რომ მას სავარაუდოდ მიაჩნია, რომ ... პისტოლეტი თან ჰქონდა 2010 წლის 15 მარტს გ-ვის ქუჩაზე №... სახლთან ს. გ-თან შეხვედრისას. ანალოგიური მოცემულობაა 2010 წლის 2 ნოემბრის საგნის ამოსაცნობად წარდგენის ოქმში, რომ ლ. ჩ-ამ ამოიცნო „მაკაროვის“ სისტემის უნომრო პისტოლეტი, რომელიც უნდა იყოს მისი. ლ. ჩ-ამ ასევე წარდგენილი იარაღებიდან ამოიცნო ს. გ-ის კუთვნილი იარაღი, რომელიც არის „მაკაროვის“ სისტემის და წარდგენილი იარაღებიდან უნდა იყოს ... პისტოლეტი. ამ იარაღზე არსებული ნიშნები აძლევს ვარაუდის საშუალებას, რომ აღნიშნული იარაღი არის ს. გ-ის, თუმცა იყო ღამე, თვითონ იყო დაჭრილი და იარაღი არ დაუთვავლიერებია. ამდენად, ორივე ამოცნობის ოქმში მითითებულია, რომ ამომცნობმა პირებმა – ზ. ტ-მა და ლ. ჩ-ამ სავარაუდოდ მიუთითეს კონკრეტულ ცეცხლსასროლ იარაღებზე, შესაბამისად, ამ გარემოების გამო ამოცნობები არ არის კატეგორიული და აღნიშნულის საფუძველზე უტყუარად იმის დადგენა, თუ კონფლიქტის დროს რომელი იარაღი ვის ჰქონდა, შეუძლებელია.

35. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეზე უტყუარად არ დგინდება ს. გ-ს – ფეხის არეში, ზ. ტ-ს, ლ. და დ. ჩ-ებს ცეცხლნასროლი ჭრილობები რა მანძილიდან აქვთ მიყენებული, რითაც შესაძლებელი გახდებოდა სროლის მანძილის განსაზღვრა. ბუნდოვანია, რა იგულისხმება არაახლო მანძილში, რაც ექსპერტიზის დასკვნაშია მითითებული ს. გ-ისათვის თავის არეში მიყენებული ჭრილობის სროლის მანძილთან მიმართებით.

36. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობაზე, რომლის თანახმადაც, სასამართლომ არ გაიზიარა დაზარალებულის უფლებამონაცვლის ი. გ-ის ჩვენება თ. კ-ას უდანაშაულობის თაობაზე და აღნიშნავს, რომ ი. გ-ი არ არის ფაქტის თვითმხილველი, შემსწრე და მან მომხდარი ფაქტის თაობაზე იცის მხოლოდ სხვა პირების გადმოცემით. ამდენად, მის ჩვენებას, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის თვალსაზრისით, ვერ მიენიჭება არსებითი მნიშვნელობა, მათ შორის ვერც თ. კ-ას გამართლებასთან მიმართებით.

37. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი მასრების მდებარეობასთან მიმართებით. სადავო არ არის და დადგენილია, რომ შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავების მისვლამდე შეკრებილი იყო ხალხი, ასევე მათ მისვლამდე და შემთხვევის ადგილის დაცვამდე მოხდა „არკიდან“ ს. გ-ის საავადმყოფოში გადაყვანა, რის გამოც შემთხვევის ადგილზე

აღმოჩენილი მასრების მდებარეობა უტყუარად ვერ იქნება მიჩნეული. მით უფრო, შემთხვევის ადგილის დამატებითი დათვალიერებისას აღმოჩენილი მასრების მდებარეობა შეუძლებელია დადგინდეს უტყუარად, ვინაიდან იგი დამატებით დათვალიერდა შემთხვევიდან მეორე დღეს. შესაბამისად, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმებით იმ ფაქტის დადგენა, თუ კონკრეტულად რომელი ადგილიდან ესროლეს ს. გ-ს და ვისი იარაღიდან, შეუძლებელია.

38. მართალია, მოწმედ დაკითხული, კაფე-ბარ „...-ში“ მყოფი პირები ადასტურებენ, რომ თ. კ-ა იქ შევარდა იარაღით ხელში და თქვა, რომ იარაღმა უმტყუნა (გაჭედა), შემდეგ გადატენა, სწრაფად გავიდა გარეთ, რასაც მომენტალურად მოჰყვა ინტენსიური სროლები რამდენიმე იარაღიდან, მაგრამ მხოლოდ ამ გარემოების მეშვეობით, როდესაც სხვა პირდაპირი მტკიცებულება საქმეზე წარმოდგენილი არ ყოფილა, შეუძლებელია დადგინდეს, რომ სწორედ თ. კ-ამ ისროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან მეგობრის – ს. გ-ის, ასევე ზ. ტ-ის, დ. და ლ. ჩ-ების მისამართით. მითუმეტეს, ბრალდების მხარემ მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით ვერ შეძლო დაედასტურებინა რაიმე ისეთი მოტივის არსებობა, რომელიც თ. კ-ას გადააწყვეტინებდა მისი უახლოესი მეგობრის მოკვლას.

39. საქმეზე არსებული შს სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2010 წლის 25 ოქტომბრის ბალისტიკური ექსპერტიზის №... დასკვნით დადგინდა, რომ ს. გ-ის თავიდან და ფეხიდან, ასევე ლ. ჩ-ას სხეულიდან ამოღებული სულ სამი ტყვია გასროლილია ერთი და იმავე „მაკაროვის“ სისტემის სხვა პისტოლეტიდან, რომელიც საქმეზე ამოღებული არ ყოფილა. აღნიშნული დაუდგენელი იარაღი არის თ. კ-ასი, თუ იგი ეკუთვნოდა ინციდენტში მონაწილე რომელიმე პირს ან სხვა პირს, ამის უტყუარად დადგენა საქმეში არსებული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე შეუძლებელია. მით უფრო, რომ არ არის სარწმუნო და დამაჯერებელი ზ. ტ-ის, ლ. და დ. ჩ-ების, ბ. ლ-ას ჩვენებები, რომლებმაც შემთხვევის შემდეგ თავისუფლად გადაამალეს ცეცხლსასროლი იარაღები და რომელთა მიერ მიცემულ ჩვენებებსა და შემოთავაზებულ ვერსიაზე არის ძირითადად აგებული თ. კ-ას ბრალდება.

40. რაც შეეხება საქმეზე არსებულ ექსპერტიზის სხვა დასკვნებს, მათი შინაარსიდან გამომდინარე, იმის დადგენა, რომ თ. კ-ამ განახორციელა სროლები ცეცხლსასროლი იარაღიდან მეგობრის – ს. გ-ის, ზ. ტ-ის, დ. და ლ. ჩ-ების მისამართით, შეუძლებელია.

41. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სისხლის სამართლის საქმეზე არ არის წარმოდგენილი არც ერთი უტყუარი, პირდაპირი ხასიათის მტკიცებულება, რომელიც პალატას საშუალებას მისცემდა, დაედგინა თ. კ-ას მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან ს. გ-ის, ზ. ტ-ის, დ. და ლ. ჩ-ების მისამართით მრავალჯერადი გასროლის ფაქტი. შესაბამისად, მტკიცებულებების არასაკმარისობის გამო თ. კ-ას მიმართ სსკ-ის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ და 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით მსჯავრდების ნაწილში უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 13 ოქტომბრის განაჩენი და შეწყდეს საქმე. ამასთან, ვინაიდან არც ერთი პირდაპირი მტკიცებულებით უტყუარად არ დასტურდება ის, თუ რაში გამოიხატა თ. კ-ას მხრიდან ხულიგნობის ჩადენის ფაქტი და შემთხვევის ადგილზე რა მოქმედებები განახორციელა მან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს ასევე თ. კ-ას სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით მსჯავრდების ნაწილში და შეწყდეს საქმე. რაც შეეხება თ. კ-ას მსჯავრდებას სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, ვინაიდან ამოღებული არ არის ცეცხლსასროლი იარაღი, მისი ვარგისიანობა (ექვექვეშ დადგა გაჭედვის გამო, რაც კაფე-ბარში მყოფმა პირებმა დაადასტურეს) ვერ დადგინდა ისევე როგორც მის მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ს. გ-ის მოკვლისა და სხვა დაზარალებულების სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანების ფაქტები, რაც უტყუარად მიუთითებდა იარაღის კუთვნილებას ცეცხლსასროლი იარაღის კატეგორიისადმი და მის ვარგისიანობას, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თ. კ-ას მსჯავრდება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის შექმნა, შენახვისა და ტარების ნაწილში ასევე არასწორია და ამ ნაწილშიც (სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები) მისი მსჯავრდების თაობაზე გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და შეწყდეს საქმე.

42. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებები შენახულ უნდა იქნეს საქმის შენახვის ვადით, რათა არ მოისპოს ს. გ-ის მკვლელობის საქმეზე დანაშაულის ჩამდენი პირის დადგენის შესაძლებლობა.

43. თ. კ-ას უნდა განემართოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-

ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. დაზარალებულის უფლებამონაცვლის – ი. გ-ისა და მისი წარმომადგენლის – გ. ს-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 13 ოქტომბრის განაჩენი თ. კ-ას მსჯავრდების თაობაზე გაუქმდეს და შეწყდეს საქმე.

3. გაუქმდეს თ. კ-ას მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – დაპატიმრება.

4. საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებები: 2010 წლის 12 აპრილს შპს კლინიკა „ს-დან“ და 2010 წლის 14 აპრილს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დანესებულებიდან მიღებული ზ. ტ-ის ავადმყოფობის ისტორიის ქსეროასლები; კლინიკა „კ-დან“ ამოღებული დ. ჩ-ას ავადმყოფობის ისტორია; შპს „თ-ი“ კლინიკიდან ამოღებული დ. ჩ-ას ავადმყოფობის ისტორია; ხელის კვლები; მოყვითალო ფერის ლითონის ტყვიისმაგვარი საგნები; მოყვითალო ფერის დეფორმირებული მასრა; მოყავისფრო ლითონის მასრა; მოყვითალო ფერის მასრისმაგვარი საგნები; 1 ცალი მეტალის მოყვითალო ფერის, სავარაუდოდ, საბრძოლო ვაზნის შემადგენელი ნაწილი – გულა; მოყავისფრო კორპუსის მქონე მასრა, ლითონის დეფორმირებული საგანი (სავარაუდოდ, ტყვიის გულა); დეფორმირებული ოქროსფერი მეტალის საბრძოლო ვაზნის შემადგენელი ნაწილი, კერძოდ, ტყვიის გულა; მეტალის მჭიდისმაგვარი საგანი; მოყვითალო ფერის ტყვიისმაგვარი საგანი; დენტის ნიმუშები, ფრჩხილების ნიმუშები, ანაბეჭდების ნიმუში; მონიათალო ფერის სისხლისმაგვარი ლაქები, ს. გ-ის თმის ნიმუში; გ. ლ-ისაგან აღებული ფრჩხილის ნიმუში; ლ. ჩ-ას სხეულში ნანახი ოვალური ფორმის ყვითელი ფერის ლითონის ფრაგმენტი; 4 ცალი ინსულინის შპრიცი; ერთი ცალი მოყვითალო ფერის ლითონის ფრაგმენტი; ს. გ-ის ფრჩხილების ნიმუში; ორი ცალი გადატეხილი ამპულა, ერთზე წარწერით „პიპოლფენ“, ხოლო მეორეზე „ვადა დლია ინექციი“; მინის 4 ბოთლი წარწერით „ZIPFERI“, ბოთლები და ჭიქები; გ. ლ-ისაგან აღებული თმის ნიმუში; გ. ლ-ისაგან აღებული ანაბეჭდების ნიმუში; ე. ც-ისაგან აღებული თმის ნიმუში; 2010 წლის 16 მარტს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პროზექტურიდან

გარდაცვლილ ს. გ-ის გვამიდან საექსპერტო კვლევისათვის ხელის თითებიდან აღებული ანაწმენდები; 2010 წლის 16 მარტს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პროზექტურიდან გარდაცვლილ ს. გ-ის გვამიდან საექსპერტო კვლევისათვის აღებული ცხვირის ნესტოების ანაწმენდები; 2010 წლის 16 მარტს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პროზექტურიდან გარდაცვლილ ს. გ-ის გვამიდან საექსპერტო კვლევისათვის ყურის ნიჟარებიდან აღებული ანაწმენდები; სიგარეტ „კენტის“ კოლოფი; შავი ფერის სანთებელა; ქოლგა; შავი ნაჭრის მოკლე ქურთუკი, შიგნით თეთრი და შავი ზოლებით განყოფილი, წარწერით „SEVENHILL“; შავი ფერის ტყავის ქამარი; დ. ჩ-ას ერთი ლურჯი ფერის ჯინსის შარვალი; დ. ჩ-ას ერთი ყავისფერი ტყავის ქამარი; ლ. ჩ-ას ერთი წყვილი შავი ფერის ფეხსაცმელი; ლ. ჩ-ას შავი ფერის მაისური; დ. ჩ-ას ერთი წყვილი წინდა; დ. ჩ-ას ერთი წყვილი შავი ფერის ე.წ. „შუზები“; ლ. ჩ-ას შავი ფერის ნაჭრის შარვალი; ერთი ცალი შავი ფერის კეტი „ნაიკის“ ემბლემით; ბ. ლ-ას ლურჯი ფერის ჯინსის შარვალი; თეთრი ფერის მოკლემკლავიანი მაისური; შავი ფერის გრძელმკლავიანი მაისური; ორი ცალი შავი ფერის წინდა; ს. გ-ის შარვალი; ერთი წყვილი სპორტული ბოტასი; ერთი წყვილი წინდა; ტრუსი; ერთი ცალი სვიტერი; ზ. ტ-ის ლურჯი ფერის ჯინსის შარვალი; შავი ფერის ტყავის ქურთუკი, რომელშიც მოთავსებული იყო ზ. ტ-ის სახელზე გაცემული საქართველოს მოქალაქის პასპორტი; ზ. ტ-ის პირადობის დამადასტურებელი მონმობა; რუხი ფერის ტყავის საფულე, რომელშიც მოთავსებული იყო ზ. ტ-ის სახელზე გაცემული საქართველოს ბანკის სამი პლასტიკური ბარათი; შპს „ჯ-ის“ სიმბარათი; ზ. ტ-ის სახელზე გაცემული „სახალხო ბანკის“ ორი ცალი პლასტიკური ბარათი და ზ. ტ-ის სახელზე გაცემული მართვის მონმობა საქმეზე საბოლოო გადანყვეტილების მიღების შემდეგ შენახულ იქნეს მისი შენახვის ვადით.

5. თ. კ-ას განემარტოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

6. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ბანაჩენში ცვლილების შეტანა და გამამართლებელი
ბანაჩენის დადგენა ერთი პირის მიმართ, საქმეში
უწყუარი და საკმარისი მტკიცებულებების
არარსებობის გამო**

**ბანაჩენი
საქართველოს სახელით**

№430აპ-14

7 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე**

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულების – ვ. ვ-სა და ა. მ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – კ. ჯ-სა და ო. რ-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 26 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 23 ივლისის განაჩენით ა. მ-ა, –ნასამართლობის არმქონე, და ვ. ვ-ი, –ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნენ დამნაშავეებად საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინეს ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი სადგომში უკანონო შეღწევით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში:

2. ა. მ-მ და ვ. ვ-მა განიზრახეს სხვისი კუთვნილი მოძრავი ნივთის ფარულად დაუფლება. 2014 წლის 11 მარტს, დაახლოებით 18-დან 22 საათამდე პერიოდში, განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, მათ უკანონოდ შეაღწიეს ბათუმში, ანდრია პირველწოდებულის გზატკეცილზე №...-ში მდებარე, დ. და გ. ა-ის საკუთრების უფლებით რიცხულ სასტუმრო „...-ში“ და ფარულად დაეუფლნენ მათ კუთვნილ, 1077 ლარის ღირებულების 3 ცალ „აკაის“ მოდელის პლაზმურ ტელევიზორს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

3. აღნიშნული ქმედებისათვის ა. მ-სა და ვ. ვ-ს მიესაჯათ 4-4

წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოთ: ა. მ-ს – 2014 წლის 14 მარტიდან, ხოლო ვ. ვ-ს – იმავე წლის 13 აპრილიდან.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულთა ადვოკატებმა – კ. ჯ-მ და ბ. ბ-მ.

5. მსჯავრდებულ ვ. ვ-ს ადვოკატმა კ. ჯ-მ სააპელაციო საჩივრით ითხოვა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 23 ივლისის განაჩენის გაუქმება და ვ. ვ-ს გამართლება, ხოლო ადვოკატმა ბ. ბ-მ – გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა, ა. მ-ს უდანაშაულოდ ცნობა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით – არასაპატიმრო სასჯელის განსაზღვრა.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 26 სექტემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად; ამასთან, მსჯავრდებულ ა. მ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2014 წლის 12 მარტიდან.

7. კასატორი – მსჯავრდებულ ვ. ვ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი კ. ჯ-ა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად არ დადგენილა ვ. ვ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტი, გამამტყუნებელი განაჩენი კი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობას; ის ფაქტი, რომ ვ. ვ-ი იცნობდა ა. მ-ს და დაეხმარა მას ნივთების გადაზიდვაში, ვერ გამოდგება მის მიერ ქურდობის ჩადენის დასტურად. საქართველოს სსკ-ის 269-ე მუხლის თანახმად, გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი.

8. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი კ. ჯ-ა ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის განაჩენის გაუქმებას და ვ. ვ-ს გამართლებას.

9. მსჯავრდებულ ა. მ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ო. რ-ე საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ საქმეში არ მოიპოვება არც ერთი პირდაპირი მტკიცებულება, რომ ა. მ-ა დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედებდა სხვასთან შეთანხმებით ან სხვასთან ერთად, სწორედ ამიტომ მისი ქმედება არ უნდა დაკვალიფიცირებულიყო ჯგუფურად ჩადენილ დანაშაულად. თავად მსჯავრდებულები განმარტავდნენ, რომ ვ. ვ-მა არაფერი იცოდა ტელევიზორების ქურდობაზე.

10. აღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატი ო. რ-ე ითხოვს ა. მ-ს უდანაშაულოდ ცნობას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, მისი ქმედების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის მინიმუმის განსაზღვრას, რაც ჩათვლება პირობით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ მოუსმინა მხარეებს, შეისწავლა საქმის მასალები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ ვ. ვ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ ა. მ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ო. რ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეყრდნობოდეს ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რაც გონივრულ ეჭვს მიღმა დაადასტურებს პირის ბრალეულობას. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებები კი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნიოს ვ. ვ-ს მიერ ა. მ-სთან ერთად წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, სადგომში უკანონოდ შეღწევით ქურდობის ჩადენის ფაქტი, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, კერძოდ:

3. გასაჩივრებული განაჩენით ვ. ვ-ს მიერ ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩადენის დამადასტურებელ მტკიცებულებებად მიჩნეულია შემდეგი ფაქტები: ვ. ვ-ი და ა. მ-ა იცნობდნენ ერთმანეთს და ჰქონდათ ახლო ურთიერთობა; ვ. ვ-ი ესწრებოდა სასტუმროს მეპატრონის მიერ სასტუმროს გადაბარების პროცესს და იცოდა, რომ სასტუმროში იყო ტელევიზორები; ვ. ვ-მა დაურეკა ზ. ბ-ს და სთხოვა მანქანით მიეკითხა მისთვის, ხოლო შემდეგ იმავე მანქანით იმგზავრა ა. მ-სთან ერთად, რომელსაც (მ-ს) თან ჰქონდა მოპარული ტელევიზორი; ასევე ის გარემოება, რომ ვ. ვ-ი სთავაზობდა მ. ნ-ს პლაზმური ტელევიზორის შესყიდვას, ხოლო ზ. ბ-ს ვ-მა და მ-მ მიჰყიდეს ერთ-ერთი ტელევიზორი.

4. საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ზემოაღნიშნული გარემოებები ადასტურებს ვ. ვ-სთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენას და მიიჩნია, რომ ზემომითითებული ფაქტები ადასტურებს მხოლოდ

იმას, რომ ვ. ვ-ს შეხება ჰქონდა მოპარულ ტელევიზორებთან და ეხმარებოდა მ-ს მათ გასაღებაში, რაც შესაძლოა, შეიცავდეს სხვა დანაშაულის ნიშნებს, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ვ. ვ-ს ბრალდების შესახებ დადგენილება არ შეიცავს აღნიშნული ქმედებების აღწერას (ტელევიზორის გასაღება/გასაღების მცდელობა), საკასაციო პალატა კანონისმიერად მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს მისი ქმედების გადაკვალიფიცირების თაობაზე

5. რაც შეეხება იმ გარემობას, რომ ვ. ვ-ი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, სადგომში უკანონოდ შეღწევით დაეუფლა აღნიშნულ ტელევიზორებს, პალატა მიუთითებს, რომ ბრალდების მხარეს ამ ფაქტის დამადასტურებელი არც ერთი პირდაპირი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული დასკვნა წარმოადგენს ზემოთ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის შედეგად წარმოქმნილ ვარაუდს, რაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვერ დაედება საფუძვლად გამამტყუნებელ განაჩენს, ვინაიდან, საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის, 259-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გამამტყუნებელ განაჩენში უნდა აღინიშნოს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა. საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.

6. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ვ. ვ-ი უნდა გამართლდეს მისთვის ბრალად შერაცხულ ქმედებაში.

7. რაც შეეხება მსჯავრდებულ ა. მ-ს, მისი განმარტებით, მან მარტომ ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, ხოლო ვ. ვ-ს უთხრა, რომ აღნიშნული ტელევიზორები იყო მისი; შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენი სადავოდ გახადა მხოლოდ იმ ნაწილში, რომ ჩაიდინა ქურდობა ვ. ვ-თან ერთად.

8. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ გარდა ა. მ-ს აღიარებისა, მის მიერ სადგომში უკანონო შეღწევით ქურდობის ჩადენის ფაქტი, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებულია საქმეში არსებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობით. ხოლო რაც შეეხება მის მიერ აღნიშნული ქმედების ვ.

ვ-თან წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად ჩადენას, როგორც პალატამ ზემოთ მიუთითა, ამ ფაქტმა დადასტურება ვერ ჰპოვა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, შესაბამისად, ა. მ-ც უნდა გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდებისათვის, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების – აღიარებს და ინანიებს ჩადენილ ქმედებას – მხედველობაში მიღებით, უნდა განესაზღვროს სამართლიანი სასჯელი.

9. ადვოკატ ო. რ-ს მოთხოვნასთან დაკავშირებით, ა. მ-სთვის დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლის თაობაზე, პალატა მიუთითებს, რომ ჩადენილი ქმედების სიმძიმიდან და ხასიათიდან გამომდინარე, არ არის მიზანშეწონილი მისთვის დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ვ. ვ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. ჯ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. მსჯავრდებულ ა. მ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ო. რ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 26 სექტემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:
4. მსჯავრდებული ვ. ვ-ი გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.
5. ვ. ვ-ი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.
6. გამართლებულ ვ. ვ-ს განემართოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.
7. მსჯავრდებული ა. მ-ა გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

8. მსჯავრდებულ ა. მ-ს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით მიესაჯოს 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდაც აეთვალოს 2014 წლის 12 მარტიდან.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 26 სექტემბრის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

10. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**შიდასახელმწიფოებრივი კანონის საერთაშორისო
აქტებთან და კონვენციებთან წინააღმდეგობის
გამო, არასრულწლოვანთა დაცვის საერთაშორისო
სამართლის საყოველთაოდ აღიარებული
ნორმაებისათვის უპირატესობის მინიჭება**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№265აპ-15

29 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

გ. შავლიაშვილი,

პ. სილაგაძე

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ კ. მ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 17 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 9 სექტემბრის განაჩენით:

გ. ჯ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (2012 წლის 5 ნოემბრის ეპიზოდი) – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 19,177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2013 წლის 24 იანვრის ეპიზოდი) – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად

მკაცრი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2. გ. ჯ-ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო – 2012 წლის 5 ნოემბრიდან 2012 წლის 6 ნოემბრამდე და სასჯელის მოხდა დაეწყო 2013 წლის 24 იანვრიდან.

3. კ. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და შეეფარდა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე, 64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით.

4. კ. მ-ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო – 2013 წლის 24 იანვრიდან 2013 წლის 8 თებერვლამდე და სასჯელის მოხდა უნდა დაეწყო დაკავების მომენტიდან.

5. კ. მ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა და გირაოს შემტანს – დ. მ-ს განაჩენის აღსრულებიდან 1 თვის ვადაში სრულად უნდა დაუბრუნდეს გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა – 5000 ლარის ოდენობით.

6. განაჩენით მსჯავრდებულებს – კ. მ-ა და გ. ჯ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2013 წლის 24 იანვარს, ღამის საათებში, ქ-ი ც-ს ქუჩის №-ის მიმდებარედ განთავსებულ, ვ. შ-ს კუთვნილ სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან გ. ჯ-ე და კ. მ-ე ცდილობდნენ ფულადი თანხის ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებას.

7. 2012 წლის 5 ნოემბერს, ღამის საათებში, ქ-ი, ფ-ს ქუჩის №-ში განთავსებული შენობის წინამდებარე ტერიტორიაზე, სს „ნ-ს“ სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან გ. ჯ-ე, კ. ჯ-ე და ნ. კ-ე ფარულად დაეუფლნენ 955,50 ლარს.

8. აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 17 თებერვლის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ: გასაჩივრებული განაჩენიდან ამოირიცხა მითითება კ. მ-ს დანიშნული სასჯელის პირობით ჩათვლის შესახებ.

9. კ. მ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის საფუძველზე შეუმცირდა 1/4-ით და საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

10. კ. მ-ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო – 2013 წლის 24 იანვრიდან 2013 წლის 8 თებერ-

ვლამდე და სასჯელის მოხდა უნდა დაეწყოს დაკავების მომენტიდან.

11. კ. მ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა და გირაოს შემტანს – დ. მ-ს განაჩენის აღსრულებიდან 1 თვის ვადაში სრულად უნდა დაუბრუნდეს გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა – 5000 ლარის ოდენობით.

12. გ. ჯ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (2012 წლის 5 ნოემბრის ეპიზოდი) – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 19,177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2013 წლის 24 იანვრის ეპიზოდი) – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2012 წლის 5 ნოემბრიდან.

13. გ. ჯ-ს სასჯელის ვადაში ჩათვალა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო – 2012 წლის 5 ნოემბრიდან 2012 წლის 6 ნოემბრამდე და სასჯელის მოხდა დაეწყო 2013 წლის 24 იანვრიდან.

14. ნივთმტკიცება – რკინის ძალაყინი, რომელიც ინახება შს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-3 განყოფილებაში, უნდა განადგურდეს კანონით დადგენილი წესით საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

15. ნივთმტკიცება – ხურდისა და ქალაღდის ფულის მოსათავსებელი 4 კასეტა, აგრეთვე ფულადი თანხა – 955,50 ლარის ოდენობით, რომელიც ინახება შს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მეორე განყოფილებაში, უნდა დაუბრუნდეს დაზარალებულს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

16. მსჯავრდებული კ. მ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 17 თებერვლის განაჩენის ნაწილობრივ გაუქმებას სასჯელის დანიშვნის ნაწილში.

17. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ კ. მ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა კ. გ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები. მან მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება, რასაც დაეთანხმა მსჯავრდებული კ. მ-ე.

18. საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ზ. ჭ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა ქუთაი-

სის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 17 თებერვლის განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ კ. მ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს საკასაციო საჩივრის არგუმენტებსა და მოტივაციას იმის თაობაზე, რომ, მართალია, საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ არასრულწლოვან ბრალდებულს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა თვრამეტი წელი, სასამართლო უფლებამოსილი არ არის, მის მიმართ გამოიყენოს პირობითი მსჯავრი, მაგრამ აღნიშნული მუხლის მოთხოვნა წინააღმდეგობაშია საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და აქტებით დადგენილ სტანდარტებთან, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 316-ე მუხლის თანახმად, სავალდებულოა გათვალისწინებულ იქნეს არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ საქმის განხილვისას.

3. გასაჩივრებული განაჩენის მიხედვით, კ. მ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან არასრულწლოვნების ასაკში ჩაიდინა ქურდობის, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლების მცდელობა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში: 2013 წლის 24 იანვარს, ღამის საათებში, ქ-ი, ც-ს ქუჩის №-ის მიმდებარედ განთავსებულ ვ. შ-ს სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან სრულწლოვანი გ. ჯ-ე და არასრულწლოვანი კ. მ-ე ცდილობდნენ ფულადი თანხის ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებას.

4. მსჯავრდებული კ, მ-ე 1-ლი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე ნაწილობრივ აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს, კერძოდ, ის უარყოფდა ჯგუფურად დანაშაულის ჩადენას. საქმის სააპელაციო და საკასაციო წესით განხილვისას მან სრულად ცნო თავი დამნაშავედ ჩადენილ დანაშაულში.

5. კ. მ-ს ბრალდების საქმე გამოძიებიდან სასამართლოში შევიდა 2013 წლის 6 მარტს. კ. მ-ე ამ დროს იყო 17 წლისა და 9 თვის. წინასასამართლო სხდომა ჩაინიშნა 2013 წლის 11 მარტს, საქმის არსებითი განხილვის სხდომა დაიწყო 2013 წლის 22 მარტს, იგი 2013 წლის 2 ივნისს გახდა სრულწლოვანი, ესე იგი

საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან 3 თვის შემდეგ, ჩატარდა სულ 11 სხდომა, ხოლო განაჩენი გამოვიდა 2013 წლის 9 სექტემბერს. 1-ლი ინსტანციის სასამართლომ მას სასჯელად დაუნიშნა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეუმცირდა 1/4-ით და საბოლოოდ დანიშნული სასჯელი – 3 წელი ჩაეთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით. სასამართლომ სრულწლოვანი მსჯავრდებულის მიმართ, რომელმაც არასრულწლოვნების დროს ჩაიდინა დანაშაული, ისე გამოიყენა პირობითი მსჯავრი, რომ არ იმსჯელა სსკ-ის 63-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვის შესაბამისად პირობითი მსჯავრის გამოყენების მიზანშეწონილობაზე.

6. სააპელაციო სასამართლომ სახელმწიფო ბრალმდებლის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძველზე ისე გააუქმა აღნიშნული მუხლის მოთხოვნის საფუძველზე კ. მ-ს მიმართ რეალურად დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა და საბოლოო სასჯელად დაუნიშნა რეალური სასჯელი – 3 წელი, რომ საერთოდ არ იმსჯელა, თუ რამდენად იყო დაცული სსკ-ის 316-ე მუხლის მოთხოვნები, კერძოდ: 1-ლი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე, არასრულწლოვან კ. მ-ს პროცესს მოექცნენ თუ არა განსაკუთრებული ყურადღებით როგორც ბრალდების მხარე, ასევე სასამართლო; მხედველობაში იქნა თუ არა მიღებული მისი ასაკი და რესოციალიზაციის განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი, ასევე მისი ხელახალი აღზრდისათვის ხელის შეწყობის აუცილებლობა, რათა განაჩენით სწორად ყოფილიყო დაცული მისი ჭეშმარიტი ინტერესი და არ მომხდარიყო პიროვნებისა და მისი ჩადენილი დანაშაულის შეუსაბამო, არაადეკვატური შედეგის დადგომა, რაც მოცემულ შემთხვევაში დადგა კ. მ-ს მიმართ რეალური სასჯელის სახით. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა კ. მ-ს მიმართ გამოყენებული პირობითი მსჯავრი არა იმ საფუძველზე, რომ მისი პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი არ იყო მის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენება, არამედ – სსკ-ის 63-ე მუხლის მე-5 ნაწილის დანაწესის შესაბამისად, რომ თუ მსჯავრდებულს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის არ შესრულებია თვრამეტი წელი და მან პირველად ჩაიდინა დანაშაული, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობით, თუ მას ჩადენილი არა აქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

7. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის 316-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სასამართლო

ვალდებულია, დაიცვას არასრულწლოვნის უფლებათა საერთაშორისო გარანტიები. იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლის მოთხოვნა ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის დაცვის საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, რითაც ირღვევა არასრულწლოვნის უფლებები და მისი რესოციალიზაციისათვის განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი, სწორედ საერთაშორისო პრინციპებისა და ნორმებისათვის უპირატესი ძალის მინიჭებით, საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით უნდა გადავწყვიტოთ არასრულწლოვნის ქვემარტივი ინტერესი, რისი სამართლებრივი საფუძველიც მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში, კერძოდ: საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

8. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ კ. მ-ს გააჩნია სამართლიანი პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ წარდგენილი ბრალდების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება გონივრულ ვადაში არ იქნა მიღებული. სისხლის სამართლის საქმის მოკლე ვადაში განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლობის საკითხი მით უფრო თვალსაჩინოა, როდესაც ბრალდებული არასრულწლოვანია და სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-5 ნაწილი არასრულწლოვნის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენების სამართლებრივ რეგულაციას ზღუდავს განაჩენის გამოტანის მომენტში მისი სრულწლოვანი ასაკის დადგომით.

9. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომ ბრალდებულს აქვს სამართლიანი პროცესისა და სწრაფი მართლმსაჯულების უფლება, სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო ნორმებით აღიარებულ პრინციპებთან. სისხლის სამართლის საქმის დაჩქარებული განხილვა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებიდან გამომდინარეობს, რომელიც ასახულია საერთაშორისო აქტებში. კერძოდ: ადამიანის უფლებათა კომიტეტი აცხადებს, რომ ნებისმიერი გაუმართლებელი გაჭიანურება ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას. „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მიხედვით, სასამართლო გან-

ხილვა უნდა ჩატარდეს „გაუმართლებელი გაჭიანურების გარე-
შე“. ადამიანის უფლებათა კომიტეტი აცხადებს, რომ ნებისმიე-
რი გაუმართლებელი გაჭიანურება ეწინააღმდეგება უფლებას
სამართლიან სასამართლო განხილვაზე. ეს ეხება როგორც პირ-
ველი ინსტანციის, ისე გასაჩივრების სამართალწარმოებას (ად-
ამიანის უფლებათა კომიტეტის 1984 წლის ზოგადი კომენტარი
ნო. 13, პუნქტი 10).

10. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა
დაცვის ევროპული კონვენციის“ (შემდგომში „ადამიანის უფ-
ლებათა ევროპული კონვენცია“) მე-6 მუხლის პირველი პუნქტის
შესაბამისად, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის გან-
ხილვის უფლება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამარ-
თლომ მკაფიოდ და დამაჯერებლად ჩამოაყალიბა გონივრულ
ვადაში საქმის განხილვის უფლების დანიშნულება: სისხლის სა-
მართლის საქმეებზე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენ-
ციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის (რომელიც ითვალისწინებს
გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლებას) მიზანია, უზ-
რუნველყოს, რომ პირი არ იყოს ბრალდებული ზედმეტად დიდი
დროის განმავლობაში და რომ მისი ბრალეულობის საკითხი დრო-
ულად გადამწყდეს (ვემჰოფი გერმანიის წინააღმდეგ (Wemhoff v.
Germany), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1968
წლის 27 ივნისის გადაწყვეტილება, პუნქტი 18; კარტი თურქე-
თის წინააღმდეგ (Kart v. Turkey) ადამიანის უფლებათა ევროპუ-
ლი სასამართლოს დიდი პალატის 2009 წლის 3 დეკემბრის გა-
დაწყვეტილება, პუნქტი 68. ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლო აცხადებს, რომ გონივრულ ვადაში საქმის განხილ-
ვის უფლების დანიშნულებაა, დაიცვას პირები „გადამეტებუ-
ლი ვადის განმავლობაში თავიანთი ბედის თაობაზე გაურკვევე-
ლობის მდგომარეობაში ყოფნისგან“ (შტიოგმიულერი ავსტრი-
ის წინააღმდეგ (Stuiggmüller v. Austria), ადამიანის უფლებათა ევ-
როპული სასამართლოს 1969 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტი-
ლება, პუნქტი 5; პეტრენკო რუსეთის წინააღმდეგ (Petrenko v.
Russia), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011
წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება, პუნქტი 47.) ხანგრძლივ სა-
მართალწარმოებას შეუძლია მნიშვნელოვანი წნეხის ქვეშ მო-
აქციოს ბრალდებულები და გაამძაფროს ბუნდოვან მომავალ-
თან, მსჯავრდების შიშსა და სასჯელის გაურკვეველ სიმძიმეს-
თან დაკავშირებული განცდები. მით უმეტეს, ეს უფრო მკაფი-
ოა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საქმეებზე.

11. ცხადია, რომ სასამართლოს მიერ საქმის განხილვის უფ-
ლება შეიძლება ეფექტიანად განხორციელდეს მხოლოდ იმ შემ-

თხვევაში, თუ გადანყვეტილება გონივრულ ვადაში იქნება გამოტანილი. გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლების მნიშვნელობა, როგორც აღვნიშნეთ, კიდევ უფრო თვალსაჩინოა არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას.

12. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის განხილვის უფლება. გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული დებულებებით უზრუნველყოფილია სისხლის სამართლის საქმის მოკლე ვადებში განხილვა.

13. ამასთანავე, სასამართლო განხილვა, საქართველოს სსსკ-ის 185-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უნდა განხორციელდეს უწყვეტად. საქმის სასამართლოში განხილვის პროცესი წარმოადგენს ერთიან და უწყვეტ პროცესს მაშინაც კი, როდესაც იგი რამდენიმე დღე გრძელდება. საქმის განხილვა უნდა გადაიდოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, რათა სასამართლო პროცესმა არ დაკარგოს უწყვეტი ხასიათი.

14. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს კონვენცია აკისრებს ვალდებულებას, მოახდინონ თავიანთი სამართლებრივი სისტემის ისეთი ორგანიზება, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოების მიერ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მათ შორის – სასამართლო განხილვის ჩატარებას „გონივრულ ვადაში“ (ვლადი და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (Vlad and others v. Romania) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 26 ნოემბრის გადანყვეტილება, პუნქტი 85). სახელმწიფოს შეუძლია თავიდან აიცილოს კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა ბრალდებულისათვის სამართალწარმოების გაჭიანურების კომპენსაციის გზით, რაც გამოიხატება სასჯელის სახისა და ზომის ადეკვატურ შემცირებაში.

15. ამას გარდა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა, 2003 წლის 24 სექტემბერს, ნეერი სახელმწიფოების მიმართ მიიღო რეკომენდაცია Rec(2003)20 „არასრულწლოვანთა დამნაშავეობასთან მიმართებაში ახალი მეთოდების გამოყენებასა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების დანიშნულებაზე“. რეკომენდაციის მიღების მიზანი იყო ის, რომ შესაძლოა, მხოლოდ ტრადიციული სისხლის სამართლის სისტემები აღარ იძლეოდა არასრულწლოვან დამნაშავეებთან მიმართებაში ადეკვატური გადანყვეტილების გზებს (იხ. რეკომენდაციის პრეამბულა). რეკომენდაცია, inter alia, სახელმწიფოებისგან მოითხოვს, რომ სა-

მართალწარმოების თითოეული ეტაპი მაქსიმალურად შემჭიდროებული იყოს და შეძლებისდაგვარად უსწრაფეს ვადებში ჩატარდეს. მართლმსაჯულების დაჩქარების და ეფექტიანობის გაზრდის ღონისძიებები თანაბარზომიერ წონასწორობაში უნდა იყოს სამართლიანი სასამართლო პროცესის მოთხოვნებთან (რეკომენდაციის მე-14 პუნქტი). ანალოგიური მოთხოვნებია გათვალისწინებული „ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სახელმძღვანელო პრინციპებში“, რომლებიც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 17 ნოემბერს იქნა მიღებული.

16. კ. მ-ს ბრალდების საქმის განხილვა აშკარად გასცდა გონივრულ ვადებს. მართო სასამართლოში საქმის განხილვა გაჭიანურდა თითქმის 6 თვეს, რაც გამოწვეული იყო გარკვეულწილად მეორე სრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ არსებული სხვა ბრალდების ეპიზოდის განხილვით. არ მოხდა არასრულწლოვნის საქმის გამოყოფა სრულწლოვანი ბრალდებულის საქმისგან, რათა ეფექტურად განხორციელებულიყო სამართლიანი მართლმსაჯულება არასრულწლოვნის მიმართ და სასამართლო არ შეზღუდულიყო პირობითი მსჯავრის გამოყენებით, თუ მიზანშეწონილად მიიჩნევა მის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენებას, რათა არ მომხდარიყო არასრულწლოვანი მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლირება. აღნიშნულმა კი ცალსახად განაპირობა არასრულწლოვნის სისხლის სამართლის საქმის განხილვის საყოველთაოდ აღიარებული და დამკვიდრებული პრინციპების დარღვევა.

17. ბრალდების მხარის განმარტებით, სხდომა რამდენჯერმე გადაიდო იმის გამო, რომ მიმდინარეობდა მსჯავრდებულთან საპროცესო შეთანხმების დადებაზე მოლაპარაკება, რასაც ხელი შეუშალა ბრალდებულმა იმით, რომ სრულად არ აღიარა ჩადენილი დანაშაული და ხელი არ დაადო მეორე მსჯავრდებულს, უარყოფდა მასთან ერთად დაკავებული მეორე პირის მონაწილეობას. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული გარემოება არ შეიძლება გამოვიყენოთ პირის საზიანოდ.

18. ევროსასამართლოს მიერ დადგენილია, რომ არ შეიძლება ბრალდებულის საწინააღმდეგოდ იქნეს მიჩნეული ის ფაქტი, რომ იგი აქტიურად არ უწყობს ხელს საქმის დაჩქარებულად განხილვას, რომელზეც შესაძლოა გამოვიდეს მისი საწინააღმდეგო გადაწყვეტილება; კონვენციის მე-6 მუხლის დაცვა პირდაპირ არის სახელმწიფოს ვალდებულება. საქმეში ციმერმანი და შტაინერი შვეიცარიის წინააღმდეგ (Zimmermann and Steiner v. Switzerland) სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს აკის-

რია ვალდებულება, ისე ააწყოს თავისი სამართლებრივი სისტემა, რომ მისცეს სასამართლოებს შესაძლებლობა, იმოქმედონ 6.1 მუხლის მოთხოვნების დაცვით, მათ შორის „გონივრულ ვადაში“ საქმის განხილვის მოთხოვნის დაცვით (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1983 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება, პუნქტი 29).

19. სახელმწიფოებისადმი მოთხოვნები ბევრად უფრო მკაცრია, როდესაც საქმე ეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ინსტრუმენტებია „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ და „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი“. კონვენცია ადგენს იმ ძირითად პრინციპებს და სპეციფიკურ საპროცესო გარანტიებს, რომლებსაც უნდა ითვალისწინებდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა და სავალდებულოა ხელშემკვრელი სახელმწიფოებისათვის. „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 21 აპრილიდან. „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი“ საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან.

20. აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულებების გარდა, არსებობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი სხვა დოკუმენტები: „გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ“ (პეკინის წესები); „გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის შესახებ“ (ერ-რიადის პრინციპები); „სახელმძღვანელო პრინციპები სისხლის სამართლის სისტემაში ბავშვებთან დაკავშირებით მოქმედების შესახებ“ (ვენის პრინციპები); ამასთან, მნიშვნელოვანია რეგიონული დოკუმენტები: „აფრიკული ქარტია ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ“ („ბანჯულის ქარტია“) და „ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენცია“, რომლებიც მოითხოვენ, რომ ინდივიდი, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უნდა იქნეს წარდგენილი სასამართლოს წინაშე „გონივრული“ ვადის განმავლობაში და შეფერხება/დაყოვნება თავიდან უნდა იქნეს აცილებული.

21. „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ პირველი მუხლის თანახმად, „წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი“. კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბავშვის უფლებათა შე-

სახებ კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, „ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმასხორციელებელი, – სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები – უნინარესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას“. ამავე კონვენციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ პუნქტის მე-3 ქვეპუნქტის თანახმად, რომელიც მინიმალურ სტანდარტს ადგენს: „ყოველ ბავშვს, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ან ბრალი ედება მის დარღვევაში, უნდა ჰქონდეს, სულ ცოტა, კომპეტენტური, დამოუკიდებელი ან მიუკერძოებელი ორგანოს ან სასამართლო ორგანოს მიერ სამართლიანი განხილვის შედეგად განსაზღვრულ საკითხზე დაუყოვნებელი გადაწყვეტილების მიღების უფლება“. კონვენციის 490-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს ყველა იმ უფლებასა და გარანტიას, რომლებიც სამართლიან სასამართლოს ყველა იმ ბავშვისთვის უზრუნველყოფს, ვინც, სავარაუდოდ, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა, ან აღიარებულია მის დამრღვევად. ზემოხსენებული გარანტიები განსაზღვრულია აგრეთვე „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტით. ამ შეთანხმების მე-14 მუხლს (რომელიც სამართლიანი სამართალწარმოების გარანტიებს ეხება) მიეძღვნა ადამიანის უფლებათა კომიტეტის 1984 წლის ზოგადი კომენტარი ნო. 13. ბავშვებთან დაკავშირებით ეს გარანტიები წინამდებარე ნაწილში განხილულ სპეციფიკურ ასპექტებს იძენს. კომიტეტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ამ უფლებებისა და გარანტიების დაცვაში განსაკუთრებული როლი ენიჭება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩართულ სპეციალისტებსა და მოხელეებს (კომენტარის პუნქტი 16).

22. აგრეთვე, ბავშვის უფლებათა კომიტეტი ნო. 10 ზოგად კომენტარში განმარტავს: „მაგალითისათვის, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ისეთი ტრადიციული მიზნები, როგორიცაა დამნაშავეს დასჯა, დანაშაულის ჩამდენი ბავშვებისათვის უნდა შეიცვალოს რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნებით. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე ყურადღების გამახვილების პარალელურად“ (ბავშვის უფლებათა კომიტეტის 2007 წლის ზოგადი კომენტარი ნო. 10, პუნქტი 10).

23. „გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ“ (ცნობილია, როგორც „პეკინის წესები“) მიღებული იქნა 1985 წლის 29 ნოემბერს, გენერალური ასამბლეის რეზოლუციით და ითვალისწინებს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემამ აქცენტი უნდა გააკეთოს არასრულწლოვნის კეთილდღეობაზე. კერძოდ, პეკინის წესების უმნიშვნელოვანესი მე-5 წესის თანახმად, რომელიც ადგენს არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული მართლმსაჯულების მიზნებს, „მართლმსაჯულების სისტემა არასრულწლოვანთა მიმართ უნდა იქნეს მიმართული, პირველ რიგში, არასრულწლოვნის კეთილდღეობის და იმის უზრუნველყოფისაკენ, რათა არასრულწლოვან სამართალდამრღვევზე ზემოქმედების ზომები ყოველთვის იყოს თანაბარზომიერი როგორც სამართალდამრღვევის პიროვნების, ასევე სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებებთან“.

24. პეკინის წესების მე-20 მუხლის (გაუმართლებელი დაყოვნების თავიდან აცილება) პირველი პუნქტის თანახმად: „ყველა საქმე დასაწყისიდანვე უნდა განიხილებოდეს დაჩქარებულად, ყოველგვარი გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე“.

25. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სწორედ ზემოაღნიშნული საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე იქნა მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კოდექსი, რომელიც ამოქმედდება 2016 წლის 1 იანვრიდან. ამ კოდექსს სრულიად განსხვავებული და ახალი მიდგომა აქვს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად, თუ არასრულწლოვანმა, რომელიც განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდებული არ ყოფილა, ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი ჩათვალოს პირობით მსჯავრად. ამდენად, დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-5 ნაწილის რედაქციისაგან განსხვავებით, არასრულწლოვნის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენების დროს მნიშვნელობა ექნება არასრულწლოვნის დროს დანაშაულის ჩადენის ფაქტს და არა იმას, განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ხომ არ შეუსრულდა მას თვრამეტი წელი. ამასთან, კოდექსში შემავალ დებულებებს მიეცემა უკუძალა მსჯავრდებულის მდგომარეობის სასარგებლოდ.

26. საკასაციო პალატა განმარტავს: ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის მე-5 ნაწილის დებულება, რომ თუ მსჯავრდებულს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა 18 წელი, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დანიშნული სას-

ჯელი ჩაუთვალოს პირობით, წინააღმდეგობაშია ზემომითითებულ საერთაშორისო აქტებსა და კონვენციებთან, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად კი ამ დროს უპირატესი ძალა უნდა მივიჩნიოთ საერთაშორისო აქტებით აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს, შესაბამისად, პალატა უფლებამოსილია, უპირატესი ძალა მიანიჭოს საერთაშორისო სტანდარტებს და იმსჯელოს კ. მ-ს მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენების საკითხზე.

27. სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს კ. მ-ს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის პიროვნებას, მის ოჯახურ მდგომარეობას. კ. მ-ს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებაა ის, რომ აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, ხოლო დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია.

28. გარდა ამისა, სასჯელის განსაზღვრისას სასამართლო ითვალისწინებს დანაშაულებრივი ქმედების ხასიათს, რომ ჩადენილია დაუმთავრებელი დანაშაული – ქურდობის მცდელობა და მიაჩნია, რომ კ. მ-ს უნდა შეეფარდოს სასჯელის ისეთი სახე და ზომა, რაც გახდება მომავალში მისი საზოგადოებაში უსაფრთხო ინტეგრაციის საფუძველი და იქნება დამაფიქრებელი მსჯავრდებულისათვის, რათა მან უკეთ გააცნობიეროს ჩადენილი ქმედების ხასიათი, საზოგადოებრივი საშიშროებისა და გასაკიცხაობის ხარისხი და ბოლოს, სასჯელმა უნდა შეამციროს მსჯავრდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სამართლიანობის აღდგენას.

29. პალატის შეფასებით, სასჯელის დანიშვნის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, რათა სასჯელი იყოს სამართლიანი. დამნაშავე პირის რესოციალიზაციისათვის, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების დაცვის აუცილებლობიდან და სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, აგრეთვე ზოგადი და კერძო პრევენციის მიზნებისათვის პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ კ. მ-ს მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს პირობითი მსჯავრი, კერძოდ მას უნდა დაენიშნოს საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე უნდა შეუმცირდეს 1/4-ით და შეეფარდოს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე უნდა

ჩაეთვალოს პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით.

30. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 17 თებერვლის განაჩენში კ. მ-ს მიმართ უნდა შევიდეს ცვლილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, 316-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ კ. მ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 17 თებერვლის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

3. მსჯავრდებულ კ. მ-ს საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის ზომად განესაზღვროს 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე შეუმცირდეს 1/4-ით და შეეფარდოს 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობით, 4 (ოთხი) წლის გამოსაცდელი ვადით.

4. კ. მ-ს საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის ვადაში ჩაეთვალოს სასამართლო განხილვამდე პატიმრობაში ყოფნის დრო – 2013 წლის 24 იანვრიდან 2013 წლის 8 თებერვლამდე და სასჯელის მოხდა დაეწყოს 2015 წლის 31 იანვრიდან.

5. მსჯავრდებული კ. მ-ე დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

6. საქართველოს სსკ-ის 65-ე-66-ე მუხლების საფუძველზე კ. მ-ს ყოფაქცევაზე კონტროლის განხორციელება და დახმარება დაევალოს პრობაციის ბიუროს მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. კ. მ-ს დაევალოს, პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი.

7. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის
ბადასინჯვის საფუძვლები**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№51აგ-15

30 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. კ-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 მაისის განჩინებაზე.

აღწერითი ნაწილი:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 15 ივნისის განაჩენით დ. კ-ე – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 10 თვით თავისუფლების აღკვეთა; მასვე სსკ-ის 41-42-ე მუხლებით დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 2.000 ლარი, ხოლო 369-ე მუხლით – 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც იმავე კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე სასჯელად განესაზღვრა 5 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, შეკრების წესით, დ. კ-ეს სასჯელად განესაზღვრა 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; მასვე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 2.000 ლარი. იგი სასჯელს იხდის 2012 წლის 1 მარტიდან.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 8 აგვისტოს განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 15 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 16 იანვრის განაჩენით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 8 აგვისტოს განაჩენში შევიდა ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ: მსჯავრდებული დ.

კ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით) და სსკ-ის 369-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. დ. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება) და სასჯელად განესაზღვრა 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე საქართველოს სსკ-ის 41-42-ე მუხლების გამოყენებით დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა – 2.000 ლარი. „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე, ასევე ამავე კანონის მე-18 მუხლში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე სასჯელისგან გათავისუფლებული პირები არ თავისუფლდებიან ჯარიმისაგან), მსჯავრდებული დ. კ-ე გათავისუფლდა საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენება) დანიშნული სასჯელის – 9 თვით თავისუფლების აღკვეთის – მოხდისაგან. მსჯავრდებულ დ. კ-ს საქართველოს სსკ-ის 41-42-ე მუხლების გამოყენებით დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა – 2.000 ლარი – დარჩა უცვლელად. მსჯავრდებული დ. კ-ე გათავისუფლდა პატიმრობიდან.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 17 იანვრის უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ განჩინებით განაჩენის სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებს დაემატა შემდეგი წინადადება: „დ. კ-ს განემარტოს უფლება საქართველოს სსსკ-ის 92-ე მუხლით დადგენილი წესით ზიანის ანაზღაურების შესახებ“.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა დ. კ-მ, რომელმაც ითხოვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა და გამართლება შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში დაცვის მხარის მიერ წარდგენილი ლ. ს-ის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 14 ივნისის გრაფიკული ექსპერტიზის №... დასკვნა, რომლითაც დასტურდება მისი უდანაშაულობა, უსაფუძვლოდ არ იქნა დაშვებული და გამოკვლეული. აღნიშნული საკითხი შეფასების გარეშე დატოვეს უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლით სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ ოფიციალური დოკუმენტის გაყალბებისათვის და არა – ზოგადად ნებისმიერი საბუთის გაყალბებისათვის; სასამართლოებ-

მა არ მიაქციეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ კერძო პირებს შორის დადებული ხელშეკრულება, თუ იგი არ არის დამოწმებული სანოტარო წესით, არ წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს; უკანონოდ დაედო მსჯავრი იმ დანაშაულისათვის, რომელიც კანონით დანაშაულად არ არის გამოცხადებული.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 21 მაისის განჩინებით მსჯავრდებულ დ. კ-ის შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 15 ივნისის, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 8 აგვისტოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 16 იანვრის განაჩენის გადასინჯვის თაობაზე არ იქნა დაშვებული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომაზე განსახილველად.

7. მსჯავრდებული დ. კ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 21 მაისის განჩინების გაუქმებასა და სააპელაციო სასამართლოსათვის მითითებას, რომ განსახილველად დაუშვას შუამდგომლობა; მის მიმართ გამოტანილ იქნეს გამამართლებელი განაჩენი იმავე სამართლებრივი საფუძვლებით, რაზეც მითითებული ჰქონდა შუამდგომლობაში.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლში მითითებულია ის საფუძვლები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა, კერძოდ:

განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მონიშნავს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დად-

გენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო;

თ) არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელმაც უკანონოდ ცნო ის ფარული საგამომძიებო მოქმედება, რომლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს.

3. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალები საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე სამართლებრივად სწორად შეაფასა, ხოლო კასატორის მიერ საჩივარში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენს საპროცესო კანონით გათვალისწინებულ ისეთ გარემოებებს, რომლებიც შეიძლება გახდეს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის საფუძველი.

4. ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის მარეგულირებელი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი აგებულია იმ პრინციპზე, რომ სასამართლოს უნდა წარედგინოს ისეთი ახალი მტკიცებულება ან ფაქტი, რომელიც სამართალწარმოების განხორ-

ციელებისა და განაჩენის გამოტანის დროს ობიექტურად არ იყო ცნობილი, ასევე მხარემ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ შეძლო სამართალწარმოების დროს ამ მტკიცებულების მოპოვება და სასამართლოსათვის წარდგენა. მოცემულ შემთხვევაში, დ. კ-ს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძვლად მითითებული ექსპერტიზის დასკვნა მოპოვებული ჰქონდა ჯერ კიდევ მის საქმეზე სამართალწარმოების მიმდინარეობის დროს, თუმცა სსსკ-ის 297-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაუცველობის გამო, მის დაშვებაზე სააპელაციო სასამართლომ უთხრა უარი. ამდენად, ამ მოცემულობაში აღნიშნული მტკიცებულება ვერ ჩაითვლება სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ახალ მტკიცებულებად, რომელიც შეიძლება გახდეს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძველი.

5. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს კასატორის აპელირებაზე, რომ მას მსჯავრი დაედო ისეთი ქმედებისათვის, რომელიც არ წარმოადგენს სსკ-ის 362-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს. სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარებში მითითებულია, რომ დოკუმენტი, რომლის გაყალბებაშიც მას მსჯავრი დაედო, არ არის ოფიციალური დოკუმენტი, რომლის გარეშეც ქმედება სსკ-ის 362-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს არ წარმოადგენს. პალატა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ ეს ფაქტი თავისი არსით ასევე არ წარმოადგენს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ახალ ფაქტს, ვინაიდან იგი ცნობილი იყო დ. კ-ის საქმეზე სამართალწარმოების მიმდინარეობისას, ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რომელიმე კომენტარი არ წარმოადგენს სასამართლოსათვის სავალდებულო სახელმძღვანელო წინადადებას და, ბუნებრივია, მისი გაზიარების ვალდებულება მას არა აქვს, მით უფრო, რომ მასში ასახულია კონკრეტული ავტორის მოსაზრება (სხვა ავტორს შესაძლოა, საწინააღმდეგო მოსაზრებაც ჰქონდეს). ამდენად, ამ გარემოებაზე კასატორის მითითება უსაფუძვლოა და მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს.

6. რაც შეეხება კასატორის განცხადებას მოსამართლეთა აცილების თაობაზე, საკასაციო პალატამ 2015 წლის 19 ივნისის განჩინებით იმსჯელა ამ საკითხზე, ხოლო იმავე საფუძველებით განმეორებით ამ საკითხზე მსჯელობის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

7. ასევე უსაფუძვლოა კასატორის მითითება ახლად გამოვ-

ლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის სსსკ-ის 310-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძველზე, ვინაიდან იგი არ შეესაბამება აღნიშნული ნორმის მოთხოვნას.

8. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულ დ. კ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე კანონიერი და დასაბუთებულია, რომლის გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლით, 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 მაისის განჩინება მსჯავრდებულ დ. კ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის
ბადასინჯვის საფუძვლები**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№26აგ-15

30 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ნ-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 23 თებერვლის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 თებერვლის განაჩენით ა. ნ-ე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „ე“ ქვეპუნქტებითა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 15 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა – 5.000 ლარი; სსკ-ის 273-ე მუხლით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე გაუნახვერდა და განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა – 1.000 ლარი;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, შეკრების წესით, ა. ნ-ეს სასჯელად განესაზღვრა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა – 6.000 ლარი.

2. ა. ნ-ს 5 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრული უფლებები.

3. საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე ა. ნ-ს სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთვა ავტომანქანა „OPEL-ASTRA“, სახელმწიფო ნომრით „...“.

4. ა. ნ-ე სასჯელს იხდის დაკავების დღიდან – 2009 წლის 13

აგვისტოდან.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივლისის განაჩენით ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 თებერვლის განაჩენი ა. ნ-ის მიმართ დარჩა უცვლელად.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 7 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებულისა და მისი ადვოკატის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

7. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის განჩინებით მსჯავრდებულ ა. ნ-ის მიმართ გამოყენებულ იქნა „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონი.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებული ა. ნ-ე გათავისუფლდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 თებერვლის განაჩენით სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელის – 1 წლით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან.

„ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, მსჯავრდებულ ა. ნ-ეს 1/4-ით (3 წლით, 10 თვითა და 15 დღით) შეუმცირდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 თებერვლის განაჩენით სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელი – 15 წელი, 6 თვე და მოსახდელად დარჩა 11 წლით, 7 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის დაკისრებული ჯარიმის ნაწილში, დარჩა უცვლელად.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის განჩინების თაობაზე მსჯავრდებულმა ა. ნ-მ საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

მსჯავრდებულმა საჩივრით ითხოვა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის ნაცვლად, იმავე კანონის მე-8 მუხლის გამოყენება და სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 22 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებულ ა. ნ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის განჩინებაში შევიდა ცვლილება და ნაცვლად ზესტაფონ-

ნის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 თებერვლის განაჩენისა, შეიცვალა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 14 ივლისის განაჩენი.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 31 იანვრის განჩინება სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 22 თებერვლის განჩინების თაობაზე მსჯავრდებულმა ა. ნ-მ შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, ითხოვა განაჩენის გადასინჯვა და სასჯელის დანიშვნა შთანთქმის პრინციპის გამოყენებით.

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 23 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებულ ა. ნ-ის შუამდგომლობა, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე, დაუშვებლად იქნა ცნობილი.

10. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის განჩინების თაობაზე ა. ნ-მ საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. მსჯავრდებულმა საჩივრით ითხოვა „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონის თანახმად, იმავე კანონის 59-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, განაჩენის გადასინჯვა და კანონით გათვალისწინებული შეღავათების დაწესება, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 273-ე მუხლით დანიშნულ დამატებით სასჯელებთან მიმართებით შეკრების პრინციპის ნაცვლად, შთანთქმის პრინციპის გამოყენება და საბოლოოდ დამატებით სასჯელად ჯარიმის – 5.000 ლარის დანიშვნა.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლში მითითებულია ის საფუძვლები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი ახლად გამოვ-

ლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა, კერძოდ:

განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯება, თუ:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მონიშნავს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუმეცბლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო;

თ) არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელმაც უკანონოდ ცნო ის ფარული საგამომძიებო მოქმედება, რომლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს.

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332¹-ე მუხლის თანახმად, ამ კოდექსის 310-ე მუხლში ჩა-

მოთვლილ საფუძვლებთან ერთად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადაისინჯება იმ შემთხვევაშიც, თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 414-ე მუხლის მე-8 ნაწილი ინვევს მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუმჯობესებას. სსკ-ის 414-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2013 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონით დადგენილ ამ კოდექსის 59-ე მუხლის რედაქციას აქვს უკუძალა იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც დანაშაულთა/განაჩენთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელი დაენიშნა აღნიშნული ცვლილების ამოქმედებამდე არსებული რედაქციის შესაბამისად.

4. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორის მიერ საჩივარში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენს საპროცესო კანონით გათვალისწინებულ ისეთ გარემოებებს, რომლებიც შეიძლება გახდეს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის საფუძველი.

5. ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ამნისტიის გამოყენების შედეგად ა. ნ-ე გათავისუფლდა სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული ძირითადი სასჯელისაგან, ხოლო სსკ-ის 260-ე მუხლით დანიშნული სასჯელი შეუმცირდა ერთი მეოთხედით. საბოლოოდ მას ძირითად სასჯელად მოსახდელად დარჩა მხოლოდ სსკ-ის 260-ე მუხლით დანიშნული სასჯელი და სსკ-ის 273-ე და 260-ე მუხლებით განსაზღვრული დამატებითი სასჯელი – ჯარიმა.

სსკ-ის 59-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს ძირითად სასჯელთან ერთად შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სასჯელი. შეჯამებისას დანიშნული საბოლოო დამატებითი სასჯელის ზომა არ უნდა აღემატებოდეს ამ სასჯელის მოცემული სახისათვის ამ კოდექსის ზოგადი ნაწილით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ზომას. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან დამატებითი სასჯელზე არ ვრცელდება სასჯელის შთანთქმის ან ნაწილობრივი შეკრების პრინციპები, ხოლო ა. ნ-ეს მოსახდელი აქვს მხოლოდ ერთი მუხლით დანიშნული ძირითადი სასჯელი, სსკ-ის 59-ე მუხლში შესული ცვლილებები არ ინვევს მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას, შესაბამისად, კასატორის მოთხოვნა შუამდგომლობის დაშვებისა და სასჯელის შთანთქმის პრინციპით განსაზღვრის შესახებ უსაფუძვლოა.

6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვე-

ტილება ა. ნ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ კანონიერი და დასაბუთებულია, რომლის გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს ძალაში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ა. ნ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 23 თებერვლის განჩინება მსჯავრდებულ ა. ნ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს ძალაში.
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის
ბადასინჯვის ფარგლები**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№16აგ-15

18 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- გ. შავლიაშვილი,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ბ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 5 თებერვლის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-

მეთა კოლეგიის 2010 წლის 9 ივლისის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და გ. ბ-ს შორის 2010 წლის 9 ივლისის დადებული საპროცესო შეთანხმება.

გ. ბ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (2005 წლის რედაქცია), სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2005 წლის რედაქცია) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2005 წლის რედაქცია), საქართველოს სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით, ჯარიმა – 320 000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, დანიშნული სასჯელი შეუმსუბუქდა და განესაზღვრა ჯარიმა – 300 000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2005 წლის რედაქცია) – ჯარიმა – 200 000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და საბოლოოდ გ. ბ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 500 000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

2015 წლის 22 იანვარს მსჯავრდებულმა გ. ბ-ა შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 9 ივლისის განაჩენის გადასინჯვის თაობაზე იმ საფუძველით, რომ მის მიმართ გამოტანილი განაჩენი არის უკანონო, რის დამადასტურებლად შუამდგომლობის ავტორმა წარმოადგინა დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის №... 2014 წლის 9 დეკემბრის გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც მითითებულია, რომ 2010 წლის 9 ივლისით დათარიღებულ დოკუმენტებში – „შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე“, ოქმი „საპროცესო შეთანხმების შესახებ“ და „გასაუბრების ოქმი“ – ხელმოწერები გ. ბ-ს გვარით შესრულებულია არა გ. ბ-ს, არამედ სხვა პირის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 5 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებულ გ. ბ-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

მსჯავრდებულმა გ. ბ-მ საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას და ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 5 თებერვლის განჩინების, ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 9 ივლისის განაჩენის გაუქმებასა და სამართლიანი განაჩენის დადგენას შემდეგ გარემოებათა გამო: მსჯავრდებული გ. ბ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ საპროცესო შეთანხმებაზე მისი თანხმობა ფაქტობრივად იყო იძულება და ეს იძულება გამოიხატებოდა ყველა იმ გარემოებაში, რაც აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის მასალებით იყო გამოკვეთილი; ამასთან, მას აღნიშნული განაჩენი არ გაუსაჩივრებია, რადგან მოლოდინი, რომ განაჩენის გასაჩივრების შემდეგ, რაიმე მის სასიკეთოდ შეიცვლებოდა არ არსებობდა.

კასატორმა წარმოადგინა დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის №... 2014 წლის 9 დეკემბრის გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც მითითებულია, რომ 2010 წლის 9 ივლისით დათარიღებულ დოკუმენტებში – „შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე“, ოქმი „საპროცესო შეთანხმების შესახებ“ და „გასაუბრების ოქმი“ – გრაფაში „ბრალდებული“ – ხელმოწერები გ. ბ-ს გვარით შესრულებულია არა გ. ბ-ს, არამედ სხვა პირის მიერ, რის გამოც ითხოვს გამოტანილი განაჩენის გადასინჯვას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს, ხოლო სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას

მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივებს შუამდგომლობასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ კასატორის საჩივარი უსაფუძვლოა, ვინაიდან იმ მტკიცებულების სიყალბე, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს, დადგენილი უნდა იყოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

ამასთან, მსჯავრდებულ გ. ბ-ს საპროცესო შეთანხმება გაფორმდა ნებაყოფლობით, ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე სხვა უკანონო დაპირების გარეშე; მსჯავრდებულს სასამართლომ განუმარტა განაჩენის გასაჩივრების წესი, რაც მას არ გამოუყენებია და არც სადავოდ გაუხდია შესაბამისი განაჩენის კანონიერების საკითხი.

პალატა განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოკლებულია შესაძლებლობას სამართლებრივი შეფასება მისცეს კასატორის მიერ წარმოდგენილ, დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის 2014 წლის 9 დეკემბრის გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნას და, შესაბამისად, იმსჯელოს მსჯავრდებულ გ. ბ-ს ბრალეულობაზე.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის გარემოებებს, ხოლო კასატორის მიერ თავის საჩივარში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენს საპროცესო კანონით გათვალისწინებულ ისეთ გარემოებებს, რომლებიც შეიძლება გახდეს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გ. ბ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე კანონიერი და დასაბუთებულია, რომლის გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ბ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 5 თებერვლის განჩინება მსჯავრდებულ გ. ბ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის ბაღასინჯვის ფარგლები

განაჩენი საქართველოს სახელით

№25აგ-15

30 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

პ. სილაგაძე

მონაწილეობით განიხილა მსჯავრდებულ ჯ. შ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ. ა-ს, ასევე – დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის პროკურორ ნ. კ-ს საკასაციო საჩივრები ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 29 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 1998 წლის 22 დეკემბრის განაჩენით ჯ. შ-ე (ძებნილი) ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 96¹-ე მუხლით (1960 წლის რედაქცია) და მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა; მასვე ზესტაფონის სს „ფ-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა მიყენებული ზარალის – 580.320 ლარის ანაზღაურება. ჯ. შ-ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო – 5 თვე, 4 დღე და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა 11 წლით, 6 თვითა და 26 დღით თავისუფლების აღკვეთა.

2. 2014 წლის 28 ივნისს ჯ. შ-ე დააკავეს სასაზღვრო-გამტარ პუნქტზე სასაზღვრო-საემიგრაციო კონტროლის გავლისას და

შეასახლეს სასჯელადსრულების დაწესებულებაში.

3. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 7 ივლისის განჩინებით ჯ. შ-ს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე ერთი მეოთხედით შეუმცირდა დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა; მასვე სასჯელის ვადაში ჩაეთვალა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დრო – 5 თვე და 4 დღე და სასჯელის მოხდა დაენციო 2014 წლის 28 ივნისიდან.

4. აღნიშნული განჩინება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის განჩინებით დარჩა უცვლელად.

5. მსჯავრდებულმა ჯ. შ-მ და მისმა ადვოკატმა რ. ა-მა შუამდგომლობით მიმართეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიმართ დადგენილი განაჩენის გადასინჯვისა და სასჯელის შემცირების ან განაჩენის ხანდაზმულად მიჩნევის გამო სასჯელის მოხდისაგან სრულად განთავისუფლების შესახებ.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 29 იანვრის განაჩენით მსჯავრდებულ ჯ. შ-სა და ადვოკატ რ. ა-ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1998 წლის 22 დეკემბრის განაჩენი და 2014 წლის 23 სექტემბრის განჩინება შეიცვალა: ჯ. შ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 96¹-ე მუხლიდან (1960 წლის რედაქცია) გადაკვალიფიცირდა ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე და განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე შეუმცირდა ერთი მეოთხედით და საბოლოოდ მიესაჯა 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა; მასვე სასჯელის მოხდაში ჩაეთვალა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის 5 თვე, 4 დღე და სასჯელის მოხდა დაენციო 2014 წლის 28 ივნისიდან. განაჩენი და განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

7. მსჯავრდებული ჯ. შ-ე და ადვოკატი რ. ა-ი საკასაციო საჩივრებში აღნიშნავენ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 12 სექტემბრის მონაცემებით, ს/ს ზ-ის ... ქარხანა ლიკვიდირებულია, ამიტომ ჯ. შ-ს მიმართ უნდა გამოყენებულიყო „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილი.

8. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 29 იანვრის განაჩენის გაუქმებას, 1998 წელს მოქმედი სისხლის სამართლის კო-

დექსის 50-ე მუხლის შესაბამისად, განაჩენის ხანდაზმულობის გამო, სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლებას და მის მიმართ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილის გავრცელებას.

9. პროკურორი ნ. კ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობის წარდგენის დროს ჯ. შ-სათვის განსაზღვრული სასჯელი – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა – თავსდება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის სანქციის ფარგლებში, ამიტომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ შემსუბუქებულია; განაჩენი გამოტანილია 1998 წლის 22 დეკემბერს; 2000 წლის 1 ივნისიდან ამოქმედდა ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომლითაც შეიცვალა განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადები და შეჩერების წესები; ახალი კანონის ამოქმედების დროისათვის ხანდაზმულობის ვადა გასული არ იყო, ამიტომ კანონს რეალური უკუძალა არ ჰქონია და უზენაესი სასამართლოს 1998 წლის 22 დეკემბრის განაჩენის აღსრულება არ არის ხანდაზმული; სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, დაენიშნა შესაბამისი მუხლის ნაწილის სანქციის უმაღლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი; სასამართლო ამ შემთხვევაში შეეხო განაჩენის სამართლიანობის საკითხს, რაც, ზოგადად, არ არის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის ფორმატში განსახილველი.

9. კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლო ასევე არ იყო უფლებამოსილი, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის დროს ემსჯელა „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის გამოყენებაზე; ჯ. შ-ს დანაშაულებრივ ქმედებაზე ამნისტიის აქტი გავრცელდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 7 ივლისს განჩინებით, რომელიც უცვლელად დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის განჩინებით; სააპელაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, შეცვალოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც შეხება ამნისტიის აქტის გამოყენებას.

10. ჯ. შ-ს დანაშაულებრივი ქმედებით ზიანი მიადგა სახელმწიფო საკუთრებას, რადგან ს/ს ზ-ის ... ქარხანა იყო სახელმწიფო საწარმო, შესაბამისად, დაზარალებულია სახელმწიფო; შესაბამისად, ჯ. შ-ს მიმართ არ უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლი.

11. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორი ნ. კ-ე ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 29 იან-

ვრის განაჩენში ცვლილების შეტანას, ჯ. შ-სათვის სასჯელის ზომად 9 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას და ამ-ნისტიის აქტის არგამოყენებას, ასევე – საქართველოს უზენა-ესი სასამართლოს 1998 წლის 22 დეკემბრის განაჩენისა და 2014 წლის 23 სექტემბრის განჩინების უცვლელად დატოვებას.

12. პროკურორმა ნ. კ-მ შესაგებლით ითხოვა, რომ არ დაკმა-ყოფილდეს მსჯავრდებულ ჯ. შ-სა და ადვოკატ რ. ა-ს საკასა-ციო საჩივრების მოთხოვნა.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობით განიხილა სა-კასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა სა-ჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ჯ. შ-სა და მისი ადვოკატის – რ. ა-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო პროკურორ ნ. კ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებულ განა-ჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მსჯავრდებულ ჯ. შ-ს დანაშაულებრივი ქმედება სააპელაციო სასამართლომ სრული-ად კანონიერად მოიყვანა შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებ-ლობასთან; ამასთან, პალატა იზიარებს სახელმწიფო ბრალმდებ-ლის პოზიციას, რომ ჯ. შ-ს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით სასჯელის სახით უნდა განესაზ-ღვროს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, ვინაიდან საკასაციო სასამართლოს მიერ განმარტებულია, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს გადასასინჯი გადაწყვეტილე-ბის სამართლიანობაზე (№39აგ-12 <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba32.pdf>). აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯ. შ-სათვის სასჯელის სახით განსაზღვრული 12 წლით თავისუფ-ლების აღკვეთა უნდა მოექცეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხ-ლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში ისე, რომ არ შეფასდეს გადასასინჯი განაჩენის სამართლიანო-ბა, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს აღნიშნულის სამართლებრივი საფუძველი.

3. საკასაციო პალატა არ იზიარებს სახელმწიფო ბრალმდებ-ლის პოზიციას, რომ ჯ. შ-ს მიმართ სააპელაციო პალატას საერ-თოდ არ უნდა ემსჯელა „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დე-კემბრის საქართველოს კანონის გამოყენების თაობაზე. პალა-ტა მიუთითებს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ახ-ლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯა როგორც სა-

ქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 1998 წლის 22 დეკემბრის განაჩენი, ისე უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 სექტემბრის განჩინება, ვინაიდან ეს უკანასკნელი ჯ. შ-ს მიმართ წარმოადგენს ბოლო საპროცესო დოკუმენტს და, შესაბამისად, რადგან აღნიშნული განჩინებით ნამსჯელია „ამნისტიის შესახებ“ კანონის გამოყენების თაობაზე, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა ამნისტიის გამოყენების საკითხზეც.

4. რაც შეეხება დაცვის მხარის პოზიციას საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 1998 წლის 22 დეკემბრის განაჩენის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, პალატა ამ ნაწილში სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას და მიუთითებს, რომ განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადები მოცემულ შემთხვევაში არ არის დარღვეული.

5. პალატა ასევე არ იზიარებს ადვოკატის პოზიციას, რომ ჯ. შ-ს მიმართ უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მოქმედება იმ მოტივით, რომ დაზარალებული იურიდიული პირი – ზ-ის ... ქარხანა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით ლიკვიდირებულია, ვინაიდან საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ საზრალდებო დასკვნითა და განაჩენით ჯ. შ-ს მსჯავრი დაედო სახელმწიფო ქონების უკანონო მიტაცებისათვის, შესაბამისად, სასამართლო აღნიშნულ საქმეში დაზარალებულად მიიჩნევს სახელმწიფოს და რადგან მის წარმომადგენელს (მოცემულ შემთხვევაში – პროკურორს) არ დაუფიქსირებია პოზიცია ჯ. შ-ს გათავისუფლების შესახებ, საკასაციო პალატა კანონისმიერად მოკლებულია შესაძლებლობას, გაავრცელოს მასზე „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მოქმედება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 314-ე მუხლის მე-4 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ჯ. შ-სა და მისი ადვოკატის – რ. ა-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. პროკურორ ნ. კ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს

ნაწილობრივ.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 29 იანვრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

4. მსჯავრდებულ ჯ. შ-ს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით სასჯელის სახით განესაზღვროს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე შეუმცირდეს ერთი მეოთხედით და საბოლოოდ სასჯელის სახით განესაზღვროს 6 (ექვსი) წლითა და 9 (ცხრა) თვით თავისუფლების აღკვეთა.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 29 იანვრის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქმის არსებით განხილვაში მონაწილე
მოსამართლის უფლება, მონაწილეობა მიიღოს
ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის
განხილვაში**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№28აგ-15

29 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. ფ-სა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების – კ. ჩ-სა და შ. ხ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 5 მარტის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-

მეთა კოლეგიის 2010 წლის 4 ივნისის განაჩენით ი. ფ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2010 წლის 11 თებერვლიდან; მასვე 1 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლება.

ამავე განაჩენით კ. ნ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 339¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 14 სექტემბრის განაჩენით შეიცვალა: ი. ფ-ს საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო კ. ნ-ს სსკ-ის 339¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 14 სექტემბრის განაჩენი გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 7 დეკემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 4 ივნისის განაჩენი შეიცვალა: დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და კ. ნ-ს შორის, რომლის თანახმად, კ. ნ-ს საქართველოს სსკ-ის 339¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით, სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; ი. ფ-ს საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; მასვე 1 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლება.

2015 წლის 25 თებერვალს მსჯავრდებულმა ი. ფ-მა და მისმა ადვოკატმა კ. ჩ-მ შუამდგომლობით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 4 ივნისის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 17 სექტემბრისა და 7 დეკემბრის განაჩენების გადასინჯვის თაობაზე საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ზ“ პუნქტის საფუძველზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 5 მარტის განჩინებით მსჯავრდებულ ი. ფ-სა და ადვოკატ კ. ჩ-ს შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

კასატორები – მსჯავრდებული ი. ფ-ი და ადვოკატები – კ. ჩ-

ა და შ. ხ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ: სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შემოსავლების სამსახურის მიერ 2010 წლის 12 აგვისტოს შემუშავებული სიტუაციური სახელმძღვანელო, 2010 წლის 12 აგვისტოს შემუშავებული №... ბრძანება და შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №... ბრძანება წარმოადგენს დაცვის მხარის მიერ წარდგენილ ახალ მტკიცებულებებს, მაგრამ მიუთითა, რომ ამ მტკიცებულებებით არ დადგენილა რაიმე ისეთი ახალი გარემოება, რომელიც თავისთავად ან სხვა დადგენილ გარემოებებთან ერთად დაადასტურებდა ი. ფ-ს უდანაშაულობას; სააკველაციო სასამართლომ უარი განაცხადა, რომ დაცვის მხარის მიერ წარდგენილი ახალი მტკიცებულებები საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან ერთობლიობაში განეხილა.

კასატორთა აზრით, შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინებით დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლება; ამავე კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლით გარანტირებული უფლება, რომელიც მოიცავს ადამიანის უფლებას, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მოითხოვოს განაჩენის გადასინჯვა; ასევე დაირღვა საქართველოს სსსკ-ის მე-19, 59-ე და 313-ე მუხლები; არასწორად განიმარტა 310-ე მუხლის „ზ“ პუნქტი.

სსიპ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2010 წლის 12 აგვისტოს №... ბრძანება; ამ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ სსიპ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 9 თებერვლის №... ბრძანება; სსიპ შემოსავლების სამსახურის 2010 წლის 12 აგვისტოს №... სიტუაციური სახელმძღვანელო; სსიპ შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 14 ნოემბრის წერილი; სსიპ შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 18 მარტის №... ბრძანება შპს „...-ის“ საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ – ეს ახალი მტკიცებულებები პირდაპირ კავშირშია 2009 წლის 27 ნოემბრის საგადასახადო შემოსვების აქტთან, ასევე – ი. ფ-სა და მოწმეების ჩვენებებით სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილ გარემოებებთან და მათთან ერთობლიობაში ამტკიცებენ მსჯავრდებულ ი. ფ-ს უდანაშაულობას.

ი. ფ-ს, რომელიც მოქმედებდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 28.03.2008 წლის №... ბრძანებით მიჩნეული უფლებამოსილების ფარგლებში, მსჯავრი დაედო

იმაში, რომ მან თითქოსდა დაარღვია შემოსავლების სამსახურში დადგენილი პრაქტიკა; კასატორების აზრით, შემოსავლების სამსახურს სიტუაციური სახელმძღვანელოს გამოცემამდე ერთიანი და სავალდებულო პრაქტიკული მიდგომა, ასევე – შესაბამისი პრაქტიკული სახელმძღვანელო არ გააჩნდა, ხოლო ასეთ შემთხვევაში ადამიანის დადანაშაულება პრაქტიკის დარღვევაში ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული და უკანონოა; სიტუაციური სახელმძღვანელო №...-ის გამოქვეყნებით დადასტურდა, რომ სახელმწიფოსა და ი. ფ.-ს პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა, მას ე.წ. „დადგენილი პრაქტიკა“ არ დაურღვევია და მის მოქმედებას სახელმწიფო ინტერესებისათვის ზიანი არ მიუყენებია.

სიტუაციური სახელმძღვანელო გამოიცა იმ პერიოდში, როდესაც ი. ფ.-ს სისხლის სამართლის საქმე განსახილველად იყო სააპელაციო სასამართლოში; ამ სახელმძღვანელოში ჩამოყალიბებული პრაქტიკული მიდგომები სრულად ეწინააღმდეგება სასამართლოს დასკვნებს, ამიტომ ეს სახელმძღვანელო, ზემოჩამოთვლილ მასალებთან ერთად, წარმოადგენს საქართველოს სსკ-ის 310-ე მუხლის „ზ“ პუნქტით გათვალისწინებულ ახლად გამოვლენილ გარემოებას, ვინაიდან საქმეში არსებულ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან ერთობლიობაში გამოორიცხავს საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს – საჯარო მოხელის მიერ თავისი ქმედებით (გადაწყვეტილებით) სახელმწიფო ინტერესისათვის ზიანის მიყენების ფაქტს.

კასატორთა განმარტებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების მოთხოვნით, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს, თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს ფაქტებსა და გარემოებებზე, რომლებიც არ გამოკვლეულა კანონით დადგენილი წესით და გადაწყვეტილება გამოსცეს საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოების გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე; ამავდროულად კოდექსის 97-ე მუხლის თანახმად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოითხოვოს დოკუმენტები, შეაგროვოს ცნობები, მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს, დაათვალიეროს მოვლენის ან შემთხვევის ადგილი, დაინშნოს ექსპერტიზა, გამოიყენოს აუცილებელი დოკუმენტები და აქტები, მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით, მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

2010 წლის თემატური საგადასახადო შემომწების აქტის სა-

პირისპიროდ, დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილ გარემოებებთან ერთობლიობაში ამტკიცებენ ი. ფ-ს მოქმედების მართლზომიერებას; სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებელი გადანყვებილებით, ბუნდოვანი განმარტებებით ი. ფ-ს ფაქტობრივად წაართვა გასაჩივრების უფლება, რითიც დაირღვა ევროკონვენციის მე-6 და მე-13 მუხლები, მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 და მე-3 მუხლები, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტი; სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მსჯავრდებულმა არ გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 7 დეკემბრის განაჩენი; სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ გასაჩივრების უფლება არ არის ვალდებულება და სასამართლოს მიერ დაცვასთან პოლემიკის გამართვა მოწმობს მის მიკერძოებულობას შუამდგომლობის განხილვის დროს.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დაარღვია საქართველოს სსსკ-ის 59-ე მუხლის მოთხოვნა და არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა მოსამართლე გ. ჩ-ს აცილების თაობაზე, რომლის 2010 წლის 17 სექტემბრის განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინებით გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხვა შემადგენლობას; ფაქტობრივად, მოსამართლე გ. ჩ-მ დაცვის მხარის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა, ფაქტები და მტკიცებულებები შეაფასა თავის მიერ გამოტანილი განაჩენის საწინააღმდეგოდ შეტანილ საკასაციო საჩივართან ერთობლიობაში, მან შეაფასა მისსავე საწინააღმდეგოდ შეტანილი საჩივარი; სასამართლომ არც კი განიხილა დაცვის მხარის შუამდგომლობა აცილების თაობაზე, რასაც ადასტურებს მოსამართლე გ. ჩ-ს თანაშემწე მ. მ-ს 2015 წლის 6 მარტის წერილი, რითიც დაირღვა საქართველოს სსსკ-ის 64-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

კასატორთა აზრით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევაა ისიც, რომ სასამართლომ არ შესარულა სსსკ-ის 313-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულება შუამდგომლობის დასაბუთებულობის შესწავლის შესახებ; საქმის მოცულობიდან გამომდინარე, დაცვის მხარის მიერ წარდგენილი ახალი მტკიცებულებების შესწავლა, სხვა დადგენილ გარემოებებთან ერთად, ფაქტობრივად მხოლოდ ერთი სამუშაო დღის განმავლობაში შეუძლებელი იყო; მიუხედავად დაცვის მხარის მოთხოვნისა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს არ გადაუცია მისთვის შემდეგი სახის ინფორმა-

ცია: მონაცემები 2015 წლის 2 მარტიდან 4 მარტის ჩათვლით თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეების – გ. ჩ-ს, მ. ხ-სა და მ. ლ-ს სასამართლოს შენობაში შემოსვლისა და გასვლის ზუსტი დროის შესახებ; რა პრინციპით ხორციელდება შემოსული საქმეების განაწილება მოსამართლეებს შორის თბილისის სააპელაციო სასამართლოში; რომელი ნორმატიული თუ საკანონმდებლო აქტი ანესრიგებს თბილისის სააპელაციო სასამართლოში შემოსული საქმეების განაწილებას (შესაბამისი აქტის დამონმებული ასლის წარმოდგენით); საჯარო ინფორმაცია თბილისის სააპელაციო სასამართლოში შემოსული საქმეების სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლეებს შორის განაწილების შესახებ ბოლო 6 თვის განმავლობაში – 2015 წლის 2 მარტამდე არსებულ პერიოდში.

აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვნით უნდა დადასტურდეს, რომ საქმეები მოსამართლეებს შორის არ ნაწილდება შემთხვევითი პრინციპის გამოყენებით; ერთ შემადგენლობაში მოსამართლეები – გ. ჩ-ა და მ. ხ-ი სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ ი. ფ-ს სისხლის სამართლის საქმის განხილვაში; ეს ინფორმაცია ასევე დაადასტურებდა, რომ მოსამართლეებს ერთ სამუშაო დღეზე მეტი არ ჰქონდათ შუამდგომლობის შესასწავლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ი. ფ-ი და ადვოკატები – კ. ჩ-ა და შ. ხ-ე ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 5 მარტის განჩინების გაუქმებას, შუამდგომლობის დასაშვებად ცნობას და საქმის არსებითად განხილვას, ასევე – თბილისის სააპელაციო სასამართლოს მთლიანი შემადგენლობის აცილებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლში მითითებულია ის საფუძვლები, რომელთა შემთხვევაშიც შესაძლებელია ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა, კერძოდ: განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ:

ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად

დაედო გადასასინჯ განაჩენს;

ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მოწმობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დადგენილ სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძვლად დაედო გადასასინჯ განაჩენს;

გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული;

დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი;

ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება;

ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო;

ზ) წარმოდგენილია ახალი ფაქტი ან მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად, თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალეულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო.

თ) არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელმაც უკანონოდ ცნო ის ფარული საგამომძიებო მოქმედება, რომლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულება საფუძვლად დაედო განაჩენს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორის მიერ მითითებული გარემოებები არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ საფუძველს არ აკმაყოფილებს. პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივებს შუამდგომლობასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის გარემოებებს.

პალატა მიუთითებს, რომ საჩივრის მოტივებიდან გამომდინარე, კასატორები ფაქტობრივად ითხოვენ საქმის ხელახლა არსებითად განხილვას, რისი კანონით გათვალისწინებული საფუძველიც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

რაც შეეხება დაცვის მხარის მიერ საჩივარში მითითებულ გარემოებებს საქმეთა განაწილების წესთან დაკავშირებით, აღნიშნული საკითხი მოცემულ შემთხვევაში არ წარმოადგენს საკასაციო პალატის მსჯელობის საგანს და არ არის შემხებლობაში ი. ფ-ს მსჯავრდების საკითხთან.

საკასაციო პალატა არ იზიარებს ასევე დაცვის მხარის მითითებას იმის თაობაზე, რომ მოსამართლე გ. ჩ-ა არ იყო უფლება-მოსილი განეხილა მისი შუამდგომლობა და მიუთითებს, რომ საქართველოს სსსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, საქმის არსებითად განხილვაში მონაწილეობა მოსამართლეს არ უზღუდავს უფლებას, მონაწილეობა მიიღოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის განხილვაში.

ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება მსჯავრდებულ ი. ფ-სა და ადვოკატ კ. ჩ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე კანონიერი და დასაბუთებულია, რომლის გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ი. ფ-სა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების – კ. ჩ-სა და შ. ხ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 5 მარტის განჩინება მსჯავრდებულ ი. ფ-სა და ადვოკატ კ. ჩ-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ბანაჩენის გადასინჯვა ადამიანის უფლებათა
ევროპული სასამართლოს კანონიერ ქალაქი შესული
გადანყვებითი ზღვის საფუძველზე, რომელმაც
დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად
თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის და
მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან
დაკავშირებით**

**ბანაჩენი
საქართველოს სახელით**

№2აგ-15

3 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ნ. ბ-ს საკასაციო საჩივარ-
რი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელა-
ციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014
წლის 27 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 8 სექტემბრის განაჩენით ნ. ბ-ე
ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის
მე-3 ნაწილის „ა“ ქვეუნიჭით და მიესაჯა 9 წლით თავისუფლე-
ბის აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2005 წლის 20 ივნის-
სიდან.

2. ნარკომანიით დაავადებულ ნ. ბ-ს დაენიშნა იძულებითი
მკურნალობა თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილას.

3. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. ბ-მ ჩაიდინა
განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების
უკანონო შექმნა და შენახვა.

4. აღნიშნული გამოიხატა შემდეგში: 2005 წლის 20 ივნისს ქ.
თ-ი საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული
დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და ტრე-
ფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თა-
ნამშრომლებმა დააკავეს ნ. ბ-ე, რის შემდეგაც მის ფაქტობრივ

საცხოვრებელ ბინაში მისამართზე – ქ. თ-ი, ა-ს №-ში ჩატარებული ჩხრეკისას ნ. ბ-მ ჩხრეკის დაწყებამდე თვითონ წარადგინა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მის მიერ უკანონოდ შეძენილი და შენახული პრეპარატ „სუბოტექსის“ 10 აბის ნატეხი, საერთო წონით – 1,834 გრამი. გარდა აღნიშნულისა, ჩატარებული ბინის ჩხრეკისას საძინებელ ოთახში მდებარე ტუმბოს უჯრიდან ამოღებულ იქნა ნ. ბ-ს მიერ ასევე გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეძენილი და შენახული პრეპარატ „სუბოტექსის“ 109 აბი, საერთო წონით – 43,156 გრამი. ნ. ბ-ს მიერ უკანონოდ შეძენილმა და შენახულმა პრეპარატ „სუბოტექსის“ აბების წონამ მთლიანობაში შეადგინა 44,99 გრამი, რომელიც შეიცავს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებას „ბუპრენორფინს“ – 0, 8998 გრამის ოდენობით.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ივლისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 8 სექტემბრის განაჩენი ნ. ბ-ს მიმართ შეიცვალა სასჯელის ნაწილში: ნ. ბ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეუწყებით და მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. ნ. ბ-ს დაენიშნა იძულებითი მკურნალობა თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილას. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2005 წლის 20 ივნისიდან.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 12 მარტის განჩინებით მსჯავრდებულ ნ. ბ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – გ. ბ-ა და რ. გ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ივლისის განაჩენზე არ იქნა დაშვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომაზე განსახილველად.

7. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 24 ნოემბრის № განკარგულებით ნ. ბ-ს სასჯელი – 7 წლით, 2 თვითა და 17 დღით თავისუფლების აღკვეთა გაუნახევრდა და 2012 წლის 5 სექტემბერს სასჯელალსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლდა კალენდარულად სასჯელის მოხდით.

8. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მესამე სექცია) კომიტეტის 2013 წლის 17 სექტემბრის სხდომაზე მხედველობაში მიიღო 2008 წლის 6 მაისს შეტანილი საჩივარი (საჩივარი №23846/08 ნ. ბ-ე საქართველოს წინააღმდეგ), მხედველობაში მიიღო ასევე მოპასუხე სახელმწიფოს 2013 წლის 23 აპრილის ოფიციალური განცხადება, მომჩივნის მიერ პირობების

მიღება და განხილვის შემდეგ გამოიტანა განჩინება:

1. მომჩივანი, ბ-ნი ნ. ბ-ე საქართველოს მოქალაქეა, რომელიც დაიბადა 1975 წელს და ცხოვრობს თ-ი. მას სასამართლოში წარმოადგენდა ბ-ნი გ. ბ-ე და ქ-ნი რ. გ-ე, ადვოკატები, რომლებიც საქმიანობას თ-ი ახორციელებენ.

2. საქართველოს მთავრობას („მთავრობას“) წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი, ბ-ნი ლ. მ-ე იუსტიციის სამინისტროდან.

3. 2012 წლის 18 დეკემბერს სასამართლომ მთავრობას აცნობა მომჩივნის მიერ კონვენციის მე-3 მუხლისა და მე-6 მუხლის პარაგრაფი 1 და 3 (c) და (d) საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიები, რომელიც ეხებოდა მისი ნარკო-დამოკიდებულების გამო სათანადო მკურნალობის არქონას სასჯელალსრულების დაწესებულებაში, პატიმრობის არასათანადო პირობებს და მის წინააღმდეგ წარმოებული სისხლისსამართლებრივი პროცედურის არასამართლიანობას.

4. 2013 წლის 23 აპრილს სასამართლომ მიიღო სახელმწიფო წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი განცხადება მორიგების შესახებ, რომელიც შემდგომ, 2013 წლის 10 ივნისს, იქნა შესწორებული და იკითხება შემდეგნაირად:

„ალიარებს რა, რომ სასჯელალსრულების დაწესებულების თანამშრომლებმა ვერ უზრუნველყვეს მომჩივანი სავალდებულო ნარკოლოგიური სამკურნალო პროგრამით;

მხედველობაში იღებს ეროვნულ სასამართლოებში საქმის განხილვის დროს გარკვეული ნაკლოვანებების არსებობას;

ითვალისწინებს რა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე (ე) მუხლით გათვალისწინებულ მომჩივნის უფლებას, რომლითაც მას შეუძლია მიმართოს ეროვნულ სასამართლოებს სისხლის სამართლის საქმის გადასინჯვის მოთხოვნით, ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების/განჩინების საფუძველზე;

მთავრობა მომჩივანს გადაუხდის 5 ათას ევროს ნებისმიერი მორალური და მატერიალური ზიანის, ასევე ყველა ხარჯისა და დანახარჯის ანაზღაურების სახით...“

5. 2013 წლის 10 ივნისს მომჩივანმა აცნობა სასამართლოს, რომ იგი დაეთანხმა სახელმწიფოს განცხადების პირობებს და მოსთხოვა სასამართლოს საქმის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვა.

9. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო მხარეებს შორის მორიგება და მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიც-

ხვის შესახებ.

10. 2014 წლის 14 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას შუამდგომლობით, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის შესახებ, მიმართა ნ. ბ-მ, რომელმაც საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, 311-ე და 312-ე მუხლების შესაბამისად, მოითხოვა მის მიმართ გამოტანილი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ივლისის განაჩენის (რომელმაც შეცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 8 სექტემბრის განაჩენი) გადასინჯვა, აღნიშნული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 27 ნოემბრის განაჩენით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ივლისის განაჩენი ნ. ბ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

12. ნ. ბ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. მხედველობაში იქნა მიღებული, რომ ნ. ბ-ს განაჩენით განსაზღვრული სასჯელი მოხდელი აქვს.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 27 ნოემბრის განაჩენის თაობაზე ნ. ბ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. მან საჩივრით ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 27 ნოემბრის განაჩენის გაუქმება და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გაუქმება და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საქართველოს სსსკ-ის 314-ე მუხლის მოთხოვნათა ფარგლებში შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ ნ. ბ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქმის მასალების მიხედვით, ნ. ბ-ს ბრალდების საქმეზე

ევროსასამართლომ დაამტკიცა მორიგება საქართველოს სახელმწიფოსა და ნ. ბ-ს შორის. საქართველოს სახელმწიფომ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევად აღიარა ის გარემოება, რომ საქმის არსებითი განხილვის დროს არ იქნა დაკითხული ბრალდების მოწმე, პოლიციის თანამშრომელი დ. ფ-ი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა ბ-ს დაკავებასა და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკაში, რითაც ბრალდებულსა და მის დამცველს არ მიეცათ შესაძლებლობა, დაეკითხათ მოწმე.

3. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს მოწმის სახით დაიკითხა დ. ფ-ი, რომელმაც აჩვენა, რომ 2005 წლის ივნისში, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, რომ ნ. ბ-ე ეწეოდა ნარკოტიკული საშუალების შექმნა-შენახვას, ეს უკანასკნელი ორ თანმხლებ პირთან ერთად დაკავებულ იქნა ქ. თ-ი, როგორც ახსოვს, ვერის მიმდებარე ტერიტორიაზე. ნ. ბ-ა და მის თანმხლებ პირებს ადგილზე ჩაუტარდათ პირადი ჩხრეკა, თუმცა არაფერი კანონსაწინააღმდეგო არ აღმოაჩნდათ. ამის შემდეგ ვაკეში ჩაატარეს ნ. ბ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა. ბინაში რომ შევიდნენ, თვითონ ნ. ბ-მ ჩხრეკის დაწყებამდე წარმოადგინა თეთრი აბის ნატეხები, სულ 5-დან 10 ნატეხამდე იყო, რომლებიც ოთახიდან გამოიტანა. ამის შემდეგ დაიწყეს ბინის ჩხრეკა, რა დროსაც საძინებელ ოთახში მდგარი ტუმბოს უჯრიდან ამოღებულ იქნა 100 აბზე მეტი ნარკოტიკული საშუალება „სუბოტექსი“. ნ. ბ-მ აღიარა, რომ ეს ნარკოტიკები იყო მისი და მოაწერა ხელი ჩხრეკის ოქმს. გამომძიებელმა ადგილზე დალუქა ნარკოტიკები. ნ. ბ-ს დაკავებასა და ბინის ჩხრეკაში ასევე მონაწილეობდნენ გამომძიებელი გ. გ-ე და ოპერატიული თანამშრომელი ლ. გ-ა. როგორც იცის, აღნიშნული საცხოვრებელი ბინა იყო ნ. ბ-ს მეუღლის, სადაც თვითონ ბ-ც ცხოვრობდა. ჩხრეკას ესწრებოდა ბინის მეპატრონე ქალბატონი – ნ. ბ-ს მეუღლე. მოწმის განმარტებით, ნ. ბ-ს შესახებ მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე შეადგინა პატაკი. ნ. ბ-ს მიერ წარმოდგენილი აბის ნატეხები გახვეული იყო თეთრი ფერის ქაღალდში.

4. გარდა დ. ფ-ს ჩვენებისა, ნ. ბ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტი დადგენილი და დადასტურებულია პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს გამოკვლეული მტკიცებულებებით, კერძოდ:

5. მოწმის სახით დაკითხულმა გ. გ-მ აჩვენა, რომ იყო ნ. ბ-ს საქმის გამომძიებელი. ბ-ს შესახებ ოპერატიული ინფორმაცია მიიღო ოპერატიულმა სამსახურმა. ნ. ბ-ე დააკავეს ქ-ს ქუჩაზე.

მას და მის თანმხლებ პირებს ადგილზე ჩაუტარდათ პირადი ჩხრეკა. ამის შემდეგ გაიჩხრეკა ნ. ბ-ს საცხოვრებელი ბინა ა-ს ქუჩაზე, სადაც ვილაც ქალებიც იმყოფებოდნენ. ჩხრეკის ოქმი მისი შედგენილია, რომლის შინაარსსაც ადასტურებს. ნ. ბ-მ ნარკოტიკები საიდან წარმოადგინა, აღარ ახსოვს. ჩხრეკის დროს დამსწრეების მოწვევა სავალდებულო არ იყო. ვინმეს რომ მოეთხოვა ჩხრეკაზე დასწრება და არ დაასწრეს, ასეთი ფაქტი არ მომხდარა. ნ. ბ-ს ბინის ჩხრეკისას არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამს. ბ-ს დამსწრეები რომ მოეთხოვა, დაასწრებდნენ. ნივთმტკიცება რამდენ კონვერტში დაილუქა, არ ახსოვს.

6. მოწმის სახით დაკითხულმა ი. ხ-ა დაადასტურა, რომ, როგორც დამხმარე გამომძიებელმა, მონაწილეობა მიიღო ნ. ბ-ს დაკავებასა და საცხოვრებელი ბინის ჩხრეკაში, რა დროსაც ამოღებულ იქნა ნარკოტიკული საშუალება „სუბოტექსი“, რომლის ნაწილიც დანაწევრებული აბების სახით ბ-მ ნებაყოფლობით წარმოადგინა. ამოღებული ნარკოტიკები მოთავსებულ იქნა ორ პაკეტში, ერთში მოთავსდა ნებაყოფლობით წარმოდგენილი ნივთიერება, მეორეში – ჩხრეკის შედეგად ამოღებული. ეს ორი პაკეტი მოთავსდა ერთ კონვერტში და როგორც ახსოვს, ასე გადაიგზავნა ექსპერტიზაზე. ბ-ს და მისი ოჯახის წევრ ვილაც გოგონას, რომელიც ჩხრეკას ესწრებოდა, არანაირი პრეტენზია არ განუცხადებიათ, მათ ხელი მოაწერეს ჩხრეკის ოქმს.

7. ნ. ბ-ს ბრალეულობა მოცემული დანაშაულის ჩადენაში ასევე დადგენილი და დადასტურებულია 2005 წლის 20 ივნისის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ოქმით, 2005 წლის 28 ივლისის №510/სქ ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, 2005 წლის 31 აგვისტოს №5344/16 ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, რომლის მიხედვით, ნ. ბ-ე დაავადებულია ნარკომანიით და საჭიროებს იძულებით მკურნალობას.

8. საკასაციო პალატა ვერ გაზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ გასაჩივრებული განაჩენი არის დაუსაბუთებელი და არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებიდან, ხოლო მოცემული საქმის გამომძიება და შემდგომი სასამართლო განხილვა წარმართა სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით, კერძოდ: ფალსიფიცირებულია დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმები, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს ბინის ჩხრეკის ოქმი, კერძოდ:

9. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ნ. ბ-ე ეჭვმიტანილის სახით დაკავებულ იქნა 2005 წლის 20 ივნისს, 21:00 საათზე, ქ. თ-ი, ი. ქ-ს ქუჩა №-ის მიმდებარე ტერიტორიაზე. დაკავებულ ნ. ბ-ს ადგილზე ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, პირადი ჩხრეკა

ასევე ჩაუტარდათ ნ. ბ-ს თანმხლებ ორ პირს – ნ. ლ-ს და გ. ჯ-ს. აღნიშნულ საგამოძიებო მოქმედებებზე გამომძიებელმა შეადგინა სათანადო ჩხრეკის ოქმები. ამის შემდეგ პოლიციის თანამშრომლებმა, ნ. ბ-ს თანდასწრებით, ჩაატარეს ამ უკანასკნელის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა, რაც დასრულდა 2005 წლის 21 ივნისის 00:30 საათზე. შედგენილ იქნა შესაბამისი ჩხრეკის ოქმი, რის შემდეგაც დაკავებული ნ. ბ-ე გადაიყვანეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარების მიზნით. ბუნებრივია, ყველა ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასა და პროცედურას დასჭირდა განსაზღვრული დრო და მხოლოდ ამის შემდეგ წარმოადგინეს დაკავებული ექვმიტანილი ნ. ბ-ე სამართალდამცავ ორგანოში. ამდენად, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული კასატორის მითითება იმის თაობაზე, რომ გაურკვეველია, თუ სად ჰყავდათ დაკავებული ნ. ბ-ე სამართალდამცავ ორგანოში წარდგენამდე.

10. რაც შეეხება ნ. ბ-ს საცხოვრებელ ბინაში ჩატარებულ ჩხრეკას, რა დროსაც ამოღებულ იქნა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველი „სუბოტექსის“ აბები, აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა გადაუღებელ შემთხვევაში, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, რაც დასტურდება საქმეში არსებული ცნობით, რომელიც შედგენილია საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ოპერ-თანამშრომლის დ. ფეიქრიშვილის მიერ.

11. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და თვლის, რომ, მართალია, ნ. ბ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ოქმში სათანადოდ არ არის აღწერილი ამ უკანასკნელის მიერ ნებაყოფლობით წარმოდგენილი აბების ნატეხები (მათზე არსებული წარწერების მითითებით), ასევე ჩხრეკის ოქმში არ არის მითითებული, ჩხრეკისას ამოღებული ნივთებიდან რა მოთავსდა თეთრ კონვერტში და რა – შავი ფერის პოლიეთილენის პარკში, მაგრამ პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულმა ი. ხ-ა განმარტა, რომ „ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკები მოთავსებულ იქნა ორ პაკეტში, ერთში მოთავსდა ნებაყოფლობით წარმოდგენილი ნივთიერება, მეორეში – ჩხრეკის შედეგად ამოღებული. ეს ორი პაკეტი მოთავსდა ერთ კონვერტში და როგორც ახსოვს, ასე გადაიგზავნა ექსპერტიზაზე“.

12. აღნიშნული ჩვენება შეესაბამება საქმეში არსებული ექსპერტიზის №3334/სქ აქტს, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ნ.

ბ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული ნივთმტკიცე-
ბა საქსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში
შემოვიდა დალუქული, ორი თეთრი ქალაღდის პაკეტი. ერთი
ქალაღდის პაკეტის გახსნისას მასში აღმოჩნდა ვერცხლისფერ
ფოღდის ქალაღდში ათ ცალად გახვეული თეთრი ფერის აბის
ნატეხი, წარწერით ხუთ ნატეხზე – „მ“ და დანარჩენ ხუთ ნა-
ტეხზე წარწერით – „ბ“, ხოლო მეორე ქალაღდის პაკეტის გახ-
სნისას მასში აღმოჩნდა 109 ცალი თეთრი ფერის ქარხნული აბი,
წარწერით – „8B“.

13. საქმის მასაღებით არ დასტურდება ის ფაქტობრივი გა-
რემოება, რომ საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ნ. ბ-ე და მისი
საცოღე მ. ს-ი ითხოვდნენ დამსწრეების მოწვევას ჩხრეკის ჩა-
ტარების დროს. ორივე მათგანი ხელს აწერს საცხოვრებელი ბი-
ნის ჩხრეკის ოქმს, რითაც ფაქტობრივად ადასტურებენ აღნიშ-
ნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ფაქტს, მიმდინა-
რეობასა და შედეგებს. ოქმის მიხედვით, არც ნ. ბ-ს და არც მ. ს-
ს არ გამოუთქვამთ რაიმე შენიშვნა ან პრეტენზია ჩხრეკასთან
დაკავშირებით.

14. იმ დროისათვის მოქმედი საქართველოს სსსკ-ის (1998
წლის 20 თებერღლის რედაქცია) 102-ე მუხლის მე-4 ნაწილის
მიხედვით, „ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საგამოძი-
ებო მოქმედების (მათ შორის ჩხრეკის) ჩატარება შესაძღებე-
ლია დამსწრის გარეშე, მხოლოდ გადაუღებელ შემთხვევაში,
როდესაც არსებობს ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთეღობის
ხელყოფის ან მტკიცებუღებათა დაზიანება-განადგურების ან
გადამაღვის რეაღური საფრთხე...“. მოცემულ საქმეზე ნ. ბ-ს
საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა ჩატარდა გადაუღებელ შემთხვე-
ვაში, რაც კანონიერად იქნა ცნობიღი სასამართლოს შესაბამი-
სი დადგენიღებით. რაც შეეხება კასატორის მითითებას, რომ
ბინის ჩხრეკის დროს ამოღებულ და დალუქულ კონვერტზე მი-
სი ხელმოწერა არ არის, პირვეღი ინსტანციის სასამართლოში
მონმის სახით დაკითხულმა მ. სვიმონიშვიღმა განმარტა, რომ
„თეთრ პაკეტზე ნ-ს ხელმოწერა იყო“.

15. საკასაციო პაღატა ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოე-
ბას, რომ თუკი მხარე ხელმოწერასთან დაკავშირებულ საკითხს
სადავოდ ხდიდა, საქმის მასაღების თანახმად, დაცვის მხარეს
არ უსარგებღია საქართველოს სსსკ-ის (1998 წლის 20 თებერ-
ღლის რედაქცია) 364-ე მუხღით გათვალისწინებული უფღებით,
საკუთარი ინიციატივით და თავის ხარჯზე ჩაეტარებინა გრა-
ფიკული ექსპერტიზა და ამგვარი ექსპერტიზის ჩატარების მოთ-
ხოვნით არც შუამდგომღობა დაუყენებღია სასამართლოს წინა-

შე საქართველოს სსსკ-ის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) 356-ე მუხლის მიხედვით.

16. ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოებმა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად შეამოწმეს საქმეზე შეკრებილი და წარმოდგენილი მტკიცებულებები. სასამართლოს მიერ დადგენილია ყველა ფაქტობრივი გარემოება, რაც საჭიროა დასაბუთებული განაჩენის გამოსატანად. მსჯავრდებულ ნ. ბ-ს დანაშაულებრივ ქმედებას მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება, იურიდიული კვალიფიკაცია სწორად არის დადგენილი. საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საკასაციო პალატას გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებულად მიაჩნია, რომ ნ. ბ-მ ჩაიდინა საქართველოს სსსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული, რისთვისაც მას სამართლიანი სასჯელი განესაზღვრა, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 314-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ნ. ბ-ს ს-ო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 27 ნოემბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკიეპელი

სისხლის სამართალი

ზოგადი ნაწილი

სასჯელის განსაზღვრა განაჩენთა ერთობლიობით შთანთქმის წესის გამოყენებით	3
სასჯელის შემსუბუქება	7
სასჯელის შემსუბუქება ახლად გამოვლენილი გარემოების გამო	12
ძირითადი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმის მოხდისაგან გათავისუფლება პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით	16

კერძო ნაწილი

ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება	19
სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის მუქარით, იმ პირის მიმართ, რომელსაც არ შესრულება თოთხმეტი წელი	24
პირადი საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა და გავრცელება	35
ქურდობის მცდელობა საცავში უკანონო შეღწევით	40
მსჯავრდებულის გამართლება სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შეღწევით ჩადენილი ყაჩაღობის ნაწილში	45
ყაჩაღობა და განზრახ მკვლელობის მცდელობა	53
ყაჩაღობა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ და დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით	62
გამოძალვის შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქცია	67
ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება	88
თვითნებობა	100

სისხლის სამართლის პროცესი

მხარეთა მიერ მტკიცებულებების ერთმანეთისათვის გადაცემისა და სასამართლოსათვის წარდგენის წესი	114
„დაუსწრებელი მონმის“ ჩვენება	126

გირაოს უზრუნველსაყოფად შეტანილი უძრავი ქონების მისი შემტანი პირისათვის დაბრუნება	148
საპროცესო შეთანხმება	153
სისხლის სამართლის საქმეზე უტყუარი და პირდაპირი მტკიცებულებების არარსებობის გამო გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და საქმის შეწყვეტა	159
განაჩენში ცვლილების შეტანა და გამამართლებელი განაჩენის დადგენა ერთი პირის მიმართ, საქმეში უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების არარსებობის გამო	188
შიდასახელმწიფოებრივი კანონის საერთაშორისო აქტებთან და კონვენციებთან წინააღმდეგობის გამო, არასრულწლოვანთა დაცვის საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისათვის უპირატესობის მინიჭება	193
ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძვლები	207;213
ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის ფარგლები	218;222
საქმის არსებით განხილვაში მონაწილე მოსამართლის უფლება, მონაწილეობა მიიღოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის გახილვაში	227
განაჩენის გადასინჯვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების საფუძველზე, რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის და მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით	235

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 298 21 03
www.supremecourt.ge